ქრისტინე შარაშიძე

პირველი სტამბა საქართველოში

(1709-1722)

ვახტანგ VI

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ეცხრამეტე საუკუნის მოწინავე ქართველობა საზოგადოებამ ვახტანგის სტამბის წიგნები მოგვიანებით შეამჩნია. ეს მით უფრო საკვირველია, რომ აკადემიკოსი მარი ბროსე, რომლის ხელშიაც თეიმურაზ ბაგრატიონისა და სხვა განათლებულ ქართველთა ხელისშეწყობით ადრევე გაიარა ძველი საქართველოს მატერიალური კულტურის თვალსაჩინო ნაშთებმა, იცნობდა და მაღალ შეფასებას აძლევდა XVIII ს. ქართული სტამბების პროდუქციას[1]. ქართველ ისტორიკოსთა მომდევნო თაობას ეს მოვლენა როგორღაც გამოეპარა.

აჭარა-გურიის შემოსავლელად გამგზავრებულმა დიმიტრი ბაქრაძემ 1873 წელს ქუთაისში, სვიმონ აბაშიძის სახლში პირველად ნახა ვახტანგის სტამბის წიგნი; ეს იყო 1710 წლის „კონდაკი". ამ „აღმოჩენამ" ისტორიკოსის განცვიფრება გამოიწვია. დ. ბაქრაძე, რომელსაც ამ დროს ქართული ხელნაწერი წიგნის არა ერთი შედევრის ფურცლები ჰქონდა გადაშლილი, მოხიბლული იყო 1710 წლის „კონდაკის" ჩინებული გაფორმებითა და ნუსხურ-მხედრული შრიფტის ნაირობით; ისტორიკოსი უაღრესად დაინტერესდა წიგნის ბოლოში ქართული ასოებით დაბეჭდილი რუმინული ლექსით.

1878 წელს გამოსული ნამრომის ფურცლებზე დ. ბაქრაძემ მოათავსა 1710 წლის „კონდაკის" დაწვრილებითი აღწერილობა და გამოაქვეყნა მესტამბეთა ლექსის ტექსტი „ვალახური" ალფაბეტით[2].

ფარსო საზოგადოება ვახტანგის სტამბის წიგნს გაეცნო 1875 წელს „დროების" თანამშრომლის სხვიტორელის წერილის წყალობით. სხვიტორელი (დავით წერეთლის, აკაკის, ემის ფსევდონიმი) გაზ. „დროების" ფურცლებზე (1875, № 38, გვ. 3) აქვეყნებს 1710 წლის „კონდაკის" პირველ მოკლე აღწერილობას, მესტამბეთა რუმინული ლექსის ჩართვით. სხვიტორელს გამოეხმაურა კიეველი სტუდენტი „კეკი კი არა კიევი"-ს ფსევდონიმით. იმავე წლის „დროების" № 48-ში იგი ათავსებს მესტამბეთა ლექსს, დაბეჭდილს ლა-

[1] M. Brosset, Histoire de la Georgie, II, 1-re livr, 101, 2-e livr, 28. 140, SPB, 1847.

[2] Дм. Бакрадзе, „Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПб, 18-8, стр. 4—7.

თინური ტრანსკრიფციით, ლექსის თავისუფალი თარგმანითურთ. თარგმანი კიევში მცხოვრები „ნოლდაველი რუმინელების“, ანუ „მოლდაური მუშების“ დახმარებით არის შესრულებული.

1873—1875 წლებიდან მოყოლებული ვახტანგის სტამბის წარმოშობის პრობლემამ საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. კერძოდ, 1710 წლის „კონდაკმა“ მკითხველთა ფართო წრესა და სამეცნიერო ლიტერატურაშიაც დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ვახტანგის სტამბის წარმოშობის საკითხით დაინტერესდა არა მარტო ქართველ მეცნიერთა წრე (დ. ბაქრაძე, ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი), არამედ უცხოელ მეცნიერთა მთელი ჯგუფი (ე. პიკო, ჰ. შუხართი, მ. გასტერი)[1].

მაგრამ ვახტანგის სტამბის წიგნების ცოტად თუ ბევრად სრული კომპლექტის შეკრების გარეშე შეუძლებელი იყო ამ გამოცემებისა და, საერთოდ, სტამბის ისტორიის შესწავლა.

1879 წელს დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ათიოდე წლის (1889) შემდეგ გახსნილი „საეკლესიო მუზეუმი“ და 1907 წელს ჩამოყალიბებული „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ სხვა ქართულ ძეგლებთან ერთად ძველ ნაბეჭდ წიგნებსაც ენერგიულად აგროვებენ და თავიანთ გამოცემებში („აღწერილობანი“) მათ მოკლე აღწერასაც უთმობენ ადგილს[2].

წინა თაობის მცდელობით თავმოყრილი მდიდარი ბასალის მეცნიერული შესწავლა მხოლოდ ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ იწყება. 1929 წელს ქართული სტამბის წიგნის 300 წლისთავის აღსანიშნავად ზედიზედ ორი საყურადღებო გამოკვლევა გამოვიდა: დავით კარიჭაშვილის „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში“ და პაატა გუგუშვილის „ქართული წიგნი. 1629—1929“.

ქართული წიგნის ბეჭდვის ხსენებული საიუბილეო თარიღიდან (1929) მოყოლებული ძველი ნაბეჭდი წიგნებისა და, საერთოდ, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის კვლევა განსაკუთრებით ინტენსიური ხდება. 1933 წელს ქვეყნდება 1795—96 წლებში დაბეჭდილი ერეკლე II-ის დროინდელი ცნობილი მესტამბის რომანოზ ზუბაშვილის მიმართვა გაიოზ რექტორისადმი („საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. VII, 1933, გვ. 251—257 და ტაბულები). ეს შესანიშნავი საბუთი გაიოზის მიერ მოზდოგს გამართული ქართული სტამბის მოწყობის საყურადღებო დეტალებს აშუქებს.

---

[1] პროფ. ა. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, თბ., 1935, გვ. 156—176.

[2] «Тифлисское церковное древлехранилище», Тифлис, 1898, 47; Описание рукописей Тифлисского церковного Музея, Тифлис, III, გვ. 202—225, მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილი; დ. კარიჭაშვილი, კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა, ტფ., 1904—1905 (გვ. 75, 77—78, 174, 271 და სხ.), ამავე გამოცემის „დამატება პირველი“, ტფ., 1911, გვ. 24, 25, 26, 60; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი, წ. 1, ტფ., 1907, გვ. 211, 217, 243, 285.

1935 წელს იბეჭდება პროფ. კ. კეკელიძის „ნიკიფორე ირბაჭი, ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში“—გამოკვლევა, რომელიც საბოლოოდ ჰფანტავს რომში (1629) ქართული წიგნების ბეჭდვის ინიციატორის ბერძნობის შესახებ შექმნილ ლეგენდას[1] და ეჭვმიუტანლად არკვევს ნიკიფორე ირბაჭის (ჩოლაყაშვილის) ქართველობას.

ხსენებული გამოკვლევის ერთდროულად გამოდის პროფ. ა. შანიძის „ქართული სტამბის ისტორიისათვის“. ეს ნაშრომი ვახტანგის სტამბის წარმოშობის პრობლემისათვის არის მიძღვნილი; იგი მდიდარ მასალას შეიცავს ანთიმოს ქართველის ვლახეთში მოღვაწეობის შესახებ და ვლახეთიდან მესტამბის გამოწერის საკითხის გასაშუქებლად არა ერთ ძვირფას ცნობას გვაწვდის.

1937 წელს იბეჭდება ქ. შარაშიძის „ქართული შრიფტი ამსტერდამში 1686—87 წწ.“. წერილი ახლად მოპოვებული მასალების საფუძველზე აშუქებს არჩილის პოლიგრაფიული მოღვაწეობის საყურადღებო ეპიზოდებს. იგივე ავტორი 1937 წელსვე აქვეყნებს ცნობებს: „იმერეთის სტამბების ისტორიისათვის“. აქ ახალ მონაცემებზე დამყარებით დადგენილია, რომ ქუთაისში პირველი სტამბა ამუშავებულა არა 1803 წელს, როგორც ეს მიღებული იყო სპეციალურ ლიტერატურაში, არამედ 1800 წელს.

დიდად ნაყოფიერი იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1931—1934 წლებში განზრახული ქართული ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების გამოფენისათვის სამზადისი. ამ სამზადისის დროს მუზეუმში თავი მოიყარა თბილისის დიდ წიგნთსაცავებში დაცული ძველინაბეჭდი წიგნების სრულმა კომპლექტმა. საგამოფენო ფონდის შერჩევა-შესწავლის პროცესში შემჩნეულ იქნა მთელი რიგი უცნობი გამოცემები. სწორედ აქ მიიპყრო პირველად ყურადღება ვახტანგის სტამბის წიგნების თვალსაჩინო განსხვავებამ მეთვრამეტე საუკუნის სხვა ქართული სტამბების წიგნებთან შედარებით (მოსკოვის: 1705, 1737—1744, 1762—1768; თბილისის: 1749—1794 წწ.)[2].

ქართული წიგნის ბეჭდვის განვითარების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის თაოსნობით ჩატარებულ მუშაობას. 1938—1940 წლების განმავლობაში ფართო მასშტაბით წარმოებულმა ძიებამ ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის არა ერთი უცნობი ან მცდარი ფაქტი გამოავლინა. 1929—1940 წლების დაუცხრომელი კვლევა-ძიება დამთავრდა 1941 წელს გამოსული კაპიტალური ნაშრომით „ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია. I“. „წიგნის პალატის“ ამ გამოცემამ თავისი ჩინებული გრაფიკული გაფორმებით (მხატვარი ლ. გრიგოლია) და უხვი საილუსტრაციო მასალით დიდად შეუწყო ხელი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის პოპულარიზაციას.

დასასრულ, საგანგებოდ აღსანიშნავია ის ძვირფასი მასალა, რომელიც შეგვძინა ქართველი მეცნიერების (აკადემიკოსები—ა. შანიძე და ნ. ბერძენი-

[1] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბ, 1929, გვ. 17—31.

[2] „ქართული წიგნი“, ბიბლიოგრაფია, ტომი პირველი, თბ., 1941, შესავალი, გვ. IX.

შვილი, პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე) დაკავშირებამ დემოკრატიული რუმინეთის მეცნიერებთან.

რუმინეთს მოგზაურობის შედეგად გ. ლეონიძემ ჩამოიტანა განსაკუთრებული მნიშვნელობის საარქივო მასალები, რომლებიც ვახტანგის სტამბის მოწყობის დასაწყისი პერიოდის გაშუქების საშუალებას გვაძლევს [1].

წიგნის ბეჭდვის შემოღება ფეოდალურ საქართველოში XVIII საუკუნის დასაწყის წლებში, იმ დროს, როდესაც მთელ ამიერ და იმიერკავკასიაში სტამბა არსად ყოფილა, არ შეიძლება არ განვიხილოთ, როგორც საქართველოს კულტურული განვითარების მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა.

პირველი სტამბის მოწყობისათვის მიღებული ღონისძიებანი და, განსაკუთრებით, „ბეჭდვის მომღების“ ვახტანგ VI-ს მიერ გაწეული დიდი მატერიალური ხარჯი მოწმობს, რომ იმდროინდელი ქართლის სამეფოში მომწიფებული ყოფილა ამ წამოწყების განხორციელებისათვის აუცილებლად საჭირო სოციალური პირობები.

მართალია, პირველი სტამბა უმთავრესად მომარჯვებულია სამღვდელმსახურო წიგნების საბეჭდავად, მაგრამ სტამბის მოწყობისა და წიგნების ბეჭდვის ინიციატივა ეკუთვნის არა სამღვდელოებას, არამედ საერო ხელისუფლების წარმომადგენელს—ქართლის გამგებელსა და შემდეგში მეფეს—ვახტანგ VI-ს.

ჩვენ ვხედავთ, რომ თბილისის პირველი სტამბიდან თერთმეტი წლის (1709—1713, 1716—1717, 1719—1722) მანძილზე გამოსულ წიგნებს მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების სისრულით და ზოგიერთი სხვა ნიშნითაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XVIII ს. ქართული სტამბების სხვა გამოცემებთან შედარებით:

აქ ფართოდ არის გამოყენებული მხედრული შრიფტი.

შემოღებულია არაბული ციფრების ხმარება.

იბეჭდება ხალხური („სოფლური“) ენით დაწერილი, ადვილად გასაგები ტექსტები.

გარდა საეკლესიო-საქრისტიანო შინაარსის გამოცემებისა, ვახტანგის სტამბა ბეჭდავს ქართული მწერლობის უდიდეს ნაწარმოებს „ვეფხისტყაოსანს“, ვახტანგის განმარტებებითურთ (1712 წ.), სასკოლო სახელმძღვანელოს (1711 წ.), სამეცნიერო წიგნს (1721 წ.).

ვახტანგის დროინდელი სტამბის წიგნებისათვის დამახასიათებელი ეს ფართო განმანათლებელი ნიშნები გასაგები ხდება მხოლოდ XVII—XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების გათვალისწინებით.

ჩვენი მიზანია შევისწავლოთ სტამბის შემოღება საქართველოში 1708—1709 წწ. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიასა და საქართველოს ზოგად ისტორიას შუა კავშირის გაბმით.

---

[1] გიორგი ლეონიძე, ანთიმ ივერიელი. ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის, „დროშა“, 1951, № 2, გვ. 16—18.

1

ქართლის სამეფო XVII—XVIII სს. მიჯნაზე

(პოლიტიკური მდგომარეობა)

მეჩვიდმეტე საუკუნე, განსაკუთრებით მისი პირველი ნახევარი, მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში განუწყვეტელი სისხლისმღვრელი ბრძოლებით არის აღბეჭდილი.

როგორც ცნობილია, „მეთექვსმეტე საუკუნეში საქართველო ორ დიდ მოძალადეს (თურქეთ-ირანს) შორის მოექცა და ევროპის სწრაფად მზარდ კულტურულ მსოფლიოს თითქმის სავსებით მოწყდა“ (საქართველოს ისტორია, 1). ამ მძიმე მემკვიდრეობით მეჩვიდმეტე საუკუნეში შესული, სამ სამეფოდ და სამთავროებად დაქუცმაცებული ქვეყანა, რომელსაც თურქეთმა საბოლოოდ ჩამოაცილა კულტურულად და ეკონომიურად დაწინაურებული პროვინცია—ძველი მესხეთი, დამოუკიდებლობისა და გაერთიანებისათვის ბრძოლას განაგრძობდა. ორი მძლავრი, ერთმანეთის მოქიშპე მეზობლის წინააღმდეგ მიმართული ეს უთანასწორო ბრძოლა მეტად გართულებული იყო ფეოდალური საქართველოს შიგნით წარმოშობილი სიძნელეებით, თავადების ურჩობით, მით უფრო, რომ „უცხო დამპყრობლები თავადებს მხარს უჭერდნენ და მეფეს გამდგარი თავადების დამორჩილების საშუალებას არ აძლევდნენ“ (საქ. ისტ., 1).

XVII საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოს მოწინავე ადამიანების ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ განვითარების ახალ ფაზაში შედის: ამ დროისათვის სასოფლო მეურნეობის ნაირნაირი დარგებით და ძველი და ახალი ქალაქებით აყვავებული კახეთი ნანგრევებადაა ქცეული და საქართველოს ეს ერთი უმძლავრესი პოლიტიკური ერთეული თანდათან გამოდის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მწყობრიდან; ქართლ-კახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი შაჰაბაზის შემოსევების შედეგად გაჟლეტილი ან ირანს გადასახლებულია; ქართლის ტახტზე ირანის სპასალარი, ირანს აღზრდილი მაჰმადიანი როსტომ მეფე (ბაგრატიონი) ზის (1634—1658); თბილისის, გორის, სურამის ციხეებში ყიზილბაშთა მეციხოვნენი არიან ჩაყენებულნი.

ამ გართულებულ მდგომარეობაში განუწყვეტელი შინაური და გარეშე ომიანობით თავმობეზრებული, დატანჯული, მშვიდობას მოწყურებული ქართლის მოსახლეობა ჭკვიანი პოლიტიკოსის, მაჰმადიანი მეფის როსტომის მეთაურობით დროებით მორჩილების გზას დაადგა და ირანის ხელისუფლებასთან უკომპრომისოდ, შეურიგებლად მებრძოლი თეიმურაზ 1-ლი თითქმის განმარტოებული დარჩა. მან იმერეთს შეაფარა თავი.

დამახასიათებელია, რომ ირანის ორიენტაციის მიმდევარი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე, როსტომ მეფის უმცროსი თანამედროვე და მისი პოლიტიკის აპოლოგეტი (მაქებარი, გამამართლებელი), დამარცხებული თეიმურაზის იმერეთს გადასვლისა და ქართლში როსტომ მეფის საბოლოოდ დამკვიდრების ამბავს ამგვარად გადმოგვცემს: „როსტომ მეფე ერანის ლაშქრით ქალაქში შემოვიდა“, „ბატონი თეიმურაზ იმერეთს გარდავიდა და ქართლი ყიზილბაშით აიესო“[1].

ცხადია, ისტორიკოსი ნათლად ხედავს მის მიერ აღნიშნული ამ სამი ფაქტის: როსტომის მეფობის გამტკიცების, თეიმურაზის ბრძოლის ველიდან გაცლისა და ქართლის ყიზილბაშით ავსების ურთიერთ შორის კავშირს.

ამ დროიდან თეიმურაზთან ბრძოლას ირანის ხელისუფლების ნაცვლად აწარმოებს ქართლის მეფე, თათარ-ქართველთა და ქართლის სამეფოს სხვა მცხოვრებთა ლაშქრის მეშვეობით.

როსტომის მშვიდობიანმა პოლიტიკამ ქართლის სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებას შეუწყო ხელი; მაგრამ ირანოფილურმა მისწრაფებამ ძნელად ამოსაფხვრელი დაღი დაასვა როგორც ქართულ დაწესებულებებს, ისე ქართულ ადათებსა და წესებსაც. ვახუშტი აღნიშნავს: „ამა როსტომ მოიყვანნა ყოველნი ტყუენი საქართველოსანი სპარსეთიდამო“.

ქართველების ირანიდან დაბრუნება კარგი საქმე იყო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ირანს ნამყოფი ქართველი არისტოკრატიის ეს საკმარისად დიდი ნაწილი გამაჰმადიანებული იყო.

თუ ვახუშტის ვერწმუნებით, სწორედ ამ გამაჰმადიანებული ქართველების გავლენით „შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა-მრუშება, ტყუვილი, ხორცთ განსვენება“ და სხვ. ირანიდან მოტანილი ცხოვრების ეს „მსუბუქი სტილი“, ფუფუნება და ზნეობრივი დაცემა იმდენად ფართოდ და ღრმად გავრცელებულა, რომ უმაღლეს სასულიერო პირებშიაც უჩენია თავი („ვიდრე მღვდელთ-მთავარნიცა ჰყოფდენ უჯეროთა“. ვახუშტი).

1658 წ. უშვილოდ გარდაცვლილი როსტომის შემდეგ, სამეფო ტახტი მისმა ნაშვილებმა, მუხრანის ბაგრატიონმა ვახტანგ V-მ—შაჰნავაზმა დაიჭირა (1658—1675).

ის მოჩვენებითი მშვიდობა, რომელიც ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებას როსტომის მეფობაში ახასიათებდა, შაჰნავაზის დროს შესამჩნევად შეირყა; ირანისადმი მორჩილების განწყობილებამ დაკარგა როსტომის დროინდელი მოქნილობა. ჯერ კიდევ შაჰნავაზის სიცოცხლეში ქართლის მეფის შვი-

[1] საისტორიო მოამბე, წ. II, ტფ., 1925, გვ. 240.

ლების—არჩილისა და გიორგის პოლიტიკური გეზი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის აშკარა ბრძოლის გზით მიდიოდა. ეს ბრძოლა, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ვერ თავსდებოდა ქართლის სამეფოს ფარგლებში. ბუნებრივად ისმებოდა ამ ბრძოლაში მთელი საქართველოს ძალების შემოკრება-გაერთიანების, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების შეთანხმებული მოქმედების საკითხი.

ამ აზრით იყო შთაგონებული შაჰნავაზის უფროსი შვილის არჩილის (ვახტანგ VI-ის უფროსი ბიძის) ხანგრძლივი ბრძოლა იმერეთის სამეფო ტახტის დასამკვიდრებლად, რუსეთთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებით.

არჩილის მომდევნო ძმა, შაჰნავაზის შემდეგ ქართლში გამეფებული გიორგი XI (1676—1688, 1691—1695) შაჰის რისხვას აღარ ეპუებოდა და უფროსი ძმის (არჩილის) მოქმედებას ხელს აფარებდა. თვითონ გიორგი მეფე კი ქართლ-კახეთის გაერთიანებასა და მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ირანის წინააღმდეგ დიდ აჯანყებას ამზადებდა.

მაგრამ გიორგი XI-ის მისწრაფებებს საქართველოს შიგნითვე ჰყავდა მძლავრი მოწინააღმდეგე. მას ყოველგან გზას უღობავდა და მის ბრძოლას გასაქანს არ აძლევდა თავგასულ ფეოდალთა ქიშპობა, ღალატი და აჯანყებები. დამახასიათებელია, რომ ქართლ-კახეთის გაერთიანებისა და განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმულ მეფეს უღალატა თვით საკუთარმა მხედართმთავარმა და ბიძამ (დედის ძმამ) თამაზ ორბელიანმა. ამავე ხანებში (1688) მეფის მომხრეთა რიგებს გამოაკლდა მძლავრი ფეოდალი თეიმურაზ მუხრან-ბატონი (მეფის ბიძა); აჯანყებულ ერისთავებთან ერთ-ერთ დიდ ბრძოლაში მეფეს მოუკლეს ერთგული დიდებულები: „დიდ-მოურავიანის“ ავტორი იოსებ თბილელი (სააკაძე), ქაიხოსრო ციციშვილი და სხვ.

თავადების ღალატით გაუვალ ჩიხში მომწყვდეული გიორგი მეფის ერთადერთი ვაჟი ბაგრატი და ძმა ლევანი (ვახტანგ VI-ის მამა) სპარსეთის შაჰს დიდიხანია მძევლებად ჰყავდა წაყვანილი. ხსენებულ ამბებთან დაკავშირებით, შაჰმა დააპატიმრა მძევლები და ქართლის ტახტი ირაკლი I-ს (თეიმურაზ 1-ის შვილიშვილს) მისცა.

დამარცხებულმა გიორგიმ თავი რაჭას შეაფარა.

ვახტანგის მონაწილეობა XVII ს. მიწურულის პოლიტიკურ ამბებში

ახტანგ მეექვსე დაიბადა 1675 წელს. იგი იყო ვახტანგ V—შაჰნავაზის მესამე შვილის ლევანისა და ქაიხოსრო გურიელის ასულის თუთას შვილი. რთულსა და მშფოთვარე პოლიტიკურ ვითარებაში უხდებოდა ბავშვობისა და სიყრმის გატარება დედით ადრე დაობლებულ ვახტანგს, რომლის მამაც მძევლად და შემდეგ პატიმრად ჰყავდა ირანის მფლობელს. შაჰის მრისხანებამ აიძულა ლევანის მთელი ოჯახი და მასთან ერთად ვახტანგიც ქართლს გაცლოდა და სამცხის საზღვარზე, სადგერში, დედინაცვლის ოჯახში შეეფარებია თავი.

როგორც ცნობილია, ვახტანგის სწავლა-აღზრდას მისი მამის ბიძაშვილი (დედის მხრიდან) ჰაბუკი სულხან, შემდეგში ბერად აღკვეცილი საბა ორბელიანი ხელმძღვანელობდა. სიყრმიდანვე დაახლოვებული იყო ვახტანგი აგრეთვე თავის უფროს ბიძასთან—არჩილთან. 1688 წელს ცამეტი წლის ვახტანგს რაჭაში ვხედავთ, რუსეთიდან დაბრუნებულ არჩილთან ერთად. აქედან იგი (არჩილთან ერთად) ორი წლით დიგორს მიდის. პოლიტიკური საქმიანობით გართული არჩილი თავისი ძმის ლევანის შვილების—ქაიხოსროს, ვახტანგის, დომენტის სწავლა-აღზრდისთვისაც იცლის (ვახუშტი, გვ. 323).

განსაკუთრებულ სიახლოვეს გრძნობს არჩილი თავის ძმისწულ ვახტანგთან. მოგვიანებით, 1696 წლის ახლოს, იგი საგანგებოდ მიდის დვალეთიდან ერწოს, რომ თან წაიყვანოს ამ დროს უკვე დაცოლშვილებული „ძმისწული თავისი ვახტანგ დედა-წულით“ „და წარვიდეს რუსეთს“ (ვახუშტი, 329); არჩილს გადაჰყავს ისინი დვალეთს და რუსეთში გადასასვლელად რუსების მცველი რაზმის მოლოდინში მთელ ზამთარს იქ ატარებს (ვახუშტი, 329).

1698 წელს, როდესაც არჩილი საბოლოოდ იღებს ხელს პოლიტიკურ ბრძოლაზე და რაჭის გზით რუსეთს მიემგზავრება, ვახტანგის რუსეთს გადასვლაც გადაწყვეტილი საკითხია. ამას ხელს უშლის მხოლოდ ის გარემოება, რომ „კაეკასი თოვლით კრულ იყო და“ ვახტანგი „დედა-წულით ვერღარა ვიდოდა“; ამის გამო ვახტანგი იმჟამად რაჭაში რჩება (ვახუშტი, 330). ქვე-

მოთ ჩვენ დავინახავთ, რომ არჩილს რუსეთს ყოფნის პერიოდშიც (1699--1712) არ გაუწყვეტია კავშირი თავის საყვარელ ძმისწულთან.

ვახტანგი ადრე ჩაება პოლიტიკურ ბრძოლაში. დაახლოებით 1690 წელს, თხუთმეტი წლის ასაკში, იგი თავისი ბიძის, გიორგი XI-ის პოლიტიკურ გეგმებთან დაკავშირებით მძევლად იგზავნება თურქებთან (ვახუშტი, 324) და, საერთოდ, ენერგიულად მონაწილეობს გიორგის ხანგრძლივ ანტიირანულ ბრძოლაში.

1691 წელს, როცა გიორგი XI თავისი მომხრეებით შიდა ქართლში შემოვიდა, მოსახლეობა სიხარულით მიემხრო მწირობიდან დაბრუნებულ გიორგის და აჯანყების დროშა ააფრიალა. გიორგი მეფის ძველმა მტერმა ლოპიანა ციციშვილმა შემოიკრიბა თავის მომხრეთა ჯარი და თავს დაესხა ახალდაბას დახიზნულ 16 წლის ვახტანგს და სხვა ქალ-ყრმათ. ვახუშტის ცნობით, მაშინ „ძმისწულმან მეფისამან ვახტანგ, ძემან ლევანისამან, შემოიკრიბნა თეისნი და მიეგება ბრძოლად". ლოპიანა გაიქცა. ქართლი, სომხით-საბარათიანოთი, გიორგი მეფეს მიემხრო. მაგრამ შაჰი ერეკლე 1-ს უჭერდა მხარს და ბრძოლის ბედი თბილისის ციხე-სიმაგრესთან უნდა გადაწყვეტილიყო. აქ როსტომის დროიდან (1632) სპარსთა მეციხოვნენი იდგნენ. 1692 წელს გიორგი მეფის მომხრე ქართველ მხედართა რაზმი, ჩვიდმეტი წლის ვახტანგის მეთაურობით, თავს დაესხა სპარსელების გარნიზონს. აქ მოხდა ის ისტორიული შეტაკება, რომლის ერთი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძემ „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილში" აგვიწერა.

თბილისის მისადგომებთან გამართულ ცხარე ბრძოლაში ვახტანგის სიცოცხლე საფრთხეში იყო. მას შიგ გულში უნდა მოხვედროდა მტრის ისარი, რომელიც ხოხონა ხერხეულიძის მარჯვედ ნახმარმა ფარმა ააცილა.

1692—93 წწ. ვახტანგი გიორგი მეფის მნიშვნელოვანი დავალებით დაღესტანს გაემგზავრა. მას უნდა ენახა შამხალი (დაღესტნის ცმართველი), რომელიც შველას ჰპირდებოდა გიორგის სპარსელების საწინააღმდეგო ბრძოლაში. ვახტანგმა გაიარა ხევი და გერგეტის სამების „სულთა მატიანის" წიგნის ფურცლებზე საკუთარი ხელით ჩასწერა თანამედროვე პოლიტიკური ამბების შემცველი სტრიქონები:

„ჰე, ყოელად ძლიერო ღმერთო, რომელმან... აწ ქართლის მთავრად ქმენ გიორგი, ბრძანებითა შენითა! სძლეს სპარსთა და გარდავარდა. დაყო წელი ღარიბობაში ოთხი და მოვიდა და დაიჭირა ქართლი. სთხოვა სპარსთა და არ მოსცეს. და მე, ვახტანგ, გამგზავნა ლეკში[1]. და მე, ბრძანებითა (მისითა), შემოვიარე აქ და მოვედი, რათა შეგვეწიონ სპარსთა ზედა ძალი ამა სამებისა წმიდანი და აწ, გევედრები, რათა წარმიმართო საჭალნი ჩემნი"[2].

[1] ტექსტში „ლეკში".

[2] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწ. A : 1085, გვ. 38. ვახტანგის ეს მინაწერი გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ (ქრონიკები, II, გვ. 517, № 99). რომელიც ამ საბუთს 1698 წლით ათარიღებს. საბუთი 1693 წელზე გვიან არ შეიძლება იყოს დაწერილი, ვინაიდან სწორედ 1693 წელს დაატყვევეს შაჰისაგან მოსყიდულმა შამხალმა და ყილჩიყომ არჩილ მეფე (ვახუშტი, საქართველოს ცხ-ბა, თბ., 1913, გვ. 97, 326, 327), რის გამო ვახტანგს ხევიდან უკანვე მოუხდა დაბრუნება (ამაზე იხ. ქვემოთ).

მაგრამ ვახტანგი ხევიდან შამხალთან აღარ გადასულა. აქ მას მოუვიდა ცნობა, რომ ყეენის „დიდი ნიჭით“ მოსყიდულმა შამხალმა გატეხა პირი; შამხლის შვილი და ჩეჩენთა მთავარი ყილჩიყო მირზა (ეს უკანასკნელი—ფარულად) თავს დაესხნენ რუსეთს მიმავალ არჩილს ყაბარდოში და დაატყვევეს იგი (1693). ამ ღალატის შედეგად გიორგი მეფემ კვლავ წააგო წარჩინებულ შინაგამცემელთა შუღლით და გლეხთა აჯანყებებით დამძიმებული ბრძოლა და 1695 წ. ისევ იმერეთს გადაიხვეწა. ვახტანგმაც იმერეთს მიაშურა. აქ მან პირველად ქაიხოსრო ჩხეიძის სახლში ჰპოვა თავშესაფარი; შემდეგ დიდი ხნით დაისადგურა ხარაგაულში, გიორგი აბაშიძის მაგარ ციხეში.

1697 წელს 20 წლის ვახტანგის პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: მან იქორწინა ჩერქეზთა ბატონის ასულზე, რუსუდანზე—„ხარა: გაულს... ჰყო ქორწილი არადიდებული“, როგორც ხიზნობის პირობებს შეეფერებოდა. ვახტანგის მეუღლე—რუსუდანი, როგორც ამას ვახუშტის ისტორია მოწმობს, ჰკვიანი, სათნო და „მზეებრ ბრწყინვალე სილამაზის“ (სეხნია ჩხეიძე) პატრონი ყოფილა.

ჩერქეზთ ბატონის ასულის შემოყვანა ქართლის სამეფო სახლში შემთხვევით არ მომხდარა. ეს აქტი საყურადღებო პოლიტიკურ მოსაზრებასთან იყო დაკავშირებული. გიორგი მეთერთმეტემ საგანგებოდ მოიყვანა რუსუდანი თავისი ერთადერთი ვაჟის, ქართლის ტახტის მემკვიდრის—ბაგრატის საცოლედ. მაგრამ მძევლად წაყვანილი და შემდეგ დაპატიმრებული ყრმა ბაგრატ სპარსთა პატიმრობაში გარდაიცვალა და გიორგიმ სასძლო თავის ერთგულ ძმისწულს—ვახტანგს მისცა. ჩერქეზებთან დამოყვრებაში ქართლის მეფეების პოლიტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარე მეღავნდება: ქართლის პოლიტიკური ხელმძღვანელები არათუ საქართველოს სამეფო-სამთავროებს უყრიდნენ თავს, არამედ მთელი ამიერ-იმიერ კავკასიის შეთანხმებული ბრძოლის გაჩაღებით ლამობდნენ ირანისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას.

საქართველოს ისტორიაში 1695—96 წწ. სხვა უფრო დიდმნიშვნელოვანი ამბით არის აღბეჭდილი. ამ წელს გიორგი XI-მ ირანთან მრავალწლოვანი ბრძოლა წაგებულად სცნო. მისთვის ცხადი გახდა, რომ საქართველოს შინაგანი ძალების შემოკრებას და მით მეფის ხელისუფლების განმტკიცებას მუდამ და ყველგან გარდაუვალ ჯებირად გადაეღობებოდა სპარსეთ-თურქეთის წაქეზებით ზურგგამაგრებული ქართველი ფეოდალების წინააღმდეგობა. კიდევ უფრო ძნელი საქმე გამოდგა ირანის შაჰის გავლენით მოქმედ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ფეოდალი ხელმძღვანელების მიმხრობა.

„ვეცადეთ ჩვენის ქვეყნის საქმესა, რომ ჩვენის მძლავრის მტრის ხელით დაგვეხსნა... მაგრამ ჩვენი ძალი ამათ ძალს ვერ აუვიდაო“—ამბობს არჩილ მეფე[1]. არჩილის ძმას, მასთან მჭიდრო კონტაქტში მყოფ გიორგი მეფესაც სრული უფლებით შეეძლო ამ სიტყვების გამეორება.

[1] ალ. ბარამიძე, არჩილის ცხოვრება და შემოქმედება, „არჩილიანი“, ტ. II, თბ., 1937, გვ. X.

საყურადღებოა, რომ არჩილი თავის ლექსებში გულისტკივილით აღნიშნავს შამხალთან დაკავშირების ცდის ჩაშლას:

„მოკლე რამ იყო მოყვსობა, განზრახვა მის შამხლისანი“, ამბობს ის გიორგისადმი მიმართულ წერილში (არჩილიანი, I, გვ. 247).

ფეოდალური დარღვეულობით ნიადაგ გამოცლილი და სპარსულ-თურქული გარემოცვის სალტეებით გზა-შეკრული ქვეყანა ამაოდ ირწყვებოდა მოწინავე ქართველთა სისხლით. ათეული წლების მანძილზე წარმოებული შინაური უპერსპექტივო ბრძოლა, რომელსაც ხალხმა დიდი ხანია „ორიანობა“ უწოდა, განუწყვეტელ მერყევ მდგომარეობას ჰქმნიდა და ეკონომიური ცხოვრების მოშლას იწვევდა. საქართველო თითქოს განწირული იყო გაუვალ პოლიტიკურ ჩიხში სატრიალებლად.

ამ ვითარებაში გაუთავებელ ხიხნობაში ჰყოფ გიორგი მეთერთმეტეს ერევნის ხანის მოწოდება მოუვიდა. ხანი კისრულობდა გიორგის შერიგებას სპარსეთის შაჰთან და ამ გზით ქართლის ტახტზე დამკვიდრების მომხიბლავ პერსპექტივას უხატავდა მას. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ერევნის ხანი მხოლოდ თავისი პირადი კარიერისათვის არ იღვწოდა. შერიგების საკმე ჯერ დასაწყის სტადიაში იყო, როცა გახარებულმა შაჰმა ერევნის ხანს ჯიორგისთან მოლაპარაკებისათვის თოფანჩი-აღასობა უბოძა (ვახუშტი). გიორგი მეფის შემორიგების ინიციატივა, საფიქრებელია, თვით შაჰს ეკუთვნოდა. ყოველ შემთხვევაში შაჰმა ორგულ მეფეს სასწრაფოდ მოუგზავნა თავისი მეჰმანდარი (მესტუმრე), შეაგება ხუთასი თუმანი ფულად, ოქროთი შეკაზმული ცხენი და, საერთოდ, დიდი პატივით მიიღო იგი.

ირანში გიორგის მისი ძმები—ირანის ტყვეობიდან განთავისუფლებული ლევან, ალექსანდრე, ლუარსაბ, ძმისწული ქაიხოსრო და მრავალი ქართველი დიდებული დახვდა. 1696 წელს ქართლის სამეფო კარის თითქმის მთელ შეგენილობას ნებსით თუ უნებლიეთ სპარსეთის შაჰის კარზე მოეყარა თავი.

მაგრამ გიორგის ერთგული ძმისწული ვახტანგი „დაშთა სახლეულით იმერეთს“. ამ შემთხვევაში იგი საყვარელი ბიძის, გიორგის კვალს არ გაჰყვა. შაჰთან მისვლას მან „მწირობაში“ დარჩენა ამჯობინა.

გიორგი XI-ის ახალ პოლიტიკურ ნაბიჯს არ თანაუგრძნობდა არც მისი უფროსი ძმა—არჩილი, რომელიც ერთ-ერთ ლექსში მწარედ უსაყვედურებს გეზის შეცვლას „ჭირმანის მფლობელს“ და „ერანის სპასალარს“ („არჩილიანი“, I, გვ. 246—247).

გიორგი მეფის საქართველოს პოლიტიკური ასპარეზიდან გაცლის შედეგად ერეკლე პირველმა „დაიპყრა სრულიად ქართლი“. ამავე დროს ერეკლეს, როგორც თეიმურაზ I-ის შვილიშვილსა და კახეთის ტახტის კანონიერ პრეტენდენტს, კახეთზედაც დიდი გავლენა ჰქონდა: „მარადის იყვნენ წინაშე ერეკლესსა (კახნი) და თუშნი, ქისიყი“; ერწო-თიანეთი კი მთლად მას ემორჩილებოდა.

ვახუშტის ისტორიის მიხედვით ერეკლე I მეტად სუსტი მმართველი გამოდგა (საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 103). მის მეფობაში თბი-

ლისის, გორისა და სურამის ციხეების მცველი თათრები ნიადაგ იტაცებდენ და ტყვედ ყიდდნენ ქართველებს. ქართველებიც თანდათან ეჩვეოდნენ ტყვეთა ყიდვას. ვახუშტი აღნიშნავს ქართლში ეროვნული ყოფა-ცხოვრების მოშლას და ყიზილბაშთა ზნისა და წესის დამკვიდრებას ერეკლე I მეფობაში: „იცვლებოდაცა ქცევა-ზნენი ქართლისანი და იქცეოდენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოველითა უწესოებითაო“ (გვ. 103).

ასეთი მდგომარეობა იყო ქართლში 1700 —1701 წლისათვის.

გიორგი მეფის შაჰის კარზე მისვლის დროიდან (1696) აღმოსავლეთ საქართველოს რთული პოლიტიკური ცხოვრება კიდევ უფრო მძიმდება ახალი ფაქტორების მოქმედებით. შაჰ-აბაზ პირველის მუღლობელობაში დროებით მოღონიერებული ირანის ძველი სახელმწიფო ამ მძლავრი, ულმობელი, მაგრამ შორსმჭვრეტელი მმართველის შემდეგ შეუჩერებლად ეცემა ეკონომიურად და პოლიტიკურადაც. დაცემის ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება XVII საუკუნის მიწურულში, როდესაც სპარსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებს ფართოდ ედება განუწყვეტელ აჯანყებათა ალი.

ჩვენ ვიცით, რომ შაჰისადმი ლოიალურად განწყობილი ან მასთან უნაყოფო ბრძოლით სასოწარკვეთილი ქართველები, სამეფო გვარეულობისა და არისტოკრატიის წარმომადგენელნი, დიდ წარჩინებას აღწევდნენ ირანის სამსახურში და კულტურულ ასპარეზზედაც (ირანში) ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ (საქართველოს ისტორია).

ირანში პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწე ქართველთა დიდ წრეს გიორგი მეთერთმეტის სახით მნიშვნელოვანი ძალა შეემატა. შაჰის კარზე მისულ გიორგის, რომელსაც ქართლის ტახტის ძიებამ მოსისხლე მტრის წინაშე ქედი მოადრეკინა, ქირმანის ბეგლარბეგობა შესთავაზეს. ქართლის ყოფილი მეფისათვის ეს წინადადება სრულიად არ იყო საპატიო და მიმზიდველი. მაგრამ მომავალში შაჰი გიორგის ქართლის ტახტის დაბრუნებას ჰპირდებოდა და გიორგი მეფემ, მასთან მყოფი ქართველების დაჟინებითი თხოვნით, შაჰის წინადადებაზე თანხმობა განაცხადა; ის თავის ძმასთან, ლევანთან (ვახტანგის მამა) ერთად ქირმანის საქმეების მოგვარებას შეუდგა.

ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე სიკვდილამდე (1699—1709), სპარსეთის ბატონობის გაბედული მოწინააღმდეგე გიორგი მეთერთმეტე, ფეოდალური საქართველოს დამოუკიდებლობის დროშის ეს ძლიერი მებაირახტრე, უსასტიკესი ზომებით იწყებს სპარსეთის ტახტის წინააღმდეგ აჯანყებული ხალხების—„ბულუჭ-აზართა და აღღანთა“ რაზმების დევნასა და განადგურებას. ამ არასაპატიო ბრძოლაში გიორგისთან ერთად სხვა ქართველებიც მონაწილეობენ: ვახტანგის მამა—ლევან ბატონიშვილი, ვახტანგის ძმა ქაიხოსრო, გიორგისა და ლევანის ძმები ლუარსაბი და ალექსანდრე და სხვა მრავალი, საგანგებოდ შერჩეული ქართველი მხედრების ასეულები და ათასეულები.

აჯანყებულ პროვინციებთან ბრძოლაში გამოფიტულ სპარსეთის ხელისუფალთა ძალებს გიორგი მეფის შემორიგება უდიდეს შეღავათს ანიჭებს. ამ შემორიგების წყალობით შაჰმა თავისი საშიში მტრები ერთმანეთს მიუსია. ამ დროიდან შორეული ურჩი საქართველოს თავისუფლების მოყვარული, ენერგი-

ული შვილები ათეული წლების განმავლობაში თავიანთი მოსისხლე მტრის მტრებს აკლავენ თავს; სპარსელები კი აჯანყებულთა შემოტევას თავისუფლების მოყვარულ ქართველთა სისხლით იგერიებენ.

ამ არამკვიდრი, მეტად სახიფათო პოლიტიკის შედეგად გიორგი მეთერთმეტემ და ლევან ბატონიშვილმა ჯერ კიდევ 1700 წელს გამოითხოვეს და მიიღეს შაჰისაგან იმერეთში თავშეფარებული, დევნილი ვახტანგისათვის ქართლს ჩასვლისა და საუფლისწულო მამულების დამკვიდრების დასტური. შაჰის ბრძანება ერეკლე I-მა წამსვე შეასრულა და ვახტანგს ეედემოზ კათალიკოსი და სპასპეტი ლუარსაბ მიუგზავნა.

ქართლში მიწვევის ამბავმა იმ დროს მიუსწრო სპარსეთისადმი სიძულვილის ატმოსფეროში აღზრდილსა და საქრისტიანო რუსეთში თავშეფარებული არჩილისადმი მხურვალე სიმპატიით გამსჭვალულ ვახტანგს, როცა იგი თავის საყვარელ ბიძას (არჩილს) დაუკავშირდა და რუსეთს წასვლას ეპირებოდა. ისიც იყო არჩილთან გაგზავნილი მოციქულები—ზალია შანშიაშვილი და მამუკა შათირი რუსეთში შესვლის ნებართვით დაბრუნდნენ, რომ ვახტანგს ქართლიდან ერეკლე I-ის მოწოდება მოუვიდა. ვახტანგი ყოყმანობდა. მან საგანგებოდ მოითათბირა იმერეთის წარჩინებულებთან, თუ სად წასულიყო—რუსეთსა თუ ქართლს? იმერელმა დიდებულებმა ქართლს წასვლა ურჩიეს. მაშინ ბავშვობიდან მწირობაში მყოფი და აწ დაოჯახებული (26 წლის) ვახტანგ ბატონიშვილი წამოვიდა თბილისისაკენ, რომლის დასახსნელად ამ რამდენიმე წლის წინ მან სასიკვდილოდ გასწირა თავი.

თბილისში ვახტანგი 1701 წ. მოვიდა. ერეკლე I-მა დიდი პატივით მიიღო იგი და მისი ხვედრი საუფლისწულო მამულები ჩააბარა.

ორიოდე წლის შემდეგ ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა კვლავ შეიცვალა. ეს ცვლილება სპარსეთის პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარე ამბების პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა. განაპირა პროვინციების განდგომამ და აჯანყებებმა მეტად მრისხანე სახე მიიღო. მართალია, გიორგი მეთერთმეტემ სასტიკი ზომებით „დაამშვიდნა ყოველნი ურჩნი... და... მპყრობელნი ბულუჰისანი მოვიდნენ წინაშე მისსა მიშით შეძრწუნებულნი და თაყვანისმცემელნი“; მანვე მოსპო ხორასანის დასარბევად მოსულ აფღანთა და ბულუჭთა რაზმები. მაგრამ ამბოხებათა ახალი ტალღები ახლა ყანდაარის გარეშოს მოაწყდნენ. ყანდაარს ეროვნებით ქართველი ხანი—ორბელიანი განაგებდა. მან აჯანყების დასაცხრომად თავისი ძმისწული (გიორგი მეფის ყოფილი სპასპეტი) თამაზ ორბელიანი გაგზავნა. ამბოხებულთა მეთაურმა მოჰკლა თამაზ ორბელიანი და გაწყვიტა მისი ჯარი. აჯანყება ახლა სპარსეთის სასიცოცხლო ცენტრებს ემუქრებოდა.

ასეთ კრიტიკულ მომენტში შაჰმა გიორგი მეფეს ლევან ბატონიშვილი მიუგზავნა და ქართლის მეფობა და ერანის სპასალარობა შესთავაზა. ამ ორთაგან პირველი—ქართლის მეფობა—გიორგისათვის დიდიხნიდან სანატრელი, მაგრამ იმ ვითარებაში აშკარად არარეალური (ნომინალური) და ყანდაარის გართულებული საქმეების მოგვარების საზღაურად შეძლეული იყო. პოლიტიკური მორიგების ეს პირობები გიორგიმ მეტისმეტად სამძიმოდ მიიჩნია და უარის თქმა განიზრახა. მაგრამ უარი შაჰთან მშვიდობიანი ურთიერთობის

გაწყვეტას და საქართველოს საქმეების ხელახალ არევას უდრიდა. ამიტომ, ირანს მყოფი ქართველების რჩევით, გიორგი XI-მ ისევ შეთანხმების გზა არჩია: მან შაჰისაგან მოითხოვა, რათა შართლის გამგებლობა (ჯანიშნობა) დაუყოვნებლივ ვახტანგისათვის მიეცა და ლევან ბატონიშვილი (ვახტანგის მამა) მიეკლინა ქართლის არეული საქმეების მოსაგვარებლად; ამასთან ერთად (რაც შაჰისათვის მთავარი იყო), ლევანს ქართლში ირანის მეამბოხეებთან საბრძოლველად მეშველი ჯარები უნდა შეეკრიბა. გიორგი მეფის პირობები შაჰმა დაუყოვნებლივ მიიღო: ერეკლე I გადააყენა (კახეთის მეფედ დანიშვნით და ირანის კარზე გაწვევით), ხოლო ქართლის ფაქტიურ გამგებლად დანიშნა ვახტანგი (1703).

ასეთი რთული და სახიფათო კომბინაციით იყო ნაყიდი ის პოლიტიკური წონასწორობა, რომელმაც დასაწყისი მისცა ვახტანგის ბრწყინვალე ეპოქას 1703-დან 1712 წლამდე. შინაური მშვიდობისა და გარეშე საფრთხისაგან დროებითი მოსვენების ეს ცხრა წელიწადი, ამავე დროს, ვახტანგის სახელმწიფოებრივი და კულტურული საქმიანობის უნაყოფიერეს პერიოდად უნდა ჩაითვალოს.

2

ვახტანგის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა



ახტანგის მთელ სახელმწიფოებრივსა და კულტურულ საქმიანობაში ცხადად იგრძნობა გარკვეული გეგმიანობა. ქართლის ახალი გამგებელი თავისი მოღვაწეობის ყოველ დარგში წინასწარ დასახულ პროგრამას მისდევს; იგი თანდათან უფრო და უფრო ფართოდ ატარებს ფხიზლად მოფიქრებულ ღონისძიებათა მთელ წყებას. კერძოდ, ვახტანგის პოლიტიკურ გეზში, ირანის მორჩილების საფარ ქვეშ, ქართული ფეოდალურ-მონარქიული სახელმწიფოს აღდგენის ტენდენცია გამოსჭვივის.

ვახუშტის თქმით, ჯერ კიდევ ვახტანგის პაპა (ვახტანგ V)—შაჰნავაზი (1658—1675) „მცდელობდა, რათა როსტომის განრყუნილნი მოეგო კვალად კვალსავე თვისსა“ (ვახუშტი, 82).

ვახტანგ VI-ის ზომები ირანული პოლიტიკის შედეგების აღმოფხვრისათვის კიდევ მეტი სიმკვეთრითა და პირდაპირობით იყო აღბეჭდილი.

თხუთმეტი წლის „ორიანობის“ (ორ-მეფობა 1688—1703) განუწყვეტელი შფოთით მოშლილ ქვეყანას ყველაფერზე მეტად შინაგანი მოწყობა-გადახალისება ესაჭიროებოდა. სწორედ ამ მიზანდასახულობით შემოფარგლა თავისი მოღვაწეობის დასაწყისი ვახტანგმა.

მან ენერგიული ზომები მიიღო „მეშფოთეთა“ ასალაგმავად და მშვიდობიანი მოქალაქეობრივი ცხოვრების პირობების შესაქმნელად.

ვახტანგმა შექმნა „მცველთა ჯარი“; ვახუშტის თქმით „განაწყვნა სპანი როქით (ქირით, ჯამაგირით) მცველად თვისად“. ეს ჯარი ვახტანგის „ერთგული თავადიშვილებისა, აზნაურიშვილებისა და მსახურებისაგან შედგებოდა“. იგი „სამ გუნდად იყოფოდა. თითო გუნდს ასისთავი სარდლობდა“. „მცველთა ჯარს მხოლოდ საშინაო დანიშნულება ჰქონდა“. იგი „განუყრელად ახლდა ვახტანგს“. ხსენებული ღონისძიებით ვახტანგმა თავისი პოლიტიკის მტკიცედ გატარების შესაძლებლობა უზრუნველჰყო“ (საქართველოს ისტორია, 1).

ვახტანგმა ქართლის ფარგლებში მოშალა ტყვის ყიდვა. ქართული ფეოდალიზმის გახრწნის პერიოდში წარმოშობილი და ირანულ-თურქული გარემოცვის წყალობით ფესვგადგმული ტყვის ყიდვა დიდიხანია ძირს უთხრიდა მოქალაქეობრივ ცხოვრებას. განსაკუთრებით მრისხანე სახე მიიღო მან ერეკლე I-ის მმართველობაში. ვახტანგმა, კათალიკოს დომენტისთან (ვახტანგის ძმა)

შეთანხმებით, სასტიკად აკრძალა ტყვის ყიდვა-გაყიდვა, რაც ყიზილბაში მეციხოვნეების შემოსავლის მთავარ წყაროდ იყო ქცეული.

ვახუშტი აღნიშნავს ტყვის ყიდვის განსაკუთრებულ გამხრწნელ გავლენას საქართველოს მოქალაქეობრივ ცხოვრებაზე.

ვახუშტის აზრით ეს სენი ერეკლე I-ის დროინდელი მოქალაქეობრივი ცხოვრების ყველაზე სახიფათო და დიდ ბოროტებას წარმოადგენდა.

„ამავ ჟამთა (ერეკლე I-ის მეფობაში) იპარვიდიან სილაღითა მცველნი ციხის თათარნი ტფილისისა, გორისა და სურამისა ტყვეთა და ჰყიდდიან. და შეერიათ ქართველთაცა ყიდვა ტყვეთა და იცვალებოდაცა ქცევა-ზნენი ქართლისანი და იქცეოდენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოვლითა უწესოებითა“ (ვახუშტი, 103).

ვახუშტის საკმარისი სიღრმით ესმოდა ეროვნული და სოციალური დაშლის პროცესი, რომელიც მისი თანამედროვე საქართველოს სინამდვილეში შეიმჩნეოდა. აქ, ფეოდალური საზოგადოებრიობის წიაღში, მრავალი საუკუნის მანძილზე ერთმანეთთან განუშორებლად შერწყმული იყო რელიგიური, ყოფა-ცხოვრებითი და ქართული (ეროვნული) ხასიათის მოვლენები, რომლებსაც ძირს უთხრიდა ქართველებშიაც მოარული სენივით მოდებული ტყვის ყიდვა.

ვახტანგმა ბრძოლა გამოუცხადა ამ საშიშ მოვლენას. მან ალაგმა თავგასული მეციხოვნენი, შეზღუდა მათი უფლებები და მით ტყვის მყიდველთა მთავარი საბუდარი მოშალა. მაგრამ, ვინაიდან მეციხოვნე ყიზილბაშები ირანის ხელისუფლების მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ, ვახტანგის ზომები პირდაპირ უმიზნებდა ირანის პოლიტიკურ გავლენასაც საქართველოში.

ამავე დროს ვახტანგმა გასაქანი მისცა ქართულ ეროვნულ ძალებს: „დაამდაბლნა თათარნი და უმეტეს ტფილისს ციხის მცველნი. აღამაღლნა ქართველნი“-ო, ამბობს ვახუშტი[1].

ყიზილბაში მეციხოვნენი, ცხადია, ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ ვახტანგის ხსენებულ ზომას. თავიანთი ძველი მდგომარეობის აღდგენისათვის ისინი მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდენ. ეს ნათლად გამოჩნდა 1709 წელს, როცა გიორგი მეფის აჯანყებულ ავღანელებთან ბრძოლაში დაღუპვამ და ირანში მყოფი ლევან ბატონიშვილის (ვახტანგის მამის) გარდაცვალებამ ვახტანგის შინაურ პოლიტიკას თითქოს მტკიცე დასაყრდენი გამოაცალა. ამ ამბებით გამხნევებული „ტფილისის თათარნი განდგნენ და დახშნეს კარნი ციხისა და იწყეს სროლა თოფ-ზარბაზანთა“ (ვახუშტი, 113).

მაგრამ მეციხოვნეთა ამბოხება ნაადრევი გამოდგა. ისპაანის შერყეულ ტახტს ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა ქართველი მხედრობის დახმარება, ჯერ კიდევ არ იყო დაშრეტილი ქართლის სამხედრო ძალები, რომელთაც შაჰი თავის მტრებთან ბრძოლაში იყენებდა. ამიტომ, როდესაც შაჰს ვახტანგისაგან მეციხოვნეთა ამბოხების ცნობა მიუვიდა, მან წამსვე წარმოგზავნა „მტარვალნი“, რომლებმაც „ხელხუნდრუსანი“ მეამბოხე ყიზილბაშები ვახტანგსავე მისცეს ხელში; ხოლო შემდგომ, ალბათ ვახტანგისავე ბრძანებით, ისინი „წარიყვანეს ისპაჰანს და პატიმარ-ჰყვეს“ (ვახუშტი)[2].

[1] საქართველოს ცხოვრება, II, თბ., 1913, გვ. 109.

[2] რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგის პიროვნებას ტყვეთა ყიდვის მოშლის საქმეში და რამდენად ძნელი იყო ამ საშინელი სოციალური სენის აღმოფხვრა, ეს იქიდანაც ჩანს,

სამართლის წიგნის შედგენა

ვახტანგის უდიდესი ღვაწლი ქართლის (და მთლად საქართველოს) სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგების საქმეში, რის წყალობითაც მან ისტორიაში „რჯულ-მდებელის“ სახელი დაიმკვიდრა, სამართლის წიგნის დაწერა არის.

როგორც აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „მე-XVI—XVII-ე საუკუნის საქართველო ისეთ პოლიტიკურ მდგომარეობაში იყო, რომ სასამართლოს სწორე მოქმედება არ შეეძლო, მართლ-მსაჯულება შელახული ყოფილა: „ცვლილებითა დღეთა და ვითარებითა ჟამთათა თეით-სიბრძნით და თავით თვისით სჯიდნენ და განაგებდნენო“—ამბობს ვახტანგი: „ვიეთნიმე—მიღებითა ქრთამთათა, ვითარცა ენებათ, ეგრე ჰსჯიდნენო“. „დაცემული მართლმსაჯულების აღდგენისათვის ვახტანგ მეექვსემ თავდაპირველად შეკრიბა ქართული ძველი სასამართლოს წიგნები“, „ზედ დაურთო დაბადებისა, მოსეს მიერ ქმნილნი სამართალნი და კუალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდმოთარგმნული“. ამ შრომის შემდეგ მან დიდებულთა, სამღვდელოებისა და მოხელეების დასტურით და „დარბაზის ერთა, ჰკუათამყოფელთა და მოხუცებულთა კაცთა „თანამშრომელობით ახალი სამართლის წიგნი შეადგინა“[1].

„მართალი სამართლის“ დაწესება ვახტანგს უპირველეს და უსაჭიროეს საქმედ მიაჩნდა: „ეს იცოდეთ დამარხვით და გუნებაში გქონდეთ, რომ ღმერთი ყოვლის დამბადებელი თქვენგან სამართლის უფროს[ს] არას ითხოვსო“, არიგებს ვახტანგი მეფეებს, მსაჯულებს და, საერთოდ, „სამართალში მჯდომარეს“ ყოველ კაცს („სამართლის წიგნი“, 16 r, საქ. მუზ. ხელნაწ., № 1081, H ფონდიდან).

როგორც მისი საკუთარი წინასიტყვაობა მოწმობს, ვახტანგმა იცოდა აგრეთვე, რომ უცხო ხალხის სამართლის ნორმები, რაგინდ დიდ სიმაღლეზე მდგარიყვნენ ისინი, საქართველოს ყოფა-ცხოვრების შესაფერისი ვერ იქნებოდენ, „ვინათგან ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰგავს სხვათა ქვეყნისა რიგთა და ქცეულებათა... მათი წიგნი...ჩვენდა უხმარ არს“, ამბობს ვახტანგი[2]. ამის გამო, ვახტანგი კანონმდებლობას საქართველოს სინამდვილეს უფარდებს.

ივ. ჯავახიშვილი მიგვითითებს ვახტანგის საკოდიფიკაციო მოღვაწეობის დიდ მნიშვნელობას მთელი საქართველოსათვის: „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი თუმცა მხოლოდ ქართლის სამეფოსთვის იყო შედგენილი, მაგრამ მთელ საქართველოში იყო მიღებული. იგი ქართული საკანონმდებლო შემოქმედების მნიშვნელოვანი ძეგლია“[3].

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ვახტანგის სამართლის წიგნს არაჩვეულებრივი სასიცოცხლო ძალა აღმოაჩნდა—იგი ფართოდ გავრცელდა და მოკმე-

---

რომ ვახტანგის ირანს წასვლისთანავე (1712. აპრილის 22) ისევ „გამოჰჩენილა“ ზოგან ტყვის ყიდვა. იხ. Акты К. А. К., I, გვ. 55: რუსუდან დედოფლისა და ბაქარის პირობის წიგნი, დოკუმენტი კათალიკოსისადმი დაწერილი 1712 წლის აგვისტოს 2-ს.

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, ტფ., 1928. გვ. 117—118.

[2] იქვე, გვ. 118.

[3] იქვე, გვ. 122.

დებაში იყო მე-18 საუკუნის საქართველოს ყოველ კუთხეში; მაგრამ ეს ცოტაა. მისი მოქმედება გრძელდებოდა მე-19 საუკუნის 1 ნახევარშიც. მეფის რუსეთის მთავრობამ ეს კანონები საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც ნაწილობრივ ძალაში დატოვა.

გრაფი დ. ბლუდოვი (1785—1864), რუსული სამართლის თვალსაჩინო სპეციალისტი, რომელიც თავის დროზე საფუძვლიანად გასცნობია ვახტანგის კოდექსის რუსულ თარგმანს, ამბობს: „არ შეიძლება ამ კანონებში არ ვსცნოთ ერთგვარი ღირსშესანიშნავი წინდახედულება, განსაკუთრებული სიცხადე დებულებათა გადმოცემისა, რომელნიც (დებულებანი), როგორც ჩანს, საესებით შეესატყვისებოდნენ საზოგადოების მაშინდელ მოთხოვნილებებს". ბლუდოვი აღნიშნავს ადამიანისადმი პატივისცემას და ადამიანთა სისუსტისადმი ლმობიერებას, რომელიც ვახტანგის კანონებს ახასიათებს[1].

ა. ფრენკელი, ცნობილი რუსი იურისტი, ვახტანგის კანონების რუსული თარგმანის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, ამ კანონების საყურადღებო შეფასებას გვაძლევს. მისი აზრით, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში შედგენილი ქართული სამართლის წიგნი გაცილებით უფრო ჰუმანიურია, ვიდრე იმდროინდელ ევროპის სახელმწიფოთა სამართლის ნორმები.

ქართულ სამართალში, ფრენკელის თქმით, არ მოიპოვება სასჯელთა ის შემზარავი სახეები, რომლითაც სავსე იყო იმ დროის ევროპული კოდექსები. ამის მიხედვით ფრენკელი დაასკვნის, რომ ვახტანგის დროს საქართველოში ცივილიზაცია საკმარის სიმაღლეზე მდგარა (III გვ.). ფრენკელი აღნიშნავს ვახტანგის სამართლის არაჩვეულებრივ სასიცოცხლო ძალას (жизненность). ახლაცო (1887 წ.), ამბობს ის, „ვახტანგის კანონთა საფუძველზე მრავალი იურიდიული საკითხი წარმატებით გადაიჭრება". „რაკი ჩვენმა მთავრობამ, განაგრძობს ფრენკელი, გადასწყვიტა შეეტანა ვახტანგის კანონების ზოგიერთი სტატია რუსეთის იმპერიაში მოქმედ კანონთა კრებულში (Свод), ვახტანგის კანონების ამ მუხლების ცხოველმყოფელობა (жизненность) ყოველგვარ ეჭვს გარეშე უნდა დავაყენოთ" (III, IV).

ფრენკელს ვახტანგის კანონებში ყველაზე საგულისხმიეროდ წყალთა სეზაკუთრეობისათვის განკუთვნილი მუხლები მიაჩნია. „ვახტანგის კანონების ეს ნაწილიო, ამბობს ფრენკელი, უყურადღების ღირსია იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს კავკასიისათვის საირიგაციო ნაგებობებს და, საერთოდ, წყლის მესაკუთრეობას". ფრენკელის დასკვნით „ჩვენს დროშიაც (1887 წ.) წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვახტანგის კანონების ხსენებული მუხლები"[2].

---

[1] ვახტანგის კანონების რუსული თარგმანი ორჯერ გამოიცა. პირველად 1828 წელს— მირიან ბატონიშვილისა და რუსი გენერლების: რტიშჩევის, ველიამინოვისა და ერმოლოვის თარგმანთა მიხედვით. მეორედ (იგივე თარგმანი) 1887 წელს, ა. ფრენკელის მიერ, დიმიტრი ბაქრაძის რედაქტორობით.

[2] Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, изд. А. С. Френкеля, под редакц. Д. З. Бакрадзе, Тифлис, 1887, ფრენკელის წინასიტყვაობა, გვ. X.

ვახტანგის კანონმდებლობით მოღვაწეობას ეკუთვნის აგრეთვე „დასტურლამალის“ დაწერა. დასტურლამალი—მოქმედების დასტურს, განრიგებას ნიშნავს. როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, „ვახტანგმა თავისი დასტურლამალის შექმნით მართლმსაჯულება და მართვა-გამგეობა კვლავ ერთი ერთმანეთისაგან განსაზღვრა და სახელმწიფო სამართალსაც ისევ მტკიცე საფუძველი დაუდვა: ამიერითგან სახელმწიფო მართვა-გამგეობის გარკვეული წესრიგი იყო დამყარებული და მისი რყევა და დარღვევა ისე ადვილი აღარ იქნებოდა“ (ქართული სამართლის ისტორია, 1, ტფ., 1928, გვ. 79).

ცნობილია, რომ ვახტანგი სამართლის ნორმების მარტოოდენ თეორეტიკოსი არ ყოფილა; იგი, როგორც ქართლის გამგებელი და, შემდეგში, მეფე, პირადად მონაწილეობდა სამართლის პრაქტიკულ წარმოებაში. სეხნია ჩხეიძის მოწმობით, ვახტანგმა „განაგო საქმე საქართველოსი; განაჩინა წიგნი სამართლისა...ოთხშაბათსა და პარასკევსა დაჯდის სამდივნოსა სახლსა. განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა“. (ს. ჩხეიძე, 323).

რამდენად გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა საქართველოში სამართლის ნორმების შეკრება-ჩამოყალიბება, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი თითქმის მისი გაჩენის დღიდანვე შედის სამართლის პრაქტიკაში არა მარტო ქართლის სამეფოს საზღვრებში, არამედ კახეთშიაც. მას 1710 წელს (ქორონიკონს ტჟ') იმოწმებს კახთა მეფე დავით-იმამყულიხან. ხსენებული მეფის კაწრეთის ტაძრისათვის გაცემულ შეწირულობის წიგნში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ვინც (კაწრეთის ტაძარს) მთას ეცილების, მისი სამართალი გვიბრძანებია; როგორც გარიგდეს, ისიც ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ი თ გ ა დ ა წ ყ დ ე ბ ი ს“[1].

ეჭვს გარეშეა, რომ აქ მოხსენებული სამართლის წიგნი არის ვახტანგის ნამოღვაწარი სამართალი, რომლის შედგენა XVIII საუკუნის პირველ ათეულ წელში დამთავრებული იყო[2].

ღონისძიებანი ქართლის ეკონომიური აღორძინებისათვის

ტყვეთა ყიდვის მოშლითა და სამართლის წარმოების მოწესრიგებით ვახტანგმა მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა მშვიდობიან მოქალაქეობრივ ცხოვრებას და მით ქვეყნის ეკონომიურ წარმატებასაც გზა გაუხსნა.

საგანგებო ზომები მიიღო აგრეთვე ვახტანგმა ქართლის სასოფლო მეურნეობის აყვავებისათვის. მან აღადგინა ძველი სარწყავი არხები და გაიყვანა ახლები. „ქართლის აღწერაში“ ვახუშტი მრავალ ადგილას აღნიშნავს ვახტანგის დიდ საირიგაციო მშენებლობას:

„ქციის სამხრით ველი იყო უწყლო. გაიღო **უდ** მეფემან ვახტანგ ძველი რუ და აწ ირწყვის მით და ნაყოფიერებს ფრიად“ (37_{33-34}).

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 32.

[2] თ. ე ნ უ ქ ი ძ ე, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის უძველესი ნუსხა, გვ. 18. იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თბ., 1955.

„ხუნანის ველსა შინა არა იყო ნაყოფი უწყლობითა. ჟდ მეფემან ვახტანგ გაიტანა რუ ქციისა ნახიდურის ბოლოდამ და აღაშენა დაბნები და ნაყოფიერებს ფრიად“ (45_{38-39}, 46_{1-2}).

ყარაიის ველზე „ნაგებიდამ გაიღო ჟდ მეფემან ვახტანგ რუ მტკვრისაგან და მიერ ჟამითგან ნაყოფიერებს ჭალებს ქვეითი მინდორნი“ (51_{6-8}).

გორის-ჯვრის აღწერაში: „არა იყო მუნ წყალი. ჟდ დედოფალმან რუსუდან (ვახტანგის მეუღლემ) მოიტანა ბურეთის მთიდამ“ (57—58).

სურამის წყლის აღწერაში: „შოლის პირიდამ გაიტანა ჟდ მეფემან ვახტანგ რუ, რამეთუ იყო მინდორი ესე უწყლო და ჰყო წისქვილნი და სმენ პირუტყუნი“ (81_{27-28}).

რწყვის სისტემის ქსელის გაფართოებასთან ერთად ვახტანგი უშენი და გაუდაბურებული ადგილების აგებასა და დასახლებას ეწეოდა. მაგ., „ზურტაკეტს, არყნალ-შამბიანის ხევს შუა არს წყარო შვენიერი, ამბობს იგივე ვახუშტი, რომელი მარმარილოთი აღაშენა ჟდ მეფემან ვახტანგ“ (40_{35-36}).

თორის ანუ გუჯარეთის აღწერაში ვკითხულობთ: „ადგილნი ესენი იყო უშენი, მცირეთაგან კიდე. აღაშენა ჟდ მეფემან ვახტანგ“ (60_{2-3}).

ვახტანგმა გაჰკაფა და დააშენა სურამის ჭალა: „აქა არს ჭალა სურამისა მტკვრის კიდესა, დაღალულიდამ შოლამდე. არამედ გაჰკაფა ჟდ მეფემან ვახტანგ და ქმნა დაბნები“ (81_{12-14}).

ასეთი მზრუნველობის შედეგად ქართლი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა ეკონომიური აღორძინების გზით. „საქართველოს ისტორიის“ ფურცლებზე ვკითხულობთ:

„ქართლი ვახტანგის დროს კიდევ უფრო დაწინაურდა. თვით ვახტანგი ამ მხრით ენერგიულად მუშაობდა. მან ხელახლა დაასახლა გლეხები დიდი ხნის წინ დაცლილ სოფლებსა და მთელ მხარეებში, ააგო სასახლეები, ქარვასლები. ვახტანგი ზრუნავდა გზებისა და ხიდების მოვლა-შენახვაზე, სახელმწიფო შემოსავლის მოწესრიგებაზე, ფულის მოჭრის საქმის გაუმჯობესებაზე“.

„გამოვლილ ჟამთასიავეში შეფერხებული სამეურნეო ცხოვრება კვლავ თავის კალაპოტს უბრუნდებოდა. მეჯოგეობა კვლავ ადგილს უთმობდა უფრო მაღალსა და შემოსავლიან მეურნეობას. ველსა და ტყეს—ბაღ-ვენახი, ხოლო მომთაბარე ურდოს კვლავ სოფელი და ქალაქი სცვლიდა“[1].

ხვნა-თესვისა და მებაღეობა-მევენახეობის ინტენსიურ განვითარებასთან ერთად ვახტანგის დროს საკმარისად მაღალ დონეზე მდგარა შინამრეწველობაც.

ვახუშტი „ქართლის აღწერის“ პირველი გვერდებიდანვე იწყებს შინამრეწველობის ფართოდ განვითარების აღნიშვნას:

„ქურდ-ვაჭრის ხევში ითხრების გვარჯილათა სიმრავლე, არა მიწიდამ, არამედ კლდის ნოტიობიდამ“ (35_{9-11}).

„სარკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა“; ტაშირის აღწერაში—„სელისაგან ხდიან ზეთსა მრავალსა...და ჰყიდიან (38_{7-8}).

[1] საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1948, გვ. 362.

ზეთს ხდიან აგრეთვე აბოცსა (38_{35}) და თრიალეთში (42_{39-40}).

ტაშირში „ითხრების ლითონი სპილენძისა მრავალი, კვალად ითხრების მიწიდამ ქვა წითელი და ფრიად მაგარი, ელვარე და წმინდა“ (38_{12-13}).

აბოც-ყაიყულში „ითხრების თეთრი ქვა, მსგავსი მარმარილოსა“ (38_{23}).

„დმანისს ქვეით...ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძის და ლაჟვარდისა“ (39_{34-35}).

კოჯრის ახლოს, დაბა ეკლესიაში და „იალღუჯის მთას შინაცა... ითხრების მიწა და ხდიან გვარჯილასა“ (48_{7-9}).

საბარათიანოს სხვა ადგილებშიაც „იპოების მსგავსი იამანის ქვისა, დიდი და მცირე, მრავალფერი“ (48_{21-24}). აქვე იზრდება ბალახი კალია, რომლის ძირიდანაც საუკეთესო საპონს აკეთებენ; ამ ბალახს სხვა საჭიროებისათვისაც ხმარობენ (48_{23-24}).

იალღუჯის მთაზე „აკეთებენ აბრეშუმსა“ (48_{15-16}).

ბამბისა და აბრეშუმის მოყვანით განთქმული ყოფილა აგრეთვე წყალთაშუა, ანუ ბაიდარი (45_{23-24}).

„ნათლუხის“ აღწერაში ვკითხულობთ: „მუნ დის ნაეთი კიდესა მტკვრისა“ და წყლის სიახლოვის გამო მხოლოდ მცირე რაოდენობას იღებენო (54_{21-23}).

დიდი და პატარა ლიახვის აღწერაში ვკითხულობთ: „ტბეთ ზეით არს ნაციხარი: ამას ზეით ითხრების ქვა შაიდუდეთს“ (78_{12-13}).

მთელი ეს შინამრეწველური საქმიანობა ბუნებრივად უკავშირდება საერთო აღმშენებლობით მუშაობას, ვაჭრობის განვითარებას, ქალაქური ცხოვრების აყვავებას.

ვახტანგის დროინდელი თბილისის მიდამოები დამშვენებული ყოფილა წალკოტთა და სავარდეთა სიმრავლით, სავსე ყოფილა ყოველგვარი ხეხილითა და ყვავილებით (ვახუშტი).

ამავე დროს თბილისი ქართლის ვაჭრობა-ხელოსნობისა და, შეიძლება ითქვას, მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ვაჭრობის დიდ ცენტრს წარმოადგენდა. „საქართველოს ისტორიის“ I ტომში ვახტანგის დროინდელი თბილისის სამეურნეო ცხოვრების შემდეგ დახასიათებას ვკითხულობთ:

„ქართლის სამეურნეო ცხოვრების გაცხოველების შესაბამისად თბილისი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი გახდა. ამ დროს ქალაქში ოცი ათასზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა. ვაჭარ-ხელოსნები მრავალ „რიგად“ იყოფოდნენ. თითოეული „რიგი“ ერთ რაიმე საქმიანობას ეწეოდა. აქ აკეთებდნენ სამხედრო იარაღს, თოფის წამალს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, მუსიკალურ საკრავებს, ჭურჭელს; ამზადებდნენ ბამბის ქსოვილებს, სამოსელს, ცხენ-აქლემის მოკაზმულობას; ვაჭრობდნენ პურს, ბამბას, აბრეშუმს, ბეწვეულს, ფარჩა-მაუდს, ღვინოს, მატყლს, ყოველგვარ წვრილმანსა და სანოვაგეს. კახური და ქართლური ღვინო თბილისიდან უცხოეთში ბლომად გაჰქონდათ. ირანსა და ოსმალეთს მიდიოდა თბილისიდან აგრეთვე ბეწვეული. ქართლ-კახეთიდან ოსმალეთისაკენ გაჰქონდათ აბრეშუმი და ენდრო დიდი რაოდენობით. ენდრო ქართლიდან ამ დროს ინდოეთშიც მიჰქონდათ.

„შემოჰქონდათ თბილისში უმთავრესად მზა საქონელი ირანიდან, ოსმალეთიდან. ამ ქვეყნებზე გამოვლით შემოდიოდა ევროპული საქონელიც, რო-

მელსაც მაშინ ფრანგული ეწოდებოდა. თბილისში აქ დროს გარედან სანოვაგეც შეჰქონდათ: თევზი და ხიზილალა შარვანის სახანოდან, თევზი და მარილი ერევნის სახანოდან, ზეითუნის ზეთი ოსმალეთიდან და სხვა.

„ერთი სიტყვით, როგორც მოსახლეობის რაოდენობის მხრით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის მხრით ქართლი მე-18 საუკუნის პირველ ოცეულში საქართველოს ყველა სხვა ნაწილს წინ უსწრებდა“ (საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1948, გვ. 363).

სახელმწიფო შემოსავალი XVIII საუკუნის დასაწყისში

სასოფლო მეურნეობისა და შინამრეწველობის აყვავებისათვის მიღებული ენერგიული ღონისძიებანი ქვეყნის მატერიალური რესურსების გაფართოებასა და სახელმწიფო შემოსავლის ზრდას ისახავდა მიზნად. ამიტომ ბუნებრივია, რომ ვახტანგის ეკონომიურ პოლიტიკაში გადასახადის წესიერი აკრეფის უზრუნველყოფასაც დიდი ყურადღება ექცეოდა. საამისოდ ვახტანგმა ქართლის მოსახლეობის აღწერა ჩაატარა.

იმდროინდელი ქართლის—ამ ინტენსიური სასოფლო მეურნეობის ქვეყნის, სახელმწიფო შემოსავალი მეფის სალაროში ძირითადად საგლეხო გადასახადების სახით შედიოდა. მოსახლეობის აღწერის დავთრები ეჭვს არ სტოვებს, რომ ვახტანგს საგანგებო ზომები მიუღია საგლეხო გადასახადების აკრეფის მოსაწესრიგებლად. ივ. ჯავახიშვილი ვახტანგის მიერ მოსახლეობის აღწერისათვის მიღებულ ღონისძიებაში სრულიად სამართლიანად ხედავს მეფის ხელისუფლების ფისკალურ (საშემოსავლო, ფინანსიურ) მიზნებს[1].

ამის სრულ სამართლიანობას მოწმობს ნიკოლოზ ორბელიანის ხელით დაწერილი „მროველის სამწყსოს დავთარი“. აქ ქართლის სოფლების მოსახლეობის 1839 კომლი არის აღწერილი (სულობრივად 10.000-ზე მეტი)[2].

ვახტანგ მეფის ახლო ნათესავი და თანამოღვაწე რუისის ეპისკოპოსი ნ. ორბელიანი (საბას ძმა) აღნიშნავს, რომ ჴან თავისი სამწყსო „დრამისთვის ასწერა“: „თარხანი ვინ არის და...რა სამსახური აძეს — და მობეგრე ვინ არის და რა ბეგარა აძეს“—ერთი სიტყვით ნ. ორბელიანმა რუისის საყდრის სასარგებლოდ დაწესებული გადასახადის წესიერად და უკლებლად აკრეფის უზრუნველსაყოფად გასწია ეს შრომა. ორბელიანი-მროველი ამ საბუთის „შესავალში“ (ანდერძი) იხვეწება: „ამ სამწყსოს დავთარს მეფის მოსაქმეს ნურავის აჰვენებთ. კოდის პურსა და საურზე ქვეყანას გარჯიან და მე არ მიჯობს... საყდარს მოსავლის ანგარიში არ დაეკარგოსო“[3].

აქ ნათლად ჩანს როგორც ის, რომ ხალხის აღწერის სისტემის მოწესრიგება მართლაც გადასახადის ასაკრეფად ტარდებოდა, აგრეთვე ისიც, რომ ამ საქმეში (გადასახადის აკრეფაში) მეფის ხელისუფლებისა და დიდი ფეო-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, მეორე გამოცემა, ტფ., 1930, გვ. 10, § 2, სამროვლოს 1715 წ. დავთარი.

[2] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი, I, გვ. 207.

[3] იქვე, გვ. 128; აგრეთვე „ხელნაწერთა აღწერილობა“, 1948, III, № 1294, გვ. 244.

დალური ერთეულის—ეკლესიის ინტერესები მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს.

საყურადღებოა, რომ რუისის ეპისკოპოსმა დაასწრო მეფის ხელისუფლებას: მან 1715 წელს თავის სამწყსოში განახორციელა მოსახლეობის აღწერა, რომელიც ქართლის სამეფოს სადროშოებში 1721 წ. ჩატარდა[1].

მაგრამ ვახტანგის დროს მეფის სალარო მხოლოდ საგლეხო გადასახადის ამარა არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ქალაქური ცხოვრების განვითარება, რაც ზემოთ არის აღნიშნული, მოწმობს, რომ ვახტანგის საფინანსო რესურსებში თბილისის ვაჭრობა-ხელოსნობას საპატიო ადგილი უნდა სჭეროდა.

ჯერ კიდევ გიორგი მეთერთმეტის დროს ვამჩნევთ ქართლში დიდი ფულადი თანხების ტრიალს.

ცნობილია, რომ „ტფილის ქალაქს ტახტსა ზედა მჯდომმა გიორგიმ (XI-მ) 1685 წ. დაიხსნა“ „დატყვევებული“ იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერი[2]. ეს საქმე გიორგიმ დოსითეოს იერუსალიმის პატრიარქის მონაწილეობით გაარიგა. ხსენებული პატრიარქის სახელზე გაცემული საბუთი მოწმობს, რომ ქართველთა მონასტრის დიდი დავალიანება თბილისელი ვაჭრების მეშვეობით გადაუხდიათ: „რაც ვალი ჩვენს მონასტერს ემართა...მოგართვით სამოცი ათასი მარჩილი და გავგზავნეთ ჩვენი კაცები გილანს: აბრაშუმი უნდა იყიდონ და ცხრას თვეში უნდა იზმირს მივიდენ და როდესაც გაყიდონ აბრაშუმი, ფასი ბატონმა პატრიარქმა უნდა გამოართვას...ან ბურსას და ანდა სტამბოლს...უნდა პატრიარქმა ამით (ქართველთა) მონასტრები დაიხსნას-ო“—ვკითხულობთ ამ საბუთში[3].

აქ სრულიად ნათლად ჩანს, რომ ქართლის მეფის „კაცებს“ („გავგზავნეთ ჩვენი კაცები გილანს“) ტფილის-გილან-იზმირ-ბურსასა და სტამბოლს შუა გაბმული ჰქონიათ ვაჭრობის ქსელი. მსოფლიო ვაჭრობის ამ მნიშვნელოვან უბანთან დაკავშირებული თბილისელი ვაჭრები ამავე დროს, როგორც ირკვევა, ქართლის ხელისუფლებასთანაც მჭიდრო კონტაქტში იმყოფებიან.

საყურადღებოა, რომ ვახტანგის „სამართლის წიგნში“ შეტანილია „**ეე** კარი თეთრის გარიგებისა“. ვახტანგს საჭიროდ მიაჩნია განმარტოს, რომ „თეთრის (ფულის, ფულადი ერთეულების) გარიგებას“ კანონმდებლობის სისრულეში მოყვანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს:—თუ კაცმა არ იცის ფულის ფასი, „სხსნლის მიცემაში ვერას გაიგებს“. დამახასიათებელია, რომ ვახტანგი, უპირველეს ყოვლისა, იხსენიებს „პირველქამიერ თეთრს“, რომელსაც „გიორგაულს ეძახდენ“. ამის შემდეგ იგი თავისი დროის ფულის ერთეულების ნუსხასა და მათი წონისა და ფასის განმარტებას იძლევა („ჩვენის ჟამის თეთრი ეს არის და ასე იანგარიშების“).

---

[1] „მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში. 1. აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი მეფის ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გიეი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით“, თბ., 1907, გვ. VII.

[2] ნ. მ ა რ ი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობანი, თბ., 1955, გვ. 78.

[3] Акты Кавказской Археографич. Комиссии, I, стр. 26, 27, § 22.

ვახტანგს თავის ნუსხაში შეაქვს ყიზილბაშთა (სპარსთა) და ურუმთა (თურქთა) ფულადი ერთეულების მნიშვნელობის განმარტებაც, ქართული ფულის ერთეულებთან შეფარდებით. ბუნებრივია, რომ ირანულ-თურქული გარემოცვის რკალში მომწყვდეულ საქართველოში ქართული თეთრის გვერდით „ყიზილბაშური“ და „ურუმული“ ფულიც ტრიალებდა. მაგრამ, როგორც ვთქვით, ვახტანგის სამართლის წიგნის **ე** მუხლი ამაზედაც არ ჩერდება და „ფრანგული თეთრის“ სახელებისა და რაობის გარკვევაზედაც გადადის: „ფრანგულის თეთრის სახელები სხუა არის...სამს შაურს ფრანგები რუბს ეძახიან...“.

არ გამოვუდგებით იმის გარკვევას, თუ, სახელდობრ, რომელ „ფრანგულ“ (ევროპულ) „თეთრს“ გულისხმობს აქ კანონმდებელი. საგულისხმიეროა თვით ფაქტი, რომ ვახტანგს ქართული სამართლის სწორი წარმოებისათვის უცხოური, კერძოდ, ევროპული წარმოშობის ფულადი ერთეულების ცოდნა-გარკვევაც აუცილებლად ჩაუთვლია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ „ფრანგული თეთრი“ (ევროპული ფულის ნიშნები) ქართლის ეკონომიკაში გარკვეულ როლს თამაშობდა, რასაც კანონმდებელმა სათანადო ანგარიში გაუწია. ასეთ როლს უცხოურ თეთრს ანიჭებდა ქართლის ჩონაწილეობა საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებში.

აღსანიშნავია, რომ მე-17—18 სს. მიჯნაზე გაცემულ საისტორიო საბუთებსა და სხვა ძეგლებშიაც არა ერთგან იგრძნობა თბილისის მოქალაქეთა მაღალი წრის სიახლოვე ქართლის სამეფო სახლთან. იგრძნობა აგრეთვე მეფის ხელისუფლების ყურადღება და ანგარიშის გაწევა ხსენებული წრისათვის. სხვათა შორის, დამახასიათებელია სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ წიგნის „მეფეთა წესის“ ერთი ადგილი: „მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულის მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა...მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა, ზვერის წესად აღებასა, ფუნდუკთა უშუღართა დგომასა“.

აქ ისე, როგორც სულხან ორბელიანის ზოგ სხვა არაკში, თავისებურად არის ასახული მე-17 საუკუნის ბოლო ათეული წლების ქართლის მეფეთა სავაჭრო პოლიტიკის გეზი, ნაკარნახევი რეალური ეკონომიური და სახელმწიფოებრივი ინტერესებით.

ვაჭართა წრის შედარებით წინ წამოწევა და აზნაურებთან სწორად მიჩნევა ვახუშტის ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომშიაც არის ფიქსირებული („ხოლო ვაჭართა პატივი იყო აზნაურის ქვემორე და ვიეთთამე-სწორე“) და, საერთოდ, კარგა ხანია ცნობილია. თბილისის მოქალაქეთა განსაკუთრებულ სიმპატიას ქართლის მეფის სახლის წევრებისადმი აღნიშნავს სეხნია ჩხეიძე. მისი მოწმობით ირანიდან ქართლს დაბრუნებულ ლევანს (ვახტანგის მამას) „მიეგებნენ მოქალაქენი სიხარულითა დიდითა“ (320 გვ.).

ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივად უნდა ჩავთვალოთ თბილისელი დიდვაჭრის აივაზ ჩალაბას თავგამოდება დიდი ქართველი მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანისათვის. სტამბოლიდან თბილისით აბრეშუმის შესაძენად გან-

ჯას გამგზავრებულმა აივაზ ჩალაბმა[1] ხელიდან გამოგლიჯა მეკობრეებს თურქეთიდან საქართველოში მოწავალი, ავადმყოფობით ღონემიხდილი და მთლად გაძარცული საბა და დიდი თანხით გამოისყიდა იგი (შემდეგში, 1716—17 წწ. ამ ვალის გადახდა დეენილ საბასთვის მეტად რთულ ამოცანად გადაიქცა)[2].

ვახტანგის მაღალ ავტორიტეტს თბილისის მოქალაქეთა შორის აღნიშნავს ჰასან ჯალალიანი. ამ ავტორის მოწმობით 1723 წლის საბედისწერო ბრძოლებში, როდესაც აყვავებული და მდიდარი თბილისი სრული განადგურების საფრთხის წინაშე დადგა, მტერთან საომრად თბილისის მშვიდობიანი მოქალაქეებიც გასულან. მათ საკუთარი ნებით გადაუწყვეტიათ „ვახტანგისათვის შეეწირათ თავისი სიცოცხლე, შვილები და ქონება“[3].

ფაქტების ხსენებული რიგი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ვახტანგის დროინდელი სახელმწიფო შემოსავალი მნიშვნელოვანი თანხებით უნდა შეეცსო შინაური და საგარეო ვაჭრობის შემოსავალს.

მშენებლობა

ქვეყნის ეკონომიური მოღონიერების შედეგად ვახტანგმა ფართო მშენებლობა გაშალა.

თბილისის კეთილმოწყობა და ქალაქურ ნაგებობათა სილამაზე ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის 70-იან წლებში იპყრობდა ყურადღებას. ქალაქს ამშვენებდა ქვით ნაგები, სუფთა, კარგად მოვლილი ვრცელი ბაზრები; მის ქარვასლაში უცხოელი ვაჭრები ბინავდებოდნენ. მოვლისა და კეთილმოწყობის შთაბეჭდილებას სტოვებდა თბილისის მაღაზიები, აბანოები, მეფეთა სასახლეები და ბაღ-წალკოტები[4].

1703—1723 წლებში, ე. ი. ვახტანგის დროს, თბილისის საერთო სანახაობა დაახლოებით ისეთივე დარჩენილა, როგორიც 30—40 წლის წინ იყო: შეიძლება ითქვას, რომ ამ ხანებში თბილისს კიდევ მეტი წარმატება დატყობია[5]. ვახუშტის ხელით დახაზული თბილისის გეგმა ქალაქში სამი ქარვასლის არსებობას აღნიშნავს: თბილელის, მელიქის (ქალაქის მოურავი) და მეფის ქარვასლა[6]. დამახასიათებელია, რომ ქალაქის ნაგებობათა სტილში ვახუშტი განარჩევს „სპარსთა“ („ყიზილბაშთა“) და „ქართულს“[7].

---

[1] აივაზ ჩალაბა, თბილისის ზარაფხანის მოიჯარადრე, იხსენიება ერთ-ერთ საბუთშიაც 1679 წ. თარიღით. „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, № 216, გვ. 258.

[2] ს.-ს. ორბელიანი, ევროპაში მოგზაურობა, თბ., გვ. 152.

[3] ჟ. „მოგზაური“, 1902, № 2, გვ. 71.

[4] ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, ვ. ბარნოვის თარგმანი, თბ., 1935 გვ. 91—95.

[5] ვახტ. ბერიძე, XVIII ს. თბილისი ვახუშტის გეგმით, „ანალები“, I, თბ., 1947, გვ 134—135.

[6] იქვე, გვ. 137.

[7] ვახუშტი, გეოგრაფია, 1941, 53_1, 54_{10-11}.

ვახტანგის დროინდელ თბილისს რამდენიმე მდიდრული სასახლე ამშვენებდა. ძველ სასახლეებს: როსტომ მეფისას, შაჰნავაზისას და სხვ. ჩრდილავდა ვახტანგ VI-ს ჯერ კიდევ გამგებლობაში აგებული სასახლე. ამ სასახლის საკუთარი თვალით მხილველნი—ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე და მეფე-პოეტი თეიმურაზ II—ერთმანეთთან თანხმობით აღნიშნავენ, რომ ვახტანგის სასახლეზე უკეთესი შენობა იშვიათად თუ სადმე მოიძებნებოდა: „ამის უმშვენიერესი სახლი არც ერანს შიგან მინახავსო"—ამბობს ს. ჩხეიძე.

„იმ სრისა ქება, სიკეთე ქვეყანას ხმაგანთქმულია;
ერთიცა სახლი უზეშთე ერანშიც არ ნახულა-და.
სხვებს სრებსა ყველას ის სჯობდა. მისებრი არ დადგმულა-და",

ირწმუნება თეიმურაზ II.

საგაზაფხულო სასახლე ვახტანგმა კოჯორშიაც ააგებინა. ქართლში მან, საერთოდ, დიდი მშენებლობითი მუშაობა ჩაატარა. ვახტანგის დროს განსაკუთრებული ინტენსიურობით გაიშალა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში დაწყებული სარესტავრაციო და მშენებლობითი ნუშაობა. ვახუშტის ცნობით, „დარღვევასა მიხდილი" თბილისის სიონი ვახტანგმა „განაახლა და აღაშენა ძირიდამ გუმბათითურთ" (ვახუშტი, გეოგრ., 53_{8-9}); მანვე განაახლა ნათლისმცემლის ეკლესია, ააგო თბილისში ორი ახალი ტაძარი. ვახტანგმა ჩაატარა მცხეთის სვეტიცხოველის რესტავრაცია და მით დაამთავრა მარიამ დედოფლის მზრუნველობით დაწყებული საქმე: „შეამკო კარი სამირონესი ოქროთა, მინითა და ვერცხლითა და ჰყო მოფენილ-მოფარდაგულ ზეზით კერილითა" (ვახუშტი, 61_{19-22}).

სეხნია ჩხეიძის გადმოცემით ვახტანგმა „განაპატიოსნა ცხოველმყოფელი სვეტი და დაასვენა კარსა სვეტისასა ხატი პატიოსანი შემკული ყოვლითურთ... შემოავლო სვეტსა ფარდა მძიმისა ზარბაბისა, გამოუცვალა კანკელსა ზეით სვეტები თლილისა ქვისა".

ვახტანგმა აღადგინა ნანგრევებიდან ურბნისის ეკლესია, შეამკო იგი და ქვიტკირით მოზღუდა (ვახუშტი, 78_{26-29}). დიდი მზრუნველობით განაახლა და შეამკო ვახტანგმა სადგერის ეკლესიაც (83_{34-35}).

ვახტანგის დროს, უმთავრესად მისივე თაოსნობით, აღდგენილი ხელოვნების ძეგლებისა და ახალ ნაგებობათა რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის ჯეროვანი სისრულით გამოვლინებული. ე. თაყაიშვილი, რომელსაც არა ერთი ასეთი ძეგლი აქვს აწერილი, ურბნისის ეკლესიის სიძველეთა აღწერილობაში აღნიშნავს: „რაც უფრო თვალსაჩინო ნივთია დღემდის დაცული ურბნისის ეკლესიაში, უმეტესი ნაწილი ვახტანგ VI-ის წყალობა არისო" (არქეოლ. მოგზაურობა, I, გვ. 58).

მაგრამ განმაახლებელსა და მშენებლობით მუშაობას მარტო მეფე არ ეწეოდა. ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" თბილისის ჯვარის ეკლესიის განმაახლებლად ვინმე იმერლიშვილს იხსენიებს (გვ. 53_{11-12}). აქვე ვკითხულობთ: „წელსა **ჩღდ** (1704) აღაშენა გიორგი ერისთავმან ეკლესია გუნბათიანი დიდი. გარემო მოავლო ზღუდე ქვიტკირისა და მაღალსა კლდესა

ზედა ქმნა კოშკი და ციხე (ანანურს)". ($64_{20\ 22}$). „ვანათის ციხე, შემუსვრილი ვანაახლა შანშემ (ერისთავმა)" (75_{30-37}).

ვახტანგის დროს ამთავრებს ზურაბ რატიშვილი ქსოვრისის (ქართლი) ტაძრის შენებასა და შემკობას[1].

ვახტანგის გამგებლობასა და მეფობაში გრძელდება მე-17 საუკუნეში დაწყებული განსაცვიფრებელი ინტენსიობით წარმოებული მაღალაძეთა დიდი მშენებლობა (მთავრდება 1716 წ.)[2].

საყურადღებოა აგრეთვე ვახტანგის ძმის, დომენტი კათალიკოსის მოლარეთხუცისა და ნაზირის პაპუნა დოქაძის მშენებლობა. 1707 წლიდან მოყოლებული მას მრავალი ნაგებობა აუგია და არა ერთი წისქვილ-დოლაბი აუბრუნებია (საქ. მუზ. საბუთი Ad: 1656).

რამდენად გეგმიანად ტარდებოდა მშენებლობა ვახტანგის დროს, ამას მოწმობს ვახუშტი აბაშიძის (ვახტანგის სიძის) ხელით შესრულებული სააღმშენებლო პროექტები და მათი განმარტებანი, 1720 წლის თარიღით[3].

შემდგომი კვლევა-ძიება ამ მიმართულებით, უეჭველია, მრავალ ახალ ცნობას აღმოაჩენს და სრული სიცხადით გააშუქებს მეთვრამეტე საუკუნის პირველი ოცეული წლის ქართლის ამ შესანიშნავ ეპოქას, მატერიალური წარმატების უტყუარი ნიშნებით აღბეჭდილს.

კლასობრივი წინააღმდეგობანი

ვახტანგის პოლიტიკა და, საერთოდ, მთელი მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა მისი თანამედროვე მოწინავე საზოგადოების მხარის დაჭერითა და მონაწილეობით ხორციელდებოდა. ხსენებული საზოგადოება უდიდესი იმედით მისდევდა ნიჭიერი ხელისუფლის ენერგიულ, განმაახლებელ საქმიანობას და ზოგჯერ გაზვიადებული ძლიერებისა და დიდების შარავანდედითაც მოსავდა მას. ასე მაგალითად, „საბარათიანოს აღწერის" პირველ გვერდებზე მეფის მდივნის, გივი თუმანიშვილის ხელით დაწერილ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „სიტკბომან და სიმართლემან (ვახტანგ) მეფისამან მოზიდის ყოვლის ქვეყანით თავადთა, აზნაურთა და გლეხთა. უტევებდნენ სამკვიდროთა და იავარყოფდეს და მკვიდრდებოდეს ქართლსა შინ. ესრეთ აღივსო სიმრავლითა საბრძანებელი მეფისა, რომელ ვერ იტევდის მთა და ბარნიო".

აქ საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ვახტანგის საბრძანებელში სრული თანხმობა და სიამტკბილობა გამეფებულიყოს და „თხა და მგელი ერთგან სძოვდეს".

მაგრამ ვახტანგის პოლიტიკის საფუძველი კლასობრივად შეზღუდული იყო. თავისთავად ცხადია, რომ ფეოდალურ ურთიერთობაზე,

---

[1] პ. ზაქარაია, არქიტექტურული ძეგლი სოფ. ქსოვრისში. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", 1949, ტ. X, № 10, გვ. 635—642.

[2] ვახტ. ბერიძე, წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა XVII—XVIII სს. „საქართველოს მუზ. მოამბე", XIV, თბ., 1947, გვ. 211.

[3] ვახტ. ბერიძე, XVIII ს. ქართველ ხუროთმოძღვართა ნახაზები, „საქ. სახელმ. მუზ. მოამბე", XIV B, 1947, გვ. 219—234.

ე. ი. კლასობრივ დაყოფაზე, აგებულ სახელმწიფოსა და მის ყოველგვარ საქ. მიანობასაც ანტაგონისტური ფორმა უნდა ჰქონოდა. ვახტანგის დროს ყმების მდგომარეობაში ძირითადი ცვლილება არ მომხდარა. ვახტანგის კოდექსი ფეოდალურ ურთიერთობას მხოლოდ უფრო მოწესრიგებულ სახეს აძლევს და იშვიათ შემთხვევაში ოდნავ არბილებს მას[1].

ზემოთ ჩვენ გაკვრით აღვნიშნეთ კლასობრივი ურთიერთობის გამწვავება ქართლში, „ორიანობის“ პერიოდში, როდესაც შინაგანი. უთანხმოებისა და შფოთის მთელი სიმძიმე გლეხობას დაატყდა თავს. მაშინ მუდმივი არევ-დარევით თავმობეზრებულმა გლეხებმა შედარებით უფრო მშვიდობიანი კახეთის მიწა-წყალს მიაშურეს.

ვახტანგის გამგებლობაში მდგომარეობა ძირითადად შეიცვალა. ჩვენ დავინახეთ, რომ ვახტანგმა საგანგებო მზრუნველობის საგნად გაიხადა ქართლის გაუდაბურებული ადგილების დაშენება-დასახლება. ამავე დროს მან გამოითხოვა შაჰისაგან კახეთს გაბიზნული ყმების ქართლშივე იძულებითი დაბრუნების ნებართვა. ამის შედეგად „შეიქნა მყრელობა“, როგორც მაშინ ამბობდნენ. ვახტანგის მოხელეები და ქართლის ფეოდალები მოედნენ კახეთს თავისი გლეხების ასაყრელად...ხიზნები სარგებლობდნენ იმით, რომ თითოეული მებატონე ცალკე დაეძებდა გლეხებს და თავს იცავდნენ: სუსტ მებატონეებს არ ნებდებოდნენ და იარაღით ხელში უმკლავდებოდნენ, ძლიერებს—გაურბოდნენ, ემალებოდნენ. გაქცეულებს კახელი გლეხები და მთიელები იფარებდნენ“ („საქართველოს ისტორია“, 1, 1948, გვ. 361—362). ეს ამბები 1707 წელს მოხდა.

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური და კლასობრივი ბრძოლის ასახვას წარმოადგენს აგრეთვე დ. გურამიშვილის თქმაც:

„გაუორგულდა (მეფეს) სპა-ჯარი, ერი, მიმცემი ხარკისა;
ბაგით პატივ სცეს, აჩენეს გული მტყუვარი ზაკვისა“.

ამ სტრიქონების ქვემოთ ავტორი მოგვითხრობს, რომ რჩეული მამულიშვილები ცდილან ჩაეგონებიათ ურჩი ქვეშევრდომებისათვის მორჩილების გრძნობა:

„ასწავლიდიან რჩეულნი თავიანთ ქვეყნის, მეფისა
წაუკითხიან ბრძანება, გადმოთარგმნილი კეფისა:
„იქმენით ხარკის მიმცემნი, აღმსრულებლები სეფისა“-ო[2].

დ. გურამიშვილის „დავითიანის“ ამ ნაწყვეტში მეფისადმი „გაორგულება“ გარკვევით ქართული საზოგადოების „ხარკის მიმცემ“ ნაწილს მიეწე-

[1] აქ, სხვათა შორის, უნდა მოვიგონოთ „სამართლის წიგნის“ სო (270) მუხლი: „წესად ასე იყო—ან თუ ბატონი ვისმე გლეხს უბოძებდა, ან წაართმევდა, ან ასაყრელი იყო და აყრიდენ, ეშიკაღასი და იასაულნი იმავ გლეხს ხარსა და მარჩილს გამოართმევდნენ. ეს დიაღ უსამართლო იყო. ახლა ჩვენ ასრე გაგვირიგებია: ვისცა გლეხი მიეცეს, იმან მისცეს (ხარი და მარჩილი). გლეხს ამაში ნურას გარჯიან. თუ ბატონისთვის ხელი აიმართოს, ბატონმა იასაულს სხვა რიგი წყალობა უყოს და გლეხს ნურას გამოართმევს“.

[2] დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1931, გვ. 43.

რება. რჩეული პირების მოწოდებაც: „იქმენით ხარკის მიმცემნი!“ ამასვე ადასტურებს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ „დავითიანის“ ავტორი პირდაპირ ასახელებს „სპა-ჯარსაც“, რაც იმდროინდელ ვითარებაში პრივილეგირებულ წოდებას გვაგულისხმებინებს.

ვახუშტის ისტორიის მიხედვით ვახტანგის წინააღმდეგ რამდენიმე შეთქმულება იყო მოწყობილი. აქედან პირველი—ზემოთ მოხსენებული 1709 წლისა, რომელიც საკუთრად თბილისის ყიზილბაშ მეციხოვნეთა უკმაყოფილებას გამოხატავდა: „ვინათგან დაამდაბლნა (ვახტანგმა) მცველნი ტფილისისა თათარნი, განდგნენ და დახშნეს კარნი ციხისა და იწყეს სროლა თოფ-ზარბაზანთა“. როგორც ვიცით, ამ აჯანყებას ვახტანგი ადვილად მოერია (ვახუშტი, 113—114).

მომდევნო აჯანყება ირანში ყოფ ვახტანგს მისმა ძმამ, თბილისის გუშაგთა თოფჩიბაშმა—იესე ბატონიშვილმა მოუწყო. „იესემ აღუდგინა [ვახტანგს] ტფილისის გუშაგნი“. ეს შეთქმულება გაფართოვდა და ვახტანგის მტკიცე პოლიტიკით უკმაყოფილო თავადების ჯგუფს დაუკავშირდა.

ვახტანგის მომხრე მოწინავე ქართველობა ამ დიდ შეთქმულებას განიხილავდა, როგორც ირანის დამპყრობლური („მაჰმადიანური“) გეზისა და ვახტანგის ქართული („ქრისტიანული“) მისწრაფების დაპირისპირებას (ვახუშტი, 119—120). შემდეგში, როგორც ცნობილია, ვახტანგი სასტიკად გაუსწორდა მეამბოხეებსა და მოღალატეებს.

მორიგი, ამ შემთხვევაში, ტიპიური თავადური შეთქმულება ვახტანგს მეტად კრიტიკულ ვითარებაში მოუწყო შანშე ერისთავმა. ვახტანგმა ეს მოღალატეც ალაგმა (ვახუშტი, 124).

უსასტიკესად ჩააცხრო ვახტანგმა შემდგომი შეთქმულებაც, როცა მეფის ნებართვის გარეშე „აზნაურთა ჰგონეს ყანდაარს წარსლვა და ინებეს...შფოთი“. ვახტანგმა „ზოგნი მოჰკლნა, ზოგნი სტანჯნა, სხვანი უმკვიდრო ჰყვნა“ (ვახუშტი, 125).

საერთოდ, როგორც ამაზე ქვემოთაც გვექნება საუბარი, ვახტანგის ბრძოლას ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის თავიდან ბოლომდის თან სდევდა დიდ თავადთა და მოქიშპე ბატონიშვილთა წინააღმდეგობა.

3

მეცნიერება და ლიტერატურა XVII—XVIII სს. მიჯნაზე


 ანუწყვეტელი ომიანობისა და შინაგანი უთანხმოების მიუხედავად აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურსა და ეკონომიურ ვითარებაში XVII საუკუნის დასაწყისიდანვე ახალი, საღი ტენდენციები შეიმჩნევა. პოლიტიკაში—ქართული სამეფო-სამთავროების შეკავშირების ცდები (საქართველოს ისტორია, 1,§ 124); ეკონომიკაში—სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციასა და შინამრეწველობის განვითარებასთან ერთად, აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ქართლის სამეფოს, ჩართვა მეზობელ ქვეყნებთან აღებ-მიცემობასა და მსოფლიო ვაჭრობის ქსელის მნიშვნელოვან ცენტრებთან ვაჭრობაში მონაწილეობა, ქალაქური ცხოვრების გამოცოცხლება, ხელოსნობის ახალი სახეების განვითარება (თბილისში) და სხვ.

ყველა ამ ნიშნის მიხედვით XVII ს. მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში გარკვეული პროგრესიული მოძრაობა მიმდინარეობდა.

მრავალი ხელისშემშლელი გარემოების გამო ეს მოძრაობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმდენად მძლავრი, რომ ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში ძირითადი გარდატეხა გამოეწვია. მიუხედავად ამისა, ახალ მოვლენათა გავლენა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ საკმარისი სიცხადით გამომჟღავნდა XVII—XVIII სს. მოწინავე ადამიანების აზროვნებასა და კულტურულ საქმიანობაში.

მეჩვიდმეტე საუკუნის ფარგლებში მომხდარ დიდ ძვრათა ნიადაგზე აღმოცენებულმა ამ გონებრივმა მოძრაობამ სრული გასაქანი მეთვრამეტე საუკუნის პირველ ათეულ წლებში ჰპოვა და ვახტანგის დროინდელ ქართლში (1703—1724) ახალი ქართული მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარების ბრწყინვალე ფურცლებად გაიშალა.

XVII—XVIII სს. მიჯნაზე ქართლში ვხედავთ დაუცხრომელი კულტურული საქმიანობის ატმოსფეროს, სადაც განსაკუთრებული გულისხმიერებით ეძებენ და აღიქვამენ ყოველივე ახალს, რაც დროის მოთხოვნილებას უპასუხებს.



არჩილის წერილი ნ. ვიტსენისადმი 1686 წ.



ՊԱՏՄՈՒԹԻՒՆ

Ըստ ջրհեղեղին Քրիստոսական հինգհարիւր:

Վասնզի շնորհակալական ըստ սրբոցդ աղաչանացն Եփրեմ տպագրեալ յոյժ. Ասնզ Ասնզ ՀՅՕՀԻՆԸ Կենդանի Ծննդատուն Աստուածահոգիսին ✠


Սահմռուկ զծուխ ըստ ընդդիմակացդ. զի ամ զշնորհակալական ըստ գնացողացդ Եփրեմ տպագրեալ Կերպասակցական տպագրութեան Կերպասակցական տպագրութեան Կերպասակցական տպագրութեան ✠

Հրաշափառ լեր միշտ Քրիստոս Հոգւոյն Ամենայն Ամենայնի Ամենայնի Ամենայնի:

Պատուական Յակոբայ Յոյնոց Եկեղեցի կարգաւորեալ Հոգեւորականացն.

ՓԵՐԵՓՆԸ ՔՐԻՆՆՆԵՐՆԸ.

Փետ: Խոհարար փետ: Ընտ կարճ ըստ ընտրեալ ✠



სახარება. თბილისი, 1709. ვახტანგის ანდერძი

არჩილის რუსეთს წასვლის შემდეგ (1699) საქართველოში შეთანხმებულად განაგრძობენ მოქმედებას სულხან-საბა ორბელიანი, თვითონ ვახტანგი და სხვა მრავალი თვალსაჩინო თუ უჩინარი მოღვაწე.

საყურადღებოა, რომ ხსენებული ადამიანების ყოველი წამოწყება გარკვეული მიზანდასახულობითაა გაშუქებული; იგი ფხიზელი პრაქტიციზმით და თავისებური რეალიზმით სულდგმულობს. ეს პრაქტიციზმი და რეალიზმი ნაკარნახევია გადაუდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამოცანების განხორციელების საჭიროებით და, სხვათა შორის, ძველი ქართული მეცნიერების აღდგენისა და ახალ მეცნიერებასთან დაკავშირების იდეას ემსახურება.

ამ ენერგიული ადამიანების მცდელობით ძველი ქართული მეცნიერებისაკენ მიმავალი გაუდაბურებული, მიყრუებული გზები კვლავ იტკეპნება; ცოცხლდება საუკუნეთა განმავლობაში მივიწყებული ზოგი დარგი; ყალიბდება ახალი საუკუნეებისათვის დამახასიათებელ მეცნიერებათა რიგი. ასე მაგალითად, როგორც ზემოთ აღნიშნულია, სანამ ვახტანგი სამართლის წიგნის წერას შეუდგებოდა, ის ქართული სამართლის ძველი ძეგლების შეკრებასა და აღდგენას აწარმოებს. მუშაობის შემდგომ ეტაპზე კი ძველი ადათობრივი სამართლის ნორმებიც გვერდით აყალიბებს თანამედროვე საქართველოს სამართალს, რომელშიაც „აშკარად მოჩანს ახალი საწყისების და ახალი იდეების მოქმედება“[1].

ვახტანგის ინიციატივითა და პირადი მონაწილეობით ჩატარებულ ყოველ კულტურულ საქმეს ახასიათებს, პირველ რიგში, ძველი ძეგლების აღდგენა და ახალი მშენებლობის ძველ (აღდგენილ) ნაშთებთან დაკავშირება.

ამგვარად, XVII—XVIII სს. მიჯნაზე უდიდესი შემოქმედებითი და სარესტავრაციო მუშაობა ტარდება. არქიტექტურული ძეგლების აღდგენასთან ერთად თავს უყრიან გაბნეულ-გაფანტულსა და დაზიანებულ ძველ ხელნაწერ წიგნებს; ასეთი წიგნების საგანგებო დარგობლივ ძიებასაც კი აწარმოებენ.

ამ ძიების შედეგად, სხვათა შორის, ს. ს. ორბელიანის ძმა—ნიკოლოზ ორბელიანი 1710 წელს დიდი მზრუნველობით ამთელებს XIII საუკუნის ძვირფას ხელნაწერს, ე. წ. „კათიღორიას“ (ფილოსოფიურ ნაშრომთა კრებულს) და გვამცნობს: „მოვიშოვე კათიღორია ესე, კეთილად განმაბრძნობელი და თვალთა გულისად აღმხილველი მკითხველთა, დაძველებული და გადასული.

აწ ჴელითა ჩემ ცოდვილისათა მოვაცხოველე და ნაკლული შევასრულებინე...ფრიადი ჵირი ვნახე ამის კეთებაზედა“-ო (S:2574).

აი მეორე ხელნაწერი, ზაზა ფანასკერტელის უზარმაზარი, 1368 გვერდიანი საეკლესიო წიგნი XV საუკუნისა, რომელშიაც ვახტანგის საკუთარი ხელით ჩაწერილი სტრიქონები გვამცნობს, რომ 1709 წელს ეს „თვითეულად ფურცლად“ დაშლილი ხელნაწერი მისი მზრუნველობით გაუმთელებიათ:

„ჩვენ, საქართველოს გამგებელმან, ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ თვითოეულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევაწყობინეთ და შევაკვრევინეთ, საქმარად და სასჯრგებლოდ კაცთათვინ...“[2].

---

[1] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, II, თბ., 1948, გვ. 141.

[2] ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო კრებული, სხვა ძველ ქართულ ხელნაწერებთან ერთად, მოტანილი საქართველოში გორკის (ყოფილი ნიჟნი ნოვგოროდის) ოლქიდან, სა-

ქართულ ხელნაწერთა საცავებში დაცულია XVIII ს. დასაწყისში რესტავრირებულ წერილობით ძეგლთა ათეულები, რომელთა აღნუსხვა შორს წაგვიყვანს.

განსაკუთრებული მონდომებით უძებნიათ ვახტანგის დროს ქართული ფილოსოფიური ლიტერატურის ძეგლები. 1721 წელს თბილისში დაბეჭდილი მეცნიერული წიგნის წინასიტყვაობაში ვახტანგი გულისტკივილით აღნიშნავს: „საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოოჴრებულიყო და არღარა დაშთომილიყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა“-ო („აიათი“, თბილისი, 1921, ვახტანგის წინასიტყვაობა).

ფილოსოფიური დარგის ყოველი ახალი ძეგლის მოპოვება, ეტყობა, დიდ სიხარულს იწვევდა XVII—XVIII სს. სწავლულ ქართველთა გულში. ერთ-ერთ ასეთ ძეგლზე მიწერილია:

„ამისი ცოდნა უენოს ენასა აადგმევინებს,
გონებას მოჴნავს, სიბრძნესა დასთეს[ს],
ფესუს გაადგმევინებსო“.

ამ ხელნაწერის ფურცლების კიდეებზე ს. ს. ორბელიანის ხელით მიწერილი შენიშვნები მოწმობს, რომ ვახტანგის აღმზრდელი და შთამგონებელი ს. ს. ორბელიანი აღორძინების პერიოდის პირველი მეცნიერია, რომელსაც ქართული კლასიკური ფილოსოფიის ძეგლებიდან 500 წლის მტვერი გადაუყრია და ძვირფასი ფრაგმენტების გამთელებასა და შესწავლას შესდგომია. სულხან-საბას (თუ მისი მამის?) ბრძანებით უნდა იყოს გადაწერილი ხსენებული ტექსტების ახალი ნუსხები, შენიშვნებით: „აქ დედანს აკლდა“. ამ შენიშვნებზე მოთავსებული მინაწერები, როგორც ვთქვით, საბას ეკუთვნის. ეს მინაწერები გვიჩვენებენ, თუ როგორი წყურვილით კითხულობდა, სწავლობდა და ამუშავებდა ფილოსოფიურ მასალას ეს თავისი დროის უშესანიშნავესი ადამიანი.

ქართული ფილოსოფიური აზრის გამოცოცხლება რომ ჯერ კიდევ ვახტანგის კულტურულ ეპოქაში დაიწყო, ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს იმავე ს. ს. ორბელიანის უდიდესი მეცნიერული ნაშრომი: „სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“.

ვახტანგის დრო ქართული ლექსიკოგრაფიის გაფურჩქვნის ეპოქა იყო. 1716 წელს ჩამოყალიბდა ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის საბოლოო რედაქცია, რომელიც დღევანდელი ქართველისათვისაც სამშობლო ენის უდიდეს საგანძურს წარმოადგენს.

როგორც ვიცით, საბას „სიტყვის კონა“ ლექსიკოგრაფიული ფარგლებით არ ისაზღვრება. მის შემდგენელს მიზნად ჰქონდა დასახული თავისი ლექსიკონი ქართველობისათვის იმ დროსა და გარემოებაში მისაწვდომი მთელი ცოდნის სალაროდ ექცია. საბამ სრულიად შეგნებულად მისცა თავის ნაშრომს ენციკლოპედიური ხასიათი, ვინაიდან მას სურდა მიეწოდებია თანამედროვე მოზარდი თაობისათვის ყოველგვარი ცოდნა-მეცნიერების შემცველი წიგნი—

დაც ისინი ვახტანგის გარდაცვალების დროიდან (1737 წ., ქ. ასტრახანში) ყოფილან დაცული. ეს ძეგლი გამოცემულია (ნაწილობრივ): ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, სამკურნალო წიგნი, თბ., 1950.

დაწყებული ანბანით და გათავებული ურთულესი განყენებული ცნებების განმარტებებით[1].

ამასთან დაკავშირებით, საბას, „ნაწილობრივ. მიზნად ისიც დაუსახავს, რომ ძირითად ცნებათა განსაზღვრების გზით ლექსიკონში წარმოედგინა ფილოსოფიური (და ფსიქოლოგიური) ცოდნა"[2].

სულხან-საბას ფილოსოფიური კვლევა ქართული ფილოსოფიური აზროვნების აღორძინების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. ამ აღორძინების შემდგომ ეტაპზე ვახტანგის ბრძანებითა და ვახუშტის მონაწილეობით სომხურიდან თარგმნილი ფილოსოფიური თხზულებები ჩნდება (იხ. ვახუშტის ხელით გადაწერილი კრებული Q: 866, გვ. 57 და სხვ.). თვით ანტონ I-ლის ღვაწლი ამ დარგში უეჭველად ვახტანგის დროინდელი მეცნიერების გაფურჩქვნას უკავშირდება: რუსეთში მყოფი ანტონი (1756—1762) იოანე ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში, სხვათა შორის, წერს: „ღუაწლნი შენისა ფილოსოფოსობისა დაჰრგენ და ჰფშოდი მათ მიერ ჩემ შორის უსასყიდლოჲთა მით სიყუარულითა-ო"[3].

ანტონისავე აღსარებით, მის ცოდნისმოყვარე გონებაში „ფილოსოფოსობის ღვაწლი" იოანე ორბელიანა „დაურგავს". ეს იოანე, ვახტანგ VI-ის უმცროსი თანამედროვე და ნათესავი, ვახტანგის მეცნიერულ წრეში განსწავლული პირია, რასაც თვითონვე გვაუწყებს: „სანატრელმან მეფემან ვახტანგ ფრიადი შრომა ყო ჩემდა და მასწავა რომელიმე სწავლა.....ვარსკვლავთ-მრიცხველობისაო"-ო[4].

საბას ლექსიკონის მასალებით იწყება აგრეთვე აღორძინების პერიოდის ქართული გრამატიკული კვლევა-ძიების ისტორია.

„ლექსიკონის" ზოგიერთ ხელნაწერ ნუსხაში (პირვანდელი ვარიანტი?) ჩვენ გვაქვს საყურადღებო გრამატიკული მასალა, სათაურით: „ღრამატიკათა რომელობანი". ლათინური გრამატიკული ტერმინების იტალიური გადმოცემა („ჯენეტიო", „დატიო" და სხვ.) მოწმობს, რომ საბას გრამატიკული ცდა იტალიური ენის გრამატიკის მეშვეობითაა განხორციელებული (საქართველოს სახ. მუზ., A: 1113).

ეს პირველი ცდა, ჩანს, თვით საბასაც არადამაკმაყოფილებლად უცნია და 1716 წლის ვარიანტში (H: 1658) ბსენებული მასალა აღარ შეუტანია. ამაგიეროდ, „ლექსიკონის" ყველა ნუსხაში ჩართულია „საქცევნი ხუთთა ჴმიანთა ასოთანი და სწავლა სხვათა ასოთა და თავ-ბოლოთანი" (იხ. H: 1429 და სხვა ნუსხები)[5].

---

[1] ქრ. შარაშიძე, ქართული ანბანი მეცხრამეტე საუკუნემდე. „ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია", თბ., 1941, გვ. 10—11.

[2] ა. ფრანგიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ფსიქოლოგიური შეხედულებანი, „ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები". ტ. IV, თბ., 1947. გვ. 264.

[3] ხელნაწერი Q: 332, § 25, Q ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, I.

[4] A: 1162, „საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა" (A: კოლექცია), ტ. IV, თბ., 1954, გვ. 211.

[5] როგორც ჩანს, საბასთვის უცნობი ყოფილა ფ. მ. მაჯიოს ქართული ენის გრამატიკა, რომელიც ორჯერ დაიბეჭდა რომში მე-17 საუკუნეში. ეტყობა ამ გამოცემების არც ერთ ცალი არ მოუღწევია მაშინ საქართველოში. ამას ნათლად მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ საბა „გრამატიკათა რომელობანში" ლათინურ ტერმინებს იტალიური გადმოცემით იძლევა, იმ დროს, როცა იტალიელი მაჯიო ლათინურ ტერმინებს ხმარობს.

საბას გრამატიკული ცდები, მსგავსად მისი ფილოსოფიური ძიებისა, საბას გარდაცვალების შემდეგაც პოულობს გამგრძელებელს. რუსეთში მყოფი ვახტანგის ბრძანებითა და ვახუშტის თანამშრომლობით ზურაბ შანშოვანი 1736 წ. ადგენს გრამატიკას, რომელიც ქართული გრამატიკის ჩამოყალიბების პროცესში, საბას ცდების შემდეგ, მეორე ეტაპს წარმოადგენს[1]. ოციოდე წლის შემდეგ კი ანტონ I საბოლოოდ აფორმებს ქართული ენის გრამატიკას (1753—1760)[2], რომლის წინასიტყვაობაშიაც ვახტანგის დროინდელ ძიებას (ს. ს. ორბელიანის, ვახტანგის, ვახუშტისას) იხსენიებს[3].

ძველი ქართული ხელნაწერი ძეგლების ძიების დროს ვახტანგისა და მის თანამოღვაწეთ ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ქართული ასტრონომიულ-კალენდარული შინაარსის თხზულებები. კალენდარული ცოდნა უძველესი დროიდან ვრცელდებოდა და ვითარდებოდა საქართველოში. კლასიკური პერიოდის ქართული მწიგნობრობა საკმარისად მდიდარია ამ შინაარსის თხზულებებით. ნათარგმნ ძეგლთა შორის აქ მოსახსენებელია მეთორმეტე საუკუნის კრებულში მოთავსებული ჩინებული ილუსტრაციებით შემკული ასტრონომიული თხზულება, რომელიც არაბულიდან თარგმნილად ითვლება (საქ. მუზ. A:65, გვ. 360—373). ხსენებულ 1188 წლის კრებულს ჯერ არჩილის ხელში გაუვლია (იხ. მისი ხელით ნასწორები ადგილები „ქებათა-ქების“ ტექსტში), შემდეგ „ბატონიშვილი ვახტანგის“ ყურადღების საგნად გამხდარა (იხ. ვახტანგის ხელით მიწერილი სტრიქონები, 01 გვ.).

ვახტანგი, ნიკოლოზ ორბელიანი და ვახუშტი გაცნობილი ყოფილან აგრეთვე დიდი ქართველი მეცნიერის აჭარის ხიხათა ერისთავის აბუსერიძეტბელის 1233 წ. დაწერილ ასტრონომიულ-კალენდარულ ნაშრომს (საქართვ. მუზ. A:85), რომლის შესახებაც აკადემიკოსი მ. ბროსე თავის გამოკვლევაში აღნიშნავს: „ქართველებმა 1233 წელს უკვე იცოდენ ნახევარი იმ ცთომილებისა, რომელმაც 1582 წელს აიძულა პაპი გრიგოლ XII კალენდრის შესწორებას შესდგომოდა“[4].

ასტრონომიული მეცნიერებისადმი დიდ ინტერესს, რომელიც ვახტანგსა და მის თანამოღვაწეთ ჰქონდათ, ვერ აკმაყოფილებდა X—XIII სს. ხელნაწერების ტრაქტატები; XVIII საუკუნის დასაწყისის მოწინავე მეცნიერების ახალი კერები კი ცოდნისმოყვარე ქართველებისათვის ძნელად მისაწვდომი იყვნენ. ამის გამო ვახტანგი და მისი თანამედროვე განათლებული ქართველობა შემთხვევით გამველელ მოგზაურთაგან და რომის „პროპაგანდის“ მისიონერების

---

[1] ალ. ცაგარელი, მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან. სანკტპეტერბურგი, 1881, გვ. XII—XIII; ი. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XB, გვ. 141—159.

[2] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ. 1941, გვ. 349.

[3] ალ. ცაგარელი, მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, 1881, გვ. XII—XIII.

[4] M. Brosset, Etudes de chronologie technique, p. 24—37. ციტირებულია აკადემიკოს კ. კეკელიძის ქართ. ლიტერ. ისტორ. მიხედვით, 1, თბ., 1941, გვ. 305.

მეშვეობით ეცნობოდენ მე-16—17 საუკუნის ასტრონომიული მეცნიერების ბრწყინვალე მიღწევებს[1].

ასტრონომიით ღრმად დაინტერესებულმა ვახტანგმა ირანში ყოფნის პერიოდში (1712—1719) მუსულმან ავტორთა ასტრონომიული თხზულებების თარგმნას მიჰყო ხელი. მისი თაოსნობითა და მონაწილეობით ქართულად ითარგმნა მე-15 ს. ცნობილი სამარყანდელი ასტრონომის, თემურ-ლენგის შვილიშვილის, ულუღ-ბეგის ვარსკვლავთა კატალოგი, რომელიც წარმოადგენს „შუა საუკუნეების ასტრონომიის უკანასკნელ სიტყვას და უმაღლეს საფეხურს, რომელსაც მიაღწია ასტრონომიამ ტელესკოპის გამოყენებამდე“[2].

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდში ჩვენ გვაქვს ულუღ-ბეგის ვარსკვლავთა კატალოგის ქართული თარგმანის ერთ-ერთი ნუსხა, სათაურით „ვარსკვლავთ-მრიცხველობა თათრულიდამ ნათარგმნი მეფე ვახტანგისაგან“. ეს მრავალი რთული ცხრილ-ცხავებისა და ნახაზების შემცველი ხელნაწერი (S : 161) ქართული მეცნიერული წიგნის გაკეთების შესანიშნავი ნიმუშთაგანი არის. მას წინ უძღვის და დართული აქვს ანბანურად გაწყობილი ტერმინების ნუსხები და ლექსიკონები.

გარდა ამ კაპიტალური ნაშრომისა, ვახტანგს უთარგმნინებია და საკუთარი ხელით უსწორებია ნ ა ს ი რ თ უ ს ე ლ ი ს „სტროლაბის სასწავლებელი წიგნი“[3]; მასვე გაუკეთებინებია თვით ს ტ რ ო ლ ა ბ ი ც (ამაზე იხ. ქვემოთ).

ვახტანგის ფართო მთარგმნელობით მოღვაწეობას ჩვენ მხოლოდ გაკვრით შეგვიძლია შევეხოთ, ვინაიდან მისი ინიციატივით ნათარგმნი ლიტერატურისათვის სრულიად ზოგადად თვალისმოვლებაც კი შორს წაგვიყვანდა.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ აქ ვახტანგის ორიგინალური კალენდარული ნაშრომები: „ხელთა“ და „კვიკლოსი, ანუ საძირკველი“, რომელიც მას „დიდის სასჯლით“ გაუკეთებია. ვახტანგის ეს ნაშრომი „აღუწერია“ ნ ი კ ო ლ ო ზ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს, რომელსაც ამ თხზულების ცხრილ-ცხავების განმარტების დართვა ეკუთვნის (იხ. H : 90).

მოგვიანებით, მოსკოვის ქართული ბიბლიის ბეჭდვის დროს (1743), ვახუშტის ვახტანგის ერთი კალენდარული ნაშრომი დამატების სახით გამოუქვეყნებია ბიბლიის გამოცემაში.

ვახტანგის მოღვაწეობამ ამ დარგში მისი ვაჟის—ვახუშტის სახით გაგრძელებელიც ჰპოვა. ვახუშტიმ შეადგინა „პასქალია“, რომელიც იმავე ბიბლიის ნაბეჭდი ტექსტისათვის არის დართული; ხოლო მოგვიანებით, 1745—1755 წწ., მანვე დასწერა ეგრეთ წოდებული „საუკუნო კინკლოსი“, „ჴელთა“, „ჴზის საქცევი“ და სხვ. ამ მასალას ვახუშტის ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომის ავტოგრაფული ცალის 317—337 გვ. უჭირავს[4].

---

[1] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი საბუთიდან ჩვენ ვიცით, რომ „პატრი უფროსი“ 27 წლის ვახტანგს ასტრონომიას ასწავლიდა და მისი წარმატებით კმაყოფილი იყო (მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტ. კათოლიკ. ქართველთა შორის, გვ. 339).

[2] Академикъ В а р т о л ь д ი, Культура мусульманства, II, 1918, გვ. 94.

[3] „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, I, თბ., 1946, № 457. ამ ხელნაწერის შესახებ ცნობა ნად. К а с р а д з е მ მომაწოდა.

[4] ნ. Б е р а д з е ი ш в и л и, „შესავალი“, გვ. XXIII—XXIV (ვახუშტი, აღწერა... 1941).

ვახუშტის ეს ნაშრომი, სხვა ქართულ კალენდარულ ნაშრომებთან ერთად, ფრანგული თარგმანებისა და საკუთარი გამოკვლევის დართვით, გამოაქვეყნა აკადემ. მარი ბროსემ[1].

მეცნიერული მუშაობის ასეთი ხასიათი: ძველი ძეგლების გაცნობის გზით ახალი მეცნიერებისაკენ გზის გაკვალვა, როგორც ითქვა, ვახტანგისა და მისი თანამედროვე სწავლული ქართველობის კულტურული საქმიანობის ერთ-ერთ საყურადღებო თვისებას წარმოადგენს.

ასტრონომიულ ინტერესსა და კვლევა-ძიებასთან XVIII ს. დასაწყისში მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული გეოგრაფიული მეცნიერების აღორძინება.

ცნობილია, რომ ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის ე. წ. ვრცელ რედაქციაში, სხვათა შორის, შეტანილია გეოგრაფიული სახელებიც. ამ სახელებს მიწერილი აქვს გეოგრაფიული მდებარეობის (გრძედებისა და განედების) აღნიშვნა. ხსენებული მასალა თვით საბას მოუპოვებია ევროპაში მოგზაურობის (1713—1715) წლებში.

ლექსიკონში ეს მასალა, ანბანური წესით განლაგების წყალობით, გაფანტულია; მთლიანი სახით კი შემონახულია ვახტანგის ბრძანებით გადაწერილ ულუღ-ბეგის ეარსკვლავთა კატალოგის თარგმანის ერთ-ერთ ხელნაწერში (ხსენებული S : 161), სათაურით: „თარგმანი ბერძენთა და ფრანგთაგან შეტყობა სიგრძისა და განისა გამორჩეულისა ქალაქებისა, ვითარცა მოგვეცა ჩვენ და ვპოვეთ პირველთა ფილოსოფოსთაგან, რომელთა ქვეყანა ასწერეს“. ქვემოთ მიდის გაფრთხილება: „უწყოდეთ, რამეთუ რომელიცა აქა დაწერილ არს წილი სიგრძისა და განისა ქალაქებისა, არა არს მტკიცედ დაჭეშმარიტებული, არამედ ახლოს არს ჭეშმარიტებასა ზედა“.

თვითონ ეს მასალა წარმოადგენს გეოგრაფიული პუნქტების ანბანურად დალაგებულ ნუსხას, სადაც ყოველ გეოგრაფიულ სახელს გრძედისა და განედის აღმნიშვნელი ციფრები აქვს მიწერილი. ეს ნუსხა ნამდვილად ს. ს. ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის დროსაა მოპოვებული. ამას, უპირველეს ყოვლისა, მოწმობს ის ფაქტი, რომ ქალაქებისა და ადგილების ეს ნუსხა საბას ლექსიკონში არის ჩართული.

მეორე დამამტკიცებელი საბუთი, რომ ეს საბასეული მასალაა, არის ვახუშტი ბაგრატიონის ხელით შედგენილი ტაბულა „საქართველოს ქალაქების და ადგილების სიგრძე-განისა, მენაკისა და წამის საცნობელი, კასპიის ზღვისა და შავი ზღვის შუა“, სადაც ვახუშტი ამ ნუსხის ერთ-ერთ წყაროდ (საბას) ლექსიკონს ასახელებს: „ევროპული და ბერძნული რომელიც ჩვენს (იგულისხმე—ქართულს, საბასეულს) ლექსიკონში არის“.

სრულიად ნათელია, რომ გეოგრაფიული საკითხებით ღრმად დაინტერესებულ ვახუშტის არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ხსენებული მასალის ნამდვილი წყარო. და თუ ის ასეთ წყაროდ აქ ლექსიკონს ასახელებს, ცხადია, მასალის მომპოვებლად ის ლექსიკონის შემდგენელს სცნობს.

---

[1] M. Brosset, Etudes de chronologie technique SPB, 1868, გვ. 57—66.

ბოლოს, ანგარიშგასაწევია S: 161 ხელნაწერის ამ ნუსხის ტექსტში სხვადასხვა ადგილას ჩართული ორი შენიშვნა: პირველში ნუსხის მომპოვებელი იხსენიებს პარიზში ყოფნას (S: 161, 265 გვ.), ხოლო მეორეში ლაპარაკობს „წმიდას ქალაქს", ე. ი. რომს ყოფნაზე: „ჩვენ ვეცადეთ, წმიდას ქალაქს რომ ვიყავით". თავისთავად ცხადია, რომ პარიზსა და რომში ნამყოფი მეცნიერი ქართველი, რომელიც უდიდესი წყურვილით დაეძებდა ყველაფერს, რაც კი ხელს შეუწყობდა მის თანამემამულეთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას, იყო სულხან-საბა ორბელიანი.

ულუღ-ბეგის ვარსკვლავთა კატალოგის ქართული თარგმანის ძირითად ტექსტში ჩართულია ქალაქებისა და სხვა გეოგრაფიული პუნქტების (უპირატესად აზიის ქვეყნების) გრძედებისა და განედების ტაბულების საკმარისად დიდი რაოდენობა (ხელნაწ. S: 161, გვ. 255—258), რაც, უეჭველია, თვით ულუღ-ბეგის შრომის ნაწილს წარმოადგენს.

ამავე (S: 161) ხელნაწერში, ს. ს. ორბელიანის ნუსხას გარდა, შეტანილია „რუსულისაგან თარგმნილი (რუსეთის) ქალაქნი" (ნუსხა), მდებარეობის აღუნიშნავად, თუმცა XVIII ს. განათლებულ ქართველებს რუსეთის ზოგიერთი ქალაქის გრძედები და განედებიც სცოდნიათ. მაგ., საბას ლექსიკონში მოიპოვება: „აშთარხანი 82,20/40,20", „ზოსკო 63,2/55,10".

ხსენებული გეოგრაფიული მასალა მხოლოდ პირველი თესლია; იგი, სხვათა შორის, მოწმობს, რომ ს. ს. ორბელიანს ცოცხალი მეცნიერული კავშირი გაუბამს ყოველგან, სადაც იგი საქართველოს ბედის ძიებას მიუყვანია (პარიზი, რომი). სწორედ ამგვარადვე იქცეოდა ვახტანგიც, რომელიც ისტორიის ჩარხის ტრიალმა ჯერ ირანში შეამწყვდია, შემდეგ კი რუსეთს გადახეწა.

ს. ს. ორბელიანის იმდროინდელი პარიზის მეცნიერთა წრესთან კავშირს გვიდასტურებს აგრეთვე ერთი კარტოგრაფიული ნაშრომი, რომელიც ამავე დიდი ქართველი ლექსიკოგრაფის მასალის გამოყენებით განხორციელდა. ჩვენ ვგულისხმობთ 1723 წლის პარიზულ რუკას. ეს რუკა გამოაქვეყნა პარიზში 1723 წელს რუსეთის აკადემიის თანამშრომელის, ცნობილი ფრანგი ასტრონომის—იოსებ-ნიკოლა დელილის ძმამ სათაურით: „Carte des Pays voisins de la Mer Caspiene dressée pour l'usage du Roy sur la carte de cette Mer faite par l'ordre du Czar, Sur les Mémoires manuscrits de Solkam—Sabbas, Prince de Georgie (იგულისხმება სულხან-საბა),et sur ceux de M-rs. Crusius Zurabek, et Fabritius Ambassadeurs à la Cour de Perse, et sur les éclaircissemens tirez d'un grand nombre de persones intelligentes du païs Assujetie aux Observations Astronomiques. Par Guillaume Delisle, Premier Geographe du Roy de l'Academie Royale des Sciences. 15 Aout 1723"[1].

შემდგომ ეტაპზე ქართული გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების ბრწყინვალე ფურცლები ვახტანგის შვილის—ვახუშტის შესანიშნავი ნაშრომის—„აღწერა სამეფოსა საქართველოსი" სახით გაიშალა.

---

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული (Q: 958) ამ რუკის ერთი ცალი, 1745 წ. გამოცემა.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის დახასიათებით ვახუშტი მისი გეოგრაფიული ნაშრომის მიხედვით ღრმად მოაზროვნე მეცნიერი, საქართველოს აგრონომიულ-ბოტანიკური არეების დამდგენი, სწორ-უპოვარი გეოგრაფიული აღწერის ავტორი, ეთნოგრაფი და კულტურის ისტორიკოსი იყო[1].

საყურადღებოა, რომ ვახუშტი თავის ნაშრომში თ ი ნ ა ბ ა რ ი გ უ ლ ი სხმიერებით განიხილავს ბუნებისა და ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების ნ ო ვ ლ ე ნ ე ბ ს, რაც იმ დროისათვის ახალი მიდგომა იყო არა თუ ქართული, არამედ საერთოდ მთელი იმდროინდელი მეცნიერებისათვის.

ვახუშტიმ დახაზა საქართველოსა და კავკასიის პირველი შესანიშნავი რუკები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის შესწავლისათვის. ვახუშტის კარტოგრაფიულმა შრომებმა ადრევე (ვახუშტის სიცოცხლეშივე—1735—1737 წწ.) მიიპყრო რუსეთისა და უცხოეთის მეცნიერთა ყურადღება. როგორც ცნობილია, ამ ნაშრომებს შემდეგში, თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე, არ დაუკარგავთ მნიშვნელობა[2].

ვახტანგისა და ვახუშტის შრომებში გამომჟღავნებული ბუნებისმცოდნეობისა და ზუსტი მეცნიერებისადმი დიდი ინტერესი სათავეს ს. ს. ორბელიანის სალექსიკონო მასალებში, ამავე ავტორის „სიბრძნე-სიცრუის წიგნში“ და ევროპაში მოგზაურობის აღწერაში პოულობს. მაგ., „სიბრძნე სიცრუისას“ ერთ-ერთი არაკის პერსონაჟი—ლანგარუთის მეფე სულ „აჩის ცდაში იყო, რომ თავის სამეფოში ოქროს ქანი ეპოვნა და ა ნ ქ ი მ ი ი ს მ ც ო დ ნ ე ო ს ტ ა ტ ი ე შ ო ვ ა“. საბას არაკის მიხედვით ერთმა მჭედელმა კიდევაც მიაკვლია ისეთი ქვა, რომლის შეხებაც რკინას ოქროდ აქცევდა.

ქიმიის ხსენება ამ არაკში შემთხვევითი არ არის. იგი ასახავს ქიმიის, იმდროინდელი გაგებით—ამ „უცნაური“ მეცნიერებისადმი ინტერესს. ქიმიისადმი სერიოზული ინტერესის არსებობის დამადასტურებელია ვახუშტის ხელით გადაწერილი „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნა, შეკრებულნი მეფის ვახტანგისაგან“.

ხელნაწერში სათითაოდ ჩამოწერილია, თუ როგორ კეთდება „ცარტუმი“, „თანზუსი“, „კალიის მარილი“, „გოგირდის თეზაბი გინა ზეთი“, „თეზაბი ნიშადურისა“, „ჟანგარო“, „რკინის ჟანგი“, „სინგური“, „სურინჯი“, „დარიშხანა“ და სხვ. ტექსტში ჩართულია ჩინებული მხაზველის, ვახუშტის ხელით შესრულებული ნახაზები. წიგნს წამძღვარებული აქვს საგნობრივი საძიებელი, სათაურით: „ამ წიგნის წერილის ანბანზედ შეკრებული, ადვილად პოვნისათვის“[3].

განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ვახტანგის დროს ქ ა რ თ უ ლ მ ა ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ მ ა ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა მ. ქართული კულტურის

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930; II. 1934.

[2] ს. ც ხ ა კ ა ი ა, ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს გეოგრაფიული ატლასები. ვახუშტი, როგორც გეოგრაფი. „ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები“, I, თბ., 1947, გვ. 139.

[3] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი S : 3721.

ე. წ. აღორძინების ნიშნებმა ყველაზე ადრე ქართულ ისტორიოგრაფიაში იჩინა თავი. განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ეს აღორძინება XVII—XVIII ს. მიჯნაზე.

მე-17 ს. მიწურულში საისტორიო ძეგლების თავმოყრას აწარჩოებს და მშობლიური ისტორიის საკითხებისადმი ღრმა ინტერესს ამჟღავნებს ვახტანგის ბიძა არჩილი. თავის დიდ ლიტერატურულ ნაშრომში — „არჩილიანში“ — პოეტი საქართველოს გალექსილ ისტორიას გვაძლევს. ისტორიული ფაქტების გადმოცემისას იგი გარკვეულ სახელმძღვანელო პრინციპს მისდევს: მიზნად ისახავს „მართალი ამბვის“ გადმოცემას. არჩილს შეიძლება ეკუთვნოდეს აგრეთვე პროზაული საისტორიო თხზულებაც. ეს არის მე-17 ს. საქართველოს პოლიტიკური ვითარების მიმოხილვა, რომელიც დაიბეჭდა, არჩილის მასალების მიხედვით, ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერის ნიკოლოზ ვიტცენის კაპიტალურ ნაშრომში (Witsen N. Noord en Oost Tartarye. II. Georgia of Iberia, 524—533).

ვახტანგის მზრუნველობით საქართველოს ისტორიის დაწუშაევებას ჩაეყარა მეცნიერული საფუძველი. საგანგებოდ შემდგარმა კომისიამ შეკრიბა არსებული საისტორიო თხზულებები და წყაროები და საქართველოს ახალი საუკუნეების (მე-14—18) ისტორიის შევსებას შეუდგა. ივ. ჯავახიშვილის აზრით „განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია, რომ ვახტანგის მოწვევით „სწავლულ კაცთ“ განუზრახავთ და შეუდგენიათ კიდეევაც მთელი სრულიადი საქართველოს ისტორია და არა საქართველოს ერთ-ერთი კუთხის ან ნაწილისა“. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით ეს მოწმობს, რომ „საქართველოს ერთობის აზრი ძლიერი და ცხოველმყოფელი ყოფილა“, მიუხედავად პოლიტიკური ცხოვრების დაწვრილმანებისა და დაქსაქსულობისა. ივ. ჯავახიშვილი ასეთ შეფასებას აძლევს ბსენებული „კომისიის“ ნაშრომის მეცნიერულ დონეს: „სწავლული კაცები“, ამბობს ის, უბრალო კომპილატორები კი არ ყოფილან, არამედ სწავლული მკვლევარნი, რომელნიც შეძლებისდაგვარად პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას“[1]. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ვახტანგის დროს საქართველოს ისტორიის საკითხების გარკვევაზე მეცნიერთა მთელი კოლექტივი მუშაობს, რაც ქართველ მეცნიერთა წრის ფარგლების გაფართოების მაჩვენებელია.

ყურადღებას იპყრობს XVIII ს. დასაწყისში გადაწერილ საისტორიო თხზულებათა შემცველი ხელნაწერების სიმრავლე, რასაც ვახუშტიც აღნიშნავს: „დედანი იგი მატიანისა [იგულისხმება ვახტანგისეულ სწავლულ კაცთა ნამუშევარი] შეურყეველად ჰგიეს, არა ერთი, არამედ მრავალი“ (აღწ. საქართველოსა, 1941, გვ. 9).

ვახტანგის როლი საქართველოს ისტორიის საკითხების დამუშაევებაში მხოლოდ თაოსნობით არ ამოწურულა. პირადად ვახტანგმა ბაგრატიონთ ნათესაობის („გენეალოგიური ხის“) „აღწერით“ (1703 წ.)[2] მნიშვნელოვანი წვლილი

[1] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი და წყაროები, მეორე-მესამე გ-მა, თბ., 1945, გვ. 321, 326.

[2] თ. ჟყონია, გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1947, გვ. 255—279. დამატება № 1.

შეიტანა საქართველოს ისტორიის საკითხების გარკვევის საქმეში. ვახტანგის ხსენებულ ნაშრომს შემდეგში ანგარიშს უწევს და იყენებს მისი შვილი, დიდი ისტორიკოსი ვახუშტი[1].

ფეოდალური საქართველოს საისტორიო მეცნიერებამ (გეოგრაფიულ მეცნიერებასთან ერთად) განვითარების უმწვერვალეს საფეხურს ვახტანგის სკოლაში აღზრდილი ვახუშტის ნაშრომში მიაღწია. ისტორიულ კვლევას ვახუშტიმ, ივ. ჯავახიშვილის თქმით, „მკვიდრი სამეცნიერო საფუძველი მისცა". ამავე მეცნიერის აზრით „ვახუშტის შრომა წყაროების ეგოდენ საფუძვლიანი შესწავლისა და იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის ღრმა დაკვირვების ნაყოფია, რომ შემდეგშიაც იგი მუდამ უკვდავების შარავანდედით იქმნება მოსილი და არას დროს მნიშვნელობა არ დაეკარგება"[2].

პედაგოგიური აზროვნება

შესამჩნევი გამოფხიზლება დაეტყო მე-17—18 სს. მიჯნაზე პედაგოგიურ აზროვნებასაც. სწავლა-აღზრდის საკითხების გარკვევას ცდილობენ არჩილი, ს. ს. ორბელიანი და შემდეგში—დ. გურამიშვილი.

არჩილმა თავის თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი" ასწერა ქართული ფეოდალური აღზრდის წესები. ამ ნაწარმოების სახით მან ქართველი არისტოკრატიის ზნეთა და ქცევათა მთელი კოდექსი დაგვიტოვა. მაგრამ არჩილი ამაზე არ შეჩერებულა. სწავლა-აღზრდის ზოგიერთ ძირითად საკითხზე მან საკუთარი მოსაზრებაც წამოაყენა. არჩილმა პირველად მიანიჭა უპირატესობა ადვილად სწავლების პრინციპს, რომელმაც შემდეგში ფართო გავრცელება ჰპოვა ვახტანგის განმანათლებელ მოღვაწეობაში:

„მსწავლელი მოსწავლეებსა სასწავლოს არ გაუძნელებს,
მცირედ-მცირედის სწავლებით ძნელ საცოდნს გაუადვილებსო",

ამბობს არჩილი. ადვილად სწავლების პრინციპთან ერთად არჩილი ბავშვის დასვენების უაღრესად საღ პედაგოგიურ აზრს უჭერს მხარს:

„ცოტა რამ კარგად ისწავლოს [ბავშვმაო], გაუშვებს
[მასწავლებელი], მალ ასადილებს".

არჩილი ერთმანეთს უპირისპირებს „მხედრულს"—საერო-ფეოდალურ აღზრდასა და „სიბრძნეს", ანუ გონებრივ განვითარებას, წიგნურ განათლებას, განსწავლულობას, და ამ უკანასკნელს უფრო მაღლა აყენებს („სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა რა, არც ისე მოსახმარია...").

მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო ათეულ წლებში ვახტანგის აღმზრდელმა, ჭაბუკმა სულხან-(საბა) ორბელიანმა საგანგებოდ, სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნით შეადგინა ზემოთ ხსენებული იგავ-არაკთა კრებული: „ყრმათათვის ამოდ საკითხავი და მრავალგან სასარგებლოდ გამოსადეგი წიგნი", რომელ-

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 4,7.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი და წყაროები, II—III გ-მა, თბ.. 1945, გვ-336, 351.

საც უწოდა „სიბრძნე სიცრუისა“. კრებულში მოთავსებულ პატარ-პატარა, სიუჟეტურად დასრულებულ, დამოუკიდებელ არაკების გამაერთიანებელ ღერძს მეფის შვილის აღზრდის პრობლემა წარმოადგენს. საკითხების წამოყენებასა და გადაწყვეტაში სქოლასტიკურ-დოგმატიური და, საერთოდ, რელიგიური გაელენისაგან სრულიად თავისუფალი პედაგოგიური აზრები მჟღავნდება.

დიდი ხანია აღნიშნულია, რომ ავტორი აქ მეფის შვილის თავისებური დემოკრატიული (ზოგის თქმით—სპარტული) აღზრდის მომხრედ გამოდის. აღმზრდელი მიზნად ისახავს მომავალ ქეფეს შეასწავლოს „ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი“.

დასახული მიზნის მისაღწევად ჯუმბერის მასწავლებელი ლეონ მოაწორებს თავის მოწაფეს განცხრომით და ფუფუნებით სავსე ცხოვრებას და მეტად მკაცრი, საკმარისად სახიფათო ზომებით (თავისებური პირადი ცდის ნეთოდით) სურს ჩაუბეჭდოს ბავშვს გონებასა და გრძნობაში ჩაგრულთადმი თანაგრძნობა და ძლიერთა უსამართლობისა და თვითნებობისადმი სიძულვილი.

ამგვარად, „სიბრძნე სიცრუის“ მაღალი ჰუმანიურობით გაშუქებული პედაგოგიური იდეები ძალ-მომრეობის გაბედულ მხილებასა და ჩაგრულთა გულმხურვალე მოსარჩლეობას წარმოადგენენ.

მართალია, ხსენებული „ცდის მეთოდი“ მეტად უხეშია და ახალი პედაგოგიკის თვალსაზრისით სრულიად მიუღებელიც (50 ჯოხის დაკერა ბავშვისათვის უსამართლოდ, რათა მომავალმა მეფემ იგრძნოს და შეიგნოს უსამართლოდ მიყენებული სასჯელის მთელი სიმწარე და თვითონ სამართლიანი გახდეს—და სხვ. მისთანანი), მაგრამ მეტად საგულისხმიეროა, რომ აღმზრდელს მხოლოდ პირადად განცდილის საფუძველზე ჩამოყალიბებული ზნეობა მიაჩნია საიმედოდ და ამ წესით აღზრდილი ადამიანისაგან ის სათანადო საქციელს მოელის.

ს. ს. ორბელიანის სასწავლო წიგნს საერო ხასიათი აქვს (ავტორმა ეს თხზულება დასწერა „ჟამსა ჰაბუკობისასა“, ე. ი. ბერად შედგომამდის).

„სიბრძნე სიცრუის“ წიგნი შესანიშნავია აგრეთვე ხალისიანი სწავლების პრინციპით, რომელსაც მისი ავტორი მისდევს.

წიგნის პედაგოგიურ მხარეს მისი შინაარსის სასწავლო მასალა უკავშირდება: არაკთა კრებული წარმოადგენს თავისებურ საბავშვო ენციკლოპედიას, რომლის მეშვეობითაც ყრმა სრულიად ძალდაუტანებლად ეცნობა, მაგ., ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, მინერალებს, სახელმწიფოებრივ თანამდებობათ, სოციალურ ჯგუფებს, ფულისა და წონის ერთეულებს, სამუსიკო საკრავებს, მკურნალობა-დოსტაქრობის ანეგდოტურ ამბებს და სხვ.

განსაკუთრებით საყურადღებოა კრებულის გეოგრაფიული მასალა. როგორც აღნიშნული იყო, წიგნში ყურადღებას იპყრობს დიდ-ვაჭართა და ვაჭართა ამბების სიმრავლე და ფეოდალური კარჩაკეტილობისათვის უჩვეულო მოძრაობისა და მიმოსვლის ამბები.

ამბების მოქმედება, საერთო ჯამით, ფართოდ მოხაზულ გეოგრაფიულ არეზე არის გაშლილი. კრებულში მრავალი გეოგრაფიული ადგილია მოხსენებული (ქვეყნები, ქალაქები, მდინარეები და სხვ.).

გეოგრაფიული სახელწოდების შესაბამისად თითქმის ყოველ ცალკე შემთხვევაში დაცულია ქვეყნისა თუ ხალხისათვის დამახასიათებელი კოლორიტიც.

შესამჩნევად ჭარბობს უცხო ქვეყანათა მოხსენიება. გამონაკლისის სახით გვაქვს: ბოლნისელი მეფუნდუკის ამბავი („ბოლნისის მთის ძირსა, გზის გარდასავალსა, ერთი კარგი ფუნდუკი აეშენათ... მგზავრი გაიარდა (მეფუნდუკემ)... აავის, აჭამის, ცხენის ქერი და ბზე მისცის, ფასი არ აიღის". „დიდ-ვაჭარი და ბოლნისელი მეფუნდუკე". 131). ამ ამბავში, ბოლნისის მთის ძირს აშენებული ფუნდუკის ნიშანდობლივ აღწერაში, ზღაპრული და არარეალური არაფერია.

ამდენადვე საყურადღებოა თავისი რეალურობით „კლარჯეთის თემის" გზირის ამბავი. ეს მინიატურული ნოველა თურქეთისაგან დაპყრობილი კლარჯეთის უნუგეშო ხვედრს გვიხატავს. ცხადია, ამ ნოველას სინამდვილეში არსებული მდგომარეობა უდევს საფუძვლად (გვ. 49—50, 1938 წ. გამოცემისა).

არაკებში იხსენიება საქართველოს მეზობლად მდებარე კავკასიის ქვეყნები და ადგილები: დარუბანდი (დარუბანდელი მთიბავები), განჯა (განჯელი), შირვანი („უსამართლო შირვან-შაჰი"), სომხითი („მე სომხითის მეფისა აქიმი ვიყავ". 106), ზანგა (გეოგრაფიულ ადგილად და არა მდინარედ. 154).

გაცილებით უფრო ხშირია უცხო და შორეული ადგილების მოხსენიება: „ბაღდადის ქალაქსა წესი იყო—რა მეხილებსთან კაცი მივიდის, ორი ფ[ლ]უ ₁რ]ი მისცის, რაც ენების, ეგოდენი ხურმა შეჭამის"; „შაადის მდინარესა ჩაყარა (საუნჯე კაცმა)". „იგი ხურო თურე ბაღდადელი იყო, შაადი სად ჩადის" (10 გვ.). ბაღდადთან იხსენიება უდაბნო და იქ მცხოვრები „გლახაკი არაბთაგანი"; სხვა არაკში „ბაღდადის ხალიფამ ინადირა...ნახა უდაბნოში ერთი შავი კარავი"...„ბაღდადის ხალიფა დია კარგი მეჯინიბე იყო..." „ისპაანელი კაცი ჭარავანთან ერთად ბაღდადს მიემგზავრება—იქ მერწყულად დგება. შემდეგში მას ბაღდადის ხალიფა დაიბარებს. „იყო ბურსას დიდებული ერთი დიდ-ვაჭარი", ამ ზღაპრული სიმდიდრის დიდ-ვაჭარს ინდო-ვაჭარი ეწვევა.

მრავლად გვხვდება არაკებში ინდოეთისა და ინდოელების სიმდიდრის, მათი დიდი ვაჭრობის ამბები. სპარსი ვაჭარი, ინდოეთს მისული, „ქიშმირის ქალაქად", „დიდებულთა ვაჭართა საკრებულოში" შედის ბრიყვულად და საპატიო ადგილას ჯდება: „თქვენც გასმიათ ინდოთ სიმდიდრის ამბავი", გვეუბნება ავტორი და მოგვითხრობს ინდო-ვაჭრების ზღაპრულ სიმდიდრეს, აგვიწერს მათ ვაჭართა „საკრებულოს" დარბაისლურ წესებს, ზრდილობასა და ინდოელ ვაჭართა დიდ უპირატესობას სპარსელებთან შედარებით („სპარსი და ინდო").

ინდოეთი უცხო სანახავთა ქვეყნად არის დახატული. უცხო ხილით, პირუტყვით, ფრინველით... „მრავალიუსახო მოთამაშეებით", ჯამბაზობა-მუშაითობით, მისნობა-თვალთმაქცობით—სხვათა შორის—ადამიანების მფრინაობით, გრძნეული ექიმებით.

მაჩინი და ჩინი დასახული არიან აგრეთვე დიდი ვაჭრობის ქვეყნებად, რომლებიც საქონლის სიუხვით სპარსეთის ქვეყანას სჭარბობენ.

განსაკუთრებით ხშირია სპარსეთის (და სპარსის), ისპაანის (და ისპაანელის), თავრიზის, ქირმანის, შირაზის ქალაქის, ხორასნის, შამის, გილანის (გილანელნი) ვაჭრების ხსენება; არა ერთხელ იხსენიება ქაბა—მაჰმადიანთა წმინდა ქალაქი.

თურქეთის პოლიტიკური მფლობელობის სფეროში მოქცეულ ქალაქთაგან აქ, გარდა კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) მოხსენიებისა, იხსენიება ჰალაბი (ალეპო).

არაკების პერსონაჟებს (ვაჭრებს, დიდ-ვაჭრებს) კავშირი აქვთ გაბმული საფრანგეთთანაც (დას. ევროპა: „დიდ-ვაჭარმა“ „გამოუღო ცოლსა თვისსა სამკაული, რაცა აქვნდა და წარვიდა საფრანგეთს. განყიდა, ივაჭრა“. 12).

სხვა არაკში კეისარი მოციქულად გზავნის მაგისტროსს, თავის ყმას, „საფრანგეთს“ (გვ. 134).

იტალია, არაკების მიხედვით, დახელოვნებული მხატვრების ქვეყანა არის („მიველ ქალაქსა იტალიისასა. მნახა მხატვარმა ეინმე—ყოველთა მხატვართა უხუცესი იყო“ და სხვ. გადმოცემულია მხატვართა ყოფა-ცხოვრების ეპიზოდები. გვ. 92—94).

ვახტანგის დროინდელი სწავლების ბეტად მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ერთი დამახასიათებელი წესი. იგი სწავლების ძველი ტრადიციული სისტემის ერთ-ერთ ნაშთს უნდა წარმოადგენდეს: ამ წესის მიხედვით ყოველივე მცოდნე, მეცნიერი, სწავლული ამაეე დროს მასწავლებელიც არის იმ საგნისა, რომელიც მან იცის. მაგ., ოლიმპოს მთაზე (საბერძნეთში) 978 წელს გადაწერილი შესანიშნავი ქართული ხელნაწერის აშიაზე არჩილ II-ის ხელით მიწერილია:

„იოსებ სააკაძემ მასწავლა წმინდა და საკვირველებითა
სავსე წიგნი ესე სახელით ოდენ მეფესა არჩილსო“[1].

იოსებ სააკაძე—თბილელი ეპისკოპოსი, რომელიც, უეჭველია, საკმარისად ერკვეოდა სასულიერო მწერლობის ძეგლებში, ამ შემთხვევაში არჩილ ბეფის მასწავლებელი ყოფილა.

მსგავს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ თვით არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი და ვახტანგის დროინდელი სხვა განათლებული ქართველები. ეს წესი, ეტყობა, მეტად ფართოდ ყოფილა გავრცელებული. პედაგოგიურ მოღვაწეობას სახელმწიფოებრივი საზრუნავით დატვირთული ვახტანგ VI-ც კი ეწეოდა.

ზემოთ მოვიხსენიეთ ვახტანგის თესავი, შემდეგში ერეკლე II-ის დროინდელი მოღვაწე, „ქართველთა ნამს ჭულევი“ იოანე ორბელიანი, რომელიც 1757 წელს დაწერილ ანდერძში აღ იშნავს: „სანატრელმან მეფემან ვახტანგ ფრიადი შრომა ყო ჩემდა და მასწავა რომელიმე სწავლა ქალდეური ვარსკვლავთ-მრიცხველობისაო“[2].

---

[1] ხელნაწერთა აღწერილობა, III, თბ., 1948, № 1346.

[2] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), IV, თბ., 1954, № 1162 ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 211.

ცოდნის ასეთი ცოცხალი გაცვლა-გამოცვლისა და გაზიარების წესის დიდი მნიშვნელობა თავისთავად ნათელია.

სამწუხარო ასპარეზზე არჩილისა და ს.ს. ორბელიანის შემდეგ, დიდი პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისის პერიოდში გამოსულ დავით გურამიშვილსაც გარკვეული დამსახურება მიუძღვის ახალი პედაგოგიური იდეების ფართოდ გავრცელების საქმეში. პოეტი არა ერთხელ უბრუნდება „მოსწავლეთა სწავლის“ საკითხს. მაგრამ არჩილისა და სულხან-საბას ნააზრევს იგი ახალს არაფერს მატებს.

საკუთრად დ. გურამიშვილს შეიძლება მივაკუთვნოთ ფიზიკური სასჯელის ერთ-ერთ აღმზრდელობით ზომად ჩათვლა („ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი...“). არჩილისა და ს. ორბელიანის ნაწერებში ასეთ იდეას ვერ ვპოულობთ (50 ჯოხის დაკვრა მეფის ძისათვის „სიბრძნე სიცრუის“ წიგნში ფიზიკურ დასჯად არ განიხილება. ეს არის არა აღზრდისა და სწავლების წასამართავი ზომა, არამედ გარკვეული ზნეობრივი იდეის—ამ შემთხვევაში, სამართლიანობის იდეის, ღრმად ჩანერგვის მეტად თავისებური და სახიფათო ხერხი—უსამართლობის მთელი უხეშობის საკმარისად ბარბაროსულად ჩვენებით).

დ. გურამიშვილს ეკუთვნის აგრეთვე სასწავლო ასაკის შესახებ მსჯელობა: „კაცი მხცოვანი განისწავლების ძნელადა“; „ახალ მოზარდი ყრმა“ კი ადვილად გაიწვრთნებაო, ამბობს პოეტი.

ხსენებული ახალი, პროგრესული პედაგოგიური აზრები ძირითადად ჯერ კიდევ ინდივიდუალური, შინაური აღზრდისა და სწავლების ფარგლებში ტრიალებს.

მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ ქართული ძველი სამონასტრო სკოლები ამ აზრების გავლენის გარეშე ვერ დარჩებოდნენ. ზოგიერთი თვალსაჩინო ფაქტი კი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ვახტანგის დროს საფუძველი ეყრებოდა ახალ სკოლას.

ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს 1711 წელს მხედრული შრიფტით დაბეჭდილი სასწავლო წიგნი. იგი განსაკუთრებული სიცხადით ამჟღავნებს ვახტანგის დროინდელი სწავლა-განათლების პროგრესულ ხასიათს.

ამ სახელმძღვანელოს უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევესებით. აქ კი აღვნიშნავთ, რომ 1711 წელს დაბეჭდილი სასწავლო წიგნი შედგენილია ადვილად სწავლების პრინციპის მიხედვით: დაწერილია სადა ხალხური ენით, დაბეჭდილია ვახტანგის სტამბის მკაფიო მხედრული შრიფტით და სწავლების გაადვილების ტენდენციის ჩინებულ ნიმუშს წარმოადგენს. ამ სახელმძღვანელოს დაბეჭდვას გადაჰკიდა გაეჩაჰყავს ვახტანგის დროინდელი სწავლა-განათლება ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ვიწრო ფარგლებიდან და სასკოლო სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლის მომასწავებლად გვევლინება.

ლიტერატურული კრიტიკის ჩასახვა

ლიტერატურული ინტერესის გაფართოების ნიშნებს საქართველოში ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულში ვამჩნევთ:

„მინახავს მელექსებისა შედრაზედ დიდი ცილება,
„ბევრჯელ მასმია ცილება: ამბობენ სჯობსო ეს მასა“—

გვამცნობს არჩილი, თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასების ავტორი, ქართული კაზმული მწერლობის პირველი მიმოხილვის დამწერი, რომელიც, როგორც აღნიშნულია, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ფუძემდებლად ხდება[1]. ა. ბარამიძის თქმით, არჩილის „თვალსაზრისი ახალი იყო და თავისი დროისათვის გაბედულიც და პროგრესულიც“. თეიმურაზისა და რუსთველის „გაბაასებაში“ დასმულია და ერთგვარად გადაწყვეტილია კიდევაც ყველა ის კითხვა, რომლებიც აღელვებდა არჩილს და მის თანამედროვეთ“ (ა. ბარამიძე).

თანამედროვე თვალსაზრისით არჩილის მსჯელობა რუსთაველის შესახებ ხშირად მეტად უხეშად გამოიყურება და ზოგჯერ „აღორძინებისათვის“ დამახასიათებელ ბარბაროსობაშიდისაც მიდის; მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ უკარგავს მნიშვნელობას XVII საუკუნის ამ პირველ კრიტიკულ ნაშრომს.

ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარების თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა არჩილის გაელენით აღზრდილი ვახტანგის მონოგრაფია: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა“, დაბეჭდილი თბილისის სტამბაში 1712 წელს, ვეფხისტყაოსნის პირველ ნაბეჭდი ტექსტის დამატების სახით.

„ვეფხისტყაოსნის“ გამო სიტყვიერი ცილობის დროს (XVII—XVII სს. მიჯნაზე), როგორც ცნობილია, ულტრა-კლერიკალურმა ბანაკმა რუსთაველის ქმნილებისადმი მკვეთრი ნიღილისტური განწყობილება გამოამჟღავნა. რუსთაველს უსაყვედურებდნენ, რომ მან „ვეფხისტყაოსანში“ „საღვთო სწავლა“ არ მოგვცა და თავისუფალი, საერო ხასიათის წიგნი დასწერა; მაგრამ ეს ცოტაა: ხსენებული ბანაკი მთელ ამ თხზულებას „სამეძაოდ“ აცხადებდა („უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდენ მის. რიტორისა და ბრძენ-მეცნიერისა, კეთილად ნამუშაკევისა სამუშაკოსა“.— „ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი“, გვ. ხპვ, ტფ., 1937).

„ვეფხისტყაოსნის“ ამგვარ განმარტებას ვახტანგი სამართლიანად განიხილავდა, როგორც ბრმა, ფანატიკური უვიცობის მაგნე შედეგს, და საჭიროდ მიაჩნდა შებრძოლებოდა ამ აზრს, ვინაიდან „ქუეყნის უფროსი ავის დამშლელი“ უნდა იყოს.

აქედან მომდინარეობს ვახტანგის „თარგმანის“ პოლემიკური ტონი და მტკიცება, თითქოს რუსთაველის მიჯნურობა „საღმრთო მიჯნურობა იყოს“ და სხვ. მაგრამ ამ უცნაური მტკიცების გვერდით ვახტანგი ისეთი მეცნიერული ღირებულების საკითხების წამოყენებას ახერხებს, რომლებიც XIX—XX

[1] ა. ბარამიძე, არჩილის ცხოვრება და შემოქმედება, გვ. XX. „არჩილიანი“. II, თბ., 1937.

საუკუნის რუსთველოლოგისთვისაც საკმარისად რთულ პრობლემად იყო ცნობილი; მაგ., ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის („ქართულობის") საკითხი, ამ საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებული, ქრისტიანობის კვალის ძებნა „ვეფხისტყაოსანში" და სხვ.

ამასთან ერთად, ვახტანგი „თარგმანში" გონებამახვილად მიგვითითებს რუსთაველის ზოგიერთ საყურადღებო მხატვრულ ხერხს.

განსაკუთრებით დასაფასებელია ვახტანგის „მნიშვნელოვანი ცდა ვეფხისტყაოსნის სპეციალური ლექსიკონის შედგენისა". აკადემიკოს ა. შანიძის დასკვნით, ამ ლექსიკონში „ბევრი სიტყვა ვახტანგს ჩინებულად აქვს ახსნილი", „საერთოდ ლექსიკონი კარგია და თავის დროისათვის ჩინებულიც"[1]. ვახტანგის „თარგმანს" და ამ მონოგრაფიის დაბეჭდვის მნიშვნელობას დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით. აქ კი საჭიროა აღინიშნოს, რომ ვახტანგის მიერ ვეფხისტყაოსნის მთლიანად და უკლებლივ მ ი ღ ე ბ ა მ დიდი ხნით დატოვა ნათელი კვალი ქართველი მოწინავე საზოგადოების აზროვნებაში. ვახტანგის ნაკარნახევი აზრი ისმის დ. გურამიშვილის სტრიქონებში:

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო-და,
ფესვლრმა ჰყო, შრტონი უჩინა. ზედ ხილი მოიწეოდა;
და ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა.
და ლექსი რუსთველებრ ნათქვამი მე ვერსად ვერ ვნახეოდა."

მოგვიანებით, XVIII საუკუნის სამოციან წლებში დაწერილ რუსთაველთან „გაბაასებაში", თეიმურაზ მეორის მიმართვაში რუსთაველისადმი: „შენი ნათქვამი საღმრთოდ თუ საეროდ მოიხმარების"—ისევ ვახტანგის გავლენა ცოცხლობს.

მეორე მხრით, ვახტანგის გამოსარჩლება და ვეფხისტყაოსნის ნაბეჭდი გამოცემის გამოსვლა 1712 წლის შემდგომ დამყარებულ ახალ პოლიტიკურ ვითარებაში (ვახტანგის წინააღმდეგ შეთქმულება და სხვ.) ახალ, გააფთრებულ თავდასხმას იწვევს არა მარტო რუსთაველის ქმნილებაზე, არამედ ვახტანგის „თარგმანში" გატარებულ ტენდენციებზე.

XVIII საუკუნის II ნახევარში „ვეფხისტყაოსნის" გამო ცილობა ვახტანგის „თარგმანის" გამო ცილობად არის ქცეული. ამის თვალსაჩინო ნიმუშს გვაძლევს ტ ი მ ო თ ე ს ცნობილი „მოხილვის" ავტორისეული შენიშვნა შოთა რუსთაველის შესახებ: „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტეანობა".

როგორც ვიცით, ტიმოთე არ კმაყოფილდება შოთას ამგვარად შემკობით და განაგრძობს: „ხოლო უწინარეს ჩ~ნსა უმეცართა საღთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი"-ო[2].

სრულიად ნათელია, რომ აქ ტიმოთე ვახტანგსა და მის „თარგმანს" უტევს, ვინაიდან სწორედ ვახტანგმა თარგმნა საღმრთოდ „ვეფხისტყაოსანი".

ტიმოთეს ეს პირდაპირი თავდასხმა და ვახტანგის უმეცრად გამოცხადება იმ ღრმა რეაქციული სულისკვეთების ამსახველია, რომელმაც თანდათან მოიკიდა ფეხი XVIII საუკუნის 30—40 წლების შემდგომ, დიდი პოლიტიკური მარცხისა და ეკონომიური დაქვეითების შედეგად.

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, „ვახტანგის ლექსიკონი", გვ. 367. „ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი" ტფ., 1937.


[2] ტ ი მ ო თ ე, „მოხილვა", საქართვ. მუზ. ხელნაწ. S : 3244, გვ. (210/212).

ՃՐՈՒՄ:

ԿԸՌՈՒԹ. ԺԿ.


Ղևոնդ: Ճաոևո: ՍՈ.

Ձաւդ ա՛ն կապիտ ցի՛ն Ճչ տևծո
Ճա՛ն իւ. ևո՛ ցնաւկ Ճչ Ճրդան
Ճաւծոա պրչևծդ ✿ Ելդաց խաչ
ոա իւ ևո՛ ցաօ պրչև. պչդաւոցին
ձահո ցի՛ն ոևա խդծա ևո՛ ցչնդոց
ցի՛ ✿ Ճոդա՛ոդծդ ա՛ն ևո՛ ցի՛ծ՛ծդ
ո՛ոծոպչդդ ձչհոծո՛ո ✿ Ելչաց
ևհդ լոո՛ո ձահոհո չդհոհշհո.
ևո՛ ցի՛ծ՛ծդ ոոդոոո լոո՛ ւ իւ ✿
Ճ՛ ցհա՛ո կիչոոա Ճչ ձևոո՛ո ցևհ.
Ճչ Ճդծ՛ծ ձաոդա՛ոդ ցաոչոոն
ևոո՛հ



სამოციქულო. თბილისი, 1709. ბაგრატიონთა ღერბი და მის „იგავთა“ ლექსი

ანბანური ციფრების ცხრილი, 1709 წ. ალექსანდრიიდან



„საძიებელი მოწმობა“, 1709 წ. საზოციტულოდან

გონებამახვილი შენიშვნები დაურთო ვახტანგმა მისი თაოსნობითა და პირადი მონაწილეობით თარგმნილ „ქილილა და დამანას". რედაქტორისა და მთარგმნელის „დიდს ჰირსა შინა მყოფის მეფის ვახტანგის" ანდერძში (1889 წლ. გ-მა, გვ. 11—13) მოკლედ და სადად გადმოცემულია „ქილილა და დამანას" ქართულად თარგმნის რთული ისტორია, დასახელებულია წყაროები, რომელთა მიხედვითაც დადგენილია ხსენებული ისტორია. ვახტანგი აღნიშნავს, რომ „ქილილა და დამანას" ძველი, თამარის დროინდელი თარგმანის არსებობის ცნობა მან „ქართლის ცხოვრებაში" ამოიკითხა. საყურადღებოა, რომ მეცნიერი ავტორი არ კმაყოფილდება წერილობითი წყაროს მითითებით და საჭიროდ მიაჩნია აუწყოს მკითხველს, რომ „ქილილა და დამანას" ძველი თარგმანის არსებობას მოწმობს ქართული ხალხური ზეპირსიტყვაობის ნიმუშებიც:

> „ამითაც საცნაურ არს (ძველი თარგმანის არსებობაო, რომ)— რაოდენსაცა საქართველოსა შინა ანუ არაკსა, ანუ იგავსა, ანუ ზეპირს მუნასიბსა იტყვიან, უფროსი ერთი ამაში (ქილილა და დამანაში) სწერიაო".

ვახტანგმა და, შემდეგში, ს.ს. ორბელიანმა წამოაყენეს უცხო ენიდან თარგმნის საყურადღებო საკითხები,რასაც იმ დროს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

ს.ს. ორბელიანისა და ვახტანგის საყურადღებო გამონათქვამი უცხო ენიდან თარგმნის შესახებ ჩართულია „ქილილა და დამანას" ტექსტში, ხსენებული პირების ანდერძებში. სულხან-საბა აღნიშნავს უცხო ენიდან თარგმნის სიძნელეს: „სხვას ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არ კარგის მცოდინარისაგან, გაჲოთარგმნა ძნელია", ამბობს ის.

საბა პირდაპირი ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, „სწორად" თარგმნის წინააღმდეგია; მისი აზრით, ქართულად თარგმნის დროს უცხო ენაზე დაწერილმა ტექსტმა ბუნებრივად გარკვეული სტილისტური ცვლილება უნდა განიცადოს; მთარგმნელმა „ზოგან ართრონი ან [უნდა] მოუმატოს ან დააკლოს, თვარემ ისე სწორად უგემური მოვა" („ქილილა და დამანა", 1886, გვ. 8).

ვახტანგის აზრით ზედმიწევნილი თარგმნის მიღება შეუძლებელია, ვინაიდან „სხვის ქაცისაგან ნათქვამს ამბავს მეორე ისრე ვეღარა იტყვის" („ქილილა და დამანა", 1886, გვ. 13).

ხსენებულ გამონათქვამებში, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა არა საკითხის გადაჭრა, არამედ თარგმნის პრობლემის წამოყენება. ეს საკითხი XVII—XVIII საუკუნის განათლებული ქართველებისათვის, როგორც ითქვა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ამ დროს ქართულად ითარგმნებოდა არა მარტო მხატვრული თხზულებები, არამედ მეცნიერულ ნაწარმოებთა მთელი რიგი, რისთვისაც აუცილებლად საჭირო იყო ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნა, სპეციალური ლექსიკონების შედგენა.

ვახტანგის თაოსნობითა და პირადი მონაწილეობით თარგმნილ ულუღბეგის „ვარსკვლავთა კატალოგში", ნასირ თუსელის „სტროლაბის სასწავლე-

ბელ წიგნში", „აიათში" (=კოსმოგრაფია) და სხვ. ჩვენ მრავლად ვხედავთ ასეთ სპეციალურ ლექსიკონებს. როგორც კ. დონდუა აღნიშნავს, ამ რთული მუშაობის წარმატებისათვის საჭირო იყო „მივიწყებული ქართული სამეცნიერო ენის აღდგენა და მისი მომარჯვება. მაშასადამე, საჭირო იყო არა მარტო უცხო ენით თარგმნა, არამედ შესაფერისი ლექსიკონების დამზადებაც"[1].

კ. დონდუა აღნიშნავს აგრეთვე ტერმინოლოგიის მერყეობას ქართულ თარგმანში (გვ. 63). მისი თქმით: „ახალი ქართული, ცოცხალი ეულგარული ქართული, ძველი სალიტერატურო ქართულის თითქმის მოკრძალებით შენახული ფორმები და სპარსულ-არაბულ-სომხურ-თურქული...შეხმატკბილებული არიან" ნათარგმნ ტექსტებში (გვ. 64).

ცოდნის „გადმოქართულების" არაჩვეულებრივად ძლიერი მისწრაფებით შეპყრობილი ვახტანგი და მისი თანამოღვაწენი გაბედულად მიდიოდნენ მეცნიერული ტექსტების თარგმნის ამ ინელი გზით.

ნათარგმნი ლიტერატურის ზრდამ და სასაუბრო მეტყველების ცვლილებებმა, რომლებიც ბუნებრივად უნდა წარმოშობილიყო XVII—XVIII სს. მიჯნაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხის პოლიტიკური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის გაცხოველების შედეგად, თავისი კვალი დააჩინა სალიტერატურო ენას. ძველი ლიტერატურული ტექსტები ხელუხლებელი და ურყევი რჩება (საქრისტიანო-სასულიერო-საეკლესიო ძეგლებში); მხატვრულ ლიტერატურასა და მეცნიერებაში კი გზას იკვალავს და თანდათანობით ყალიბდება სასაუბრო ენასთან ახლო მდგომი ახალი სალიტერატურო ენა, რომელსაც დუღილისა და სიჩვრელის კვალი აზის[2].

ამასთან ერთად ვახტანგისდროინდელ სამწერლო სალიტერატურო ენას გამარტივება-გაადვილება ემჩნევა. საყურადღებოა, რომ ენის ეს ცვლილება მხოლოდ სტიქიურად, „თვითმდინარებით" არ წარმოებს. მას შეგნებულად უწყობენ ხელს როგორც ვახტანგი, აგრეთვე მისი განათლებული თანამოღვაწენი.

ცოდნისა და განათლების ფართოდ გავრცელების სურვილით აღძრული ვახტანგი ამბობს:

„მე კაცის შეტყობისა და მოუძაგებლობის გულისათვის ადვილისა და მსოფლიო სიტყვით დავსწერე, რომ...ეს სწავლა გაუგონებელი არ დარჩესთო" („ქილილა და დამანა", გვ. 12).

აქედან ცხადია, რომ ვახტანგი განზრახ, შეგნებულად ისწრაფვის ენის გაადვილებას, რომ თავისი ნაღვაწი მკითხველთა ფართო წრისათვის მისაწვდომი გახადოს.

ასეთი მისწრაფება მხოლოდ ვახტანგს არ ახასიათებს: მისი ერთ-ერთი თანამოღვაწე გერმანე თავისი ნაშრომის „საერო და სოფლური" ენით წერას ამგვარად ასაბუთებს:

„ამისთვის დავსწერე საეროსა და სოფლურის სიტყვითა, რომ სიადვილისათვის მსწრაფლ ზედ მიიწიონეთ და მტკიცედ დაიდოთ გონებასა და ჩემ,

[1] „სპარსულ-ქართული ცდანი", I, ლენინგრადი, 1926, გვ. 55.

[2] იქვე, შდრ. გიორგი მარრი, ულუბეგის ზიჯის ვახტანგისეული თარგმანი, გვ. 3—4; კარპეზ დონდუა, ჰიდაჲათ ილ-ნუჯუმი, გვ. 59—66.

ცოდვილისათვის, შენდობას იტყოდეთ“ (გერმანე. სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა, თბ., 1711).

ახალი იდეოლოგია

(პოლიტიკური შეგნების ამაღლება)

მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოს სინამდვილეში მომხდარ დიდ ეკონომიურსა და პოლიტიკურ ძერებთან დაკავშირებულია ახალი იდეოლოგიის წარმოშობა. ამ იდეოლოგიამ, უპირველეს ყოვლისა, ქართულ საისტორიო ნაშრომებში იჩინა თავი (იხ. ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ერთობის აზრი...“).

საქართველოს წარსულის ძეგლების ძებნა-შეკრება, საქართველოს ისტორიის შევსების მისწრაფება სახელმწიფოებრივი ინტერესებით იყო ნაკარნახევი; ეს საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდებოდა, ერთი მხრით, დაშლილი პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის აუცილებელი საჭიროების შეგნებას და, მეორე მხრით, ირან-თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების მისწრაფებას.

საქართველოს ერთიანობის აზრის განმტკიცებას ხელი შეუწყო მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარმა დიდმა ისტორიულმა ამბებმა (ქართლ-კახეთის შეუპოვარი ბრძოლა ირანის ბატონობის წინააღმდეგ,—შაჰ-აბაზის შემოსევანი). ამ ამბებთან დაკავშირებით მოწინავე ქართველებს, მათ შორის კახთა მეფეს თეიმურაზ I-ს, ქართლის მეფეს ლუარსაბსა და სხვა მრავალს, პოლიტიკურად დაქუცმაცებული ფეოდალური საქართველოს ვიწრო, კუთხური მიჯნების გადალახვა უხდებათ. ამის შედეგად დასავლეთ საქართველოში ამ დროს არა ერთი „აღმოსავლელი“ ქართველი მოღვაწეობს: მაგ., ნიკიფორე კახი (ჩოლაყაშვილი 1585—1658), რომში 1629 წლის ქართული ნაბეჭდი გამოცემების ტექსტების ავტორი, პირველი ქართული (მხედრული) შრიფტის ჩამოსხმის მონაწილე, იერუსალიმის ქართველთა მონასტრის განმაახლებელი, ენერგიულად ავრცელებს სწავლა-განათლებას იმერეთსა, სამეგრელოსა და გურიაში[1]. XVIII საუკუნის პირველ ათეულ წლებში აღმოსავლეთ საქართველოში თვალსაჩინო კულტურულ მოღვაწეობას ეწევა გურიდან მეჩვიდმეტე საუკუნის 70-იან წლებში მოსული ოთარ, იგივე ონოფრე მაჭუტაძე[2].

კუთხური განკერძოება აღარ არსებობს, მაგ., ქართლის მეფის, შაჰნავაზის ძის, არჩილისათვის, რომელიც 1604—1675 წწ. კახეთის მეფედ ზის, ხოლო მომდევნო ოცეული წლის განმავლობაში ამაოდ იბრძვის იმერეთის ტახტის დაუფლებისათვის. მწირობაში მყოფი არჩილი ერთნაირი გულისტკივილით ნატრობს თავისს „გამზრდელ-გაზრდილებს“, რომელნიც არიან:

„კა ამყოლ-მუსაიფები, მოლხინე, თან-მოღიმილნი:
იმერნი, კახნი, ქართველნი, ვისითა მქონდა ქადილნი“.

---

[1] კ. კეკელიძე, ნიკიფორე ირბახი, გვ. 139 (ლიტერ. მემკვიდრ.).

[2] Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи. Т., 1918. გვ. 96—107.

ამგვარადვე, არჩილი, როცა საქართველოს ფეოდალური საზოგადოების ზნეობრივ დაქვეითებას აღნიშნავს, მარტო აღმოსავლეთ საქართველოს კი არ გულისხმობს, არამედ პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ჩამოთვლის: „იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთსა ანუ საქართლეთ (ე. ი. ქართლს)", რომელთა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მჭიდროდ დაა-კავშირა არჩილი პოლიტიკურმა ამბებმა.

აღმოსავლეთისა და დასავლეთ საქართველოს ბედ-იღბლისადმი თანა-ბარი გულისხმიერება გამოსჭვივის ს.ს. ორბელიანის დიპლომატიურ საქმია-ნობაშიც. საბა წინასწარ შეთანხმებულია დასავლეთ საქართველოს კათალი-კოს-პატრიარქთან და დიპლომატიური მოლაპარაკების დროს მისი დანაბარე-ბის შესრულება თავის მოვალეობად მიაჩნია[1].

უნდა ითქვას, რომ, საერთოდ, საბას უნაყოფო და იმთავითვე განწი-რული დიპლომატიური მისია განსაკუთრებული სიცხადით ამჟღავნებს ვახ-ტანგის, საბასა და ქართლის სხვა დიდ მოღვაწეთა პოლიტიკურ ზრახვებს-კერძოდ, საბას ცნობილი „მოხსენება" მოწმობს, რომ ამ დროს მიზნად და-სახული ყოფილა არა მარტო საქართველოს პოლიტიკური შემოკრება და ეკო-ნომიურად გამთელება, არამედ მთელი კავკასიის (ჩრდილო-კავკასია, ჩერქეზეთი, საშამხალო) გაერთიანება საქართველოს ჰეგემონიით, აღმოსავლეთთან ვაჭრო-ბის გაცხოველების პერსპექტივითა და სხვ[2].

საყურადღებოა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან დაკავშირების გზით ირანის ბატონობის შემუსვრა ჯერ კიდევ არჩილისა და გიორგი XI-ის პოლიტიკურ გეგმებში შედიოდა (იხ. ზემოთ „პოლიტიკური მდგომარეობა").

ვახტანგს, როგორც ჩანს, მშვენივრად ესმოდა მტკიცე სახელმწიფოებ-რივი ხელისუფლების შექმნის მნიშვნელობა დასახული გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის. ამას მოწმობს მცველთა რაზმის ორგანიზაცია და ვახ-ტანგის სხვა ღონისძიებანი.

ვახტანგის ცნობიერებაში ჩამოყალიბებული ყოფილა აგრეთვე სათანადო თ ე ო რ ი უ ლ ი მ ო ს ა ზ რ ე ბ ე ბ ი ც მტკიცე ხელისუფლების შექმნის აუცილებ-ლობის შესახებ. „სამართლის წიგნის" წინასიტყვაობაში ვახტანგი ამბობს: „საქართველოს მეფენი ბევრჯელ დიდად ამაღლებულნი და ნებისაებრ თვი-სისად ბრძანებულან და ბევრჯელ ჟამთა და დროთა ცვალებით ასრე დამდაბ-ლებულან, რომე ოდენ სახელათ „მეფე" რქმევია, თორემ მართებული არა უქნევინებიათ რა: როგორც ყმათ სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ური-გებიათ".

ვახტანგის „შესავალის" ეს ნაწყვეტი მოწმობს, რომ სიყრმიდანვე საქარ-თველოს ისტორიის ფაქტებს გაცნობილი ვახტანგი სწორ და ფხიზელ დასკვ-

[1] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1904, გვ. 313, 323.

[2] იქვე, გვ. 320—321, 323: „(საფრანგეთის) მეფისათვის გადასაცემად საბამ წარადგინა ერთი ერცელი დაწერილი მოხსენება"; ერთი სხვა მოხსენება, საბას ნალაპარაკევის თანახმად შედგე-ნილი (1714 წ. 25. IV), შეეხება საქართველოს მისიონს და ფრანგთა ვაპრობის საქმეს საქართ-ველოსა და სპარსეთში. — თამარაშვილს მოაქვს მხოლოდ „მისიონის" შესახებ მოხსენება, ვი-ნაიდან მას სურს „ფრანგთა" და, საერთოდ, დასავ. ევროპის ინტერესი საქართველოსადმი. უანგარო დახმარების სახით წარმოგვიდგინოს.

ნამდე მისულა. იგი ამბობს: „ამისი (ესე იგი მეფის უფლების დაცემის) მომსწრები თვითონ მეცა ვარ და სხვანი მრავალნი, ხნით ჩემსა უფროსნი არიანო". აქედან ვახტანგი დაასკვნის: „თუ მეფეს მეფობა შეეძლოს, ქნას; თუ არა...შეუღლებლად მეფობას უქნელობა სჯობს და ხელის აღებაო".

ვახტანგის გაგებით ქართლის მეფის ხელისუფლების სიმტკიცეს ორი გარემოება აცლის ნიადაგს: ირანის ძალადობა და „ყმების" (ფეოდალების) ურჩობა. ყეენის ძალადობის შესახებ ვახტანგი მოკლედ (დიპლომატიურად) აცხადებს: „ამას არა გაეწყობის რაო". სამაგიეროდ, ყმების (იგულისხმე—ფეოდალების) ურჩობას, ვახტანგის აზრით, მეფე სასტიკად უნდა შეებრძოლოს და, თუ მათ ვერ მოერია, სულაც აიღოს ხელი მეფობაზე („რომე ყმათაგან ვერ იქმოდეს მეფობას,— ხელი აიღოს").

მხატვრული ლიტერატურის მეგლები

განსაკუთრებული სიცხადით მჟღავნდება ახალი იდეები მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში.

ის დიდი გონებრივი მოძრაობა, რომელსაც ჩვენ პირობითად ქართულ აღორძინებას ვუწოდებთ, ერთბაშად არ წარმოქმნილა; იგი თანდათანობით ვითარდებოდა მრავალი ათეული წლის მანძილზე. ამ მოძრაობისათვის (ისე, როგორც ყოველგვარი ზედნაშენური მოვლენისათვის) მკაცრად გარკვეული ქრონოლოგიური მიჯნების დადგენა შეუძლებელია. სამაგიეროდ შესაძლებელია მისი (აღორძინების პერიოდის) სრული გაფურჩქვნისა და უმწვერვალესად განვითარების მითითება: ეს არის XVII საუკუნის ბოლო ათეული წლები და XVIII საუკუნის პირველი ნახევარი.

როგორც ვხედავთ, ეს პერიოდი თავისი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილით ვახტანგისა და მის თანამედროვეთა მოღვაწეობის წლებს ემთხვევა. ამავე დროს „აღორძინების" პერიოდის უდიდესი პიროვნებანი არიან: არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგი, ვახუშტი და დავით გურამიშვილი.

ხსენებული ჯგუფის ლიტერატურულ შემოქმედებას მკვეთრად გამოხატული იდეურობის ბეჭედი აზის. არჩილის, სულხან-საბასა და დავით გურამიშვილისათვის არ არსებობს პოეზია-დატკბობა, „ხელოვნება ხელოვნებისათვის".

აღორძინების ლიტერატურაში ცნობილია „არჩილიანის" მამხილებელი და მომწოდებელი ხასიათი. პოეტს კარგად ესმის და ღრმად სწყამს სიტყვიერი და წერილობითი პროპაგანდის დიდი ძალა:

„სხვათაც მოუწოდ სასწაულად,
ვარ მათი მაღლად მხმობარი"-ო, ამბობს ის[1].

როცა „არჩილიანში" ავტორი გიორგი სააკაძის პატრიოტულ თავგანწირვას აღნიშნავს, ამბობს:

„ესე საქმე მოურავმა უცხო ჰქმნა და საკვირველი-ო"

და შემდეგ მიმართავს თანამემამულეთ მოწოდებით:

---

[1] ციტირებულია ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს გამოკვლევაში ჩართული ციტატის მიხედვით. არჩილიანი, II, თბ., 1937, გვ. XXXII.

„სჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნების, რასაც ჰყოფდეთ?
აწ ეს ქენით, ქართველებო! ანდერძივით შვილთ ეტყოდეთ-ო“.

„არჩილიანში“ თეორიულად მაინც დაძლეულია მეფური ქედმაღლობა („მეფეს გვირგვინი ვერ ბრძენ-ჰყოფს...“) და, საერთოდ, წოდებრივი ყოყოჩობა („ნურც ვიქებთ მამა-პაპასა, ბრიყვი ვიყვნეთ თუ გვარიან“).

არჩილისათვის შეუმჩნეველი არ რჩება ფეოდალური წყობილების შიგნით გამეფებული სოციალური და ეკონომიური უსამართლობა-უთანასწორობა; ამის გამო პოეტი საყვედურით მიმართავს წუთისოფელს: „ზოგს ამდენს მისცემ, სოფელო, რიცხვსა არ შეაგებინებო“, ზოგი კი „სიყმილით (შიშმილით) მომყშარი გყავსო“.

არჩილისათვის უცხოა ფეოდალური მსოფლმაედველობისათვის დამახასიათებელი თაკილობა ფიზიკური შრომისა; მისი (არჩილის) რწმენით:

„მუშაკობა კარგი ხნეა“...
„ბარვა, წიდნეა, ხვნა და თესვა,
მკის და სთვლისა მის-მის დრობა“.

რაკი არჩილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სახეს პატივისცემით იხსენიებს, ბუნებრივია, რომ იგი ერთგვარად მშრომელი გლეხის გადამეტებული ჩაგვრის წინააღმდეგ ილაშქრებს და მკვეთრი მხილებით მიმართავს უგუნურ მებატონეებს:

„გლეხთა მიმძლავრებთ, ვერ გაიმრაველებთ
მონახოჭს მათსა, ვის აამებთა?!“ (არჩილიანი, 1, გვ. 242).

უგუნური ექსპლოატაციის წინააღმდეგ არის აგრეთვე მიმართული არჩილის მოწოდება:

„გლეხს ძალი მოაშორეთა!“ (არჩილიანი, 1, გვ. 50).

არჩილს კარგად ესმის, რომ გლეხის უმოწყალო, ყაჩაღური ცარცვა საზიანოა როგორც ფეოდალის მეურნეობისათვის, აგრეთვე სახელმწიფოსთვის, რომლის კეთილდღეობის საფუძველს გლეხობა წარმოადგენს. ამიტომ ათქმევინებს ის ბაადურ[1]ციციშვილს სამხედრო თათბირის დროს:

„თუ ამოსწყდეს გლეხი-კაცი, საქართველო დაძაბუნდაო“.

რა თქმა უნდა, არჩილს აქ დიდი ფეოდალისა და ფეოდალური სახელმწიფოს სწორად გაგებული ინტერესები ალაპარაკებს[1].

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ იგივე არჩილი მეამბოხე მონას სასტიკი სასჯელის ღირსად სთვლის.

მიუხედავად ამისა, არჩილის აღნიშნული მოწოდებანი იმ დროისათვის მეტად ახალ და პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თუ მოვიგონებთ არჩილის დიდ დამსახურებას აღზრდის პრობლემის, საქართველოს ისტორიისა და სხვ. დამუშავებაში, ჩვენთვის ცხადი გახდება, რამდენად ფართოდ განიხილა არჩილმა იმდროინდელი საქართველოს სინამდვილის საჭირბოროტო საზოგადოებრივი საკითხები. შესანიშნავია, რომ არჩილმა შეგნებულად უარყო

[1] საქართველოს ისტორია, 1, 1948, გვ. 365—367.

აღმოსავლური ფანტასტიკა და ქართველი მკითხველი საკუთარი ქვეყნის სინამდვილისკენ მიაბრუნა[1].

„არჩილიანი“ თავისი შინაარსით ნამდვილ პუბლიცისტურ ხასიათს ატარებს. ავტორის მომწოდებელი სიტყვა მიზნად ისახავს ქართველი საზოგადოების დარაზმვას მოწინავე იდეების ჩაგონების გზით. არჩილის შემოქმედების ეს დამახასიათებელი მხარე, როგორც ჩანს, თანამედროვეთა მოთხოვნილებას საესებით აკმაყოფილებდა და დიდ მოწონებას იწვევდა, რასაც, სხვათა შორის, მოწმობს ვახტანგის გამონათქვამი:

„მეფის არჩილის სასჯელი სწავლაა დაუცხრომელი“[2].

თავისი მაღალი იდეურობით არჩილის შემოქმედებას ენათესავება მისი უმცროსი თანამედროვისა და ბიძაშვილის (დედის მხრით) სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული შემოქმედება. მაგრამ ამ ორ შესანიშნავ ადამიანს შორის განსხვავება კიდევ უფრო დიდია: არჩილი მოღვაწეობაშიაც პროზაიკოსად გამოიყურება, ს. ს. ორბელიანი კი პროზაულ შემოქმედებაშიაც ჰეშმარიტი მხატვრისა და პოეტის უნარს ამჟღავნებს.

ზემოთ ჩვენ არა ერთხელ შევეხეთ ს.ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის წიგნის“ საყურადღებო პედაგოგიურ აზრებს და ამ კრებულში წარმოდგენილ სასწავლო მასალას. ცნობილია, რომ ამ კრებულის დაწერით ავტორმა ქართული მხატვრული პროზის ოსტატის სახელი მოიხვეჭა; მართლაც, სწორედ ამ ნაწარმოებში აღდგა და განვითარების ახალ საფეხურებს მიაღწია თითქმის ხუთასი წლით მივიწყებულმა ქართულმა მხატვრულმა პროზამ, ერთნაირად განმაცვიფრებელმა თავისი სიცხადით, სისადავითა და სიმსუბუქითაც.

მიუხედავად მაღალი მხატვრული ღირსებებისა, ნოველების ამ კრებულს ჩვენ არ განვიხილავთ, როგორც მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებების კონას: ავტორმა საგანგებოდ სასწავლოდ შეარჩია ისინი და თავის ნაწარმოებს საბავშვო ენციკლოპედიის ხასიათი მისცა. ელემენტარულ ცოდნათა ეს კონა, სახალისო ანეგდოტების თხრობის სახით წარმოდგენილი, ქართლის სამეფოს რეალურ ყოფასაც ასახავს. თავის ბედიდარ, ცელქ ფანტაზიას ჭაბუკმა სულხანმა ფხიზელი აზრის ლაგამი ამოსდო და „სიცრუე“ (ფანტასტიკა) „სიბრძნის“ სწავლების საშუალებად გამოიყენა.

ვაჭართა და დიდ-ვაჭართა თავგადასავლისა და ამბების სიმრავლე, ფართოდ მოხაზულ გეოგრაფიულ არეზე გაშლილი მოქმედება, ფეოდალური კარჩაკეტილობისათვის უჩვეულო და ახალი მოძრაობისა და მიმოსვლის ამბების სიმრავლე—განსაკუთრებული სიძლიერით გვაგრძნობინებს „სიბრძნე სიცრუეში“ ასახულ ეპოქას.

გეოგრაფიული ჰორიზონტის ფართო გასაქანი შორეული მოგზაურობისადმი იმ საყოველთაო ინტერესის ამსახველია, რომლითაც შეპყრობილნი იყვნენ აღორძინების პერიოდის მოწინავე ადამიანები, მათ შორის, დაწიხაურებული ქართველობაც.

---

[1] ალ. ბარამიძე, არჩილის შემოქმედება, „არჩილიანი“, II, თბ., 1937, გვ. XVII.

[2] იქვე, გვ. XXXII, სქოლიო.

მიუხედავად თხრობის წმინდა ეპიკური ხასიათისა, მკითხველი საბას არაკებში განუწყვეტლივ გრძნობს განათლებული ავტორის მეტად საინტერესო პიროვნებას, იმდროინდელ „ახალ ადამიანთა“ წარმომადგენელს, რომელიც ჯერ კიდევ ფეოდალიზმის ეპოქაში გულისხმიერებით აღიქვამს ბურჟუაზიული ეპოქის ნიშნებს და ახალი, მოწინავე, პროგრესული იდეების მქადაგებელი ხდება.

ჭაბუკი ავტორი—სულხან ორბელიანი იგავ-არაკებში სიცოცხლის დაუჩრდილავი სიხარულით სავსე ადამიანად წარმოგვიდგება. მისი ნათელი აზროვნება თავისუფალია რელიგიური არტახებისაგან და ყოველგან „საერო“ განწყობილებას ამჟღავნებს; იგი არა თუ მეფეებს არ ეპუება („ერთი მეფე იყო, ღმერთობას ჩემულობდა“ და სხვ.), არამედ თვით ღმერთსაც თამამი, მამხილებელი სიტყვით მიმართავს („დიდად მოწყალე ბრძანდები, მაგრამ ვირემ კაცს სისხლს არ დაათხევინებ, არას მისცემო“).

ამ ნაწარმოებს აღზრდის პრობლემასთან ერთად ერთი სხვა პრობლემაც აქვს დასახული: აქ ერთმანეთისათვის დაპირისპირებულია უკუდურესი დაეჭვება (სკეპსისი—რუქას სახით) და ნათელი, იმედიანი განწყობილება (ლეონისა და ჯუმბერის სახით). უპირატესობა ამ უკანასკნელისათვის არის მინიშნებული.

ს.ს. ორბელიანის დამსახურება ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარების საქმეში მხოლოდ „სიბრძნე სიცრუის“ დაწერით არ ამოიწურება. როგორც პროფესორი ა. ბარამიძე ამბობს: „შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სულხან-საბა ორბელიანმა პირველმა შეანგრია ქართული ლექსის ძველი ნორმების ციხე-სიმაგრე. ის მოგვევლინა, როგორც პირველი სერიოზული და ნაყოფიერი რეფორმატორი ქართული ლექსისა“.

„ქილილა და დამანაში“ საბამ ჩაურთო ქართული ლექსთწყობისათვის სრულიად ახალი ფორმის ლექსები: მრჩობლედი, რვეული, წყობილი, შეწყობილი, შერეული და სხვ. კლასიკური შაირის, ჩახრუხაულის, ფისტიკაურისა და ძაგნაკორულის გამოყენების დროს იგი ხსენებული ფორმების ახალ ვარიაციებს იძლევა და ახალ, ორიგინალურ ფორმებს ქმნის. „ს.ს. ორბელიანის ნოვატორულ გზას გაჰყვნენ ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი და სხვ.“[1].

პირადად ვახტანგს მეთვრამეტე საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარების საქმეში არამცირედი დამსახურება მიუძღვის. მის კალამს ეკუთვნის ლირიკული ლექსებისა და პოემების საკმარისად დიდი რაოდენობა[2].

თავისი ბიძის, არჩილის მსგავსად ვახტანგს პოეტობა სამეფო საქმეთაგან იძულებითმა მოცლამ დააწყებინა („რა ვქნა! შაირი მით ვიწყე. საქმე დაძ-

---

[1] „ქილილა და დამანა“. იგავ-არაკები, ქართულად გადმოღებული ვახტანგ VI-სა და ს. ს. ორბელიანის მიერ. ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1949, გვ. 19.

[2] ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1947.

ვირდა საქნელად". არჩილი). უცხო მხარეს გადაკარგული ვახტანგის ლექსებს ღრნა სევდის ბეჭედი აზის.

ვახტანგმა ქართულ ლიტერატურას თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობით განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო. მისი თაოსნობით, ბრძანებითა და პირადი მონაწილეობით თარგმნილ თხზულებათა შორის შეიძლება აღინიშნოს მსოფლიო ლიტერატურის იშვიათი ძეგლის ინდურ არაკთა დიდი კრებულის „ქილილა და დამანას" თარგმანი. ვახტანგის დაუცხრომელი მზრუნველობით ეს თარგმანი ბოლომდის იქმნა შესრულებული და ჩვენამდე ორი სხვადასხვა რედაქციის სახით მოაღწია[1].

ერთ-ერთმა რედაქციამ, სახელდობრ, მხატვრული პროზის შესანიშნავი ოსტატის სულხან-საბას შრომით „გაჩალხულმა", ქართული ორიგინალური ნაწარმოების ელფერი მიიღო და დიდი პოპულარობა მოიპოვა.

„ქილილა და დამანას" თარგმანის უმეტესი ნაწილი ვახტანგმა ირანში იძულებითი ყოფნისა და პატიმრობის პირობებში შეასრულა.

თარგმანს მან დაურთო შესანიშნავი „ანდერძი დიდს ჰირსა შინა მყოფის მეფის ვახტანგისა". ხსენებული „ანდერძი", რომელსაც 1889 წ. გამოცემის 11—13 გვ. უჭირავს, მრავალმხრივ საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურულ ძეგლს წარმოადგენს. აქ ვახტანგი ჩვენ წინაშე დგას, როგორც თავისი დროის შესანიშნავი მეცნიერი-რედაქტორი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პატარა ანდერძში ვახტანგის ფბიზელი ჰკუა და მეცნიერული კელევის დიდი უნარი გამოსჭვივის; მასში ჩაქსოვილია ირანს უპატიოდ მჯდომი ენერგიული მოღვაწის მწუხარე განწყობილებაც:

„ჩემი ჰირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდაო", ჰგოდებს იგი.

„ღაჲესა ვარ უნათლოსა...ალსა ეზიავარ ცეცხლისასაო"—მოსთქვამს ვახტანგი სხვა ადგილას.

ცნობილია, რომ ჩინებულმა სტილისტმა ს. ს. ორბელიანმა ვახტანგის თარგმანი მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. აქ გამომჟღავნდა საბასა და ვახტანგის ურთიერთმიმართება, როგორც წინა და მომდევნო თაობის ორი შესანიშნავი წარმომადგენლის: გაბედულ ნოვატორს ვახტანგს კულტურულ მუშაობაში გეზი მუდამ პოპულარიზაციაზე უჭირავს. მას არ ეთაკილება ენის ვულგარიზმები—არა იმიტომ, რომ არ ესმოდეს დახვეწილი ლიტერატურული ენის უპირატესობა, არამედ იმიტომ, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, ცოდნის ფართოდ გავრცელებაზე ფიქრობს.

აღარ შევჩერდებით მე-18 ს. ყველაზე პოპულარული პოეტის—დ. გურამიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე, რომლის შემოქმედებაც ვახტანგის პოლიტიკის დიდი მარცხის (მე-18 ს. 25—30 წლების) შემდეგ ჩამოყალიბდა. არჩილის, ს. ს. ორბელიანისა და ვახტანგისდროინდელი პოეტების იდეოლოგიურ პოზიციებზე მდგომი გურამიშვილის შემოქმედება ვახტანგის

[1] დაწვრილებით იხილე პროფ. ალ. ბარამიძის „ქილილა და დამანას" 1949 წ. გამოცემისათვის წამძღვარებული წინასიტყვაობა, გვ. VIII—IX.

ეპოქიდან მომდინარეობს. მაგრამ მთლიანად აღებული, იგი ემიგრანტულ განწყობილებას ასახავს და ჩვენს საკვლევ საგანს უშუალოდ არ უკავშირდება.

ამ ნარკვევ'ში ზოგადად მიმოხილული ვახტანგისდროინდელი მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის არაჩვეულებრივად სწრაფი და ფართო განვითარება 1722—1724 წწ. დატრიალებულმა პოლიტიკურმა ამბებმა შეაფერხა. მაგრამ ის ძლიერი ბიძგი, რომელიც ვახტანგის ეპოქამ ახალი ქართული კულტურის მშენებლობას მისცა, ერთბაშად და მთლიანად 1723—1740 წწ. საშინელმა ნგრევამ და სისხლისღვრამაც ვერ შეაყენა.

სამაგიეროდ, დიდი პოლიტიკური მარცხი, რომლის შედეგად ვახტანგი და მის თანამედროვეთა მთელი ჯგუფი რუსეთში გადაიხვეწა, ვახტანგის ეპოქასა და მომდევნო ეპოქას შუა მკვეთრ ზღვარად დაიდო.

ჯერ კიდევ სამშობლოდან შორს მყოფი ვახუშტი ამჩნევს საქართველოს კულტურული ვითარების საგრძნობლად შეცვლას ოციოდე წლის მანძილზე: „არს ჟამი რაოდენიმე—არღარა ისახელების ცოდნა, თჳნიერ წიგნის კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამჴედროსაგან კიდე და ჰგონებენ დიდ მცოდინარობად"-ო, აღბობს ვახუშტი (აღწერა საქართველოსა, 1941, თბ., გვ. 32).

აქ ვახუშტი აღნიშნავს არა მარტო სწავლა-განათლების დონის დაქვეითებას მე-18 ს. 40-ან წწ. საქართველოში, სადაც განათლება წერა-კითხვის, გალობა-სიმღერისა და სამხედრო ვარჯიშობის ცოდნით შემოფარგლულა, არამედ იმასაც, რომ შეცვლილა თვით წარმოდგენა ცოდნის შესახებ: ელემენტარული ცოდნა დიდ ცოდნად ყოფილა მიჩნეული.

ვახტანგისდროინდელი კულტურული საქმიანობის განსაკუთრებულ მაღალხარისხოვნობას გრძნობს ანტონ კათალიკოსიც. თავისი გრამატიკის ერთ-ერთ შესავალში, სადაც ის იხსენიებს ვახტანგისა და სხვათა ღვაწლს გრამატიკული ძიების დაწყების საქმეში, ანტონი ვახტანგის კულტურული მოღვაწეობის საყურადღებო შეფასებას იძლევა:

„ენება უკუე მეფესა ვახტანგს, ძესა ლეონისასა, პოვნაჲ ამის წიგნისა (გრამატიკის),—ამბობს ანტონი,—და მრავალი რაჲმე ძიება უყოფიეს. რამეთუ ფრიად მოსწრაფე იყო მეფე იგი, რათა მეცნიერებისა ნათლისა მიმართ მიიზიდამცა სამეფოჲ თჳსი; და ამას ზედა მემოწმების მთელი საქართუელოჲ; რამეთუ უწყოდა საკვირველმან, რომელ მეცნიერებისა ახლისა შემოსითა მიიყვანდა ერსა თჳსსა მისდამი, „რომელი მყოფ არს ნათელსა მიუწდომელსა"[1].

ამ დახასიათებაში ყურადღებას იპყრობს დაუფარავი აღტაცება, რომელსაც გამოთქვამს ვახტანგის მიმართ მისი ძმის, დაუძინებელი მტრისა და მოწინააღმდეგის იესე მეფის შვილი — ანტონი. ოჯახური მტრობა არ უშლის მეცნიერ კათალიკოსს ვახტანგის ღვაწლის ობიექტურად დანახვასა და ღირსეულად შეფასებას. ვახტანგის საქმიანობაში ანტონი ცოდნა-მეცნიერების ფართოდ გავრცელების არაჩვეულებრივად ინტენსიურ მისწრაფებას სჭვრეტს.

[1] ზურაბ შანშოვანის გრამატიკის ალ. ცაგარლისეული გამოც., სპბ, 1891. გვ. XIII.

ამ შეფასებისას ანტონს თითქოს თავისთავად, გულის სიღრმიდან აღმოხდება ვახტანგის მიმართ ეპიტეტი „საკვირველი“ („უწყოდა საკვირველმან“).

სწორად ესმის ანტონს აგრეთვე ვახტანგის როლი ეროვნული რელიგიის გაძლიერებაში, საეკლესიო საქმეების მოწესრიგებაში. ანტონის გაგებით ვახტანგის განმანათლებელ პოლიტიკას, რომელსაც ქართული კულტურა ეიწრო რელიგიური ფარგლებიდან გამოჰყავდა, ამავე დროს ეროვნულ-რელიგიური მიზნები ჰქონდა დასახული.

ვახტანგისდროინდელი კულტურული მოძრაობის მართლაც რომ საკვირველი სიღრმე და ცხოველმყოფელობა იმაშიაც მჟღავნდება, რომ, როგორც ვთქვით, ეს მოძრაობა 1720—1724 წწ. დიდმა ისტორიულმა განსაცდელმაც ვერ შეაჩერა. რუსეთს გადახვეწილი მოწინავე ქართველები განაგრძობენ მეცნიერულსა და ლიტერატურულ მუშაობას, რომლის გარეშე არსებობა მათ არ შეუძლიათ. 1737 წლიდან მოსკოვში ქართული სტამბაც იწყებს მოქმედებას და შეიდიოდე წლის განმავლობაში (1737—1744) მშობლიურ ლიტერატურაა მნიშვნელოვანი გამოცემებით ამდიდრებს.

მაგრამ სიახლისა და პროგრესულობის ის განსაკუთრებული იერი, რომელიც ვახტანგისდროინდელ კულტურულ საქმიანობას ახასიათებს, სიცოცხლის ნებისყოფის ის საოცარი ძალა, რომელიც ამავე საქმიანობას განასხვავებს, უცხოელ დამპყრობთაგან ერთხელ კიდევ ათეული წლობით ნარბენი ქვეყნისთვის ერთადერთი და განუმეორებელი რჩება.

4

ვახტანგის საეკლესიო პოლიტიკა და სტამბის მოწყობა

„საქართველოს ერთიანად გამაჯმადიანება მოელის და დიდ განსაცდელშია“ (ს. ს. ორბელიანის 1714 წლის მოხსენებიდან).

ვენ დავინახეთ, რამდენად ღრმად და ფართოდ შეეხო ვახტანგის და მის თანამოღვაწეთა განმაახლებელი საქმიანობა საქართველოს, უმთავრესად—ქართლის, ცხოვრების ყოველ მხარეს [1]. კერძოდ, საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში ეს საქმიანობა აღინიშნა ისეთი წერილობითი ძეგლების შექმნით, როგორიცაა ვახტანგის სამართლის წიგნი და სამართლის დიდი კრებული, სულხან-საბას ლექსიკონი, მისივე „სიბრძნე სიცრუისა“, „სწავლულ კაცთა“ კომისიის საისტორიო თხზულებანი, ჟღუღბეგის ვარსკვლავთა კატალოგის ქართული თარგმანი, „ქილილა და დამანა“ და სხვ.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ არც ერთ ამ თხზულებათაგანს არ ღირსებია ვახტანგის დროს ბეჭდვითი გზით გამოქვეყნება და რომ ის ოციოდე გამოცემა, რომლებმაც ჩვენამდის მოაღწია, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, რელიგიური შინაარსის არის.

ხომ არ გვაძლევს ეს გარემოება უფლებას განვიხილოთ ვახტანგის სტამბის საქმიანობა, როგორც მხოლოდ ქრისტიანული რელიგიისა და ეკლესიის ავტორიტეტის გასამტკიცებლად მომარჯვებული საშუალება? ასეთი თვალსაზრისი სრულიად მცდარი და შეუწყნარებელი იქნებოდა.

ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, **ვინ შემოიღო საქართველოში სტამბა** და რა გეგმებს უკავშირდებოდა წიგნის ბეჭდვის ოსტატობის დანერგვა ქართლის ცენტრში—თბილისში.

ჩვენ ვიცით, რომ თბილისის სტამბის გამართვის ინიციატივაც და სტამბის მოწყობის იდეის განხორციელებაც ეკუთვნის ვახტანგს [2], რომელიც 1703 წლიდან ქართლის პოლიტიკის საჭეთმპყრობელი გახდა და ენერგიულად შეუდგა დასახული სახელმწიფოებრივი გეგმის სისრულეში მოყვანას.

ის გარემოება, რომ ვახტანგმა 1707—1708 წწ. „შრომითა ფრიადითა და წარგებითა მრავალთა საფასეთათა“ მოიყვანა მესტამბე და სტამბა გააკეთა, მოწმობს, რომ სტამბის მოწყობა და წიგნების ბეჭდვა მას სახელმწიფოებრივი მიზნების წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მძლავრ იარაღად მიაჩნდა.

---

[1] შდრ. საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1948, გვ. 366.

[2] ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამავე დროს, ცხადია, ვახტანგის სახელმწიფოებრივი საქმიანობა არა თუ გვერდს ვერ უვლიდა საეკლესიო სფეროს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეხებოდა სწორედ ეკლესიას, რომელიც უმჭიდროესად უკავშირდებოდა ფეოდალურ სახელმწიფოს. ეკლესია, მთელი თავისი ქრისტიანული იდეოლოგიით, ემსახურებოდა არა მარტო სასულიერო წოდების წარმომადგენელთა ინტერესებს, არამედ, საერთოდ, ფეოდალური ხელისუფლების გამტკიცების საქმეს.

საერო ხელისუფლების საეკლესიო საქმეებისათვის მზრუნველობაში სრულიად გარკვევით გამოსჭვივის ამ ხელისუფლების მისწრაფება: განამტკიცოს ეკლესია და გამოიყენოს იგი თავისი სიმტკიცის საიმედო ბურჯად.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგის რეფორმული საქმიანობა იმთავითვანვე მოურიდებლად იჭრება კათალიკოსის კომპეტენციის სფეროში და მისთვის ჩვეული სისწრაფით აწესრიგებს მოშლილ საქმეებს.

ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ვახტანგის სტამბის ოცი გამოცემიდან მხოლოდ ერთი, 1719—1720 წლის „კურთხევა ეკლესიისა“— გამოდის აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დომენტის ინიციატივითა და შტამპით. ყველა დანარჩენი გამოცემა იბეჭდება საერო ხელისუფლების სათავეში მდგომი პირის „შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა“.

საერთოდ, საეკლესიო საქმეების მოწესრიგებას ვახტანგის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ვახუშტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ვახტანგი იყო „ღვთის მოშიში, სამღვდელოთა პატივისმცემელი, ქერიგ-ობოლთა, გლახაკთა მიმცემელი, შემბრალე, ეკლესიათა ძაშენებელი, ხატთა და ჯვართა მამკობელი“ (ვახუშტი, გვ. 109).

მეორე თანამედროვე ისტორიკოსის—სეხნია ჩხეიძის თქმით ვახტანგი „თვით ქრისტიანე იყო და ქრისტეს სარწმუნოებაზე აღზრდილი. ინება საქართველოს სარწმუნოებაზედ გაძლიერება“.

ვახტანგის პოლიტიკურ ორიენტაციას (რუსეთისაკენ) ვახუშტი საქართველოში შერყეული ქრისტიანობის აღდგენისა და განმტკიცების იდეას უკავშირებს. როცა 1722 წ. ვახტანგს თითქმის ერთდროულად პოლიტიკურ მფარველობასა და კავშირს სამი მოქიშპე ძლიერი სახელმწიფო სთავაზობდა, ვახტანგმა უარჰყო მაჰმადიან სახელმწიფოებთან კავშირი—„განუტევა ყოველნი“ „და აღირჩია რუსთ მეფე, რამეთუ ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათასა და ძალსა ქრისტიანობიასა“—ამბობს ვახუშტი (გვ. 126). ამით ისტორიკოსი გვეუბნება, რომ ვახტანგი პეტრე I-თან კავშირის გაბმით, უპირველეს ყოვლისა, საქრისტიანო ეკლესიის აღდგენასა და გაძლიერებას იმედოვნებდა.

ამ შემთხვევაში ვახტანგს, რა თქმა უნდა, მარტო მორწმუნე ქრისტიანის რელიგიური მოტივები არ ამოძრავებდა. ეკლესია ფეოდალური სახელმწიფოს მთავარ ბურჯს წარმოადგენდა. და სახელმწიფოს აღდგენა-განმტკიცება ეკლესიისა და ქრისტიანობის აღდგენის გარეშე იმ დროს განუხორციელებელი ამოცანა იყო.

საყურადღებოა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის საუკუნოებრივმა კრიზისმა ყველაზე მკვეთრად სწორედ საეკლესიო ორგანოების მოშლასა და

დაცემაში იჩინა თავი. დღესავით ნათელია, რომ სპარსულ-თურქულ ბატონობასთან ბრძოლაში ფეოდალური საქართველოს (კერძოდ, ქართლის) მოწინავე ადამიანები ძალადობით თავზე მოხვეულ მუსლიმანურ გავლენას უპირისპირებდნენ ძველი საქრისტიანო ქვეყნის ეროვნულ-სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობის იდეას.

ეს იმიტომ, რომ ფეოდალური შეზღუდულობის პირობებში ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეა ერთადერთი გამაერთიანებელი დროშა იყო, რომელსაც, თითქოს, შესწევდა დარღვეული სახელმწიფოებრივი სხეულის იდეურად გამთელების ძალა.

ასეთი ბრძოლა იმდროინდელ ვითარებაში მით უფრო საიმედო იყო, რომ სინამდვილეში არსებობდა დაშლილი საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი ერთიანობა, რომელიც ზოგადად კულტურული და ყოფა-ცხოვრებით ერთიანობის შემცველიც იყო. შეიძლება ითქვას, რომ იგი არასოდეს არ გამქრალა, თუმცა შერყეული და დაზიანებული იყო. საჭირო იყო მისი წინ წამოწევა, განმტკიცება და მტერთან ბრძოლაში მძლავრ იარაღად გამოყენება. ოდესღაც დიადი კულტურული ტრადიციის მქონე ქართული ეკლესიის გაერთიანებელი უნარის მთელი მნიშვნელობა მტერსაც მშვენივრად ესმოდა და სწორედ ამიტომ აქეთკენ მიმართავდა იგი თავისი მოქნილი პოლიტიკის საწერტელს.

მტრის ასეთი პოლიტიკის დამღუპველი გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მაჰმადიანი მეფეების მფლობელობის პერიოდში (1632 წლიდან), როდესაც შაჰის ნაწყალობევი ჯიღა გარეგნულად გამაჰმადიანებულ მეფეებს ირანის ტახტისა და ისლამის ერთგულებას აფიცებდა, ხოლო მონობის უღელ ქვეშ ქედ-მოდრეკილი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები მას სრულიად საწინააღმდეგო მოქმედებისაკენ მოუწოდებდა.

ეს ორჭოფული მდგომარეობა მით უფრო სამძიმო უნდა გამხდარიყო, რომ მე-17 საუკუნის II ნახევრიდან სპარსეთი შეუჩერებლად მიდიოდა ჩამორჩენისა და დაკნინების გზით. ცნობილია, რომ სპარსეთსა და ევროპას შუა თურქეთის ჩადგომამ ირანს უდიდესი ზიანი შეაყენა: თითქმის მთლად გამოთიშა იგი საერთაშორისო სავაჭრო ქსელიდან და, საერთოდ, საგარეო (საერთაშორისო) ეკონომიური ურთიერთობიდანაც. ასეთ მდგომარეობაში მყოფი სპარსეთისათვის მიუწვდომელი იყო ევროპის ის ახალი აღმოჩენები, რომელთა გამოყენების გარეშე ვერც ერთი სახელმწიფო ჩამორჩენილ მდგომარეობას ვერ ასცდებოდა.

ხსენებულ გარემოებათა გამო სპარსეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში მოქცეულ, განახლების გზაზე დამდგარ აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივად უნდა აღძროდა ჩამორჩენილობის ამ რკალიდან გამორთვისა და მოწინავე ქვეყნების რიგში ჩადგომის მისწრაფება. ასეთ მისწრაფებას აღრმავებდნენ და ძალას მატებდნენ სარწმუნოებრივი ხასიათის მოტივები.

ამ გარემოებათა გამო ბუნებრივია, რომ „განახლების პერიოდის“ დიდი შემკრებლობითი და აღმდგენელი მოღვაწეობა, უპირველეს ყოვლისა, ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის ბურჯს—ეკლესიას უნდა შეხებოდა.

მაგრამ დაცემული ქართული ეკლესიის აღდგენა და ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება ადვილი საქმე არ იყო. ვახუშტი აღნიშნავს, რამდენად ყოფილა მოშლილი ქართლში მაჰმადიანი როსტომის 26 წლის ბატონობის შედეგად თვით ძირითადი ქრისტიანული წესებიც შესრულებაც: მისი ცნობით როსტომის დროს ე. წ. „ზიარების“ წესის შესრულება ქართველებს სამარცხვინოდ მიაჩნდათ, მაშინ როდესაც „ზიარების საიდუმლოება“ ქრისტიანობის ერთერთ უწმინდეს და აუცილებლად შესასრულებელ წესს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის პაპა, შაჰნავაზი ცდილობდა „თვისსავე კვალსა მიეგო“ როსტომის დროს გარყვნილი და გადავარდნილი ქრისტიანული წესები. დომენტი II კათალიკოსის მეშვეობით შაჰნავაზმა კვლავ შემოიღო „აღსარებისა“ და „ზიარების“ მიღების წესი [1].

მაგრამ ქრისტიანული წესების გადავარდნა შედარებით ნაკლებ საზოგადოებრივ საფრთხეს წარმოადგენდა. ნამდვილი საშიშროება იმ შინაგან ზნეობრივ კრიზისში იმალებოდა, რომელმაც დიდი ხნიდან მოიცვა ქართველი საზოგადოების სხვადასხვა წრეები ფეოდალიზმის გახრწნასა და ისლამური ქვეყნების განუწყვეტელ, გამანადგურებელ შემოტევებთან დაკავშირებით.

რელიგიური მერყეობა და მისი შედეგები

რელიგიური მერყეობა იმდროინდელი ადამიანების ღრმა შინაგანი კრიზისის გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენდა. ეს კრიზისი თანდათან უფრო და უფრო მრისხანე სახით მეღავნდებოდა და ფეოდალური საქართველოს მოქალაქეობრივ ცხოვრებას სრულ განადგურებას უქადდა. ჩვენ ვხედავთ, რომ მე-17—18 სს. მიჯნაზე მდგომი ადამიანების შეგნებაში ეჭვს ქვეშ ყოფილა დაყენებული საქრისტიანო ეკლესიის ის ძირითადი იდეები, რომელთა დაცვისათვის სამშობლოს მტრებთან საუკუნეთა განმავლობაში უთანასწორო გმირული ბრძოლა წარმოებდა. განუწყვეტელი ომიანობის, მუდმივი შინაური შფოთისა და მათი თანამგზავრი ნაირ-ნაირი უწესობის, უსამართლობისა და უკანონობის მოწამე ადამიანებს ეკარგებოდათ არათუ „კაცთა შორის“ ქრისტიანული სათნოების, არამედ ელემენტარული სამართლიანობის რწმენაც კი, რასაც ბუნებრივად თან სდევდა დიდი დაეჭვება თვით „უზენაესი“, „ღვთაებრივი“ და სხვ. სამართლიანობისა და კანონიერების არსებობაშიაც. მე-17 საუკუნის იმ პოლიტიკურმა გრიგალმა, რომელმაც ქართლ-კახეთის აყვავებული ქალაქები და სოფლები ნაქალაქევად და „ნასოფლარებად“ აქცია, განადგურების კვალი ადამიანების გულსა და გონებაშიაც დასტოვა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ადამიანების თვალში ეფემერული (მოჩვენებითი) გამხდარა „სულის უკვდავების“ რწმენა, ძალა დაჰკარგვია „ჯოჯოხეთისა“ და „მეორედ მოსვლის“ შიშს. და ვინაიდან მთელი ქრისტიანული მორალი „ღვთის შიშს“ ემყარებოდა, ფეოდალური საზოგადოების დიდი ნაწილის ზნე-

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 82.

ობრივი ფუძე შეირყა და აღვირახსნილ ვნებათა ღელვას შეუზღუდავი გასაქანი მიეცა.

სულხან-საბას ერთ-ერთ „სწავლაში“ ჩვენ განცვიფრებით ვკითხულობთ შემონაზვნებული მეცნიერის მიმართვას ურწმუნო სამწყსოსადმი:

„ჯოჯოხეთი არს, ჰოი, ცოდვილნო, უეჭველად! თუცა მრავალნი არიან, რომელნი არა ჯერან და ჰგონებენ, რომე, რომელნიცა საღთოჲ წერილი და წმიდანი მამანი ჯოჯოხეთისათჳს გვასწავლიან, სრულიად კაცთაგან მოგონებული იყოს, ქვეყანისა შესაშინებლად“ [1].

ამავე „სწავლის“ სხვა ადგილას ვკითხულობთ:

„მრავალნი არიან, რომელნი ხუმრობენ ტანჯვათა ზედა ჯოჯოხეთისათა“ [2].

1698—1710 წწ. შუა დაწერილსა და წარმოთქმულ „სწავლათა“ ხსენებული ადგილები გარკვევით გვიჩვენებენ რამდენად ფართოდ („მრავალნი არიან“) გაუდგამს ამ დროს ფესვები სარწმუნოებრივ დაეჭვებას.

ძველი მორწმუნოების საფუძველი ამ დროს იმდენად მერყეევი ჩანს, რომ ქრისტიანული იდეების დაცვა ახალ არგუმენტაციას (დასაბუთებას) საჭიროებს. ძველებური დასაბუთება აღარ აკმაყოფილებს თვით ისეთ ღრმად მორწმუნესა და ეკლესიის ერთგულ პიროვნებას, როგორიც არის ს. ს. ორბელიანი.

მეცნიერი ბერი თავის „სწავლაში“ ჯოჯოხეთის არსებობის დასამტკიცებლად „წმიდა მამათა“ ავტორიტეტს კი არ მიმართავს, არამედ ცდილობს დაამტკიცოს ჯოჯოხეთის სრულიად რეალური, ხელშესახები და არა მისტიკური არსებობა. ამ მიზნით საბა მიუთითებს მსმენელებს დასავლეთ ევროპის სამ ვულკანს:


„ჯოჯოხეთი ესე ს! ამრიგად ვამტკიცებ... საფრანგეთს სამნი მთანი არიან, რომელ თავთა ზედა მთათასა არიან მთხრებელნი და პარეხნი, რომელთაგან აღმოდიან კვამლი და ნაცარი დაუალი ცეცხლისა... და შემდგომად მეორედ მოსვლისა მუნ შთაცვივიან გუამნი ცოდვილთანიო“, ამბობს მქადაგებელი.

„ჯოჯოხეთი ერთი ბნელი და მყრალი ადგილი არს გულსა შინა ქვეყანისათა“—დასძენს იგი და ასეთი დასაბუთების შემდეგ აცხადებს:

„აჰა, არს ჯოჯოხეთი!“ სტყუიან ისინი, ვინც მის არსებობას უარყოფსო [3].

თავისებური ათეიზმი და რელიგიური დაეჭვება, გულგრილობა და განურჩევლობა, რომელიც ქართული ქრისტიანობის საფუძველს არყევდა, იმ ეპოქის რეალურ პირობებში პოლიტიკური მერყეობის წარმომშობი და გამაღრმავებელი იყო. იგი შლიდა მკვეთრ წინააღმდეგობას ქართულსა და „თათრულ“ მსოფლმხედველობათა შორის და უკარგავდა აზრს ქართულსა და თათრულ „ზნეობათა“ შორის გაჩაღებულ ბრძოლას, ქართველობისათვის ბრძოლას. ამით თანდათან ეთხრებოდა ძირი მოწინავე ადამიანების ქართულ ეროვნულ-სარწმუნოებრივ პოზიციებს—იმდროინდელ პირობებში სხვა პოზიციების არსებობა შეუძლებელი იყო.

[1] ს. ს. ორბელიანი, სწავლანი, გვ. 151, ხელნაწ. A : 479.
[2] იქვე, გვ. 152
[3] იქვე, გვ. 152, 154.



კონდაკი. 1710. თავფურცელი

ქ: სათვალავი ანბანის რვეულისა:

ჲ ჯ ჴ ჵ ჶ ჷ ჸ ჹ ჺ ჻ ჼ ჽ ჾ ჿ ᐀


ქ: ესენი არიან ფო-ველნი ერთი ორად:
ნარს ეარდა ეს ცალია:

ქ: ვითარცა ფუძენი იხარებენ სიღრეასაგან თვისთა
სამკვდრებელთასა:
ღმზღუათაშინა მაცხონი სიღრეასაგან ნათესაფუდელთასა:
ვერცა მეტაშენი იხარებენ ეანსრულებასაგან წიენთასა:

ქ: პრეკუმ ჩეი სტრეინი დორესკ: შია სეშვა ზ ე:
გინდსინტ ინტრალტეცარე: დენუპოტ სეშა ზ ე:
ქ: ში კარეი ჩეს პრე შარე: ბატუნ დე ფურთუ ნ ა:
ში როაგა პრე დუმნეზეუ: დე ლინიშტე ბუ ნ ა:
ქ: აშა ში ტიპოგრაფი: ლ კერლეი სფერში რ ე:
ლაუდა ნენიტატა: დაფ: ში მულკემი რ ე:

რუმინული ლექსი ქართული ასოებით, 1710 წ. ;კონდაკიდან

ა. მხედრული შრიფტის პროტოტიპი. სოლომონ მაღალაძის ხელით [1708-9 წ.] გადაწერილი „სამართლის წიგნიდან“



ქამნი 1710. თაეფურცლის ნაწყვეტი

თვით ამ თავისებურ „ათეისტთა“ შინაგანი ბუნება საბოლოო ანგარიშით იცლებოდა ყოველგვარი ზნეობრივი შინაარსისაგან და ადგილს უსუფთავებდა ცინიზმამდე მიღწეულ ნიღილიზმს, აღვირახსნილ უპრინციპობასა და ამორალიზმს. ადამიანები წარბშეუხრელად გადადიოდნენ ერთი სარწმუნოების წიაღიდან მეორეში—დევნილი ქართული ქრისტიანობიდან უპირატესობის მიმნიჭებელ თათრობაში, ერთი პოლიტიკური ბანაკიდან სრულიად საწინააღმდეგოში. ამავე დროს ასეთი პირები ერთნაირი უტიფრობით ამასხარაევებდენ ქრისტესა და მაჰმადს [1].

არისტოკრატიის ზნეობრივი დაცემა და სოციალური გასრწნა

ზნეობრივი და საზოგადოებრივი გახრწნის ამ ნიშნებმა უფრო ადრე და მეტი გარკვეულობით არისტოკრატიის უმაღლეს წრეში იჩინა თავი. შემდეგ იგი „დაბალ“ ფენებშიაც გავრცელდა.

დემორალიზაციისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული დენაციონალიზაციის ეს მრისხანე მოვლენები ძირს უთხრიდნენ მოქალაქეობრივ ცხოვრებას. ვახუშტი აღნიშნავს მე-17—18 სს. მიჯნაზე კახეთში, ხანების მმართველობის შედეგად ქართული წესების მოშლას და მათ ადგილას ყიზილბაშურ ქცევა-ზნეთა დამკვიდრებას:

„ყამთა ხანებთათა შემოხდა უმეტეს პირველისა ქცევა და ზნენი ყიზილბაშთა; დაუტევებდნენ ქართულთა (ქცევა-ზნეთა): იწყეს კეკლუცობა და განცხრომა მათებრ, სმა-ჭამა, სიბილწე, ტყვის ყიდვა, მრუშება, ვიდრე სოდომიამდე; რამეთუ პატივისათვის და როქთათვის იქმნებოდიან მაჰმადიან და მიიღებდიან ყენისაგან როჭიკსა“.

დენაციონალიზაციისა და დემორალიზაციის ასეთ სურათს ხატავს ვახუშტი ხანების ბატონობის შედეგად კახეთში. ჩვენ ვიცით, რომ უკეთესი მდგომარეობა არც ქართლში ყოფილა. როცა ვახტანგის გამგებლობის პირველსავე წელს (1703) ირანიდან სპეციალურად ქართლს მოსულმა ვახტანგის მამამ, ოციოდე წლის განმავლობაში მძევლად და პატიმრად ნამყოფმა ლევან ბატონიშვილმა „განაგნა დაშლილნი ყოველნი ქართლისანი“ და ამილახორობა გივი ამილახვრის ძეს—ანდუყაფარს მისცა, უცნაური რამ მოხდა: ანდუყაფარ ამილახვარმა საკუთარი ნებით მოისურვა გამაჰმადიანება, აქვე, თბილისშივე, „მოიყვანა მოლა, იქმნა მაჰმადიან და წინადაიცვითა ტფილისს“ (ვახუშტი, გვ. 107).

ეს პრეცედენტი მეტად დამაფიქრებელი იყო. ვახუშტის მოწმობით, ამ შემთხვევამდის მაჰმადიანობის მიღება და ამასთან დაკავშირებული რიტუალები („წინადაცვეთა“) მხოლოდ სპარსეთში სრულდებოდა (იხ. იქვე).

ვახუშტი კარგად გრძნობს მდგომარეობის მთელ სირთულეს და ბოროტებასთან ბრძოლის სიძნელეს. მან იცის, რომ ქართლის მეფეთა ნებისყოფა უძლურია იქ, სადაც მთავრებს (ერისთავებს) ურჩობის უფლება თვით სპარსეთის შაჰისაგან აქვთ მინიჭებული.

[1] ს. ს. ორბელიანი, სწავლანი, A: 479, გვ. 547 (557)

„მთავართა ქართლისათა,—ამბობს ვახუშტი,—აქვნდათ როქნი ყეენისაგან. მის გამო ვერ სცვლიდა მათ (მთავრებს—მეფე) თვინიერ ყეენისა“[1].

ამგვარად, ქართლის ფეოდალები უშუალოდ ყეენს ემორჩილებოდნენ და არა მეფეს. გიორგი მეთერთმეტის მაგალითმა გამოამჟღავნა, რამდენად გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენდა ეს გარემოება მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში[2].

პოლიტიკური და ზნეობრივი დაშლის ამ მოვლენებთან ერთად მძვინვარებდა ტყვეთა მოტაცებისა და ყიდვის საშინელი სენი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

სოციალური გახრწნის სურათის სისრულისათვის აქ მოსახსენებელია ქართველ არისტოკრატთა წრეში გავრცელებული უზომო ფუფუნება და მონურ მდგომარეობაში მყოფი გლეხობის აღვირახსნილი ცარცვა, რასაც განსაკუთრებით ჩაღი ფერადებით გვიხატავს თავის „სწავლაში“ სულხან-საბა ორბელიანი.

საბასდროინდელ მაღალ წრეს ფუფუნების უკიდურესი განვითარება ახასიათებს. საბას თქმით, მის თანამედროვე დიდებულთა ცოლები მდიდრულად მორთულ-შეკაზმულ ცხენზე ჯდომასაც არ კადრულობდნენ. ისინი ყმების მხრებზე გადებული, არაჩვეულებრივი ბრწყინვალებით მორთული საკაცეებით სიარულს არჩევდნენ: „მოაბითა (საკაცით) ტვირთულნი მხართა კაცთა ვლენან საბურველებითა და გავალაკებითა ოქრო-ქსოვილითაო“—ამბობს საბა[3].

ს. ს. ორბელიანი ხსენებულ ქადაგებებში („სწავლანი“) მკვეთრად ილაშქრებს აგრეთვე გლეხების უხეში ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

საბა აღშფოთებულია მით, რომ ყმები „მშიერნი და მდუმარენი“ ემსახურებიან ფუფუნებით განლაღებულ მეპატრონეთ და ერთგული სამსახურის ჯილდოდ მხოლოდ ხელითა და წიხლით ცემის ღირსი ხდებიან.

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელ ფეოდალიზმზე ზედგამოჭრილია ი. სტალინის მიერ მოცემული დახასიათება:

აქ „ექსპლოატაცია თითქმის ისეთივე სასტიკია, როგორც მონობის დროს,—იგი მხოლოდ რამდენადმე შერბილებულია“[4].

ქართლის შინაგანი მდგომარეობისათვის, ამავე დროს, დამახასიათებელია მეფის ხელისუფლების მიმართ განუწყვეტელი მტრული დამოკიდებულება, რასაც ფ. ენგელსმა „მუდმივი ამბოხების მდგომარეობა“ უწოდა[5]. საქართველოში ფეოდალურ ურთიერთმიმართებათა ეს ტიპიური ქსელი განსაკუთრებით გართულებული და დამძიმებული იყო თურქულ-ირანული გარემოცვით. ფეოდალურ ურთიერთობაში აქ ირანის დამპყრობლური პოლი-

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 82—83.

[2] იხ. ამ შრომის I თავი.

[3] ს. ს. ორბელიანი, სწავლანი, გვ. 117, A : 47ბ.

[4] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თბ., სახელგამი, 1939, გვ. 691.

[5] Маркс и Энгельс, Соч., т. XVI, ч. I, стр. 444.

ტიკაც იყო ჩართული. იგი ხელს უშლიდა პროგრესული ძალების დარაზმვას, არ ანებებდა მეფის ხელისუფლებას თავაშვებული ფეოდალების ალაგმვას.

ამ გარემოებათა კომპლექსი უკიდურესად აღრმავებდა ფეოდალური დაშლილობის განვითარების პროცესს, შეუძლებლად ხდიდა საწარმოო ურთიერთობათა შემდგომ ნორმალურ განვითარებას და, საერთოდ, ყოველგვარ წინაცლას გზაზე ეღობებოდა.

ქართული მონასტრის მოძრაობა

გიორგი XI-ის მეთაურობით დარაზმული პოლიტიკური გაერთიანებისა და ირანის ბატონობის მოსპობისათვის წარმოებული დიდი ბრძოლების დამარცხებამ (1695 წ.—იხ. I თავი) მოწინავე ქართველობას ქვეყნის აღდგენისა და გაერთიანება-განთავისუფლებისათვის სამოქმედოდ სხვა გზები მოაძებნინა.

სრული უდროობის ჟამს, როცა დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემის გადაჭრის ცდა მარცხით დამთავრდა, შეგნებული ქართველობის მთელი ენერგია დაზიანებული ქართული ეკლესიისა და, საერთოდ, ეროვნული რელიგიის რესტავრაციისაკენ მიიმართა: „ეკლესიისა გარეგან რაჲ იყოს კაცი, პირუტყუსა ჰგავს და საქმეთა პირუტყულთა იქმს“, აცხადებს ბერი საბა ერთერთ „სწავლაში“[1].

XVII—XVIII საუკუნის საქართველოს ერთ უდიდეს პატრიოტთაგანს, სულხან-ყოფილ საბას, ჩანს, კარგად ესმოდა, რომ იმ დროს ეკლესია წარმოადგენდა საერო ხელისუფლების ბურჯსა და მძლავრ იარაღს და რომ ეკლესიის ბედი უმჭიდროესად უკავშირდებოდა ფეოდალური სახელმწიფოს ბედს.

თუ ძნელბედობის პირობებში ნოხერხდებოდა ეკლესიის აღდგენა და გამტკიცება, ეს საერო ხელისუფლების გამტკიცების საიმედო საწინდარი იქნებოდა.

ერეკლე I ხელისუფლების სისუსტისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო აღმოსავლეთ საქართველოს მოქალაქეობრივ ცხოვრებას მე-17—18 სს. მიჯნაზე (1695—1703) სულ უფრო და უფრო მეტი დაცემის ნიშნები დაეტყო. ეს დაცემითი მოვლენები საქართველოს სინამდვილეში იმ დროს მეღავნდება, როცა ფეოდალური წყობილება ჯერ კიდევ ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებშიაც კი არ იყო საბოლოოდ შემუსრვილი და ფეოდალიზმთან მჭიდრო კავშირით გადაჯაჭვული ქრისტიანული რელიგიის ძირითადი პრინციპების განახლებისა და ფართოდ დანერგვის პროპაგანდა მხოლოდ ეკლესიის კათედრიდან და ეკლესიის მეშვეობით შეიძლებოდა მისწვდომოდა ადამიანების ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ჯგუფს.

ასეთი იდეური საფუძველი ჰქონდა საქართველოში მოძრაობის აღორძინებას საქართველოში XVII—XVIII სს. მიჯნაზე. სწორედ ამ ხანებში „მეორედ მაშენებლად“ მოევლინა ქართლ-კახეთის საზღვარზე მდებარე, ერცელს, ოდესღაც დიდებულს, მაგრამ ჟამთა სიავით გაუქმებულ დავით-გარეჯის უდაბნოს

[1] ს. ს. ორბელიანი, „სწავლანი“, სწავლა I, გვ. 18, საქ. მუზ. ხელნაწ. A : 479.

გაუტეხელი მხნეობითა და დიდი თაოსნობის უნარით დაჯილდოებული პიროვნება. ეს იყო ოთარ მაჭუტაძე (ბერობაში ონოფრე), ოდესღაც ვახტანგ VI-ის დედის, გურიელის ასულის თუთას ამალის წევრი. ოთარ-ონოფრე სათავეში უდგება ფართო სამონასტრო მოძრაობას. „კახთა მეფეების შეწევნით“ იგი დავით-გარეჯაში ფართო მშენებლობას იწყებს და ეკონომიურად მძლავრ, დიდ კულტურულ კერას ჰქმნის [1].

ონოფრე მაჭუტაძის საქმიანობა მოწინავე ქართველთა შორის იმთავითვე განსაკუთრებულ სიმპატიას იწვევს. გარეგნულად გამაჰმადიანებული ერეკლე I გატაცებით მონაწილეობს დიდებული უდაბნოს აღდგენაში და ერთ-ერთ საბუთში გულისტკივილით ჩივის, „წმინდის დავითის (გარეჯელის) საფლავს ხან ლეკი ანჯღრევს და ხან თათარიო“ [2].

სწორედ ამ ხანებში, როდესაც ქართლში პოლიტიკური ბრძოლის წარმოების სრული უპერსპექტივობა და შეუძლებლობა ყველასათვის ცხადი ხდება, აქამდის „სოფლის საქმისაგან უცალო“ და წარჩინებული, ვახტანგის აღმზრდელი—სულხან ორბელიანი ერეკლე I-თან შერიგების გზას ადგება. იგი აწერინებს თავის ბიძის ცოლს თამარს (ირაკლი I-ის დეიდას) შუამდგომლობის წიგნს „სულხანის შემორიგების საქმეზედ“ და ვინმე ოთარის (მაჭუტაძის?) ხელით უგზავნის ამ ბარათს ერეკლე I-ს. ამ ნაბიჯს ჩქარა სულხანის ბერად შედგომა და ერეკლე I-ის შეწევნით რეკონსტრუირებულ გარეჯის უდაბნოში დაბინავება მოჰყვება.

საბას ავტობიოგრაფიაში პისი ბერად შედგომა და ნათლისმცემლის მონასტერში გამგზავრება ერთდროულ აქტად არის წარმოდგენილი: „ქორანიკონს ჩქყ (1698) მარტს იზ (18) მონაზონ იქმნა და გარესჯის მრავალმთის წმიდის ნათლისმცემლის მონასტერს დაადგრა“ [4].

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ 40 წლის საბამ გარკვეული ზნეობრივ-იდეური მოსაზრებით „განვლო“ დავით გარეჯისაკენ მიმავალი „გზანი შორნი და უდაბნონი ურწყულნი“ (იხ. მისი „სწავლანი“). მას თანაბარი ძალით იზიდავდა მონასტრის კათედრიდან გაპირუტყუების გზაზე დამდგარ ფეოდალთა მიმართ მამხილებელი სიტყვის გადასროლის შესაძლებლობის პერსპექტივა და ონოფრე მაჭუტაძის მცდელობით უზრუნველყოფილ მყუდრო სენაკებში მეცნიერული მუშაობის უშფოთველად გაგრძობა.

საბუთების მოწმობით დავით-გარეჯის უდაბნო XVII—XVIII სს. მიჯნაზე დიდ განმანათლებელ ცენტრად ქცეულა. აქედან ქართლ-კახეთში ფართოდ ვრცელდება საქრისტიანო ლიტერატურა და გაბედულად გაისმის მეცნიერი მქადაგებლის—სულხან-საბას მომწოდებელი სიტყვა.

---

[1] Г. Н. Чубинашвили. Пещерные монастыри Давид-Гареджи, 1948, გვ. 96—107.

[2] თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 12, საბუთი 11, 1690 წ. კვეშ.

[3] „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, გვ. 190, საბუთი 158.

[4] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ტფ., 1928, 477—478 გვ.

ფართო პროპაგანდისათვის საჭირო იყო საქრისტიანო ლიტერატურის დიდი რაოდენობა. ამის გამო, ცხადია, დავით-გარეჯის მოღვაწეებს განსაკუთრებული სიმწვავით უნდა ეგრძნოთ წიგნების ნაკლებობა და მათი გამრავალების წესისა და ტემპების შეცვლის აუცილებელი საჭიროება.

ამას, სხვათა შორის, ისიც მოწმობს, რომ შემდეგში, სტამბის ამუშავებისთანავე, ვახტანგის სტამბის გამოცემებს მრავლად ეხედავთ ხსენებულ უდაბნოს სენაკებში.

ონოფრე მაჭუტაძის 1712 წ. „დიდ გუჯარში“ შეტანილი სამონასტრო ინვენტარის ნუსხაში, საერთოდ, ყურადღებას იპყრობს ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების სიმრავლე. აქ იხსენიება ბერძნული და რუსული წიგნებიც და, უპირველეს ყოვლისა, ქართული სამღვდელმსახურო წიგნების საკმარისად სრული კომპლექტი (სახარება-სამოციქულო, სახარების თარგმანება, დავითნი, ჟამნი, ტიბიკონი, ლოცვანი, მეტაფრასი, გულანი და სხვ.). ონოფრეს ნუსხა მოწმობს, რომ **თითოეული წიგნი მონასტერს რამდენიმე ცალად მოეპოვება.** აქ გარჩევით არის აღნიშნული „ხელთნაწერი“ და „სტამბის“ წიგნები (ხელნაწერი „კონდაკის“—7 ცალი, სტამბის „კონდაკის“—5 ცალი)[1].

1712 წელს, როდესაც ონოფრე ხსენებულ გუჯარს წერს, მონასტერში ხელნაწერი წიგნების გვერდით ხუთ-ხუთ და მეტ ცალად მოიპოვება ვახტანგის სტამბის წიგნები (ამათ შორის არის ვახტანგის სტამბის ერთი გამოცემა—კვერექსი, რომელსაც ჩვენ დრომდის არც კი მოუღწევია).

ონოფრეს ნუსხის ერთი ადგილი გარკვევით გვიჩვენებს, რომ ხსენებული ლიტერატურა მონასტერში უქმად არ დებულა, რომ ყოველ ერთეულს თავისი დანიშნულება ჰქონია. დამახასიათებელია, რომ ერთ-ერთი წიგნის დასახელებას ონოფრე ურთავს ეპიტეტს „თანსატარებელი“. სხვა ნიშნების მიხედვითაც დავით გარეჯის მონასტერი წარმოგვიდგება ერთგვარ სანერგედ, საიდანაც აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ზნეობრივ ანარქიასთან საბრძოლველად მამხილებელი სიტყვა სწვდება და საქრისტიანო ლიტერატურა მიედინება.

ვახტანგის ღონისძიებანი ეკლესიის აღდგენისათვის და სტამბის მოწყობა

როგორც აღნიშნულია, ვახტანგის გამგებლობის პირველი წლიდანვე (1703) საქრისტიანო ეკლესიის აღდგენისათვის ზრუნვა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენდა. გიორგი მეფის ერანის სპასალარობით (1703—1709) ზურგგამაგრებული ენერგიული მმართველის სახელმწიფოებრივი საქმიანობის ერთ-ერთი პირველი ღონისძიებათაგანი „დარ-

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 47, 57—58.

ღვთული საეკლესიო სამართლის აღდგენა იყო. ვახტანგის თაოსნობით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც გადააყენა ერეკლეს მიერ დასმული კათალიკოსი და მცხეთის კათალიკოსად ვახტანგის ძმა დომენტი აირჩია. დომენტის სახით ვახტანგმა ქართლის ეკლესიაში ერთგული მომხრე გაიჩინა. ამას მალე ეკლესიის მემამულეობის აღდგენა მოჰყვა. თავადებს საეკლესიო ყმა-მამული ბლომად ჰქონდათ მიტაცებული. 1707 წელს დომენტი კათალიკოსმა შაჰის ბრძანებით თავადებს მინატაცები უკან დააბრუნებინა"[1].

დამახასიათებელია, რომ ვახტანგი არ დაელოდა ირანს წასულ დომენტის და ეკლესიების შენება-შეკეთება საკუთარი ინიციატივით დაიწყო. ჯერ კიდევ კათალიკოსის ირანს ყოფნის დროს იგი თვითონ „გააარიგებს" თავისი ძმის საურავს. პოეტი-მემატიანე ათქმევინებს ირანიდან დაბრუნებულ დომენტის:

„მშვიდობით მოველ. დამიხვდა სამცხეთო-გარიგებული:
სამირონეა მურასა, ოქროსა კარი შებმული;
სვეტია კარგათ შემკული, გარ[ემო მო]ფარდებული.
და ჩემს ძმას, ვახტანგსა მოეწყო. ღმერთმან ადიდოს, ქებული"[2].

— —

როგორც ვიცით, ფეოდალური დაქსაქსულობის დაძლევა მეფის ხელისუფლების უმნიშვნელოვანესსა და უძნელეს სოციალურსა და პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა XVII—XVIII საუკუნის მიჯნაზე; ვიცით აგრეთვე, რომ:

„ყოველ ეპოქაში გაბატონებული კლასის აზრები გაბატონებული აზრებია, ე. ი. კლასი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების გაბატონებულ მატერიალურ ძალას, ამავე დროს გაბატონებულ სულიერ ძალასაც წარმოადგენს" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი).

სიახლის იმ ნიშნების მიუხედავად, რომლებიც ახასიათებს XVII—XVIII სს. ქართულ კულტურას, იგი ძირითადად, განსაკუთრებით თავისი იდეური შინაარსით, **რჩება ფეოდალური კლასის კულტურად; ესე იგი ქრისტიანულ კულტურად**, რომელსაც საქართველოში ამ დროს ათასოთხასწლოვანი წარსული ჰქონდა.

ქრისტიანული კულტურის ტრადიციების შერყევა და მოშლა იმ დროს, როცა არ არსებობდა მყარი საფუძველი ახალი კლასებისა და ახალი კულტურის ჩამოყალიბებისათვის, უდიდეს საფრთხეს უქმნიდა ქართულ სახელმწიფოებრიობას და ნიადაგს უმზადებდა უცხო დამპყრობლების თავისუფლად თარეშს.

ეს გარემოება საქართველოში ქრისტიანული იდეების გამტკიცებასა და ქრისტიანული წესების განუხრელად შესრულებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

[1] საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1948, გვ. 361.

[2] ციტირებულია ვახტ. ბერიძის „მცხეთის კათედრალი სვეტი-ცხოვლის" მიხედვით, „საქართველოს მუზეუმის მოამბე", XV—B, თბ., 1948, გვ. 143.

ყოველივე ამის გამო საეკლესიო საქმეების მოწესრიგებამ ვახტანგის აღმდგენელ საქმიანობაში საპატიო ადგილი დაიჭირა; ხოლო „დაკლებული“ და „განრყვნილი“ საეკლესიო წიგნებისა და ლიტერატურის გამრავლება-გავრცელება გადაუდებელ ამოცანად იქმნა ცნობილი.

ამ გარემოების ძალით სტამბის მოწყობა საღმრთო საქმედ გამოცხადდა, რაც განსაკუთრებით ჩაღად არის ასახული პირველ ნაბეჭდი წიგნების ანდერძებში.

ვახტანგი გარკვევით გვეუბნება, რომ მას სტამბის მოწყობა „სულის საცხოვნებელ“ საქმედ მიაჩნია:

„...მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა,
სახსრად სულთა წინათქმულთა მეფეთასა და მამისა
და დედისა ჩემისა, გურიელის ასულის თუთასათვის,
სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა,
ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა, ძეთა და
ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“ [1].

ამავე ანდერძების მიხედვით სტამბის პირდაპირი დანიშნულება საეკლესიო წიგნების სწორად და შეუცდომლად ბეჭდვა და გავრცელება იყო; ამით უნდა ბოლო მოღებოდა სასულიერო ტექსტებისა და მღვდელთმსახურების წესების დამახინჯებას; უნდა აღკვეთილიყო ყოველგვარი თვითნებობა, რომელიც ახასიათებდა სხვადასხვაგვარად გადაწერილ ტექსტებს:

„ჴელით წერაში ჩვენი საღვთონი წერილნი განრყვნილიყო“, ჩივის პირველ ნაბეჭდი სახარების რედაქტორი ნიკოლოზ ორბელიანი.

საჭირო იყო ტექსტებში შეპარული შეცდომების გასწორება, რისთვისაც განსაკუთრებული ყურადღებით წარმოებდა ქართული ტექსტების შედარება ბერძნულთან:

„ეს წმიდა სახარება დიდის ჴირითა ბერძენთა დაბეჭდი[ლ]ს სახარებათა შემოწმებითა სიტყუა და ასო მეტ-ნაკლები გავმართეო“, განმარტავს იგივე ნ. ორბელიანი [2].

გარდა ტექსტების სისწორით ბეჭდვისა, სტამბის შემოღება მეორე მიზანსაც ისახავდა — საჭირო წიგნების რიცხვის სწრაფად გამრავლებას.

„ვინაითგან სამღვდელონი მამანი ქართველთანი დაკნინებულ იყვნეს სამღვდელოთა წიგნთაგან და ვერ წარემართებოდა... მღვდელთაგან მღდელობა“ [3].

თუმცა ვახტანგის სტამბის პროდუქციის უდიდესი ნაწილი საეკლესიო ცხოვრების გაჯანსაღება-მოწესრიგებისათვის იყო დანიშნული, მაგრამ დამახასიათებელია, რომ ამ საქმეს უძღვება არა სამღვდელოება, არამედ საერო ხელისუფლება. ვახტანგი, სტამბის მოწყობის ინიციატორი, არათუ საკუთარი

[1] სამოციქულო, თბ., 1709, ვახტანგის ანდერძი. „აღწერილობა“, 3.

[2] სახარება, 1709, ნიკოლოზ ორბელიანის ანდერძი.

[3] კონდაკი, თბ., 1710, მესტამბე მიხაილ უნგროველახელის ანდერძი. „აღწერილობა“, 4.

ხარჯით ბეჭდავს საეკლესიო წიგნებს, არამედ თვითონვე ხელმძღვანელობს ამ საქმეში მისი ბრძანებით ჩაბმული სამღვდელო პირების მუშაობას.

„[ვახტანგმა] მიბრძანა წიგნების გასწორება და ვერ ურჩევექმენო“, ამბობს ნ. ორბელიანი (1709 წლის სახარების ანდერძი).

მარტო ის ფაქტი, რომ ვახტანგმა საგრძნობლად შეკვეცა სამღვდელოთა უფლებები და საერო ხელისუფლებას მეტი გასაქანი მისცა, საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს მისი საქმიანობის პროგრესულობას.

ამასთან ერთად ვახტანგმა ფართოდ გამოიყენა მხედრული შრიფტი; ვახტანგის სტამბის წიგნების მეშვეობით შემოვიდა ხმარებაში და გავრცელდა საქართველოში დიდი ხნით მიეწყებული არაბული ციფრები, დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგის განმარტებებით, გამოიცა მეცნიერული წიგნები.

ჩამოთვლილი კულტურული მოვლენები, რომელთა მსგავსიც არ შეგვიძლია აღვნუსხოთ საქართველოში არათუ მთელი XVIII საუკუნის მანძილზე, არამედ XIX ს. პირველ ათეულ წლებშიაც კი, ცხადად გვიჩვენებს ახალ ტენდენციებს ვახტანგისდროინდელ გონებრივ მოძრაობაში. მაგრამ ამ საკითხებს დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით.

ვახტანგის პოლიტიკის მარცხი და თბილისის სტამბის ბედი

ვახტანგის სტამბის ბედი ბუნებრივად დასაწყისიდანვე უმჭიდროესად იყო დაკავშირებული ვახტანგის მთელი პოლიტიკის ბედთან.

სტამბის მოწყობა, როგორც დავინახეთ, ვახტანგის სხვა დიდი რეფორმების გატარებასთან ერთად, მეტად რთული და სახიფათო პოლიტიკური კომბინაციის შედეგად დამყარებული სიმშვიდისა და წონასწორობის წყალობით განხორციელდა.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს „მერყეევი წონასწორობა“ ხანმოკლე გამოდგა. 1703 წლის გაზაფხულიდან 1709 წლის აპრილის ბოლო რიცხვებამდე, სანამ გიორგი მეფე „ბულუჭ-აზართა და ავღანთა“ შეჩერებას ახერხებდა, საქართველოში მშვიდობა სუფევდა. ექვსიოდე წლის მშვიდობამ ქართლის 2000 რჩეული მხედრისა[1] და, ბოლოს, თვით გიორგი მეფის სიცოცხლეც შეიწირა (1709 წ.). გიორგი მეფის დაღუპვამ ვახტანგის სახელმწიფოებრივი საქმიანობის მთავარი ბურჯი მოშალა. მოაღწია თუ არა საქართველომდის ირანის განთქმული სპასალარის მოკვლის ამბავმა, ვახტანგისაგან „დამდაბლებული“ „მცველნი ტფილისის თათარნი განდგნენ და იწყეს სროლა თოფ-ზარბაზანთა“ (ვახუშტი, გვ. 113).

ვახტანგმა იმხანად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოახერხა მათი ალაგმვა. შაჰმა აჯანყებულებთან საბრძოლველად ახლა ქართლის ახალი „სახელით ოდენ მეფე“, სინამდვილეში ირანის მთავარსარდალი (სპასალარი) ქაიხოსრო და ქართლიდან მოყვანილი 1500 მხედარი წარგზავნა[2].

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 108.

[2] იქვე, გვ. 113.

მაგრამ სეფევიდების სპარსეთის დაცემის შეჩერება ადვილი საქმე არ იყო. სამი წლის შეუპოვარ ბრძოლებში მთლიანად გაწყდა ქართველ მხედართა ეს ახალი რაზმიც და თვით ქაიხოსრო მეფეც დაიღუპა (1711 წ. ოქტომბრის 26).

ქართლის მეფობისა და ირანის სპასალარობის ჯერი ახლა ვახტანგზე მიდგა. თავის „განმზრახთა“ რჩევითა და ყეენის მოწოდებით, ვახტანგი 1712 წლის აპრილის 22-ს შაჰის კარს გაემგზავრა. მას თან გაჰყვა ქართლის დიდებულთა ამალა, რომელშიაც სულხან-საბა ორბელიანიც შედიოდა.

ქართლის ტახტზე დამკვიდრების საწინდრად ვახტანგს ეროვნული სარწმუნოების დაგმობა და გამაჰმადიანება მოსთხოვეს. სულხან-საბას აღზრდილმა ქართლის გამგებელმა ეს წინადადება გადაჭრით უარყო. ამის შედეგად მან 1712—1716 წწ. ირანის ტყვეობაში გაატარა.

როგორც ცნობილია, ვახტანგის „ქრისტიანობით“ ქართლში გამეფების აზრის სულისჩამდგმელი სულხან-საბა ორბელიანი სასწრაფოდ წამოვიდა ირანიდან საქართველოში 1712 წლის ნოემბრის 2-ს და, ვახტანგთან საიდუმლო შეთანხმებით, 1713 წლის აგვისტოს 17-ს „საფრანგეთს გაიპარა“ [1].

65 წლის მოხუცის ამ შორეულმა, სახიფათო მგზავრობამ, „ფრანცის“ მეფისა და „ჰრომ-პაპის“ წინაშე ვახტანგისათვის დახმარების გაწევის შუამდგომლობით, ამაოდ ჩაიარა.

სამშობლოში მომავალმა საბამ გზაშივე გაიგო, რომ ქართლი კვლავ შფოთისა და აშლილობის ასპარეზად ქცეულიყო: ვახტანგის მტრებმა მის წინააღმდეგ გაერთიანებული ფრონტი შეკრეს და ქვეყანას ახალ განსაცდელს უმზადებდნენ.

ასეთ პირობებში ვახტანგმა უაზროდ ჩათვალა შაჰის განმეორებით წინადადებაზე უარის თქმა და გარეგნულად მაჰმადიანობის მიღებით შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას.

შაჰის მიერ 1716 წლის თიბათვის 1-ს ქართლის მეფედ ცნობილი ვახტანგი საქართველოში მხოლოდ 1719 წელს ბრუნდება და, ერთსულოვანი აღტაცებითა და ზეიმით მიღებული, ენერგიულად იწყებს ქვეყნის საქმეების მოგვარებას [2].

მაგრამ ირანის ტახტსა და ქართლის მეფეს შუა ერთხელ ჩამოვარდნილი უნდობლობა გაფანტული არ არის. შაჰი ბოლომდის ეჭვის თვალით უცქერის ვახტანგის საქმიანობას და მისი გაძლიერების შიში აქვს.

1721 წელს, როცა სეფევიდების ბატონობა ირანში სულს ღაფავდა, შაჰმა ვახტანგს კახეთში მოთარეშე ჰარელი ლეკების ალაგმვა მიანდო. ვახტანგი მიადგა ჰარს. დამფრთხალმა ჰარელებმა მას უომრად განუცხადეს მორჩილება. მაგრამ ამ დროს შაჰის გამოგზავნილი კაცი (ბეჟან თოქალთოია-

---

[1] იხ. საბას ანდერძი მისი ხელით 1716 წელს კონსტანტინოპოლს გადაწერილი ლექსიკონის ბოლოს, 629—630 გვ. (ხელნაწ. H : 1658); იხ. ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 477.

[2] ვახუშტი, გვ. 123.

ნი) მოვიდა და ვახტანგს უკანვე გაბრუნების ბრძანება მოუტანა[1]. შეურაცხყოფილმა ვახტანგმა მოხსნა ჰარს ალყა და გამობრუნდა. ამ ინციდენტის გამო სეხნია ჩხეიძე შენიშნავს, რომ ლეკებს სიხარული შეექნათ; ისინი ამბობდნენ: „რადგან ლომის (ვახტანგის) ხელისაგან მოვრჩითო, ყიზილბაშთ ხმალი ჩვენ ვიცითო“. ქვემოთ სეხნია ჩხეიძე გაკვირვებას გამოთქვამს ყეენის ამ განკარგულების უაზრობის გამო: „ღმერთი კაცს [რომ] გაუწყრება, ჭკუაც დაეფანტება, თვარა რა [და]საბრუნებელი იყო [ვახტანგიო]“. ს. ჩხეიძის აზრით ირანის ხელისუფალთ „ეს ეფიქრებინათ—თუ მეფემ ვახტანგ ჰარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერსო“[2].

ისტორიკოსის ეს შენიშვნა ნათლად მოწმობს, რამდენად დიდი ყოფილა თანამედროვეთა თვალში ვახტანგის ავტორიტეტი.

რაც შეეხება ჰარელ ლეკებს, იმათ სავსებით გამოიყენეს შაჰის განკარგულება, რასაც საბოლოოდ ლეკების გათამამება და კახეთის „გალეკება“ (ლეკების გაბატონება და აქედან გამომდინარე შედეგები) მოჰყვა[3].

1721 წლის მიწურულში ვახტანგს აზნაურებმა მორიგი „შფოთი“ მოუწყეს: „აზნაურთა ჰგონეს ყანდაარს წარსლვა და ინებეს მუნ შფოთი“ (ვახუშტი, 125). ვახტანგმა სასტიკი რეპრესიებით დააცხრო ეს შეთქმულება.

1722 წლის განმავლობაში იმ დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის ამბებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოიწვია ირანის ძველი სახელმწიფოებრიობის ღრმა კრიზისმა, კავკასიასა და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით დაძაბული პოლიტიკური ატმოსფერო დამყარდა.

1722 წლის მარტში ირანი ავღანთა ძლევამოსილმა აჯანყებამ შეაძრწუნა. აჯანყებულთა რაზმები ისპაჰანს მიადგნენ და ამავე წლის ოქტომბერში აიღეს კიდევაც (ვახუშტი, გვ. 125, 127). ამ ფაქტმა ირანის ძლიერი მეზობლების რუსეთისა და თურქეთის ყურადღებაც გაამახვილა. „რუსეთიცა და ოსმალეთიც ირანის მიერ დაპყრობილ ხალხებში მომხრეებს ეძებდნენ. ოსმალეთმა კავკასიაში შირვან-დაღისტნის „მფარველობა“ დაიჩემა, პეტრე პირველმა კი კავკასიის ქრისტიან ხალხებთან გააბა დიპლომატიური მოლაპარაკება. რუსეთის მეფე ქართლის მეფეს თავის მხარეზე მოუწოდებდა და „ურწმუნოთა“ მორჩილებისაგან განთავისუფლების იმედს აძლევდა“[4].

ამავე დროს ვახტანგს დახმარებას სთხოვდა ირანის შაჰი; თურქეთის ხონთქარიც ქართლის მეფეს თავის ბანაკში ეპატიჟებოდა და უარის შემთხვევაში დაპყრობით ემუქრებოდა[5].

როგორც ვიცით, ვახტანგმა უარყო მაჰმადიან სახელმწიფოებთან კავშირი და „აღირჩია რუსთ მეფე“ (ვახუშტი, გვ. 125). რას უმზადებდა ეს ნაბიჯი საქართველოს, ძნელი გამოსაცნობი იყო. აღმოსავლეთ საქარ-

[1] ვახუშტი, გვ. 124.
[2] სეხნია ჩხეიძე, გვ. 329.
[3] სეხნია ჩხეიძე, 329: „მოუხდენ კახეთსა და დაიმონეს და გაალეკეს კახეთი“.
[4] საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1948. გვ. 371
[5] იქვე, გვ. 372.

თველოს შინაური მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა. რუსეთის მოხრე ქართლის მეფისა და ირანის ტახტის ერთგულ კახთ მეფის შუა მტრობა ჩამოვარდა და პირველი შეტაკებები დაიწყო: სამი დიდი სახელმწიფოს შეურიგებელი ინტერესების კვანძში მყოფი და მათ ქიშპობაში ჩათრეული პატარა ქვეყანა ფეოდალური დაქსაქსულობის დაუძლეველი წინააღმდეგობით შიგნითაც აფორიაქებული იყო.

1722 წ. გაშლილი პოლიტიკური ამბები სწრაფი ტემპით ვითარდებოდა და აღმოსავლეთ საქართველოსათვის სულ უფრო კატასტროფულ ფორმებში ყალიბდებოდა. ქართლ-კახეთის შინაურმა ქიშპობამ მწვავე შეტაკებებისა და სისხლისმღერელი ომის სახე მიიღო. კახთ მეფემ განჯის ხანი, ერევნის ჯარი და ლეკები მოიშველია; ვახტანგმა—რაჭელ-იმერელნი. ქართლის მეფის მდგომარეობაა ერისთავთა მოღალატეობა ართულებდა. იმ დროს, როდესაც თბილისის ბედი ბეწვზე ეკიდა, ვახტანგს ხაფანგს უგებდნენ საკუთარი ძმებიც—იესე და სვიმონი. ასეთ ვითარებაში კახთა მეფემ კონსტანტინე-მაჰმად-ყულიხანმა დაიპყრო ქართლი, რომელსაც მიესიენ ლეკები, „იავარ-ჰყვნეს და მრავალნი ტყვეჰყვეს“ (ვახუშტი).

ქართლის აყვავებულ დედა-ქალაქს და მთელი საქართველოს კულტურული ცხოვრების ცენტრს—თბილისს უსაშინელესი ბედი ეწია. როცა თბილისში ლეკები შეიჭრენ, თბილისის ციხის მცველი ყიზილბაში თათრები თავიანთი სიმაგრიდან გამოვიდნენ და, უპირველეს ყოვლისა, სიონის ტაძარს მიესიენ, დასწვეს იგი და დაამსხვრიეს ღვთისმშობლის ძველი ხატი. ამის შემდეგ მთელი თბილისის მოსახლეობა უსასტიკესი ძალადობისა და სისხლისღვრის ასპარეზად გადაიქცა:

„ჰოი, რაოდენნი ჭალწულნი განიხრწნენ და ჭეშმარიტნი დედანი და მოწესენი ბოროტებითა, და სისხლი მართალთა დაითხია უსჯულოთაგან“, ამბობს ვახუშტი[1].

ხსენებული ამბები მოხდა 1723 წლის მაისში, როცა თითქმის 4 თვის ცვალებადი წარმატებით წარმოებული ბრძოლის შედეგად თბილისი მტერს დანებდა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო იმ ენით გამოუთქმელ უბედურებათა და ნამდვილი სისხლის წვიმებისა, რომელიც ოსმალთა მოსვლას და 12 წლით აღმოსავლეთ საქართველოში თარეშს მოჰყვა.

1724 წ. ვახტანგი თავისი ქვეყნის ცეცხლმოდებულ მიწა-წყალს გაეცალა. „მას ქართლში არ ედგომებოდა და არც რუსეთს წასვლის გარდა სხვა გზა გააჩნდა[2]. 1724 წლის 15 ივლისს იგი შვილებით, ძმით, უახლოესი თანამოღვაწეებითა და დიდი ამალით რაჭის გზით რუსეთს წავიდა“[3].

1723—1744 წწ. აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის შეუნელებლად მძვინვარებდა დამპყრობელთა აუტანელი ძალადობა. მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ვახტანგის სტამბა ნანგრევებში იყო დამარხული.

[1] ვახუშტი, გვ. 130.

[2] თურქეთის ბატონობის სფეროში მყოფ იმერეთში მას არავინ დააყენებდა.

[3] საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, 1946, გვ. 372.

მხოლოდ 1748 წელს, სამკვდრო-სასიცოცხლო გმირული ბრძოლების შედეგად, ქართლ-კახეთის ხალხმა კვლავ გადაჭრით იწყო ანარქიისა და დეზორგანიზაციის მდგომარეობიდან გამოსვლა. ერეკლე II და ანტონ I კათალიკოსი შეერთებული ძალით შეუდგნენ მოშლილი ეროვნული და მოქალაქეობრივი ცხოვრების აღდგენას. მთელ რიგ სხვა სასწრაფო ღონისძიებებთან ერთად, მათ, უპირველეს ყოვლისა, ვახტანგის სტამბის აღდგენა გადასწყვიტეს. აი, როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი: „ესეცა შესძინეს—გამოიძიეს დიდის ცდით და გაჰოიღეს სტამბა, რომელ პირველ მეფეს ვახტანგს მოეღო ვლახეთით და მის მეფობას აქეთ ქართლში აღარსად იყო. ანტონი ბატონიშვილმა, პატრიარქმა კეთილმან... იგულსმოდგინა ფრიად. შემწე ექმნა მეფე ერეკლე და გამოიღეს სტამბა და აღავსეს წიგნითა ქართლი“ [1].

---

[1] პაპუნა ორბელიანი, გვ. 417 (ქართლის ცხოვრება, II. სპბ), დ. ჩუბინაშვილის გა-მა, 1854.

5

ქართული წიგნების ბეჭდვა ვასტანვაძის

ახტანგის სტამბის მოწყობაზე გაცილებით ადრე ქართული წიგნები საქართველოს საზღვრებს გარეთ, შორეული იტალიის ქ. რომში დაიბეჭდა (1629 წ.).

ეს იყო პირველი წიგნები ქართული ნაბეჭდი ტექსტებით: ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ქართული ანბანი ლოცვებითურთ.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ხსენებული წიგნები კათოლიკური „სარწმუნოების პროპაგანდის“ მიერ არის გამოცემული. ამ დროს (XVII ს. დასაწყისი) რომის მისიონერთა შორის ქართული ენის ცოდნის გარკვეული მოთხოვნილება არსებობდა. კათოლიკე მისიონერები, დასავლეთ ევროპის სავაჭრო კაპიტალის ეს ერთგული აგენტები, XVI—XVII სს. განსაკუთრებით ენერგიულად მიისწრაფოდნენ შორეულ და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ სწორედ ამავე პერიოდში მოხერხდა ევროპისა და აზიის ყურეში ამართული ოსმალეთის ჯაბირის გარღვევა.

ქართულ-იტალიური ლექსიკონის ავტორად იტალიურად დაბეჭდილ თავფურცელზე სტეფანე პაოლინის გვერდით ნიკიფორე ირბაქი, იგივე ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი იხსენიება. ეს განათლებული, ენების მცოდნე ქართველი თეიმურაზ I-ის ელჩი იყო. უეჭველია, იგივე ნ. ჩოლოყაშვილი უნდა ვცნოთ „ქართული ანბანისა“ და ლოცვების შემდგენელად. გარკვეული დამსახურება მიუძღვის ნ. ჩოლაყაშვილს პირველი ქართული მხედრული სასტამბო შრიფტის ჩამოსხმაშიაც.

რომში XVII ს. განმავლობაში დაბეჭდილ წიგნთაგან ცნობილია სულ ხუთიოდე სახელწოდების გამოცემა. მათ შორის მარია-მაჯიოს ქართული ენის გრამატიკა (გამოცემულია ორჯერ).

პირველნაბეჭდი ლექსიკონისა და „ანბანის“ ქართულ ტექსტებში შეპარულია მრავალი შეცდომა, რაც იმით აიხსნება, რომ ქართული მასალის დაბეჭდვის დროს თეიმურაზის ელჩი რომში აღარ იმყოფებოდა[1].

---

[1] კ. შ ა რ ა შ ი ძ ე, ქართული ანბანი XIX საუკ-მდე. კრბ. „ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია“ (1629—1940), თბ., 1941, გვ. 12—16.

მიუხედავად ამ ნაკლისა, რომის პირველნაბეჭდი წიგნები, დაბეჭდილი მხედრული შრიფტით, დაწერილი სასაუბრო ხალხური ენით, ქართული წიგნების ბეჭდვის წარმოშობის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

არჩილის სასტამბო მოღვაწეობა (1686—1705)

ქართული წიგნების ბეჭდვის დაწყება მორეულ რომში მთელი ოთხმოცი წლით უსწრებს წინ პირველი სტამბის ამოქმედებას საქართველოში (1629—1709). ბუნებრივია, რომ ამ ორ მოვლენას შორის კავშირის დამყარება არ ხერხდება.

ამისი თქმა არ შეიძლება არჩილის პოლიგრაფიულ მოღვაწეობაზე, რომელიც იწყება მეჩვიდმეტე საუკუნის ფარგლებში (1686) და დიდი ხარვეზით (1687—1700) მთავრდება მოსკოვში, 1705 წელს, ქართული „დავითნის“ დაბეჭდვით.

ახალი მასალები და ძველი, მივიწყებული ცნობები აადვილებს როგორც არჩილის სასტამბო საქმიანობის გათვალისწინებას, ისე არჩილისა და ვახტანგის ამ დარგში მოღვაწეობას შუა კავშირის დამყარებას.

როგორც აღნიშნულია, XVIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გაშლილი დიდი კულტურული მუშაობის ფესვები XVII საუკუნის სოციალურ-ეკონომიური ძერების საფუძველზე წარმოიშვა. ჯერ კიდევ XVII ს. მეორე ნახევარში (60—80 წწ.) საქართველოში გავლით ცყოფი და, ზოგჯერ, საგანგებოდ მოსული უცხოელები ამჩნევენ და აღნიშნავენ ღრმა მეცნიერული ინტერესის გაღვიძებას ქართველ მოწინავე საზოგადოებაში.

მაგალითად, ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის შვილი — პავლე ალაბელი, რომელმაც მამასთან ერთად მოიარა მცირე აზია, მოლდავია-ვლახეთი და, უმთავრესად, რუსეთი, თავის წიგნში მეტად საყურადღებო ცნობებს გვაძლევს XVII ს. 60—70 წწ. ქართველების შესახებ. ხსენებული ავტორი აქ, სხვათა შორის, ამბობს:

„იცოდე, აგრეთვე, რომ ქართველებს აქვთ დიდი და საოცარი ცოდნა, განსაკუთრებით ლოღიკის სფეროში, თუმცა თავისი სამშობლოდან არსად გადიან“[1].

ამ ატესტაციაში ჩვენთვის საყურადღებოა ავტორის შენიშვნა განათლებული ქართველების შესახებ: „თავისი სამშობლოდან არსად გადიან“.

აქ მითითებულია XVII ს. ცოდნისმოყვარე ქართველობისათვის მეტად მტკივნეული გარემოება — თურქეთ-ირანის გარემოცვის რკალში მომწყვდეულსა და მით განათლების ახალი კერებისაგან იზოლირებულ ადამიანებს არ ჰქონდათ საშუალება დაწაფებოდნენ მეცნიერების ახალ მიღწევებს. ამის შედეგად ქართველების მეცნიერული ძიება მეტ ნაწილად კლასიკური პერიოდის ქართული ძეგლების შესწავლით უნდა შეზღუდულიყო.

[1] П. Жузе, Грузия в семнадцатом столетии, по изображению (антиохийского) патриарха Макария, Казань, 1905, გვ. 51.

გასაგებია, რომ, სხვა მიზეზთა შორის, სწორედ ეს გარემოება აბრკოლებდა ტექნიკური ცოდნის ახალი მიღწევების დანერგვას საქართველოში.

ქვემოთ განმარტებული იქნება, რომ სასტამბო დაზგის მოწყობის აზრი არჩილს, გიორგი XI-სა და მათ ძმისწულს — ვახტანგს საქართველოში მოსულ ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქებთან ურთიერთობის შედეგად უნდა დაბადებოდათ (გვაქვს ცნობები, რომ 1665 წ. საქართველოს სწვევია პატრიარქი პაისიოს და მასთან ერთად დოსითეოსი, შემდეგში იერუსალიმის სწაელული პატრიარქი (1669—1707 წწ.); ამ უკანასკნელს ერთი ზამთარი გელათის მონასტერში გაუტარებია)[1].

თავის ადგილას განმარტებული იქნება, რომ სწორედ იერუსალიმის პატრიარქისათვის მიუმართავს ვახტანგს მესტამბის გამოგზავნის თხოვნით 1706—1707 წელს.

ზემოთ ნახსენები პატრიარქების საქართველოში ყოფნის წლები არჩილისა და გიორგი XI-ის ზეობისა და საქართველოში ყოფნის წლებს ემთხვევა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ჭაბუკი ვახტანგი, რომელიც თავისი ბიძების — არჩილისა და გიორგი XI-ის მწირობას იზიარებდა, ჯერ კიდევ უფლისწულობაში იქნებოდა გაცნობილი თავისი ბიძების პოლიტიკურსა და განმანათლებელ გეგმებს (ვახტანგი 1688 — 1690 წწ. შუა არჩილთან არის იმერეთში; 1690 წ. გიორგი XI-ის მძევლად — თურქებთან; 1696—1698 წწ. ისევ არჩილთან ერწოსა და დვალეთში, სადაც ემზადება თავის ბიძასთან ერთად რუსეთს წასასვლელად. ვახუშტი, გვ. 323, 324, 329, 330).

1687 წელს არჩილი პირველად მიდის მოსკოვს პოლიტიკური მფარველობისა და სამხედრო დახმარების გამოსათხოვად. მოსკოვში ყოფნით არჩილის კულტურულ საქმიანობაში ახალი, მეტად ნაყოფიერი ეტაპი იწყება. აქ მას შეეძლებლობა ეძლევა უშუალოდ დაუკავშირდეს ევროპულად განათლებულ ადამიანებს. იგი უახლოვდება როგორც პეტრესდროინდელ რუსეთის მოწინავე პირებს, ისე მოსკოვში მყოფ უცხოელ მეცნიერებსაც, ამ უკანასკნელთა შორის შეედ მკვლევარს შპარვენფელდს. შპარვენფელდის მეშვეობით არჩილი პრაქტიკულ ზომებს იღებს ქართული სტამბის მოწყობისათვის. არსებობს მთელი რიგი ცნობები, რომ არჩილმა მოსკოვში ჩასვლისთანავე (1686 წ.) შეუკვეთა შპარვენფელდის მეშვეობით ქართული (ნუსხურ-მთავრული) შრიფტი ამსტერდამის ცნობილ ოსტატს ნიკოლოზ კისს.

ეს გარემოება ნათლად მოწმობს, რომ სტამბის მოწყობის აზრი არჩილს საქართველოდანვე გაჰყოლია და რომ ეს საქმე (სტამბის მოწყობა) მას გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა.

ცხადია აგრეთვე, რომ ამ დროს არჩილი სასტამბო მოწყობილობას საქართველოში ჩამოსატანად ამზადებდა. იგი ჯერ კიდევ იმედებით იყო სავსე და ენერგიულად ემზადებოდა საქართველოში მოღვაწეობისათვის.

შვედი მეცნიერის გარდა, შრიფტის დამზადების საქმეში არჩილს დახმარებას უწევდა ქ. ამსტერდამის მოურავი, XVII ს. ნახევრის განთქმული მეცნიერი ნიკოლა ვიტცენი (იხ. არჩილის წერილი ამ პირისადმი).

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 482—483.

ჰოლანდიელი მეცნიერი, თავის მხრივ, დაეალებული იყო არჩილისაგან საქართველოს შესახებ საყურადღებო მასალის მიწოდებით მისი წიგნისათვის „ჩრდილო-აღმოსავლეთ სათათრეთის“ შესახებ[1].

ამსტერდამში გაკეთებული და ჩამოსხმული შრიფტი 1687 წელს მზად ყოფილა კიდევაც; მაგრამ გასამრჯელოსთან დაკავშირებით მისი არჩილისათვის გაგზავნა შეფერხებულა[2]. არჩილსაც სწორედ ამ წელს მოუხდა საქართველოში დაბრუნება თავისი ძმის — გიორგის გამოწვევით. ამის გამო ამსტერდამის შრიფტმა არათუ საქართველომდის, მოსკოვამდისაც ვერარ მიაღწია[3].

როგორც ვიცით, არჩილის გეგმები დიდი მარცხით დამთავრდა. 1699 წ. იგი სამუდამოდ დასახლდა მოსკოვში, სადაც განაახლა შრიფტის შეძენისათვის ზრუნვა; 1705 წელს შრიფტი მზად იყო და არჩილმა მოახერხა კიდევაც მოსკოვის სინოდის სტამბაში ქართული „ფსალმუნის“ („დავითნი“) დაბეჭდვა.

არჩილი მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვის განგრძობას თავისი შვილის, ალექსანდრეს თანამშრომლობით ფიქრობდა. მან საგანგებოდ სთხოვა თავის ძმისწულს — ვახტანგს, ამ დროს ქართლის გამგებელს, ბიბლიის ტექსტების გაგზავნა მოსკოვს. არჩილმა მიიღო ვახტანგისაგან ბიბლიის ნუსხები და შეუდგა მათ შევსებასა და დასაბეჭდად მზადებას[4].

მაგრამ თავისი ვაჟის, პეტრე I-ის თანამოღვაწის, რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელდცეხმეისტრის — ალექსანდრეს შეედების ტყეეობაში მოხვედრით და, შემდეგში (1711 წ.), სიკვდილით საბოლოოდ მოტეხილმა არჩილმა ბიბლიის დაბეჭდვა ვეღარ მოასწრო და ჩქარა (1713 წ.) თვითონაც გარდაიცვალა.

არჩილის სტამბის ეს ხანმოკლე თავგადასავალი განსაკუთრებით საყურადღებოა მით, რომ არჩილის წამოწყებამ (მოსკოვში ქართული სტამბის მოწყობა) გაადვილა ქართული სტამბის ამოქმედება მოსკოვში — 1737—1745 წწ. საერთოდ, არჩილის სასტამბო მოღვაწეობა ქართული ბეჭდვითი საქმის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

თავის ადგილას ჩვენ დავინახეთ, რა დიდ ძალას მიაწერდა არჩილი ახალი, გამაჯანსაღებელი იდეების ქადაგებას საქართველოში. ეჭვს გარეშეა, რომ არჩილის თავგამოდება ქართული სტამბის მოწყობისათვის ნაკარნახევი იყო ნაბეჭდი წიგნის ფართოდ გავრცელების უდიდესი მნიშვნელობის შეგნებით. საგულისხმიეროა, რომ არჩილი ამ შემთხვევაშიაც იღვწის მთელი საქართველოსათვის და არა მისი რომელიმე ცალკე კუთხისათვის.

1703 წელს მოსკოვს მყოფი არჩილი მოაგონებს თ. ა. გოლოვკინს, რომ მას (არჩილს) ადრევე (1686) ჰქონდა მიღებული პეტრე დიდისაგან ქართუ-


---

[1] კრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, ქართული შრიფტი ამსტერდამში 1686—87 წწ., ცალკე ამონაბეჭდი კ. მარჯვის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის „შრომებისა“, თბ., 1937, III, გვ. 23, 26.


[2] იქვე, გვ. 30.

[3] ეს შრიფტი, როგორც ვიცით, სტოკჰოლმში მოხვდა. არჩილს არ დაუკლია ცდა ამ შრიფტის მოსკოვში ჩამოტანისათვის.

[4] ბიბლია, დაბეჭდილი მოსკოვს, 1743; ვახუშტის ანდერძი, „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. 1“, თბ., 1941, გვ. 46.




ლოცვანი. 1710. ნუსხურ-მხედრული შრიფტი


აწ შეოხრეწდბენდღუალი ქართუელს ენასაზედა:
ქებასა აშაღლებულისა მეფისა უფსა უფსა
ქაიხოსროსსა:
შრომითა და წვრსაგებელითა საფასეთათა
განმგებელისა მისისა ბაგრატონის შვილის
უფსა უფსა ვახტანგისსა:
ქვეითა მცხეთაშე მიხაილ სკეუანე შვილისა
ურიგოველახელისა:
ქალაქსა ტფილისისასა
ქრისტეს აქათ: ათას შვიდს ღთერთმეტი:
გაიმართა ქვეითა სიონის დეკანოზის შვი
ლის ეგნატეელისათა

დავითნი. II გამოცემა, 1711. თაეფურცელი

ΣΤΙΧΟΙ ΕΙΣ ΤΟΝ ΘΕΙΟΝ ΔΑΒΙΔ.

Σίγησον Ὄφεως ἐγκλίνω Ἔργασίαν λέγειν.
Τέρπεις ὁ Δεσπότης, δύσεις λίθων ἐπῶν.
Δαβὶδ ὁ μέγας ἡμῖν πατὴρ τῶν ἀοιδῶν λέγει.
Τερπνὰ τὰ κιθαρίζει. τοῦ θεοῦ ἐπαινέσεις.
Πλήκτρων πολλὰ πολλῶν ἐσθλὰ τερπνὰ ἐπῶν.
Κιτὴ πρὸς ὕμνον ἡ κιθάρα τοῦ κλεινοῦ.



სასკოლო სახელმძღვანელო, 1711. თავფურც.

ლი სტამბის მოწყობის დასტური და თხოულობს წიგნების ბეჭდვის ნებართვას მის მიერ მოწყობილ სტამბაში:

«Прошедших [лет] повелеся нам от высочайшия державы печатать книги на нашем языке, ради церковныя и гражданския пользы нашему Иверскому народу, а наипаче в тирантве под турком и персом сущым, кои зело великую скудость книг духовных имеют. И тогда начатое дело недостатком литер и людей, к делу приличных, остановилось. А ныне, за божьею помощию, литеры нашего диалекта построились изрядно и художники к делу обретаются искусные»[1].

არჩილის განცხადება ნათლად გვიჩვენებს, რომ მას, ისე როგორც მთელ მოწინავე ქართველობას, ქართული სტამბის ამოქმედება საქართველოს აღდგენისა და გაერთიანების მძლავრ საშუალებად ესახებოდა და რომ ეს გაერთიანება მათ ქრისტიანობის განმტკიცებით სურდათ განეხორციელებიათ.

საქრისტიანო-სალიტურგიო წიგნების გაერთნაირება საქართველოს ყოველი კუთხისათვის, ე. ი. სასულიერო ლიტერატურის უნიფიკაცია, იმ დროს, თურქეთ-ირანის გარემოცვის პირობებში, ეროვნული სახის შენარჩუნებისა და დაცვის მძლავრ იარაღად იყო მიჩნეული.

ყველა იმ ნიშნებით, რომლებზედაც ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ, არჩილისა და მისი ძმისწულის — ვახტანგის პოლიგრაფიული ღონისძიებანი ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება.

ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ თბილისის სტამბის მოწყობით ვახტანგმა XVII—XVIII სს. მთელი მოწინავე ქართველობის ერთი უდიდესი წადილთაგანი განახორციელა. 1707—1709 წწ. ვახტანგმა წარმატებით გააკეთა ის საქმე, რომელიც არჩილს თითქმის 22 წლით ადრე ჰქონდა წამოწყებული.

---

[1] ალ. ბარამიძე, არჩილის ცხოვრება, არჩილიანი, II, თბ., 1937, გვ. XIII.

6

თბილისის სტამბის დაარსების საორგანიზაციო პერიოდი (1707—1708)



ვენ აღვნიშნეთ, რომ წიგნის ბეჭდვის შემოღების საჭიროება წარმოიშვა საქართველოში ჯერ კიდევ XVII—XVIII სს. მიჯნაზე, მაგრამ სტამბის მოწყობისათვის პრაქტიკული ზომების მიღება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ვახტანგის გამგებლობის პირველ წლებში. 1703—1712 წლების მშვიდობიანი პერიოდი, ქართლის ნიჭიერი გამგებელის გაბედული, ენერგიული პიროვნება და, განსაკუთრებით, ის ეკონომიური მოღონიერება, რომელიც დაეტყო ქართლის სამეფოს XVIII ს. დასაწყისში, სტამბის გამართვის დიდი ხნით ნანატრი აზრის განხორციელებას მკვიდრ ნიადაგს უქმნიდა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო დახელოვნებული მესტამბის მოძებნა.

უცხოეთიდან ასეთი მესტამბის გამოწერისა და, საერთოდ, თბილისის სტამბის მოწყობის დეტალების გასაშუქებლად ამ ბოლო დრომდის თითქმის არავითარი მასალა არ მოიპოვებოდა.

ერთადერთს პირდაპირსა და სარწმუნო წყაროს ვახტანგის სტამბის გამოცემებისათვის დართული ანდერძები წარმოადგენენ. ამ ანდერძებში მოცემული მასალის გარეშე მსჯელობას კი, უმეტეს შემთხვევაში, ვარაუდის ხასიათი ჰქონდა.

ასეთი ვარაუდით ელახეთიდან საქართველოში მესტამბის გამოგზავნას XVII—XVIII სს. შესანიშნავი მოღვაწის ანთიმოს ქართველის პიროვნებას უკავშირებდნენ.

ცნობილია, რომ ამ ადამიანის ენერგიული საქმიანობის შედეგად ბუქარესტში, რიმნიკსა და სხვ. ქალაქებში 1692—1715 წლებში მრავალი გამოცემა დაიბეჭდა (არასრული ცნობით — 53, სინამდვილეში, ალბათ, მეტიც) რუმინულ, ბერძნულ, სლაეურ და არაბულ ენებზე. ამ გარემოებამ წარმოშვა ის აზრი, რომ ვახტანგის სტამბის მოწყობა (თბილისში) ანთიმოს ივერიელის მონაწილეობით (ზოგიერთის მტკიცებით — ინიციატივითაც) უნდა განხორციელებულიყო[1].

[1] პროფ. ა. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, გვ. 156—175.

ამ ვარაუდის საფუძვლიანობა ე მ ი ლ პ ი კ ო ს ვრცელი გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ თითქოს განსაკუთრებით ცხადი გახდა. პარიზში 1896 წელს დაბეჭდილი ხსენებული გამოკვლევა ქართველ მკითხველთა ფართო წრეებისათვის მისაწვდომი გახადა პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს 1935 წ. გამოქვეყნებულმა ნაშრომმა: „ქართული სტამბის ისტორიისათვის“, რომელშიაც, სხვათა შორის, ვრცლად არის გადმოცემული უცხოეთის გამოცემებში გაბნეული ცნობებიც ქართული სტამბის შესახებ.

ე. პიკოს მიერ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით ანთიმოს ივერიელს თავის არც ერთ გამოცემაში არ ავიწყდებოდა თავისი ქართველობის აღნიშვნა (იხ. ე. პიკოს მიერ გამოქვეყნებული კატალოგი ანთიმოსის 53 გამოცემისა) [1].

ამავე დროს ვლახეთიდან მესტამბის გამოწვერა და საქართველოში პირველი სტამბის მოწყობა (1707—1709) ანთიმოსის პოლიგრაფიული მოღვაწეობის აყვავების წლებს ემთხვევა. ამასთან დაკავშირებით თავისთავად დაიბადა დასკვნა:

1. ანთიმოს ქართველს, რომელიც ოთხ უცხო ენაზე ბეჭდაედა წიგნებს, თავისი თანამემამულეებისათვისაც უნდა ეზრუნა და საქართველოში სტამბის მოწყობის მონაწილე უნდა ყოფილიყო.

2. საქართველოში 1709 წლიდან ამოქმედებული სტამბის ტექნიკურად განმახორციელებელი მართლაც ვლახეთიდან გამოწვერილი მესტამბე მიხაილ უნგროვლახელი აღმოჩნდა.

3. ამ ფაქტის საფუძველზე სტამბის მოწყობა საქართველოში ანთიმოს ქართველის მონაწილეობის გარეშე შეუძლებლად იქნა მიჩნეული.

აკადემიკოსების ა. შანიძისა და ნ. ბერძენიშვილის რუმინეთს მისვლამ (1949 წელს) კიდევ უფრო მკვიდრი საფუძველი მოუპოვა ქართული სტამბის მოწყობის საქმეში ანთიმოს ქართველის მონაწილეობის ვარაუდს.

როგორც აკად. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს მოხსენებიდან ვიცით, ანთიმოსის პრობლემაზე მომუშავე პატივცემულ სანდუ ტურდოს ქართველი სტუმრებისთვის რუმინეთის აკადემიის სამკითხველოში დაცული ვახტანგის სტამბის პირველნაბეჭდი სახარება უჩვენებია.

„ამ წიგნს, — მოგვითხრობს ნ. ბერძენიშვილი, — მესამე გვერდზე ანთიმოსის ხელით საკმაოდ გრძელი რუმინული მინაწერი აქვს. მინაწერს ხელს ურთავს თვით ანთიმოსი (შინაარსი ამ მინაწერისა ის არის, რომ ანთიმოსი ამ წიგნს ვალახიის მთავარს უძღვნის). ამ ფაქტიდან, — განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი, — შემდეგი შეიძლება დავასკვნათ: თბილისის სტამბიდან გამოსული პირველი წიგნი ანთიმოსს გაუგზავნეს“ [2].

იმავე სანდუ ტურდომ ქართველი სტუმრების ყურადღება მიაპყრო თბილისის სტამბის პირველნაბეჭდი სახარების მოკაზმულობაზე — პირველნაბეჭდ სახარებასთან ერთად მან სტუმრებს უჩვენა ორი სხვა წიგნი. „ერთი — ანთი-

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, იქვე, გვ. 174—175.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „ძლევაჲ“. რუმინეთ-ბულგარეთში მოგზაურობიდან, თბ., 1949, გვ. 62—63.

მოსის ხელით ნაწერი და მის მიერვე მოხატული (ლოცვანი?), მეორე — არაბულ ენაზე ნაბეჭდი სახარება". აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „ორივე ამ წიგნის მოკაზმულობა ისეთივე ხასიათისაა, როგორც [ვახტანგის სტამბის] ქართული სახარებისა. ხოლო ზოგიერთი სამკაული არაბული სახარებისა სრულიად იგივეა, რაც ქართული სახარებისა. ასე რომ შეიძლება უეჭვოდ აღინიშნოს საერთო წარმომავლობა არაბულ-ქართული სტამბური მოკაზმულობისა და ანთიმოსის ხელნაწერი წიგნის მოხატულობისა. და, როცა ჩვენ ვიცით, რომ არაბული სტამბის შემომღები იგივე ანთიმოსი იყო, დასკვნა ქართული სტამბის მოწყობის საქმეში ანთიმოსის მონაწილეობის შესახებ ადვილმისაღები გვეჩვენებაო". ამთავრებს ნ. ბერძენიშვილი რუმინეთის აკადემიის სამკითხველოში მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემას[1].

1949 წლიდან მოყოლებული, რუმინელ და ქართველ მეცნიერთა ურთიერთკავშირის დამყარების შედეგად პირველი ქართული სტამბის „უნგროველახური" წარმოშობის საკითხს სულ უფრო და უფრო მეტი ნათელი ეფინება.

1951 წლის დეკემბერში პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ რუმინეთში მოპოვებული მნიშვნელოვანი მასალა გამოაქვეყნა. რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში დაცულ ვახტანგის სტამბის პირველნაბეჭდი სახარების (1709) ფურცლებზე გ. ლეონიძეს შეუმჩნევია და ამოუკითხავს ლექსი, რომელიც თბილისის სტამბის მოღვაწეებს საკუთრად რუმინეთში გასაგზავნ ცალებზე დაუბეჭდიათ—სხვა ცალებში იგი არ მოიპოვება.

ეს ლექსი გ. ლეონიძის მიერ, სამწუხაროდ, თავნაკლული სახით არის გამოქვეყნებული[2]; იგი დაწერილია ვახტანგ VI-ის, იერუსალიმის პატრიარქის ხრისანთესა და „ვლახთა მეფის" საქებრად.

მესტამბის გამოწერა ვასტანგის მიერ

ლექსის გამოქვეყნებული ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ გამოუქვეყნებელ პირველ ორ სტროფში საუბარი ყოფილა თბილისის სტამბის მოწყობის საქმეში ვახტანგის თაოსნობის შესახებ (ლექსის ეს ნაწილი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა). ლექსის შინაარსი გვაძლევს შესაძლებლობას თბილისის სტამბის ორგანიზაციის მეტად საყურადღებო დეტალები გავაშუქოთ.

დასაწყისში ლექსი გვამცნობს, რომ სტამბის მოწყობის სურვილით აღძრულმა ვახტანგმა „პატრიარქსა წიგნი ჰკადრა საქებელი, არ უწესო" (ასე იწყება გამოქვეყნებული ტექსტი).

ხსენებული „წიგნით" ვახტანგს უთხოვია სტამბის ხელოვანის, ანუ ოსტატის გამოგზავნა:

„ერთსა სტამბის ხელოვანსა გთხოვთ, აქ მინდა დავაწესოო" (3, 4).

პატრიარქს, რომელსაც სახელად ხრისანთე რქმევია, წამსვე გაუგზავნია კაცი ელახეთს, ვლახთა მეფისათვის, და უცნობებია:

[1] ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 63.

[2] ჟურნ. „დროშა", 1951, № 2, გვ. 18.

„ვახტანგს უხმია მესტამბე, მეფეა ქართლის მპყრობელი,
მიბოძე ერთი ოსტატი, ჭკვიანი, მისანდობელი“ (6_1, $_3$).

პატრიარქის თხოვნის თანახმად, ელახეთის „პატრონს“ საგანგებოდ აურჩევია გონიერი და ჭკვიანი ოსტატი, სახელად მიხაილ, და ხრისანთესათვის გაუგზავნია; ხოლო ხრისანთეს მიხაილ ოსტატი დაუყოვნებლად საქართველოში გამოუსტუმრებია:

„პატრიარქმა გამოგზავნა აქ (თბილისში) მიხაილ. კარგად ზრდილი,
კარგად სტამბის გამომღები, ჭკვიანი და გამოცდილი“ (9_{1-2})
—გვამცნობს ლექსი.

ამით თავდება მესტამბის გამოწერის შესახებ ცნობების შემცველი ნაწილი ლექსისა.

ქვემოთ ლექსში მოთხრობილია როგორი სიხარულით და იმედებით შეხვედრია ვახტანგი სტამბის ოსტატს. ლექსის ეს მეორე ნაწილი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ სტამბის მოწყობა და მოწყობილი სტამბის საქმიანობაც უშუალოდ და მთლიანად ვახტანგთან ყოფილა დაკავშირებული:

„რა მოვიდა [მესტამბე], მეფემ ნახა, შეიყვარა ვითა შვილი:
თქვა „შემომკობს ქვეყანასა, გაანათლებს, ვითა ცვილი“ (9_{3-4}).

ქვემო სტროფიდან გავიგებთ, რომ უნგროვალახელი ოსტატი დიდი ხალისით შოჰკიდებია საქმეს და შეჰპირებია ვახტანგს:

„რასაც ბრძანებ, ყველა ძალ-მიც, მე ვარ თქვენი შოსახმარე,
და გავამრავლებ საღმრთოს წიგნსა, აივსების ყოვლი არეო“ (10_{3-4})[1].

მე-10—11 სტროფიდან განსაკუთრებით ცხადი ხდება, რომ მიხაილ უნგროვლახელს თავისი მოღვაწეობა საქართველოში ვახტანგის მითითებით დაუწყია:

„რაცა ბრძანა [ვახტანგმა], აგრეცა ექენ, არ ვისევდე, არ ვიახეო“ — ამბობს უნგროვლახელი (11_2).

მეთორმეტე სტროფი გვაუწყებს, რომ მიხაილ ოსტატს დაუმთავრებია სტამბის ტექნიკური მოწყობა და ეს სასიხარულო ამბავი ვახტანგისათვის მოუხსენებია (12).

ლექსის ბოლოში, ისე როგორც მის დასაწყის ნაწილში, საუბარია ვახტანგის დამსაბურებაზე სტამბის მოწყობის განხორციელებაში; ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია სტამბის მოწყობის სიძნელე:

„სხვაც გარდაცვლილან მეფენი, რომ ვერ უქნიათ ესები-ო“, ამბობს ლექსის ავტორი (12_4), რომელიც ვახტანგს ათქმევინებს:

„საქმე ძნელად საშოვნელი ღმერთმან ასრე გამიადრა“ (13_3).

როგორც ვხედავთ, რუმინეთიდან მოტანილი ლექსი მნიშვნელოვან ცნობებს გვაძლევს მესტამბის გამოწერისა და სტამბის მოწყობის შესახებ.

საჭიროა სათითოდ აღინიშნოს, რა ირკვევა ახლად მოპოვებული ცნობების წყალობით.

---

[1] ჟურნ. „დროშა“, 1951, № 2, გვ. 18.

იერუსალიმის პატრიარქის როლი

მესტამბის გამოგზავნის თხოვნით ვახტანგს იერუსალიმის პატრიარქისთვის მიუმართავს. ვახტანგის დაკავშირებას იერუსალიმის პატრიარქთან (არა ხრისანთესთან, არამედ ხრისანთეს წინამოსაყდრე დოსითეოსთან) სტამბის მოწყობის სამზადის პერიოდში ვარაუდობდა ქართული სტამბის ისტორიის ძველი მკვლევარი თ. ჟორდანია. ჯერ კიდევ 1865 წ. გამოქვეყნებულ წერილში ის ამბობს: „მცირეოდენი საფუძველი ნებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ვახტანგს, როდესაც ის უსაქმოდ იმერეთში იმყოფებოდა, მოლაპარაკება ჰქონდა (სტამბის მოწყობის შესახებ) იერუსალიმის პატრიარქთან დოსითეოსთან, რომელიც 1696—1697 წწ. საქართველოში მოგზაურობდაო“[1].

იგივე თ. ჟორდანია ამბობს, რომ დოსითეოს პატრიარქის ორი თანამგზავრი — „დეკანოზის შვილი მიქელა“ და ბერძენი არქიმანდრიტი სერგიოს „შემდეგ მშრომელად გახდენ ტფილისში დაარსებულ ქართულ სტამბაშიო“[2].

უნდა ითქვას, რომ ქართველი მესტამბე, „ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქაელ“[3] და ბერძენი არქიმანდრიტი პაპა სერგიოსი[4] მართლაც მონაწილეობენ ვახტანგის სტამბის საქმიანობაში და იხსენიებიან თბილისის 1712—1713 წლების გამოცემებში.

მოწინავე ქართველთა გარკვეული სიახლოვე დოსითეოს პატრიარქთან საერთოდ ცნობილია. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ გიორგი XI-მ სწორედ იერუსალიმის ამ სწავლული პატრიარქის — დოსითეოსის (ხრისანთეს წინამოსაყდრის) მეშვეობით გადაიხადა ქართველთა მონასტრების დავალიანება იერუსალიმში. ვახუშტის ცნობით ამავე პატრიარქის ჩაგონებით მოშალა გიორგი XI-მ მიცვალებულთა დაუსრულებელი დატირების ძველებური ადათები[5].

1713 წელს დაბეჭდილი „კურთხევანის“ რედაქტორისა და ბერძნულიდან მთარგმნელის კვიპრიანე ერისთავის (სამთავნელ ეპისკოპოსის) განცხადებით, მას (კვიპრიანეს) ბერძნული „წიგნი და ენა“ დოსითეოს პატრიარქისაგან უსწავლია („მცირედისა რისამე ბერძულთა წიგნთა და ენისა სწავლულ ვიყავ იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსთან“)[6].

აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, ამდენად დაახლოებული ქართველ მოწინავე პირებთან, სწორედ ის ადამიანი იყო, რომელმაც სტამბოლის ბაზარზე ტყვეობიდან გამოისყიდა 16 წლის

---

[1] თ. ჟორდანია, მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართული სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა XVIII ს., ჟურნ. „ივერია“, 1885, X, გვ. 103—104.

[2] იქვე.

[3] იხ. 1712 წ. გამოცემული „დავითნის“ თავფურცელი, ამავე წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ თავფურცელი და გალექსილი ანდერძი ტექსტის ბოლოს; 1713 წ. დაბეჭდილი „კურთხევანის“ თავფურცელი.

[4] 1713 წ. დაბეჭდილი „კურთხევანი“, კვიპრიანე სამთავნელის ანდერძი.

[5] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1885, გვ. 10.

[6] „კურთხევანი“, 1713, კვიპრიანეს ანდერძი.

ქართველი—ანდრია (შემდეგში სახელგანთქმული ანთიმოს ქართველი), შეასწავლა მას ენები და სასტამბო ხელოვნება და ჯერ კიდევ 1689 წელს გაგზავნა უნგროვლახეთში ბეჭდვისა და გამომცემლობის საქმის გასაფართოებლად [1].

ეჭვს გარეშეა, რომ დოსითეოსი საქართველოში ყოფნის დროს აცნობებდა ქართველებს ანდრია-ანთიმოსის ბრწყინვალე მიღწევებს. საფიქრებელია, რომ ვახტანგს იმდროიდანვე (1696—1697) ეგულებოდა უნგროვლახეთში სტამბის ქართველი ოსტატი.

ამგვარად, ძველი და ახალი ცნობების დაპირისპირებით ნათელი ხდება, რომ ქართველი მოღვაწეების იერუსალიმის პატრიარქთან სტამბის მოწყობის შესახებ წინასწარი მოლაპარაკების ვარაუდს გარკვეული საფუძველი ჰქონია.

იერუსალიმის პატრიარქად 1707 წლამდის დოსითეოსი იყო. 1707 წელს მას სცვლის ხრისანთე, რომელსაც, როგორც „ქების ლექსი“ მოწმობს, ვახტანგის თხოვნა წარმატებით შეუსრულებია.

ახალი პატრიარქი კარგად ყოფილა გაცნობილი უნგროვლახეთის ბეჭდვითი საქმის თვალსაჩინო მიღწევებთან (8_3).

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ მესტამბის საქართველოში გამოგზავნა იერუსალიმის პატრიარქის უახლოესი მონაწილეობით განსორციელებულა. ციტირებულ ლექსში გარკვეით არის აღნიშნული, რომ ვლახთა მეფეს მესტამბე უშუალოდ საქართველოში კი არ გამოუგზავნია, არამედ გაუგზავნია იერუსალიმის პატრიარქთან[2]. ამ უკანასკნელს კი იგი საქართველოში გამოუსტუმრებია (8_3; 9_1).

მესტამბის გამოწერის წელი

პატრიარქ ხრისანთეს მოხსენიება განხილულ ტექსტში (4_1) საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ — რომელ წელს გამოუწერია ვახტანგს მესტამბე.

ვახტანგის მიმართვას მესტამბის გამოგზავნის თხოვნით დოსითეოს პატრიარქისათვის ვეღარ მიუსწრია: მიმართვის პასუხის გამცემი არის იერუსალიმის ახალი პატრიარქი — ხრისანთე („თქვა პატრიარქმა ხრისანთემ“ — 4_1).

ცნობილია, რომ ხრისანთემ დოსითეოსი 1707 წელს შესცვალა. აქედან ცხადია, რომ ვახტანგის მიმართვა ხრისანთეს 1707 წელზე ადრე ვერ უნდა მისულიყო. ცნობილია, აგრეთვე, რომ 1709 წელს ვახტანგის სტამბა მთლად გამართული იყო და ამ (1709) წლის განმავლობაში მან სამი ჩინებული გამოცემის დაბეჭდვაც მოასწრო (სახარება, დავითნი, სამოციქულო).

გარდა ამისა, ხელოვნებათამცოდნის შ. კვასხვაძის დაკვირვებით, ვახტანგის სტამბის წიგნების ერთ-ერთ შემკულობას თარიღად 1708 წელი უზის (ქართველი ოსტატის ვინაობის აღნიშვნით)[3].

---

[1] გ. ლეონიძე, ანთიმ ივერიელი, გვ. 17.

[2] იქვე. გვ. 18.

[3] შ. კვასხვაძე, ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება. ვახტანგ VI სტამბის წიგნი, თბ., 1952. გვ. 72, 75.

ყოველივე ამის მიხედვით ვახტანგის სტამბის საორგანიზაციო წლებად 1707—1708 უნდა ჩავთვალოთ,

„ვლახთა მეფის“ მონაწილეობა მესტამბის გამოგზავნაში

გ. ლეონიძის მიერ გამოქვეყნებული ლექსის მიხედვით მესტამბის გამოგზავნაში გარკვეული დამსახურება „ვლახთა მეფესაც“ მიუძღვის (5_1; 7_1; 8).

ამ მონაწილეობას აღნიშნავს აგრეთვე გიორგი ლეონიძის მიერვე გამოქვეყნებული ანთიმოს ივერიელის მიმართვა „მაღალი გოსპოდარისადმი“[1].

ვლახეთის გოსპოდარის მონაწილეობას მესტამბის გამოგზავნაში გვაგულისხმებინებს აგრეთვე ვახტანგის სტამბის 1711 წლის ერთი გამოცემის ანდერძი, სადაც ვკითხულობთ:

„(ვახტანგმა) მოიხვნა სტამბა ქვეყანით ვლახეთით, რა ჟამს უფლებდა ვლახეთს იოანე-კოსტანტინე ბრანკოვანე ბასარაბაო“[2].

ვლახეთის ამ გოსპოდარის (სიკვდილით დასაჯეს თურქებმა 1716 წ.), ანთიმოს ქართველის მფარველისა და დიდი მეცენატის, ამდენად სრული ტიტულატურით მოხსენიება მოწმობს, რომ ვახტანგის დროინდელი მოწინავე საზოგადოება ღრმა ინტერესით ადევნებდა თვალს უნგროვლახეთსა და საქართველოს შორის XVIII ს. დასაწყისში დამყარებულ კულტურულ კავშირს და რომ იმ დროის განათლებული ქართველები გაცნობილი ყოფილან თურქეთის ბატონობის რკალში მოქცეული პატარა ხალხის პოლიტიკურ ვითარებასთან[3].

ანთიმოს ქართველის დამსახურება ქართული სტამბის მოწყობაში

საქართველოში პირველი სტამბის მოწყობის ერთ-ერთ მთავარ ღონაწილედ ითვლება რუმინეთის დიდი კულტურული მოღვაწე **ანთიმოს ქართველი** (ანთიმ ივერიელი—1650—1717)[4]. ოდესმე ალბათ დაიწერება წიგნი მტრული გარემოცვის რკალში მომწყვდეულ, ფეოდალური შუღლით დაშლილ საქართველოდან გატაცებულ ტყვეებზე, რომელთაც მონობიდან თავი დაუღწევიათ და თავიანთი სახელები უცხო ქვეყნის ისტორიის ფურცლებზე აღუბეჭდავთ.

ამ წიგნის მკითხველი მოწიწების გრძნობით შეაჩერებს თვალს ანთიმოს ქართველის სათნო სახეზე.

---

[1] ჟურნ. „დროშა“, № 2, 1951, გვ. 18.

[2] „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღუარსა სწავლება მოწაფისა“, ტფ., 1711, გერმანეს ანდერძი.

[3] ჟურნ. „დროშა“, 1951, № 2, გვ. 18.

[4] გ. ლეონიძე, ანთიმ ივერიელი, ჟ. „დროშა“, 1951, № 2, გე. 16.

ყრმობის ასაკში სამშობლოდან მოწყვეტილი, ბედნიერი შემთხვევით ტყვეობიდან დახსნილი 16 წლის ჰაბუკი გაბედული ნაბიჯით ადის იმდროინდელი განათლებისა და დახელოვნების მაღალ საფეხურებზე. ის ეუფლება ბერძნულს, არაბულსა და რუმინულ ენებს; ეს უკანასკნელი (რუმინული) მისთვის ჭშობლიურად ძვირფასი ხდება. სტამბოლის ბაზარზე ნაყიდი ტყვე-პოეტი, მოქანდაკე-ხუროთმოძღვარი, ჭქადაგებელი — ახალი სამშობლოს ეროვნულ-კულტურული განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ რიგებში დგება და ერთ დიდ პატრიოტულ საგმირო საქმედ ქცეულ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილით ამთავრებს.

ანთიმოს ქართველის ერთ-ერთი დიდი დამსახურება ის არის, რომ მან სტამბების მთელი ქსელით დაფარა თავისი მეორე სამშობლო, რის შედეგადაც პატარა უნგროვლახეთი მთელი აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნების წიგნებით მომმარაგებელ ცენტრად გადაიქცა[1]. ანთიმოსის სტამბებში 1691—1716 წწ. იბეჭდება ბერძნული, რუმინული (სლავური ასოებით), ბერძნულ-რუმინული, ბერძნულ-არაბული და სლავური წიგნები[2].

ანთიმოს ქართველი ყოველ თავის გამოცემაში იხსენიებს თავს, როგორც „ძირით ქართველს"; მაშასადამე, მას თავისი წარმოშობა დავიწყებული არა აქვს. ყოველივე ამის გამო შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ უნგროვლახეთიდან საქართველოში მესტამბის გამოგზავნა ანთიმოსის მხურვალე მონაწილეობის გარეშე განხორციელებულიყოს.

1707 წელს, როდესაც ვახტანგმა იერუსალიმის პატრიარქს „ერთი სტამბის ხელოვანი" სთხოვა, ანთიმოსი 57 წლისა უნდა ყოფილიყო. ამ დროს მთელი მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ფართოდ იყო გაშლილი. ანთიმოსი სამუდამოდ, განუშორებლად დაკავშირებული იყო უნგროვლახეთთან. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ საქართველოდან მოსული ცნობა მას სხვაგვარად აუტოკებდა გულს და იგი განსაკუთრებული გულისხმიერებით უპასუხებდა ვახტანგის მოწოდებას.

მაგრამ არც ჩვენს დრომდე მოღწეული ოფიციალური დოკუმენტები, არც ახლახან აღნოჩენილი „ქების ლექსი" არ გვაძლევენ პირდაპირსა და სრულ ცნობებს ამ საქმეში ანთიმოს ქართველის როლის შესახებ.

ლექსის წამკითხველს არ შეიძლება თვალში არ მოხვდეს XVII—XVIII სს. საქრისტიანო წინა აზიასა და საბერძნეთ-რუმინეთში ფართო პოლიგრაფიული მოღვაწეობით სახელმოხვეჭილ ანთიმოს ივერიელის მოუხსენებლობა. საოცარია, რომ ანთიმოსის სახელს ვერც ვახტანგის სტამბის წიგნების ანდერძებში ვპოულობთ. თვით მიხაილ უნგროვლახელი, რომელიც პირველნაბეჭდი სახარებისა (1709) და 1710 წ. „კონდაკის" ანდერძებში ვრცლად გვამცნობს თავის პირად დამსახურებას, თავის დიდ მასწავლებელს ერთხელაც არ ახსენებს.

---

[1] გ. ლეონიძე, ანთიმ ივერიელი, ჟ. „დროშა", 1951, № 2, გვ. 16.

[2] პროფ. ა. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, გვ. 174—175.

ვახტანგის თანამოღვაწეს, ბერ-მონაზონ გერმანეს საჭიროდ მიაჩნია შეიტანოს თავის ანდერძში (1710 წ.) ელახთა გოსპოდარის რთული ტიტულატურა (იოანე-კოსტანტინე ბრანკოვანე-ბასარაბა); ამავე დროს ამ ანდერძში ანთიმოსის სახელის ხსენებაც არ არის.

სულ სხვაგვარად გვიხატავს საქმის ვითარებას რუმინეთში დაცულ მასალაში შემონახული საგულისხმიერო საბუთი.

I. რუმინეთს გაგზავნილი პირველნაბეჭდი სახარების ერთ ცალში ჩაკრული, ანთიმოსის სახელით ხელმოწერილი მიმართვა გოსპოდარისადმი მოწმობს, რომ 1710 წლის მაისის 28-ს პირადად ანთიმოსს მიუღია საქართველოდან გამოგზავნილი პირველნაბეჭდი სახარების ორი ცალი.

უშუალოდ მიიღო ანთიმოსმა სახარების ეს ცალები თუ იმავე იერუსალიმის პატრიარქის მეშვეობით — ამას საკითხის გარკვევისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

საინტერესოა, რომ ლექსის მიხედვით მესტამბის გაგზავნის თხოვნით პატრიარქს ელახეთის გოსპოდარისათვის მიუმართავს, პირველნაბეჭდი სახარების ცალები კი მისელია არა გოსპოდარს, არამედ ანთიმოს იევრიელს.

II. რუმინეთის ცნობები, რომლებიც ჩვენ ამ უკანასკნელ ხანებში **რუსუდან ორბელის** მზრუნველობით მივიღეთ, ერთ საგულისხმიერო დეტალს გვაუწყებს: ანთიმოსს საკუთარი ხელით გაუკეთებია ქართული სახარებისათვის ძვირფასი ყდა და ამ სახით გაუგზავნია გოსპოდარისათვის.

III. ანთიმოსს საჭიროდ მიუჩნევია საგანგებოდ მიეძღვნა მადლობა იოანე-კოსტანტინე ბრანკოვანუსათვის ქართული სტამბის მოწყობაში მონაწილეობისათვის.

IV. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ერთი საბუთი: ანთიმოსის წერილი იერუსალიმის პატრიარქისადმი, დათარიღებული 1713 წლის აპრილის 6-ით. ამ წერილით ანთიმოსი აცნობებს პატრიარქს, რომ საქართველოდან 1712 წელს წასული მესტამბე მიხაილ დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ მშვიდობით მისულა დანიშნულ ადგილას.

მსგავსად გოსპოდარისადმი მიმართვისა, ანთიმოსის ამ წერილსაც იმ დასკვნამდის მივყავართ, რომ ანთიმოსს უშუალო მონაწილეობა მიუღია მესტამბის გამოგზავნაში, რომ ანთიმოსის მოწაფე მიხაილ მესტამბე საქართველოში გაგზავნილი ყოფილა არა ვლახთა მეფის არჩევნით, როგორც ეს „ქების ლექსის“ სტროფებშია წარმოდგენილი[1], არამედ ანთიმოსის რეკომენდაციით.

აღნუსხული ფაქტები მეტყველებენ, რომ სიყრმიდან სამშობლოს მოწყვეტილი ანთიმოს ქართველი წიგნის ბეჭდვის დანერგვას საქართველოში უყუ-

[1] ჟურნ. „დროშა“, 1951, № 2, ლექსის სტროფები 7—8.

რებდა, როგორც თავის პირად, მეტად მნიშვნელოვან საქმეს; რომ იგი (ანთიმოსი), როგორც ქართველი, დავალებულად თვლიდა თავს ვახტანგ VI-ის გოსპოდარისაგან, როდესაც მიმართავდა მას:

„ეს წიგნი (ვახტანგის სტამბის სახარება 1709 წლისა) ახალი ნაყოფია. რომელიც აღორძინდა იერიის მიწაზე შენი შეწევნით და ესე მიწა გამდიდრდა თავისი ბეჭდური სიტყვით ისევე, როგორც გამდიდრდა ბეჭდური სიტყვით არაბეთი, ელადა და უნგროვლახეთი".

„როგორც სამოთხიდან გამომდინარეობდნენ მდინარენი — ფისონი, გეონი, ტიგროსი და ეფრატი... ასევე შენის დახმარებით გაიფურჩქნა სტამბური სიტყვა ამ ოთხს ქვეყანაში, მოჰქონდა რა მხოლოდ სარგებლობა ამ ქვეყნებისათვის. ამისათვის სახელი შენი იცხოვრებს საუკუნეებში".[1]

მოიტანეს თუ არა ვლახეთიდან სტამბა?

პირველნაბეჭდი წიგნების ანდერძებში ვლახეთიდან სტამბისა თუ ხელსტამბის გამოწერის ორი სხვადასხვა ვერსია გვაქვს. ვახტანგის სტამბის წიგნების რედაქტორი ნ ი კ ო ლ ო ზ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ამბობს, რომ ვახტანგმა „მოიღო სტამბა ვლახეთით" (1709 წ. სახარებისა და სხვ. ანდერძები).

ასეთსავე ცნობას ვპოულობთ 1711 წლის ნაბეჭდი სახელმძღვანელოს ავტორის გერმანე მღდელ-მონაზონის ანდერძში.

„ამან [ვახტანგმა] მოიხვნა სტამბა ქვეყანით ვლახეთითო".

თვით ვახტანგი თავის ანდერძში, რომელიც დღემდე მოღწეულ ყოველ სრულ გამოცემას ახლავს, ბოლოდ მესტამბის მოყვანას გვაუწყებს:

„მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა"-ო — ამბობს ის.

ამგვარად, ვახტანგის საკუთარი ანდერძის მიხედვით ვლახეთიდან მოყვანილია მხოლოდ მესტამბე. რაც შეეხება სტამბის გაკეთებას, ანუ მოწყობას, ამ საქმეს ვახტანგის ანდერძი თბილისში შესრულებულად გვაგულისხმებინებს.

მზა-მზარეული სასტამბო მოწყობილობის გამართვის შესახებ ვახტანგი, ცხადია, ვერ იტყოდა „გავაკეთე სტანბაო", არამედ იმგვარადვე, როგორც ნ. ორბელიანი და გერმანე გვეუბნებიან, განაცხადებდა: „მოვიტანე ვლახეთით სტამბაო".

ვახტანგის ანდერძის მიხედვით თბილისში სტამბის მოწყობა ორ მთავარ მომენტად წარმოგვიდგება:

I. მესტამბის მოყვანა ვლახეთიდან თბილისს.

II. სტამბის გაკეთება თბილისში, უნგროვლახელი მესტამბის მეშვეობით.

საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა მოვიგონოთ თბილისის სტამბის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის — კ ვ ი პ რ ი ა ნ ე ს ა მ თ ა ვ ნ ე ლ ი ს (ერისთავი) მოწმობაც. მისი თქმით:

[1] ჟურნ. „დროშა", 1951, № 2, გვ. 18, I სვეტი.

„[ვახტანგმა] იგულსმოდგინა და მოიყვანა ვლახეთით მესტამბე მიხაილ და გააკეთებინა სტამბა, ფრიადითა წარსაგებელითა საფასეთათა“[1].

ვახტანგის ძის, ბაქარის ანდერძითაც:

„მეფემან ვახტანგ... მოიყვანა მესტამბე ვლახეთით და გააკეთა სტამბა; იმუშაკა და დაშვრა და განაწყო ყოველივე ნივთნი“[2].

ვახუშტის ცნობით [ვახტანგმა] „მოიღო მბეჭდველობა (წიგნის ბეჭდვის ცოდნა, სპეციალისტი მესტამბის სახით) ვლახეთიდამ“ (საქართვ. ცხ-ბა, 109).

ვახტანგისდროინდელი მეორე ისტორიკოსის — სეხნია ჩხეიძის თავისებური თქმით:

„(ვახტანგმა) მოიყვანა ვლახეთის ხელმწიფიდამ (!) მესტამბე“.

საყურადღებოა, რომ ზემოთ განხილულ „ქების ლექსის“ მიხედვითაც ვახტანგი თხოულობს მხოლოდ მესტამბის გამოგზავნას და სტამბის მოწყობილობის შესახებ ერთ სიტყვასაც არ ამბობს:

„ერთსა სტამბის ხელოვანსა გთხოვთ, აქ მინდა დავაწესო“,

„ვახტანგს უხმია მესტამბე“, „მიბოძე ერთი ოსტატი“.

ამ საკითხის გასაშუქებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვლახეთიდან მოყვანილი მესტამბის მოწმობას. პირველნაბეჭდი სახარების (1709) ანდერძში მიხაილ უნგროვლახელი ამბობს:

„პირველად მიზეზი უცხოსა ამის საქმისა და... უცონელად შემსრულებელი სტამბისა ამის სამკვიდრებელსა თქვენსა იქმნა... განათლებული და გამგებელი საქართველოსა ბატონიშვილი და თვით პატრონი ვახტანგ“.

როგორც ვხედავთ, მ. უნგროვლახელი, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს ვახტანგის ინიციატივას სტამბის მოწყობის საქმეში.

ამ განცხადების შემდეგ მიხაილ მესტამბე დაწვრილებით გადმოგვცემს, თუ რა გააკეთა თბილისში სტამბის მოწყობისათვის პირადად მან, როგორც საქმის ოსტატმა:

„ხოლო ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან — ასონი, ორღანონი და ყოველნი საჭმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდი, მოქმედი და წინამძღომელი მე ვარ, უნდო მონა თქვენიო“ — ამბობს იგი[3].

ანგვარად, სტამბის მთელი მოწყობილობა მიხაილ უნგროვლახელის „მოქმედებით და წინამძღოლობით“ გაკეთებულა. მას გაუკეთებია: სასტამბო შრიფტი („ასონი“ — ლიტერები), სასტამბო იარაღები („ორღანონი“, ე. ი. რკინისა თუ ხის ხელსაწყო. იხ. საბას ლექსიკონი) და ყველაფერი, რაც საჭირო იყო სტამბისათვის („ყოველნი საჭმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდი“) — სტამბის ყოველგვარი მოწყობილობა.

ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ: სტამბის მთელი მოწყობილობა პირადად უნგროვლახელმა ოსტატმა გააკეთა, თუ იგი ამ საქმიანობაში იშველიებდა ადგილობრივ ხელოსნებსაც?

---

[1] „ქურთხევანი“, 1713, კვიპრიანე სამთავნელის ანდერძი.

[2] ბიბლია, მოსკოვი, 1743, ბაქარის ანდერძი.

[3] სახარება, თბ., 1709, უნგროვლახელის ანდერძი.

უნგროველახელის თქმა: „მოქმედი და წინამძღომელი მე ვარო", გვაფიქრებინებს, რომ ზოგი რამ თვითონ ოსტატს გაუკეთებია საკუთარი ხელით; დანარჩენი კი მისი ხელმძღვანელობით, სხვების ხელით გაკეთებულა. სხვაფრივ შეუძლებელია მიხაილ მესტამბეს დასჭირებოდა სიტყვა „წინამძღომელი"-ს ხმარება. თუ იგი სტამბისათვის საჭირო ყოველ ნივთს საკუთარი ხელით აკეთებდა, თავისთავად ცხადია, რომ სასტამბო ტექნიკის სპეციალისტს ამ საქმიანობაში წინამძღომელი არავინ ეყოლებოდა.

წინამძღოლობა გულისხმობს სხვათა მუშაობის გაძღოლას, საქმის გარკვეული ნაწილის სხვების ხელით, მაგრამ წინამძღოლის ჩვენება-გაძღოლით კეთებას. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ:

I. ვახტანგს უნგროველახეთიდან გამოუწერია მხოლოდ მესტამბე (მიხაილ უნგროველახელი).

II. სტამბის მოწყობილობა თბილისში გაუკეთებიათ.

III. მიხაილ უნგროველახელს სასტამბო მოწყობილობის ნაწილი დაუმზადებია საკუთარი ხელით (ამ შემთხვევაში „მოქმედი" იყო პირადად მიხაილი).

IV. სტამბის იარაღების ნაწილი ამავე მიხაილის მითითებით, მაგრამ ადგილობრივი ხელოსნების ხელით გაკეთებულა.

ამ წვრილმანების გარკვევას ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს: რაკი უნგროველახელ მესტამბეს საკუთარი ხელით, ადგილობრივი ოსტატების მიშველიებით, შეეძლო სტამბის მთელი მოწყობილობის გაკეთება, სტამბის მზამზარეული იარაღების შორი და სახიფათო გზით მოტანას არავითარი აზრი არ უნდა ჰქონოდა.

ჩვენ ვიცით, რომ ვახტანგისდროინდელ თბილისში ხელოსნობა განვითარების მაღალ დონეზე იდგა (იხ. ზემოთ); ამიტომ ვახტანგს შესაძლებლობა ჰქონდა საუკეთესო ოსტატები მიეჩინა უნგროელახელი მესტამბისათვის.

ამ ვარაუდს ადასტურებს რუმინეთიდან გ. ლეონიძის მიერ მოტანილი „ქების ლექსის" ტექსტის 11—12 სტროფი, სადაც ვკითხულობთ:

„მე, ოსტატი, რა აქ [თბილისში] მოველ და ხელმწიფე ვახტანგ ვნახე,
რაცა ბრძანა, აგრეცა ექენ არ ვისევდე, არც ვიახე,
ქრისტეს დიდი სასწაული ყველა ბეჭდით გამოვსახე
და ჩემი აქეთ გამოგზავნა არც ვლახთ მეფეს დაუძრახე"[1].

ამ სტროფიდან ნათლად ჩანს, რომ სტამბის მოწყობილობის გაკეთებას, სხვათა შორის კლიშეებისაც („ქრისტეს დიდი სასწაული ყველა ბეჭდით გამოვსახე"), უნგროველახელი თბილისში ჩამოსელის შემდეგ შესდგომია („მე, ოსტატი, რა აქ მოველ...").

მომდევნო მე-12 სტროფის პირველი სტრიქონი:

„სტამბა გასრულდა, გათავდა, რაც იყო მისი წესები" — ეჭვმიუტანლად ხდის, რომ სტამბის „გასრულება-გათავება" თბილისში განხორციელებულა, რომ უცხოეთიდან მზამზარეული სტამბა არ მოუტანიათ.

---

[1] აღსანიშნავია, რომ „ქების ლექსში", საერთოდ, ყველგან მესტამბის გამოგზავნაზე არის-ლაპარაკი (სტროფები: 3, 6, 7, 9 და სხვ.) და სტამბის გამოგზავნა კი არსად არ იხსენიება.

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ბეჭდვისათვის საჭირო სტანდარტების ნაწილის (შემკულობა-ილუსტრაციების კლიშეებისა და სხვ.) ვლახეთიდან მოტანის შესაძლებლობის ვარაუდს[1].

რაც შეეხება სასტამბო შრიფტის (ნუსხურ-მხედრულის) გაკეთებას, ამაზე ჩვენ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი. ცხადია, მხოლოდ, რომ შრიფტის ჩამოსხმა მოძრავი ასოების, ლიტერების სახით იმავე მიხაილ უნგროვლახელის ნამოქმედარი იყო.

იბეჭდებოდა თუ არა ქართული წიგნები რუმინეთში?

ეს საკითხი ქართული წიგნის ბეჭდვის მკვლევართ არა ერთხელ წამოუყენებიათ (პროფ. ა. შანიძეს, გიორგი ლეონიძეს და სხვ.).

ვფიქრობთ, რომ რუმინეთში ქართული შრიფტი არ ჩამოსხმულა და არც ქართული წიგნი დაბეჭდილა. ზემოხსენებული ვარაუდის დამადასტურებელი საბუთი არსად გამოჩენილა და არც მოსალოდნელია მისი გამოჩენა.

ვასტანგის სტამბის წიგნების ქაღალდი

ვახტანგის სტამბის გამოცემების ქაღალდი ჰვირნიშნიანი (ფილიგრანიანი) არის. ეს გარემოება მოწმობს, რომ ვახტანგს ქაღალდი თავისი სტამბისათვის ევროპიდან მოუტანია — ირანსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ნაკეთებ ქაღალდს, როგორც ცნობილია, ჰვირნიშანი არ გააჩნდა.

საფიქრებელია, რომ ქაღალდის მოტანა და მესტამბის მოყვანა ერთდროულად, ერთისა და იმავე პირების მეშვეობით, უნდა განხორციელებულიყო. თავისთავად ცხადია აგრეთვე, რომ ქაღალდი დიდი რაოდენობით უნდა მოეტანათ. ამას მოწმობს ვახტანგის სტამბის ჩვენამდე მოღწეული ოცი გამოცემა და, განსაკუთრებით, ზოგიერთი მათგანის დიდი ტირაჟი (მაგ., 1709 წ. სახარებისა). შესაძლებელია, რომ დიდი რაოდენობის ქაღალდის მოტანა იმავე პირების მიერ, ვინც მესტამბე მოიყვანა, ვახტანგის თანამედროვეთა ფართო წრეებში აღქმული იყო, როგორც მზა-მზარეული სტამბის მოტანა. სწორედ აქედან უნდა მომდინარეობდეს თანამედროვეთა მცდარი ცნობა სტამბის მოტანის შესახებ.

„სტამბის სახლები" თბილისში

ვახტანგმა თავის სტამბას საგანგებოდ აუგო ს ა ხ ლ ი, რომელსაც მე-18 ს. 48—50 წწ. რამდენიმე საბუთი იხსენიებს[2]. „სტამბის სახლები" აგებული ყოფილა მეფის სასახლის ახლოს, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ანჩისხატისა და სიონის ტაძრის შუა ზღებარე ფართობზე. პლატონ იოსელიანის ერთი ცნობით ეს სახლი 10 ოთახიან შენობას წარმოადგენდა[3].

[1] შრიფტისა და, საერთოდ, სტამბის სხვა „სახმართა" თბილისში დამზადებას ვარაუდობდნენ: თ. ჟორდანია (ჟურნ. „ივერია" 1885, X, გვ. 105) და სხვა მკვლევრები.

[2] თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 98—99, 103.

[3] Пл. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, თბ., 1866, გვ. 247.

ვახტანგის სტამბის სახლებს თბილისთან ერთად სრული განადგურება ხვდა წილად. 1723—1748 წწ. იქ მიდამოებში, სადაც „სტამბის სახლები" იდგა, თვითნებურად დასახლებულან კერძო პირები[1].

სტამბის მოწყობის ხარჯები

სტამბის მოწყობისათვის გაწეული ხარჯის შესახებ ჩვენ მხოლოდ ზოგადი ხასიათის განცხადებები გვაქვს. თვით ვახტანგი ამაზე არაფერს გვეუბნება. 1710 წ. ლოცვანისათვის დართულ ანდერძში ნ. ორბელიანი აღნიშნავს: „ვასტანგ[მა] ფრიადისა ჰირითა და მრავალთა საფასეთა წარგებითა მოიღო სტამბაო". დაახლოებით ამასვე ამბობს 1711 წელს დაბეჭდილი სახელმძღვანელოს ავტორი გერმანე: ვახტანგმა „მოიხენა სტამბა... დიდის საფასითა და წარსაგებელითაო"[2]. ამ ცნობებს ბევრს არას უმატებს კვიპრიანე სამთავნელის ანდერძი 1713 წ. „კურთხევანის" ტექსტის წინ (ვახტანგმა „გააკეთებინა სტამბა ფრიადითა წარსაგებელითა საფასეთათაო")[3].

ცნობილი რუსი მეცნიერი ევგენი (ბოლხოვიტინოვი) ამ საკითხისათვის, უეჭველია, ქართველი ბატონიშვილებისაგან მიღებულ ცნობებზე დამყარებით, გადმოგვცემს: ვახტანგმა თბილისის სტამბის მოწყობისათვის უდიდესი ხარჯი გასწიაო[4].

დაახლოებით წარმოდგენას გვაძლევს ვახტანგისაგან „წარგებულ საფასეზე" ცნობა იმ ჰონორარის შესახებ, რაც ვახტანგს უნგროვლახელი ოსტატისათვის მისი ოთხი წლის მუშაობისათვის (ჩვენი ვარაუდით 1708—1711) მიუცია.

გ. ლეონიძის მასალებიდან ჩვენ ვიცით, რომ საქართველოდან 1712 წელს მიხაილ უნგროვლახელი ჰოლანდიაში მიდის სასტამბო ხელოვნების უფრო კარგად დაუფლების მიზნით[5]. თავისთავად ცხადია, რომ იმდროინდელ პირობებში საქართველოდან მოსკოვს და იქიდან ჰოლანდიაში გამგზავრება და იქ კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუშაობა საკმარისად დიდი თანხის დახარჯვას მოითხოვდა.

პროფესორ P. Constantinescu-Jasi-ის მასალების მიხედვით ვახტანგს უგროვლახელი ოსტატისათვის მოსკოვის გზით ჰოლანდიაში გამგზავრების საშუალება მიუცია[6]. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ 1712 წლის დასაწყისში, როდესაც ვახტანგი ქართლის ტახტის დამკვიდრების იმედებით იყო სავსე და ირანს მიემგზავრებოდა, **მას ზომები მიუღია თბილისის სტამბის ტექნი-**

---

[1] თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 98—99, 103.

[2] აღწერილობა № 10.

[3] „კურთხევანი", თბ., 1713, კვიპრიანე სამთავნელის ანდერძი. „აღწ.", 13.

[4] А. Евгений, Историческое изображение Грузии, 1802, გვ. 61; თამარ მაჭავარიანის წერილი: ერთი საყურადღებო წიგნის შესახებ, გვ. 216—217, კ. მარქსის სახელ. საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, წ. III, ტფ., 1937.

[5] გ. ლეონიძე, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის. ჟ. „დროშა", № 2, 1951, გვ. 18.

[6] P. Constantinescu-Iasi, Legăturile tărilor Române cu Georgia (Antim Ivireanul), 160. „Studii", 1951, № 4.

კური დონის ასამაღლებლად და გამომცემლობის ფართო და მტკიცე ბაზის შესაქმნელად, ამ მიზნით მიუწვევია მას უნგროვლაბელი ოსტატი ჰოლანდიაში. ადვილი წარმოსადგენია, რამდენად დიდ ხარჯს მოითხოვდა იმ დროს ასეთი „მივლინება“. მით უფრო, რომ მიხაილ მესტამბეს დავალებული ჰქონია საქართველოში ახალი დაზგებისა და სხვ. ჩამოტანა [1].

ამას უნდა დავუმატოთ ის ხარჯი, რაც ვახტანგს გაწეული ჰქონდა იერუსალიმის პატრიარქთან მოციქულის გაგზავნაზე, უნგროვლახელის ძნელ და ხანგრძლივ მოგზაურობაზე ვლახეთიდან საქართველოში და შემდეგ საქართველოდან, ქაღალდის შეძენა-მოტანაზე, სტამბისათვის საგანგებოდ სახლის აგებაზე, შრიფტის გაკეთება-ჩამოსხმაზე, სტამბის დანარჩენ „სახმართა ზედა“ და სხვ.

აქედან ცხადია, რომ ვახტანგი სტამბის მოწყობისათვის მართლაც არ მორიდებია დიდი თანხის დახარჯვას.

მიხაილ სტეფანესშვილი უნგროვლასელი

მიხაილ უნგროვლახელის, როგორც XVIII ს. დასაწყისის ქართული კულტურის ერთ-ერთი დიდი მოამაგის, სახელი მკვიდრად არის შესული ჩვენი კულტურული ცხოვრების მატიანეში. მაგრამ ამ ადამიანის შესახებ დღემდე მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვებოდა, ისიც უმთავრესად ძველი ნაბეჭდი წიგნების ანდერძებიდან ამონაკრეფი.

რუმინეთში 1951 წელს გამოქვეყნებული მასალების წყალობით დღეს ჩვენი ცნობები შევსებულია მიხაილ სტეფანეშვილის უნგროვლახეთში მოღვაწეობის ცნობებით.

მიხაილ იშტვანოვიჩი, როგორც იგი სამშობლოში უწოდებდა თავის თავს, სასტამბო საქმეში ანთიმოს ქართველის პირველ მოწაფეთაგანი იყო. მან ჯერ კიდევ 1696 წელს დაბეჭდა პირველი წიგნი სნაგოვში. მიხაილის ოსტატობის ამ პირველ ნაყოფს ახლავს მისი ანდერძი, სადაც იგი ამბობს, რომ სასტამბო ხელოვნება მან „პატიოსანი [სულიერი] მამისა და მასწავლებლის ანთიმოს ივერიელის მზრუნველობით შეისწავლა“. სხვა გამოცემაში მიხაილი თავის თავს ანთიმოს ქართველის „უღირს მოწაფეს“ უწოდებს.

1699 წელს კოსტანტინე ბრანკოვიანუ გზავნის მიხაილს ტრანსილვანიაში, როგორც სტამბის დახელოვნებულ ოსტატს. ბელგრადში დაბეჭდილ წიგნს მიხაილი ურთავს ახალ ვარიანტს მესტამბეთა იმ ლექსისა, რომელიც მისი მასწავლებელის ანთიმოს ქართველის მიერ დართული ჰქონდა 1697 წ. სნაგოვში დაბეჭდილ სახარებას (შემდეგში მიხაილ უნგროვლახელმა ეს ლექსი თბილისში 1710 წლის ქართულ „კონდაკის“ ბოლოში დაბეჭდა. ამაზე იხ. ქვემოთ).

იქვე დაბეჭდა მიხაილმა პედაგოგიური შინაარსის წიგნი. მიხაილის მოღვაწეობა 1697—1706 წწ. ჯერ-ჯერობით გარკვეული არ არის. 1706 წელს

[1] P. Constantinescu-Iasi, Legăturile tărilor Române cu Georgia (Antim Ivireanul), 160. „Studii“, 1951, № 4.

იგი თავისი ოსტატის ხელმძღვანელობით რიმნიკში მუშაობს. აქ ის ბეჭდავს რუმინულსა და ბერძნულ წიგნებს. ამ (1706) წელზე წყდება მიხაილ ისტპანოვიჩის სასტამბო საქმიანობა უნგროვლახეთში. 1707 წლიდან მას თავის სამშობლოში გზავნის მისი მასწავლებელი ანთიმოს ქართველი [1].

საქართველოში ანთიმოსის ღირსეულმა მოწაფემ საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა:

,,პატრიარქმა გამოგზავნა აქ მიხაილ კარგად ზრდილი,
კარგად სტამბის გამომღები, ჰკვიანი და გამოცდილი''—

ვკითხულობთ ,,ქების ლექსში''.

მიხაილმა პირნათლად აასრულა ვახტანგის დავალება. 1707—1708 წლებში ვახტანგის ბრძანებით აგებულ ,,სტამბის სახლებში'' მიხაილ უნგროვლახელმა დაამზადა სტამბის ამუშავებისათვის საჭირო ,,სახმარნი''. პირველნაბეჭდი ქართული სახარებისათვის (1709) წამძღვარებულ მკითხველთადმი მიმართვაში მიხაილი სამართლიანად ამაყობს, რომ ვახტანგის ღვაწლის შემდეგ მისი პირადი გარჯით და ხელმძღვანელობით გაკეთდა ყველაფერი:

,,ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილებიან — ასონი, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდე, მოქმედი. და წინამძღომელი მე ვარო''—ამბობს მიხაილი.

ამავე მიმართვაში, ქვემოთ, მიხაილი აღნიშნავს, რამდენად ძნელი იყო მისთვის პირველ ხანებში საქართველოში მუშაობა:

,,უცხო ვიყავ ქვეყანისა ამისა''-ო, ამბობს ის.

უცხო ქვეყანაში მუშაობა მით უფრო უხერხული იყო, რომ მიხაილს საქართველოში მოსვლამდის ქართული ენა არც კი გაეგონა (მისი თქმით ,,ქართულ სიტყვათა უსმენელი იყო'').

ასეთ პირობებში მოუხდა უნგროვლახელ ოსტატს მოწაფეთა მთელი ჯგუფის გაწვრთნა.

„რომელნი ჩემნი მოწაფენი იყვნენ, ეგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის ჩემისაო''—ამბობს მიხაილი.

ამგვარად, მიხაილის მოწაფეებს სრულებით არ ჰქონიათ სასტამბო საქმის გამოცდილება. ცხადია აქ საუბარია **ქართველ მოწაფეებზე.**

ეს კიდევ უფრო ნათელი და სრულიად უეჭველიც ხდება „მიმართვის'' მომდევნო ფრაზიდან:

„ვითარცა მე ვიყავ ქართლისა უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა'' [2].

---

[1] იხ. Legăturile ţărilor Române cu Georgia. „Studii'', 1951, № 4.

[2] იხ. ამ წიგნის ბოლოში დართული აღწერილობა, № 1, უნგროვლახელის „მიმართვის'' ტექსტი.

აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თუ უნგროვლახელ ოსტატს ქართლი არ ენახა აქამდის, მის **ქართველ მოწაფეებს** არასოდეს არ ენახათ სტამბა და მისი არაფერი გაეგებოდათ.

ვახტანგის ანდერძებიც გვაუწყებენ მხოლოდ ერთი მესტამბის ნოყვანას: „მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით“ [1].

მხოლოდ ერთი დახელოვნებული ოსტატის გამოწერას ვახტანგის მიერ, სხვა მრავალ წყაროსთან ერთად, მოწმობს „ქების ლექსიც“:

„ერთსა სტამბის ხელოვანსა გთხოვთ, აქ მინდა დავაწესო“ (1_4) [2],
თხოულობს ვახტანგი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია უარყოფილია უნგროვლახეთიდან **მესტამბეთა ჯგუფის** და არა ერთი მესტამბის გამოწერის აზრი [3]. მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ ერთხელ კიდევ შევჩერდეთ ამ საკითხზე რუმინელი მეცნიერის, პატივცემული პროფესორის P. Constantinecsu-Jași-ს ცნობასთან დაკავშირებით, თითქოს მიხაილ უნგროვლახელს საქართველოში მისი მოღვაწეობის პერიოდში თან ჰყოლოდეს **უნგროვლახი მოწაფეები.**

ეს გაუგებრობა მიხაილ უნგროვლახელის 1709 წლის თბილისის „სახარებაში“ მოთავსებული მკითხველებისადმი მიმართვის ზემოთ განხილული ადგილის ქართული ტექსტის არასწორი თარგმნის შედეგია [4].

რამდენად დიდ წარმატებას მიაღწია მიხაილ უნგროვლახელმა საქართველოში, ამას მოწმობს 1709 წლის სამი ჩინებული გამოცემა (სახარება, დავითნი, სამოციქულო). მომდევნო 1710 წელს უნგროვლახელი ბეჭდავს „კონდაკს“ ანუ ლიტურგიის შესრულების წესს, რომელიც მბეჭდავის ოსტატობის ნამდვილ შედევრად ითვლება. ამავე წელს ფართოდ გავრცელების მიზნით იბეჭდება მხედრული „ჟამნი“, სტამბიდან გამოდის კიდევ ორი წიგნი: წვრილი ნუსხური შრიფტით დაბეჭდილი, მეტად მოხდენილად გაფორმებული მცირე ფორმატის „ლოცვანი“ და „ჟამნი“.

1711 წელს მიხაილ მესტამბე ბეჭდავს ორ გამოცემას (მხედრული შრიფტით)—„დავითნს“ (ბერძნული შრიფტით დაბეჭდილი ბერძნული ლექსითურთ) და ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოს.

1710—1711 წწ. უნდა იყოს აგრეთვე დაბეჭდილი ქართული ბიბლიის ნაწილი: „წინასწარმეტყველთა წიგნები“ და სახარება.

ჩამოთვლილი გამოცემების ჩვენამდე სრული სახით მოღწეულ თავფურცლიან უდეფექტო რვა ცალზე აღბეჭდილია მიხაილ სტეფანესშვილი უნგროვლახელის სახელი. გამონაკლისს წარმოადგენს 1709 წლის მეტად დეფექ-

---

[1] აღწერილობა, № 1, ვახტანგის ანდერძი.

[2] გ. ლეონიძე, ანთიმ ივერიელი, ჟურ. „დროშა“, № 2, 1951, გვ. 18.

[3] დ. კარიჭაშვილი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, გვ. 67—68, თბ. 1929; პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი 1629—1929, გვ. 47—48.

[4] P. Constantinescu-Jași. Legăturile țărilor Române cu Georgia. „Studii“, Pag. 159.

ტური „დავითნი“ და უთავფურცლო, დაუმთავრებელი ბიბლია (წინასწარმეტყველთა წიგნები და სახარების ბოლონაკლული სამი თავი). ამ ორი გამოცემის დამბეჭდავად უეჭველად იგივე მიხაილ უნგროვლახელი უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, მიხაილ სტეფანესშვილმა 1709—1711 წწ. ათი ჩვენამდე მოღწეული გამოცემა დაბეჭდა.

პროფესორი P. Constantinescu-Iași-ის 1951 წ. დაბეჭდილი გამოკვლევა მიხაილ ისტპანოვიჩის (მიხაილ უნგროვლახელის) საქართველოდან წასვლის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებს გვაძლევს. 1713 წლის აპრილში ანთიმოს იერიელი მოახსენებს პატრიარქს: „იერიაში წარგზავნილი მოწაფე ჩემი. სტამბის ხელოვანი მიხაილ ერთი წლის წინ წავიდა იერიიდან და, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მეტად დიდ ხანს იმგზავრა [რუსეთის] სატაბტო ქალაქამდის [ე. ი. მოსკოვამდის]. მაგრამ მშვიდობით მიაღწია მას. იქიდან უკეთესი მომზადების მიზნით ჰოლანდიაში გაემგზავრა. მაგრამ ჩვენ არ ვიცით რამდენს ხანს დაჰყოფს იქ“ [1].

ასე თავდება ეს დოკუმენტი, რომელიც დიდმნიშვნელოვანია და სარწმუნო პირველწყაროს წარმოადგენს.

ამ უტყუარი საბუთის გვერდით პროფ. პ. კონსტანტინესკუს საბუთებში გვაქვს უფრო ვრცელი ცნობები. ამ ცნობების მიხედვით მიხაილ უნგროვლახელი მოსკოვს და იქიდან ჰოლანდიაში ვახტანგის დავალებით წასულა. მოსკოვში მას პატრიარქ ხრისანთესაგანაც ჰქონია რაღაც დავალება; ჰოლანდიაში მის წასვლას კი მიზნად ჰქონია არა მარტო ბეჭდვითი საქმის უკანასკნელი მიღწევების გაცნობა, არამედ თბილისის სტამბისათვის გაუმჯობესებული საბეჭდავისა და შრიფტის შეძენა და ჩამოტანა.

ეს ცნობები არ ეწინააღმდეგება ანთიმოს ქართველის პატრიარქისადმი მიწერილი (1713, აპრილის 26) ბარათის ცნობებს. უცნაურია მხოლოდ ის გარემოება, რომ პატრიარქს არათუ სცოდნია მიხაილ მესტამბის მოსკოვს გამგზავრება, არამედ თითქოს თვითონვე მიუცია მისთვის გარკვეული დავალება. ეს შედარებით უმნიშვნელო შეუთანხმებლობა შეიძლება აიხსნას ჩვენი ცნობების ნაკლულობით.

გაცილებით უფრო ძნელად დასაჯერებელია სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ვარაუდი — თითქოს 1712 წელს მიხაილ უნგროვლახელს დაებეჭდოს საქართველოში „ვეფხისტყაოსანი“; თითქოს უნგროვლახელი ჰოლანდიიდან კვლავ საქართველოში დაბრუნებულიყოს, მოეტანოს გაუმჯობესებული მანქანა და ახალი შრიფტი და თბილისში ახალი გამოცემები ებეჭდოს.

ჩვენი ცნობებით, რომლებიც ვახტანგის სტამბის წიგნების ანდერძებიდან და თავფურცლებიდან მომდინარეობენ, მიხაილ უნგროვლახელის მოღვაწეობა საქართველოში შემოფარგლულია 1708—1711 წლებით (1711 წლის ჩათვლით).

---

[1] Prof. P. Constantinescu-Iași. Legăturile țărilor Române cu Georgia (Antim Ivireanul). 157, 169—150. „Studii“, 1951, № 4.

[2] იქვე.

1712 წლის „ეფხისტყაოსანი“, როგორც ამ გამოცემის თავფურცლის ტექსტი და სპვ (286) გვერდზე დაბეჭდილი ლექსი მოწმობს, მიხაილ უნგროვლახელის ნაღვაწი კი არ არის, არამედ **ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქაელ მესტამბისა.** მიქაელ მესტამბის ხელით დაბეჭდილია აგრეთვე 1712 წ. „დავითნი“ და 1713 წ. „კურთხევანი“ [1]. საერთოდ 1712—1722 წლებში დაბეჭდილი არც ერთი წიგნი არ გვიჩვენებს მიხაილ სტეფანესშვილი უნგროვლახელის მონაწილეობას ვახტანგის სტამბის საქმიანობაში (ამაზე იხ. მომდევნო თავი: „პირველი ქართველი მესტამბეები“).

თავისი „მიმართვის“ ერთ ადგილას უნგროვლახელი ამბობს: „მხურვალითა გულითა ვმუშაკობო“.

მართლაც, ვახტანგის სტამბის ყოველი პირველნაბეჭდი გამოცემა მოწმობს დიდად დახელოვნებული მესტამბის მაღალხარისხოვან ოსტატობას და მის დაუცხრომელ გულმხურვალებას.

ეს გამოცემები არაფრით არ ამჟღავნებენ, რომ ქართული ბეჭდვითი ხელოვნების პირველ ცდებს წარმოადგენენ. ფაქიზი მხატვრული გემოვნება და ზომიერების გრძნობა, რომლითაც აღბეჭდილია ყოველი მათგანი, ამ წიგნებს იმდროინდელი ბეჭდვითი საქმის საუკეთესო ნიმუშებს უყენებს გვერდში.

უნგროვლახელის ოსტატობასა და გულმხურვალებას ამ შემთხვევაში ხელს უწყობს ქართული ხელნაწერი წიგნის მრავალსაუკუნოვანი მაღალი კულტურული ტრადიცია, რომელიც აადვილებს საქართველოში ბეჭდვითი ტექნიკის დანერგვას.

იმის მიხედვით, რაც ჩვენ მიხაილ უნგროვლახელის შესახებ ვიცით, იგი სტამბის იმ ძველ მოღვაწეთა კატეგორიას უნდა ეკუთვნოდეს, რომლებიც უანგარო გატაცებითა და თავისი საქმის მნიშვნელობის ღრმა შეგნებით ეკიდებოდნენ საქმეს. ამას, სხვათა შორის, ადასტურებს ისიც, რომ მიხაილი არ შეუშინდა შორეულ მოგზაურობას სრულიად უცხო ქვეყანაში. უნგროვლახელის დიდი გატაცება თავისი საქმით მჟღავნდება იმაშიაც, რომ, ვახტანგის მიერ კარგი ჰონორარით დაჯილდოებული, იგი განსვენებაზე არ ფიქრობს და კვალიფიკაციის ასაამაღლებლად იმდროინდელი ბეჭდვითი ხელოვნების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრში, ჰოლანდიაში (ალბათ, ქ. ამსტერდამში) მიემგზავრება.

---

[1] უნგროვლახელი მესტამბისა და მისი მოწაფის, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილსახელების — მიხაილ — მიქაელ — მიქელ — დამთხვევა ზოგიერთი ქართველი მკვლევარის შეცდომის მიზეზიც გახდა. ეს გაუგებრობა გარკვეულია ჯერ კიდევ 1929 წლის ნაშრომებში— იხ. დ. კარიჭაშვილი. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. გვ. 85, 86.

7

თბილისის სტამბის ძუშაკნი და გამოცემები

პირველი ქართველი მესტამბეები

უნგროვლახელის ღვაწლი მხოლოდ საბეჭდავის მოწყობით, სტამბის ტექნიკურად გამართვით და ათი ჩინებული გამოცემის დაბეჭდვით არ ამოწურულა. მან უდიდესი ამაგი დასდო ქართულ კულტურას ქართველ მბეჭდავთა გაწვრთნითაც.

მბეჭდაეთა გაწვრთნას უნგროვლახელი, როგორც ვთქვით, საქართველოში მოსვლისთანავე, ე. ი. ჯერ კიდევ პირველნაბეჭდი სახარების გამოცემამდე (1709 წ.), შედგომია; ეს ნათელია უნგროვლახელის ანდერძიდან, რომელიც 1709 წ. სახარების პირველ გვერდზეა მოთავსებული:

„რომელნი ჩემნი მოწაფე იყვენენ, ეგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის. ვითარცა მე ვიყავ ქართლის უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა“.

ცხადია, უნგროვლახელის ხელმძღვანელობით გაწვრთნილ ქართველ მესტამბეებს უკვე 1709 წლის გამოცემების (სახარება, დავითნი, სამოციქულო) აწყობასა და ბეჭდვასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობაში მიუღიათ მონაწილეობა.

ზოგიერთი ქართველი „ახალ მოსწავლე“ მესტამბის ვინაობის გარკვევა ხერხდება უნგროვლახელის სამშობლოში დაბრუნების შემდგომ გამოცემული წიგნების თავფურცლების მიხედვით.

პირველი ქართველი მესტამბე, რომლის სახელიც აღბეჭდილია 1712 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთ ფურცელზე, არის ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქაელ.

ეს პირი იხსენიება აგრეთვე ამავე 1712 წ. დაბეჭდილი „დავითნისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ გამმართველად ანუ რედაქტორად (იხ. ხსენებული გამოცემების თავფურცლები).

თავის მესტამბეობას მიქაელი მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ბოლოს დაბეჭდილ ორსტროფიან ლექსში აბჟღავნებს:

„აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ჴელისა,
უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა,
მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით კეთილმჭნელისა,
და ნაღვაწი მისი მღოცელისა მესტამბე მიქაელისა“.

როგორც ამ ნაწყვეტიდანაც ჩანს, მიქაელი ვახტანგის პოლიტიკური და კულტურული საქმიანობის ერთ-ერთი ენთუზიასტია. იგი აღტაცებით ეგებება „ვეფხისტყაოსნის“ გამოქვეყნებას და ამ ნაწარმოებს „სამღთო-საეროდ“ აცხადებს.

ამავე მიქაელის ხელით არის დაბეჭდილი 1713 წელს გამოცემული „კურთხევანი“.

ნაბეჭდი წიგნების თავფურცლებისა და ანდერძების გარეშე მიქაელის შესახებ გვაქვს ერთადერთი ცნობა, რომელიც მისივე (ჩინებული) ხელით დაწერილ ნაბახტევის მიწის 1712 წ. ნასყიდობის წიგნშია ჩართული. აქ იგი თავისთავს „მესტამბეთ უმფროსს მიქელს“ უწოდებს.

იესეს მეფობაში (1715—1716) 1716 წ. დაბეჭდილი „დავითნის“ თავფურცელზე „სტამბის მეურნედ“ სხვა პირი იხსენიება: გიორგი მხატვარი. საყურადღებოა, რომ აქ ტერმინი „მესტამბე“, რომლის ნაცვლადაც მიქელის საბუთში „მესტამბეთ უმფროსი“ არის ნახმარი, „სტამბის მეურნედ“ ქცეულა. მაგრამ მომდევნო წლის გამოცემაში (ჟამნი, 1717) მის ადგილს კვლავ პირვანდელი „მესტამბე“ იჭერს.

გიორგი მხატვრის მესტამბეობით გამოდის 1717 წ. „ჟამნი“ და 1720 წ. „პარაკლიტონი“ („მბეჭდავი წმიდისა ამის პარაკლიტონისა... ტფილისის სიონის მხატვარი გიორგი“).

გიორგი მხატვრის გვერდით 1717—1722 წწ. მესტამბედ იხსენიება გარსევან ყოფილი მღვდელი გაბრიელ, რომელიც მესტამბეობასთან გამმართველის (რედაქტორის) მოვალეობასაც ათავსებს („გაიმართა ჴელითა მესტამბე გარსევან ყოფილი მღდლის გაბრიელისათა“ — 1717 წ. ჟამნი).

იგივე გაბრიელი იხსენიება 1719—1720 წწ. დაბეჭდილი „კურთხევა ეკლესიისას“, 1721 წლის გამოცემის „ქმნულების ცოდნის წიგნისა“ და 1722 წ. მხედრული „ჟამნის“ (ვახტანგის სტამბის უკანასკნელი გამოცემის) მბეჭდავად.

გარდა იმ პირებისა, რომელთაც ჩვენ 1709—1722 წწ. ნაბეჭდი გამოცემებით ვიცნობთ, თბილისის პირველ სტამბას, უეჭველია, მრავლად ჰყავდა სხვა თანამშრომლებიც. ერთი ამათგანი მოგვიანებით გვაუწყებს: „მე, სალუყაზანაშვილი აბრამა... ვახტანგ ნეფის დროს.. დიაკვანი ვიყავ და სტანბაში ვებარეო“ (საქ. მუზ. საბუთი Qd 8572).

თავისთავად ცხადია, რომ სტამბის სახით ქალაქ თბილისს ერთი ახალი საწარმოო გაუჩნდა („წიგნის ქარხანა“), რომელმაც მოსამსახურებლად ხელოსნების გარკვეული ჯგუფი მიიზიდა.

სტამბის მუშაკთა ლექსები

წიგნის ბეჭდვის შემოღების დასაწყისიდან მოყოლებული XVIII ს. შუა წლებამდის სტამბის მუშაკებს თავიანთი განათლებულობისა და პროგრესულობის წყალობით საპატიო ადგილი ეჭირათ საზოგადოებაში. მესტამბეები ხშირად წიგნების ავტორობასა და რედაქტორობასაც კისრულობდნენ.

საქართველოს პირველი სტამბის მბეჭდავებიც, უპირველეს ყოვლისა თვით მიხაილ უნგროვლახელი, ბეჭდვითი საქმის ძველ მოღვაწეთა კვალს მისდევენ. მესტამბე მიხაილ თავისუფლად და გაბედულად ურთავს პირველნაბეჭდ ქართულ გამოცემებს (1709 წ. სახარება, 1710 წ. კონდაკი და სხვ.) საკუთარ ანდერძებს; აქ ის თავის დამსახურებას ქართული სტამბის მოწყობაში, ვახტანგის ღვაწლის შემდეგ, უმნიშვნელოვანესად აცხადებს (იხ. ზემოთ).

1710—1722 წწ. სხვა გამოცემებში მბეჭდავები მთელი კორპორაციის სახელითაც გამოდიან. 1710 წლის „კონდაკის“ უკანასკნელ გვერდზე ჩვენ ვხედავთ მესტამბეთა რუმინული ლექსის ცნობილ ტექსტს, დაბეჭდილს ქართული ტრანსკრიპციით.

რუმინული ტექსტის ზემოთ, ოთხსტრიქონად დაბეჭდილია:

„ქ. ვითარცა უცხონი იხარებენ ხილვასა ზედა თავისთა სამკჳდრებელთასა
და ზღუათა შინა მავალნი ხილვასა ზედა ნავთსაყუდელთასა,
ეგრეცა მესტამბენი იხარებენ განსრულებასა ზედა წიგნთასა“.

მესტამბეთა ლექსის ეს ქართული პროზაული ვარიანტი შემდგომ გამოცემებში, ოდნაიი ცვლილებითა და გავრცობით, ლექსის ფორმით იმოსება:

„ნავთსაყუდელსა მენავე რა ბივლენ, განისვენებენ;
მოყვასთა, თვისთა სამყოფთა ნახვა სწადს, მით ისვენებენ;
პირთ მყოფნი, ლხინსა შესულნი, მას აღარ მოიხსენებენ
და რა ბეჭდვა მბეჭდავს უსრულდეს, თავს აღარ შეიჩვენებენ“.

(იხ. 1711 წ. მხედრული „დავითნი“ და 1713 წ. „კურთხევანის“ ტექსტის ბოლო).

მოგვიანებით, ათიოდე წლის შემდეგ, ლექსი სხვა ვარიანტის სახით იბეჭდება:

„მენავე ღელვა-გვემული განეროს ზღვისა წყრომასა,
გალატოზნი და ხურონი რა მორჩენ თჳსსა შრომასა,
მათს სიხარულსა ვინ დასთვლის, ანუ შვებისა ზომასა!
და მესტამბე მათგან უაღრეს იქს სიხარულის ნდომასა“—

ვკითხულობთ 1721 წ. „ქმნულების ცოდნის წიგნის“ ბოლოს.

თავისთავად ცხადია, რომ ყველა ეს ტექსტი, სადაც სტამბის მუშაკნი წიგნის ბეჭდვის დამთავრებით გამოწვეულ სიხარულს გამოხატავენ, რუმინული ლექსის (1710 წ. „კონდაკი“) გავლენის კვალს ატარებს.

როგორც პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს, მესტამბეთა ასეთივე ლექსი მოთავსებული ყოფილა ჯერ კიდევ 1697 წ. გამოცემული რუმინული სახარების ფურცლებზე[1].

[1] პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, გვ. 161—165.

მაგრამ ამ ლექსის პირველი ვარიანტი საუკუნეთა საკმარისად დიდი „სიღრმიდან" უნდა მომდინარეობდეს.

არ შეიძლება თვალში არ მოგვხვდეს რუმინელ და ქართველ მესტამბეთა ხსენებული ლექსების შინაარსის მსგავსება „ერთ-ერთი უძველესი რუსული ხელნაწერის გადამწერის" შემდეგი ანდერძის შინაარსთან:

> „როგორც უხარია საქმროს თავისი დანიშნულის ხილვა, ისევე უხარია მწერალს უკანასკნელი გადაწერილი ფურცლის ხილვა; როგორც უხარია ვაჭარს თავისი მონაგების მიღება ანუ ნავის მძღოლს ნავთსაყუდელს მისვლა, ანუ მოგზაურს სამშობლოში დაბრუნება, სწორედ ასევე უხარია წიგნის გადამწერს თავისი შრომის განსრულება"[1].

ძნელია ამდენად ძველი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერისა და XVII—XVIII საუკუნის მესტამბეთა ლექსებს შორის უშუალო კავშირის დადგენა. მაგრამ მესტამბეთა ხსენებული ლექსების ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან მომდინარეობა ცხადია[2].

ამ ლექსებისგან განსხვავებულია მესტამბეთა სხვა ლექსები, დაბეჭდილი პირველნაბეჭდი გამოცემების ფურცლებზე როგორც ავტორის აღუნიშნავად, ისე მესტამბის სახელით; მაგ., ბაგრატიონთა ღერბის ქვეშ მოთავსებული „ბეჭდის იგავის" უკანასკნელი სტროფი, რომელიც საქართველოში პირველი სტამბის შემოღებით გამოწვეულ საზოგადოებრივ განწყობილებას ასახავს:

> „სტამბას ბეჭდავდენ ფრანგნი და რუსნი და მერმე ვლახელნი.
> აქ არსად იყო აროდეს, ვერ ვპოვეთ მისნი მნახველნი.
> გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მნახველნი
> და ამ ბეჭდვამ ახლა მის გამო გაცუდნა ყოვლნი მჩმახველნი".

ეს სტროფი უტყუარად მიგვითითებს, რომ ვახტანგის განმანათლებელი ზომები ერთსულოვან მოწონებას არ იწვევდა. საზოგადოების გარკვეული, არაპროგრესული ნაწილი მითქმა-მოთქმით („ჩმახვით") ეგებებოდა ამ ზომებს და, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ბეჭდვითი საქმის თვალსაჩინო წარმატებას შეეძლო ჩაეჩუმებია ახლად შემოღებული სტამბის საწინააღმდეგო დრტვინვა (ამ საკითხს ჩვენ ქვემოთაც დავუბრუნდებით).

მესტამბეთა ლექსებს შორის დიდად საყურადღებოა 1712 წ. დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის" რედაქტორის (გამმართველი), მესტამბე მ ი ქ ა ე ლ ი ს ლექსი, პოემის უკანასკნელი სტროფის შემდეგ მოთავსებული (სპვ გვ.). აქ ნათლად არის ასახული აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა პოემის დაბეჭდვის

---

[1] Литературная Энциклопедия, т. 5, 328, Москва, 1931.

[2] მესტამბეთა ლექსების ვარიანტებს ეხება პ. გუგუშვილი. იხ. მისი: „ქართული წიგნი 1629—1929", გვ. 52—53, 54—55, 61; ამავე საკითხისათვის იხ. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ანთიმ ივერიელი, ჟ. „დროშა", № 2, 1951.

უნდა ითქვას, რომ, წინააღმდეგ გ. ლეონიძის მითითებისა, რუმინული ლექსი დაბეჭდილია არა 1709 წ. სახარებაში და არა 1711 წ. ქართულ „დავითნში", არამედ მხოლოდ 1710 წ. „კონდაკის" უკანასკნელ გვერდზე.

შომენტში: ფართო საზეიმო განწყობილება, რომელიც გამოუწვევია საზოგადოების მოწინავე ნაწილში „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას. მაგრამ ამ საკითხზე დაწვრილებით შევჩერდებით ქვემოთ, სადაც საკუთრად „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაზე გვექნება საუბარი.

ვახტანგის სტამბის გამოცემათა რაოდენობა

საქართველოსა და, საერთოდ, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა წიგნთსაცავში ამჟამად ვახტანგის სტამბის 20 გამოცემა არის დაცული. მათი პირველი სრული აღწერილობა წარმოდგენილია საქართველოს წიგნის პალატის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია.1“ (თბ., 1941, №№ 5—24); ეს გამოცემები ხელახლა აწერილია წინამდებარე წიგნის დამატებაში („აღწერილობაში“).

უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგის სტამბის გამოცემებს ჩვენამდე სრულად არ მოუღწევია. ამ ვარაუდს, სხვათა შორის, ისიც ამართლებს, რომ ზოგიერთი გამოცემა მხოლოდ ერთადერთ, ისიც შემთხვევით გადარჩენილ ცალად მოგვეპოვება. ასეთია, მაგ., 1719—20 წწ. „ჯურთხევა ეკლესიისა“[1], ერთადერთ ცალად დაცული სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ. მუზეუმისეულ ფონდში (F : 19868); ასეთივეა ამავე ბიბლიოთეკის საეკლესიო მუზეუმისეული ფონდის 1709 წლის დავითნის ერთადერთი ცალი (F : 19990), რომელიც ამ ათიოდე წლის წინ პირველად იქნა შემჩნეული. ერთადერთ ცალად არის დაცული საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის (ლენინგრადი) სააზიო მუზეუმისეულ ფონდში 1716 წლის დავითნი, რომელიც 1939 წლის მაისში აღმოაჩინეს (იქამდის ლიტერატურაში იგი სრულიად უცნობი იყო).

საყურადღებოა, რომ ონოფრე მაჭუტაძე იხსენიებს ვახტანგის სტამბის „კვერექსს“, რომელიც დღეს არსად ჩანს; ლიტერატურაში მისი დაბეჭდვა ცნობილი არ ყოფილა.

დ. კარიჭაშვილი, ზ. ჭიჭინაძისა და გ. შანშიევის ცნობათა კრიტიკული ანალიზის შედეგად, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ხსენებულ პირებს უნდა ენახოთ ვახტანგის სტამბის ორი უცნობი გამოცემა 1712 წლისა: „დაუჯდომელი“ და „ლოცვანი ანბანითურთ“[2].

ამ ორი სახელწოდების წიგნთაგან ერთის — 1712 წელს დაბეჭდილი „ლოცვანი ანბანითურთ“ — არსებობა ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია. ზ. ჭიჭინაძე და გ. შანშიევი, როგორც ამას დ. კარიჭაშვილიც აღნიშნავს, მათ მიერ აღწერილ გამოცემებს ხშირად თვითნებურად ასათაურებდნენ. საფიქრებელია,

---

[1] ამ ცალში ჩაკინძულ ცარიელ ფურცლებზე გადმოცემულია ამ წიგნის სრულიად შემთხვევით პოვნისა და გადარჩენის საგულისხმიერო ამბავი.

[2] დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, გვ. 76—80.

რომ ამ შემთხვევაში ლოცვანად ჩათვლილია 1712 წელს გამოცემული დავითნი ანუ ფსალმუნი, რომელიც ლოცვათა და საგალობელთა ჰიმნების კრებულს წარმოადგენს და რომლის პირველ გვერდებზე ანბანიც არის მოთავსებული. ამით უნდა აიხსნებოდეს ამ გამოცემისათვის „ლოცვანის ანბანითურთ“ სახელწოდების მიცემა. რაც შეეხება „დაუჯდომელს“, ვახტანგის სტამბის ამ გამოცემის არსებობა, როგორც დ. კარიჭაშვილი აღნიშნავს, პლ. იოსელიანისა და თ. ჟორდანიას მოწმობითაც დასტურდება. გაურკვეველია მხოლოდ თარიღი ამ გამოცემისა: პლ. იოსელიანის თქმით იგი 1710 წ. უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი, ზ. ჭიჭინაძე კი მას 1709 წლის გამოცემად თვლის[1].

პირველნაბეჭდი წიგნების გაფორმება

ვახტანგის სტამბის წიგნები გამოირჩევიან მხატვრულ-ტექნიკური კულტურის მაღალი დონით. ამას, სხვათა შორის, ნაბეჭდი წიგნების ფორმატის ნაირობაც ამჟღავნებს. აქ უდიდესი ზომის წიგნებიც კი (პარაკლიტონი — 1722 წ. და ბიბლიის დაბეჭდილი ნაწილი — წინასწარმეტყველთა წიგნი) მოკლებულნი არიან სიმძიმესა და მოუხერხებლობას. ვახტანგის სტამბის წიგნებში ხშირია საშუალო და პატარა ზომის მოხდენილი, ადვილად მოსახმარი გამოცემები („დავითნის“ ოთხი გამოცემა — 1709, 1711, 1712, 1716 წწ.; „ჟამნის“ მინიატურული გამოცემები 1710, 1717 წწ. და სხვ.).

აღარ შეეჩერდებით ვახტანგის სტამბის წიგნების ჩინებულ ყდებზე, რომლებიც თითქმის არ განირჩევიან ხელნაწერების ტვიფრულ, ხშირად ოქროთი ცურვილი სამკაულით დამშვენებული ყდებისგან.

ვახტანგის სტამბის წიგნების შემკულობა, საერთოდ, სპეციალურსა და დინჯ კვლევას მოითხოვს. სახიფათოა როგორც ყველა შეკულობის ქართულად გამოცხადება, აგრეთვე ხელაღებ ყველაფრის გარედან მოტანილად ცნობა.

არასპეციალისტისათვისაც ადვილად შესამჩნევია, რომ პირველნაბეჭდი წიგნების გრავიურების ერთი ნაწილი ადგილობრივი ქართველი მხატვრებისა და ოსტატების ნამუშევარი უნდა იყოს. ხელოვნებათმცოდნემ შ. კვასხვაძემ ეროი მათგანის გვარიც კი ამოიკითხა 1708 წელს დამზადებულ ნიმუშზე[2]. მაგრამ ეს ფაქტი არ გვაძლევს ვახტანგის სტამბის წიგნების ყველა მორთულობის ქართულად გამოცხადების უფლებას.

საქმე ის არის, რომ წიგნის ბეჭდვის ოსტატობამ საქართველომდის მთელი ორნახევარი საუკუნის დაგვიანებით მოაღწია; ამ დროს სტამბას დასავლეთ ევროპაში ხანგრძლივი ისტორია და მკვიდრი ტრადიციები მოეპოვება. წიგნის მოძრავი ასოებით აწყობისა და ბეჭდვის ტექნიკამ მთელი გადატრიალება მოახდინა არა მარტო წიგნების გამრავლების საქმეში, არა-

[1] ზ. ჭიჭინაძე, ნიკოლოზ ღოღობერიძე და ქართული სტამბა, თბ., 1913, გვ. 119.

[2] შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნები, გვ. 72. სამწუხაროდ, ხსენებულ წიგნში თარიღი შეცდომით არის გადმოცემული და არც მხატვრის სახელი ირჩევა.

მედ, საერთოდ. წიგნის შემზადების საქმეშიაც. ამ გონებამახვილურ გამოგონებას თავისი გავრცელების მთელ არეზე ბუნებრივად უნდა გამოეწვია წიგნის მხატვრული გაფორმების სტანდარტიზაცია და მით წაეშალა ის ინდივიდუალური ხაზები, რომლებიც ხელნაწერი წიგნის მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებაში შეიმჩნევა.

მართალია, სასტამბო დაზგას თავის გაჩენისთანავე ერთბაშად არ ჩაუკლავს ხელნაწერი წიგნის მორთულობა, არამედ პირველ ხანებში თვითონ შეითვისა ხელნაწერის გარეგნული იერი და შემკულობანი. ასე იყო XV საუკუნის II ნახევარში. მაგრამ, როგორც ვიცით, ნაბეჭდმა წიგნმა XV საუკუნის ფარგლებშივე დაამთავრა თავისი განვითარების პირველი ეტაპი, რომელსაც კ. მარქსმა ხელოსნური უწოდა[1].

განვითარების შემდგომ ეტაპებზე ნაბეჭდმა წიგნმა შექმნა თავისი საკუთარი, ხელნაწერი წიგნისაგან განსხვავებული შემკულობა. ეს შემკულობა. ახალი ტექნიკის საფუძველზე ჩამოყალიბებული და სტანდარტიზირებული. ბუნებრივად თან სდევდა საბეჭდავ დაზგას და ვრცელდებოდა ყველგან. სადაც წიგნის ბეჭდვა იკაფავდა გზას. მაგალითად, თბილისის სტამბიდან 1710 წ. გამოსული „კონდაკის“ ფურცლებზე ჩვენ ვხედავთ ისეთსავე ორნამენტს, რომლითაც შემკულია 1681 წ. დაბეჭდილი ბერძნული სახარების ფურცლები. ამ შემთხვევაში ყოველივე ყოყმანის გარეშე უნდა ითქვას, რომ ეს ორნამენტი ქართული წარმოშობის არ უნდა იყოს[2]. თუმცა არც ის შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართულ „კონდაკს“ ეს შემკულობა უშუალოდ ბერძნული სახარებიდან გადაუღია: ამის წინააღმდეგ მეტყველებს ის ფაქტი. რომ 1710 წლის ქართულ კონდაკში ეს შემკულობა გაცილებით უფრო ფაქიზი სახით არის აღბეჭდილი. დაგვრჩენია დავასკვნათ ხსენებული ორნამენტების ერთი, უეჭველად ევროპული, წყაროდან მომდინარეობა.

სახელდახელოდ მივუთითებთ მეორე შემთხვევას. 1710 წლის „კონდაკის“ ფურცლებზე გვაქვს მეორე ორნამენტი, რომელიც აქ რამდენჯერმე აის გამოყენებული ორმაგი სახით: სამეფო ღერბის ჩარჩოდ, თავფურცლის მეორე გვერდზე (**რჟდ** გვ.), თავკაზმულობად და სხვ.

ამ ორნამენტს არა ორმაგი სახით, არამედ ერთ ზოლად გამოყენებულს ვხედავთ რუსეთში, ქ. ჩერნიგოვში, 1760 წელს დაბეჭდილი წიგნის თავფურცელზე[3]. თავისთავად ცხადია, რომ ქრონოლოგიური თანმიმდევრობა არ გვაძლევს უფლებას 1710 წლის ქართული „კონდაკის“ გაფორმებაში 1760 წლის გამოცემის გავლენა ვცნოთ; მაგრამ არც პირუკმო გაელენაზე შეგვიძლია ვიფიქროთ. დაგვრჩენია აქაც იმავე დასკვნას დავადგეთ: ვიგულისხმოთ საერთო წყარო — ნიმუში, რომელიც თავისი ღირსებით მისაბაძი გამხდარა როგორც საქართველოს, აგრეთვე სხვა ქვეყნების სტამბებისათვისაც.

---

[1] А. И. Малеин, Западно-Европейская книга, 124. კრებულში: Иван Феодоров — первопечатник, М. — Л., 1935.

[2] 1681 წ. ბერძნული ნაბეჭდი სახარება, ოთხი უკანასკნელი გვერდი. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. შეადარე 1710 წ. „კონდაკი“ გვ. ო, სვ.

[3] Выставка «Ломоносов и Елисаветинское время», т. IV, Петроград, 1914, стр. 421.

ეს ორიოდე მაგალითი, ცხადია, სრულებით არ არის საკმარისი საკითხის გადაჭრისათვის. ამის მიხედვით შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ საჭიროა უდიდესი სიფრთხილით, ყოველმხრივად, სათითოოდ და ამომწურავად შევისწავლოთ ვახტანგის სტამბის წიგნების მხატვრული მხარე და ჩვენი დებულებები დავასაბუთოთ ნიმუშების ჩვენებით და არა მხოლოდ ზეპირი განცხადებებით.

ვახტანგის სტამბის წიგნების გაფორმების დიდი უპირატესობა XVIII საუკუნის სხვა ქართული სტამბის წიგნებთან შედარებით დღესაც ცხადია. ამ უპირატესობას გრძნობენ და აღნიშნავენ მოსკოვის ქართული სტამბის მუშაკები:

„ჟამნი მიიღე, მკითხველო, სრული ერცელობით, სწორიცა,
პირველ ბეჭდილის მიმსგავსი, წიგნად ნაქმარი ორიცა". —

ვკითხულობთ მოსკოვში ათანასე ამილახვრის ხარჯით განახლებული ქართული სტამბის 1768 წ. „ჟამნის" ფურცლებზე. აქ, როგორც ვხედავთ, ერთგვარი სიამაყით არის აღნიშნული, რომ 1768 წლის გამოცემა 1710 წელს თბილისში გამოსული „პირველ ბეჭდილის მიმსგავსი" არის.

ერეკლე II-ის მიერ განახლებული თბილისის სტამბის „შესხმაშიაც" (1782) აღნიშნულია, რომ ვახტანგის მესტამბეს დაებეჭდა წიგნები „უშუენიერესითა ბეჭდითა".

1709 წლის პირველი ორი გამოცემა: „სახარება" და „დავითნი" მხოლოდ შავი საღებავით იბეჭდება. მაგრამ ამავე წელს გამოსულ „სამოციქულოს" თავფურცელზე, ვრცელ საძიებლებსა და სხვა დამატებებში წითელი საღებავიც უხვად იხმარება (სხვათა შორის, ამ „სამოციქულოს" საძიებლები განსაკუთრებით მდიდარია ორნამენტების მრავალსახეობით).

უშურველად არის გამოყენებული წითელი საღებავი 1712 წ. დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტში და ვახტანგის გამოკვლევაშიც („თარგმანი").

ვახტანგის სტამბის წიგნის ილუსტრაციებში, თავბოლოკაზმულობაში, ვახტანგის პორტრეტებისა და სამეფო ღერბის ვარიანტებში, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ შემკულობის სიმრავლით, მხატვრული სიფაქიზითა და ტექნიკური ოსტატობით, თანაბრად იგრძნობა ვლახეთიდან მოსული მესტამბის დიდი დახელოვნება და იმდროინდელი ქართული გრაფიკული კულტურის მაღალი დონე.

ვახტანგის სტამბის შრიფტი

1709 წლის პირველი გამოცემების (სახარება, დავითნი, სამოციქულო) ტექსტები ძირითადად ერთისა და იმავე მსხვილი, მკაფიო, ადვილსაკითხავი ნუსხური („ხუცური") შრიფტით არის დაბეჭდილი. როგორც ჩანს, სტამბას ამ დროს სხვა შრიფტი არ გააჩნია (იხ. ქვემოთ, 1709 წ. „დავითნის" შესახებ).

სხვათა შორის, ყურადღებას იპყრობს 1709 წ. „სამოციქულოს" ფურცლებზე, ბაგრატიონთა სამეფო ღერბის ქვეშ მოთავსებული, „იგავთა" ლექსის თავისებური, კოლორიტული მთავრული შრიფტი.

1710 წელს მდგომარეობა ძირითადად შეცვლილია. ამ წელს დაბეჭდილ ფართოდ ცნობილ „კონდაკში“ ვხედავთ შრიფტების ნაირსახეობას: ხსენებულ მსხვილ ნუსხურს, ამავე ნუსხურის საშუალო ზომის ჩინებულ შრიფტს (რუდ გვ.), მომცრო ზომის ნუსხურს, რომელიც ფართოდ არის გამოყენებული ამავე წელს გამოცემული „ტამნის“ ბეჭდვისას. „კონდაკში“ ის გამოყენებულია მხოლოდ თავფურცელზე, სადაც ამ შრიფტით 9 სტრიქონიანი ტექსტია დაბეჭდილი.

აღსანიშნავია, რომ ნუსხური შრიფტის ეს ნაირობა სრულად არის წარმოდგენილი შავი და წითელი ფერებით დაბეჭდილ თავფურცელზედაც. ამავე თავფურცელზე გამოყენებულია ასომთავრული მრგვალოვანის ორი სახე (ორი სხვადასხვა ზომის წითლად ნაბეჭდი შრიფტი).

ამავე „კონდაკის“ აუნუსხავ მეექვსე გვერდზე პირველად ვხედავთ ბერძნული შრიფტის ნიმუშს. ბერძნული შრიფტით დაბეჭდილია ორფეოსისადმი მიძღვნილი ლექსი 1711 წლის მხედრული „დავითნის“ გვერდზე; 1710 წლის კონდაკშივე გამოყენებულია მხედრული შრიფტიც, რომელზედაც ჩვენ დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

მხედრული შრიფტი

ვახტანგის სტამბიდან 1709 წელს გამოსული „სახარების“, „დავითნისა“ და „სამოციქულოს“ გამოსვლა და მრავალ ასეულ ცალად გავრცელება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ფეოდალური საქართველოს ძალზე შერყეული ბურჯის — საქრისტიანო ეკლესიის განმტკიცების საქმეში. ერთი გარკვეული წესით გასწორებულ ნაბეჭდ წიგნებს, რომლებიც ერთბაშად წვდებოდა არა მარტო ქართლის, არამედ მთელი საქართველოს ყოველ კუთხეს, დიდი გამაერთიანებელი როლი უნდა შეესრულებია პოლიტიკური დაქსაქსულობისა და სპარსეთ-თურქეთის გარემოცვის პირობებში[1].

მაგრამ 1709 წლის სამივე გაბეჭდილი იყო ნუსხა-ხუცური შრიფტით. ამის გამო პირველნაბეჭდი წიგნების ქართველ მკითხველთაგან გამოყენება ძალაუნებურად უნდა შეზღუდულიყო.

ეგრეთ წოდებული „ხუცური“ დამწერლობა მკითხველთა ფართო წრეებისათვის გაუგებარი და უცხო იყო არა თუ ამ დროს, არამედ გაცილებით ადრეც.

საერო, „სოფლიური“ ტენდენციები, როგორც ცნობილია, ადრე იკიდებს ფეხს ძველ, საქრისტიანო საქართველოში და ამის შესაბამისად ადრე ყალიბდება ქართული საერო მწერლობა, რომელიც XI—XII სს. თავს აღწევს ეკლესიის კონტროლს და გაბედულად იკვალავს თავის სრულიად დამოუკიდებელ გზას.

ამავე XI—XII სს. ნუსხური დამწერლობის ნიადაგზე ყალიბდება ქართული მხედრული (საერო) დამწერლობა, რომელიც ასოთა მკაფიო და სადა

[1] აღსანიშნავია, რომ ვახტანგის ხსენებულ გამოცემებს ძრავალად ვპოულობთ საქართველოს ყოველი კუთხის ეკლესია-მონასტრების ძველ წიგნებს შორის.

მოხაზულობით შეუდარებლად უფრო ადვილად ასათვისებელია. იგი თანდათან უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება და ამცირებს „ხუცურის“ მცოდნეთა წრეს. XVI—XVII საუკუნეში ხუცურის მცოდნეთა რიგები იმდენად შემცირებულია, რომ მხოლოდ ეკლესია-მონასტრების მსახურთა წრით იფარგლება. ამას, სხვათა შორის, მოწმობს XVII ს. მხედრული ხელით გადაწერილი, თავბოლონაკლული სახარების გადამწერის ანდერძი:

> „...ვსწერ წიგნსა ამას წმიდისა სახარებათასა, რომელი არა ჯერიყო წერითა მჭედრულითა, არამედ... შენდობასა ვითხოვ, ამისთუის, რ' მრავალთა კაცთა მჭედრად და ერისგნად განწესებულთა გული უთქმსთ ჰეშმარიტითა სახარებითა, რათამცა ღირს იქმნენ გულისჴმისყოფად ესევითარსა საქმეთა და გონებამიუწვდომელთა სასწაულთა და საკურველთმოქმედებათა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესთ და არაძალუძს წიგნთა ხუცურთა აღმოკითხვად...“[1].

ეს ანდერძი ნათლად მოწმობს, რამდენად შემცირებული ყოფილა XVII ს. საქართველოში „ხუცური“ დამწერლობის მცოდნეთა რაოდენობა („მრავალთა კაცთა მჭედრად და ერისგნად განწესებულთა... არა ძალუძს წიგნთა ხუცურთა აღმოკითხვად“).

ანდერძი იმ საყურადღებო ფაქტსაც ამეღავნებს, რომ ჯერ კიდევ სტამბის შემოღებამდის მხედრული ხელით იწერებოდა თვით საქრისტიანო-საეკლესიო ლიტერატურის ნიმუშებიც. ამგვარად, მხედრული დამწერლობა შეჩრილი იყო საეკლესიო დარგის მწერლობაშიაც და „ხუცურს“ მის უკანასკნელ პოზიციებსაც ედავებოდა.

აღსანიშნავია, რომ თაეისი სიადვილით უბადლო ქართულმა მხედრულმა დამწერლობამ პრაქტიკაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში განდევნა ხმარებიდან ხუცური: XI—XII საუკუნეებიდან საქმიანი მიმოწერა და საბუთების წერა თითქმის მთლიანად სწრაფად წერისათვის მომარჯვებული მხედრულით სრულდებოდა. არათუ საქმიანი ქაღალდები, არამედ დიდტანიანი მეცნიერული (საისტორიო, სამედიცინო და სხვ.) თხზულებებიც იწერებოდა მხედრულით, რომელიც თავისი სისადავით სულ უფრო და უფრო მეტ მკითხველს იზიდავდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადვილად ასათვისებელი დამწერლობა და შრიფტი უდიდესი პროგრესული მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენენ. სწორედ ამიტომ მიმართავენ ხოლმე შრიფტის გაადვილებას სწავლა-განათლების ფართოდ გავრცელებით დაინტერესებული მმართველები.

ვახტანგისდროინდელი მხედრული დამწერლობისათვის ასეთი რეფორმა ზედმეტი იყო. ამიტომ თბილისის პირველი სტამბის მოწყობას შესამჩნევად დაეკარგებოდა თავისი განმანათლებელი მნიშვნელობა, მისი გამოცემები რომ მხოლოდ ხუცური შრიფტით ებეჭდათ.

უეჭველია, ეს მშვენივრად ესმოდა ვახტანგს. დააკმაყოფილა თუ არა მან ეკლესია-მონასტრების გადაუდებელი მოთხოვნილება 1709 წლის გამოცემებით, მხედრული სასტამბო შრიფტი გააკეთებინა.

---

[1] საქართვ. მუზ. ხელნაწ., Q : 752.

მხედრული შრიფტით დაიბეჭდა არათუ საერო შინაარსის წიგნები, არამედ იმდროინდელ ვითარებაში აუცილებლად საჭირო საქრისტიანო ლიტერატურის ნაწილიც; მაგ., „ჟამნის" ორი ვამოცემა (1710 და 1722 წწ.) და „დავითნია" 1711 წლის გამოცემა.

მხედრული შრიფტით გამოსცა ვახტანგმა პირველნაბეჭდი სახელმძღვანელო წიგნი (1711 წ.); ამავე მხედრული შრიფტით დაიბეჭდა მეცნიერული შინაარსის „ქმნულების ცოდნის წიგნი" (1722). მხედრული შრიფტის შემოღების წყალობით განხორციელდა 1712 წელს ძველი ქართული მხატვრული ლიტერატურის უდიდესი ნაწარმოების „ვეფხისტყაოსნის" დაბეჭდვა.

ყველასათვის მისაწვდომი მხედრული შრიფტით დაბეჭდილი, ადვილი („სოფლური") ენით დაწერილი წიგნების ასეული და ათასეული ცალების გავრცელებას ფეოდალური შუღლით დაქსაქსული ქართველობისათვის უდიდესი გამაერთიანებელი და ფართო განმანათლებელი მნიშვნელობა ჰქონდა.

მხედრული შრიფტის შემოღების ამ დიდი მნიშვნელობის გამო ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიკოსებს დიდი ხანია აინტერესებდათ: სად გაკეთდა ვახტანგის სტამბის მხედრული შრიფტი — უცხოეთში თუ თვით საქართველოში — და ვინ არის ამ შრიფტის ნიმუშების ავტორი?

ჩვენ ვიცით, რომ ქართული სასტამბო შრიფტის ორი უძველესი ტიპი უცხოეთში გაკეთდა. მიუხედავად ამისა, როგორც პირველი (რომი, 1629), ისე მეორე (ამსტერდამი, 1686—1687) შრიფტის გაფორმება ბუნებრივად ქართველების მონაწილეობით განხორციელდა და ეს მონაწილეობა უმთავრესად სასტამბო ასოების ნიმუშების მიწოდებაში გამოიხატა.

როგორღა იყო საქმე ვახტანგის სტამბისათვის მხედრული შრიფტის გაკეთება-ჩამოსხმის დროს?

თავისთავად ცხადია, რომ ქართველების მონაწილეობას საქართველოს კულტურულ ცენტრში, თბილისში გამართული სტამბის შრიფტის დამზადების საქმეში კიდევ უფრო დიდი გასაქანი უნდა მისცემოდა.

ეს მით უფრო საფიქრებელი იყო, რომ უნგროვლახეთიდან გამოწერილმა ოსტატმა, მისი საკუთარი განცხადების თანახმად, სტამბის მთელი მოწყობილობა და, უპირველეს ყოვლისა, შრიფტიც საქართველოში, სახელდობრ თბილისში, გააკეთა: „ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან: ასონი. ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდი მომქმედი და წინამძღომელი მე ვარო" — აცხადებს მესტამბე მიხაილი 1709 წლის პირველნაბეჭდი სახარების ფურცლებზე. და ქვემოთ დასძენს: „უცხო ვიყავ ქვეყანისა ამის და უსმენელი სიტყვათა თქვენთაო".

ცხადია, „ქართული სიტყვის უსმენელ" მესტამბეს არც ქართული დამწერლობა ეცოდინებოდა. მიუხედავად ამისა, როცა ის ჩამოთელის თავის დამსახურებას თბილისის სტამბის მოწყობის საქმეში, პირველ რიგში ს ა ბ ე ჭ დ ა ვ ი ა ს ო ე ბ ი ს (შრიფტის) გაკეთებას იხსენიებს („ასონი, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა" გავაკეთეო).

უცხოელ მესტამბეს მისთვის სრულიად უცნობი ენის ასოების (ხუცური-სა და მხედრულის) გაკეთების დროს, უეჭველია, ქართველი კალიგრაფების ხელით ამ საქმისათვის საგანგებოდ დამზადებული ნიმუშები ექნებოდა.

ვახტანგისდროინდელი ხელნაწერები და საბუთები ჩვენამდე არაერთი ათეული ცალის სახით არის მოღწეული. საფიქრებელი იყო, რომ ამ მასალის მხედრული ხელით ნაწერი ნაწილის შესწავლა ადვილად მიგვაკვლევინებდა ვახტანგის სტამბის მხედრული შრიფტის პროტოტიპს.

ეს ვარაუდი გამართლდა. ამ რამდენიმე წლის წინ ვახტანგის სტამბის მხედრულ შრიფტთან მსგავსებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერმა (S:3683), რომელზედაც მუზეუმის თანამშრომელი თინათინ ენუქიძე მუშაობდა.

ჯერ კიდევ არ ვიცოდით ხელნაწერის რაობა, როდესაც მის პირველ გვერდებზე (1—40 გვ.) მოთავსებული „საძიებლის“ ხელმა ვახტანგის სტამბის მხედრულ შრიფტთან მსგავსებით გაგვაოცა. ხელნაწერი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნების კრებული გამოდგა. ჩვენთვის საინტერესო „საძიებლის“ დამწერის ვინაობას გვაუწყებს მის ბოლოში მეტად წვრილად მიწერილი ცნობა: „ზანდუკისა ამის დამწერი მაღალაძე სოლომონ“.

თავისთავად უნდა დაბადებულიყო საკითხი — ხომ არ არის S:3683 ხელნაწერის „საძიებლის“ და მთელი რიგი გვერდების გადამწერი სოლომონ მაღალაძე ის პიროვნება, რომლისთვისაც ვახტანგს თავის დროზე მხედრული შრიფტის ხელნაწერი ნიმუშის დამზადება დაუვალებია?

ეკუთვნის თუ არა სოლომონ მაღალაძე ვახტანგ VI-ის თანამედროვეთა და, ამ შემთხვევაში, თანამოღვაწეთა გუნდს? ამ საკითხის დადებითად გადაჭრას არა ერთი საბუთი უწყობს ხელს. ვახტანგ VI-ის ძმის, დომენტი კათალიკოსის „კარის მდივან-მწიგნობარ-მგალობელი“ სოლომონ მაღალაძის სახელი საბუთებში 1690 წლიდან გვხვდება. სოლომონი, მცხეთის საკათალიკოსოს სახლთუხუცესის რევაზის შვილი, მაღალაძეთა საკმარისად ძველი, ცნობილი გვარის ჩამომავალია. მწიგნობრობითა და კალიგრაფიული ხელოვნებით მაღალაძეთა გვარი ცნობილია ჯერ კიდევ XV საუკუნიდან[1]. საკუთრად სოლომონის ხელით დაწერილი ჩვენამდე მოღწეული უძველესი საბუთი — პირობის წიგნი დათარიღებულია 1702 წლით; ჩვენ ვიცნობთ აგრეთვე 1737 წლით დათარიღებულ საბუთს (H d: 980), რომლის მიხედვითაც სოლომონი ამ წელს (1737) ცოცხალი არის. 1742 წელს სოლომონის ვაჟი და მემკვიდრე ნიკოლოზ მაღალაძე აახლებს და ადასტურებს თავისი მამის მიერ 1736 წელს გაცემულ ერთ საბუთს (საქართვ. სიძვ., II, გვ. 383). — ასეთი გაახლება და მემკვიდრის მიერ დადასტურება კი წესად იყო მიღებული საბუთის გამცემის გარდაცვალების შემთხვევაში. ცხადია, 1742 წელს სოლომონი ცოცხალი აღარ ყოფილა.

ამგვარად, სოლომონ მაღალაძის, როგორც მდივნის, მოღვაწეობა 1702 — 1737 წლების მანძილზე შეგვიძლია გავითვალისწინოთ. ამ მოღვაწეობის ქრო-

[1] ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი, თბ., 1950, შესავალი, გვ. XIII.

ფსალმუნი 1

ბედნიერ არს კაცი, რომელმან არა წარვიდა ნებასა ზედა ბოროტთასა და გზასა ცოდვილთასა არ დადგა და საყდარსა ზედა ლაყბობელთასა არ დაჯდა.


ნამეტნავად არს მისი სიყვარული მის მიერ სჯულსა ზედა უფლისასა და სჯულსა მისსა ღამით და დღისით ფიქრობს.

და იქმნების იგი ვითარცა ხე, რომელი დარგულ არს ნაკადულთა წყალთასა ზედა, რომელი ნაყოფსა თვისსა მოსცემს დროსა თვისსა ზედა და ფოთოლი მისი არა დაცვივდების და ყოველი, რაოდენი რასმე იქმოდეს, კეთილად აღეწერების.

არა ეგრეთ ცოდვილნი, არამედ ვითარცა ნიავი, რომელსა განაფრქვევს ქარი პირისაგან ქუეყანისა.

ამისთვის არა აღდგებიან ცოდვილნი განკითხვასა ზედა და არცა ბოროტნი კრებასა ზედა მართალთასა.

რამეთუ უწყის უფალმან გზა მართალთა, და გზა ცოდვილთა წარწყმდების.



ვახტანგ VI პორტრეტი, ვარიანტი

ხოლოგიური ფარგლები ვახტანგ VI-ის კულტურულ-პოლიტიკური საქმიანობის წლებს (1703—1737) ემთხვევა.

გასაგებია, რომ როცა ვახტანგმა თავისი საოცრად ინტენსიური კულტურული მუშაობა გაშალა და საუკეთესო ძალების შემოკრება იწყო, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა თავისი ძმის, სამართლის წიგნზე მუშაობის მონაწილის, დომენტი კათალიკოსის მდივან-მწიგნობრის — სოლომონ მაღალაძის კალიგრაფიული ხელი. ამ ხელს ვახტანგისდროინდელ სხვა მდივან-მწიგნობართა ხელთან შედარებით მოხაზულობის სიფაქიზითა და გარკვეულობით უეჭველი უპირატესობა ეკუთვნოდა. ვახტანგის „სამართლის წიგნების“ საძიებლის ხელი ყურადღებას იპყრობს ასოების ნაკლებად დახრილი, თითქმის ვერტიკალური მდგომარეობით, მორგვალებულობით, გარკვეულობითა და სილამაზით. ეს თვისებები ვახტანგის სტამბის მხედრული შრიფტისათვისაც დამახასიათებელია.

საერთოდ, სოლომონ მაღალაძის ნაწერისა და ვახტანგის სტამბის მხედრული შრიფტის მსგავსება ერთი თვალის მოკვრითვე იგრძნობა; მაგრამ შემდგომი დაკვირვება მათ შორის არსებულ განსხვავებასაც ცხადად გვიჩვენებს. ეს განსხვავება მეღავნდება, როგორც ზოგიერთ ცალკე ასოს დამწერლობაში, აგრეთვე სტამბური შრიფტისა და სოლომონის ნაწერის საერთო იერის დეტალებში.

სოლომონ მაღალაძის ხელით ნაწერ სტრიქონებს, ისე როგორც ვახტანგის დროის სხვა მდივნების ნაწერს, თავისებურ იერს აძლევს გადაბმული ასოების სიმრავლე და ის ნებიერობა, რომელსაც იჩენს მწერალი ერთი და იგივე ასოს დაწერისას. წერის სისწრაფისათვის მომარჯვებულ გადაბმას სოლომონი, ისე როგორც სხვა მისი თანამედროვენი, დეკორაციულ ხერხადაც იყენებს. მაგ., გადაბმული ო-ნის ხაზი მწერალს უფრო ხშირად უმაღლესი ასოების ზემოთ ააქვს და მით გარკვეულ კოლორიტს უქმნის მთელი გვერდის ნაწერს; ასევე, რამდენიმე ასოს დეკორაციულად გადაბმით მწერალი მთელი სიტყვების ლამაზ კომპოზიციებს ჰქმნის: მაგ., **გოორგი, ოყოს, ნახოს, მოახსენოს**. ასევე მოხდენილად აბამს კალიგრაფი ლ, ღ, დ ასოებს, რომლებიც მას ხშირად მთლიანად სტრიქონის ზემოთ აქვს ატანილი; მწერალი იმდენად გატაცებულია ასოების ვირტუოზული გადაბმით, რომ თითქმის წესად აქვს მიღებული კ ი, ვ ი, უ კ და სხვა მრავალი ასოს შერწყმით წერა.

ვახტანგის მხედრულ შრიფტში ასოების გადაბმა, როგორც წესი, უარყოფილია (გამონაკლისის სახით დარჩენილია მხოლოდ ო ასოს გადაბმა მეტად მოკლე ხაზით: სო, რო და სხვ.), ვინაიდან ასოების ცალ-ცალკე, გადაუბმელად წარმოდგენა მოძრავი ასოებით ბეჭდვის პროცესის — ცალკე ასოების აწყობის — ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საბეჭდავი შრიფტის ნიმუშების დამზადებისას აუცილებლად უნდა შეცვლილიყო აგრეთვე გრძელი და მაღალი ასოების (ჭ, ქ, ს, რ და სხვ.) პროპორციები. სასტამბო შრიფტში ისინი მართლაც საგრძნობლად დამოკლებული არიან, ვინაიდან ზედმეტი სიგრძის ასოების შემცველი სტრიქონები აწყობის დროს ერთმანეთს დაუშლიდნენ.

შეცვლილია ნაბეჭდ შრიფტში ასო ჯ-ს და ჩ-ს მოყვანილობაც. საერთოდ, ალიგმულია ის ნებიერობა და მანჭულობა, რომელიც სოლომონის ხელნაწერ ასოებს ახასიათებს.

ხსენებული ცვლილებების შეტანა საჭირო იყო ასოების გარკვეული პროპორციების დაცვისათვის, რის გარეშე ხელნაწერი ასოები ბეჭდვისათვის ვერ გამოდგებოდა. ცნობილია, რომ ასოების ზედმიწევნით ერთნაირი სიმაღლე ბეჭდვის შესაძლებლობის სავალდებულო პირობას წარმოადგენს. სავალდებულოა აგრეთვე, რომ „ასაწყობი მასალა კეთდებოდეს ასოების ზომის მკაცრი სისტემის მიხედვით“, რომელსაც „სტამბური სისტემა“ ეწოდება.

აი, ამ გარემოებით აიხსნება ის განსხვავება, რომელსაც ვამჩნევთ სოლომონ მაღალაძის ნაწერსა და ამავე სოლომონის ხელით გაკეთებული ნიმუშების მიხედვით ჩამოსხმული მსედრული შრიფტით დაბეჭდილ ტექსტს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სასტამბო მხედრული შრიფტის ჩამოსხმა და ამ შრიფტით საეკლესიო წიგნების ბეჭდვა კიდევ უფრო ავიწროებდა დროგადასული ხუცურის ხმარებას თვით საეკლესიო დარგის ტექსტების გამოქვეყნებისას და მით აჩქარებდა ფართო მასებისათვის გაუგებარი ხუცურის სრულ განდევნას.

თბილისის სტამბაში 1710 წლიდან შემოღებული მხედრული შრიფტი, ცოტაოდენი ხარვეზებით, ხმარებაში იყო 1722 წლამდე.

ამ წელს (1722) ვახტანგის სტამბის საქმიანობა კატასტროფულად შეწყდა: „1729 წლიდან თორმეტი წლის განმავლობაში ქვეყანა ოსმალთა მძიმე ბატონობის უღელქვეშ გმინავდა. 1735 წლის მიწურულს ოსმალობა შესცვალა არანაკლებ მძიმე ყიზილბაშობამ, რომელიც 1747 წლამდე გრძელდებოდა“ (საქართველოს ისტორია).

ამ ხნის განმავლობაში მიწასთან გასწორებული ვახტანგის სტამბა თბილისის ნანგრევებში იყო დამარხული. 1749 წელს ნანგრევებიდან აღდგა ერეკლე II-სა და ანტონ პირველის მცდელობით განახლებული სტამბა. მაგრამ მხედრული შრიფტით ბეჭდვა ამ სტამბაში მხოლოდ 1782 წლიდან განახლდა. ეს 60-წლიანი (1722—1782) ხარვეზი განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს ვახტანგის კულტურული საქმიანობის დიდ პროგრესულობას.

ვახტანგის სტამბის წიგნის თავფურცელი

თბილისის პირველი სტამბის წიგნების თავფურცელი ყურადღებას იპყრობს როგორც თავისი მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით, ისე თავისი ტექსტის მეტად საგულისხმიერო კომპოზიციითაც.

ვახტანგის გამოცემების თავფურცელი პირველ რიგში წიგნის სათაურს გვამცნობს:

„სამღთო და სამღდელო სახარება“ (№ 1), „სამღთო და სამღდელო სამოციქულო“ (№ 3), „კონდაკი“ (№ 4), „ჟამნი“ (№ 5), „ლოცვანი“ (№ 7), „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ.[1].

ეს სათაურები მსხვილი შრიფტით იბეჭდება და ამით თვალსაჩინოდ გამოყოფილია თავფურცლის დანარჩენი ტექსტისაგან.

მეორე ადგილას ვხედავთ გამოცემის აღნიშვნას:

„აწ ახალი და პირველი დაბეჭდული ქართულსა ენაზედა“; ან „აწ მეორე დაბეჭდული“... „აწ მესამედ დაბეჭდილი“... „აწ მეოთხედ დაბეჭდილი“.....

მესამე ადგილას მოხსენებულია მეფე, რომლის დროსაც ეს გამოცემა ბეჭდება.

„ჟამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა უფლისა უფლისა გიორგისა“ (№ 1, 3).

მეოთხე ადგილას „საფასეთა წარმგებელი“, ანუ გამომცემელი იხსენიება:

„შრომითა ფრიადთა და წარგებითა საფასეთათა... საქართველოს განმგებელისა ბატონისშვილისა თვით უფლისა ვახტანგ ლევანის ძისათა“ (№ 1 და სხვა).

მეხუთე ადგილი „გამმართველის“, ანუ რედაქტორის აღნიშვნას უჭირავს:

„გაიმართა... ჴელითა ნიკოლაოზ მღდელ-მონაზონისა ორბელისშვილისათა“ (№ 1 და სხვ.)

აქ თავდება თავფურცლის ტექსტის ზემო ნაწილი, რომელიც მეორე, ქვემო ნაწილისაგან ორნამენტის ჰორიზონტული ზოლით გამოიყოფა. ამ ზოლის ქვეშ პირველად მესტამბე იხსენიება:

„ჴელითა მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილისა უნგროელახელისა“.

ქვემოთ აღინიშნება დაბეჭდვის ადგილი:

„ქალაქსა ტფილისისასა“.

უკანასკნელ ადგილას დაბეჭდვის თარიღია:

„ქ(რისტ)ჱსა ქრისტეს აქეთ ათასშვიდას და ცხრასა“ (№ 1, 3).

თავფურცლის ტექსტის ყოველი აღნიშნული ნაწილი აბზაცითა და დიდი ასოთი (ხშირად — სინგურით) გამოიყოფა.

როგორც ვხედავთ, ვახტანგის სტამბის წიგნის თავფურცლის ტექსტის კომპოზიცია ძალიან წააგავს ჩვენი თანამედროვე წიგნის თავფურცლისას.

აქ ყველაფერი აღნიშნულია სადად, მკაფიოდ და ისეთი თანამიმდევრობით, რომ მკითხველი თვალის გადავლებისთანავე აღიქვამს — რა წიგნია ეს, რომელი გამოცემაა, რომელი ხელისუფლის დროს დაბეჭდილია, ვისი ხარჯით, ვისი რედაქტორობით, რომელი მესტამბის მიერ — სად და როდის.

დღეს ასეთი თავფურცელი წიგნის სრულიად ბუნებრივ დასაწყისად მიგვაჩნია. იგი სავსებით მიზანშეწონილად არის აგებული. მაგრამ ვახტანგის სტამბის წიგნის თავფურცლის დიდი პროგრესულობა იმ დროისათვის ნათე-

[1] გამონაკლისის სახით: ვახტანგის ნაბეჭდი წიგნის ერთ-ერთ თავფურცელზე სულ დავიწყებულია სათაურის აღნიშვნა (დავითნი, 1711).

ლი გახდება, თუ მას ქართული ნაბეჭდი წიგნების სხვა, უფრო ადრინდელისა და უფრო გვიანდელი გამოცემების თავფურცლებს შევადარებთ — მაგ., არჩილისეული „დავითნის“ თავფურცელს და XVIII ს. დანარჩენი ქართული სტამბების წიგნების თავფურცლებს.

არჩილის დავითნის თავფურცელი იკითხება:

„სადიდებლად წ[ისა და ერთარსისა, ცხოველსმყოფელისა და განუ-
ყოფელისა სამებისა: მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. მეფობაჲსა
დიდისა ბაჲტონისა მეფისა და დიდისა მთავრისა ყოვლისა დიდისა,
ცოტასა და თეთრისა რუსეთისა თჳთმპყრობელისა და კეთილად შო-
ბილის პ[ეტრ]ე ალექსის შვილისა და მეფის შჳლის, დიდისა მთავ-
რისა ალექსი პ[ეტრ]ეს შვილისა — ჩემ მიერ, მეფისა არჩილისა და
ძისა ჩემისა ალექსანდრესაჲ დაიბეჭდა წიგნი ესე დ[ავი]თი სამეფო-
სა ქალაქსა მოსკოს. წელთა დასაბაჲმითგან შვიდი ათას ორას ოგ-
და განჴორციელებითგან ღთისა სიტყჳსა ათას შვიდას ე.
ინდიკტიონსა ოგ.
თუესა მარტსა ით“

როგორც ვხედავთ, არჩილის სტამბის „დავითნის“ თავფურცლის ტექსტის კომპოზიცია ძირითადად განსხვავდება ვახტანგის წიგნების თავფურცლის ტექსტის კომპოზიციისაგან.

აქ წიგნის სათაურს — ე. ი. რაობის აღნიშვნას, არათუ პირველი ადგილი არ უჭირავს, არამედ იგი მოთავსებულია „წმ. სამების“, ხელმწიფის, მისი შვილისა და წიგნის გამომცემელთა მოსახსენებლის შემდეგ — მეხუთე, მეექვსე ადგილას. თავფურცლის ტექსტის არც სათაური და არც სხვა შემადგენელი ნაწილები არ არის გამოყოფილი აბზაცებით; ასეთი გამოყოფა დაცულია მხოლოდ თარიღის აღნიშვნაში. სათაურია აღმნიშვნელი სიტყვა ჩართულია თავფურცლის გრძელ ტექსტში ჩვეულებრივი შრიფტით და ძნელად შესამჩნევია.

დაახლოებით ამავე წესით არის გაფორმებული მოსკოვის სტამბის 1737—1744 წწ. ქართული წიგნების თავფურცლები. ვახტანგის სტამბის გამოცემების თავფურცლის კომპოზიციის წესს გამონაკლისის სახით მხოლოდ ორი თუ სამი გამოცემა მისდევს (1737 წ. დავითნი, მოსკოვის ბაქარისა და იოსებ სამებელისეული სტამბის პირველი გამოცემა; ამავე სტამბის ბიბლია, მოსკ. 1743). ამ სტამბის სხვა გამოცემების, აგრეთვე ერეკლე II-ს სტამბისა (1749—1795) და ათანასე ამილახვრის სტამბის წიგნების (1762—1768) თავფურცლები არჩილის დავითნის (მოსკოვი, 1705) თავფურცლისებურად ფორმდებიან. როგორც ვხედავთ, ამ მხრივ ნაბეჭდი წიგნის კულტურა ვახტანგის შემდეგ თითქმის მთელი მე-18 ს. მანძილზე შორს არ წასულა.

ბაგრატიონთა ღერბი ვახტანგის სტამბის წიგნებში

ბაგრატიონთა ღერბის პირველ ვარიანტს 1709 წ. დაბეჭდილ „სამოციქულოში“ ვხედავთ (პირველნაბეჭდ სახარებაში ის არ არის გამოქვეყნებული).

ღერბი მოთავსებულია თაეფურცლის მეორე გვერდზე, ფოთლოვანი ორნამენტის ჩარჩოში; ჩარჩოს ოთხსავე კუთხეში ჩახატულია ანგელოზების თავები. ჩარჩოს შიგნით ცენტრალური ადგილი უჭირავს მედალიონისებურ ოვალურ წრეს, ორფენად შემოვლებული, სადასახეებიანი ორნამენტებით, რომელთა წრიული ზოლი ზემოთ იხსნება და პატარა ღეროთი მედალიონის დამამთავრებელ ჯვრიან სამეფო გვირგვინს უკავშირდება. მედალიონი დაყრდნობილია ერთი ლომის ზურგზე და ორივე მხრიდან საგანგებოდ გაკეთებული ხასელურებით უჭირავს ორ-ორ ანგელოზს. გვირგვინის მარჯვენა მხარეს, მედალიონის კიდეზე ამართულია სამეფო სკიპტრა, მარცხენა მხარეს — ხმალი, მახვილით ზემოთ ჩიმართული.

ოვალური წრის შიგნით, ცენტრალურ ადგილას ვხედავთ ქრისტეს კვართის გამოსახულებას, წარწერით „ქ. კ" (ქრისტეს კვართი). კვართის მარჯვნივ გამოხატულია დავით წინასწარმეტყველის შურდული, რომლითაც მან სცლია გოლიათს, წარწერით „დ. შ" (დავითის შურდული), მარცხნივ — დავითის ქნარი, წარწერით „დ. ქ" (დავითის ქნარი).

ღერბს აქვს წარწერა (ასომთავრულით): წ ღ დ ჰ მ გ უ ს, რაც ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემის (1841) ერთ-ერთი რედაქტორის აკად. მ. ბროსეს განმარტებით უნდა ნიშნავდეს: „წყალობითა ღმრთისათა დავითიან პანკრატიონი მეფე გიორგი ყოვლისა საქართველოსი".

სამეფო ღერბის მოთავსების წესი ვახტანგის სტამბის წიგნებში, აკად. ა. შანიძის აზრით, რუმინეთის სტამბის გამოცემების გავლენით უნდა იყოს შემოღებული[1].

1709 წ. „სამოციქულოდან" მოყოლებული ყოველი გამოცემის თაეფურცლის მეორე გვერდზე ვხედავთ ბაგრატიონთა სამეფო ღერბის ამა თუ იმ ვარიანტს (სულ 3 სხვადასხვა ვარიანტით), რომლის გარკვეულ ადგილას მეფის სახელი არის მოხსენებული: გ ი ო რ გ ი ს ა: 1709 წ. სამოციქულოში და 1712 წ. ვეფხისტყაოსანში; ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ი: 1710—1711 წლის გამოცემებში. ღერბის სხვა ვარიანტზე: კუთხოვან (წარწერიან) ჩარჩოში ჩასმული კვართით, რომელიც დამყარებულია მთის მწვერვალზე და აქეთ-იქიდან ყალხზე დამდგარ ორ ლომს უჭირავს წინა ფეხებით; დავითის ქნარი და შურდული ატანილია ზემოთ, გადაჯვარედინებულ სკიპტრასა და ხმალს ზემოთ მდებარე გვირგვინის ქვეშ, მარცხნივ.

ამ ვარიანტში ლომებსა და კვართს შუა დარჩენილ არეზე დამატებით გამოხატულია ჯვრიანი სფერო (მარცხნით) და სასწორი (მარჯვნით) (იხ. 1710 წლის კონდაკი და 1710—1711 წწ. გამოცემული სხვა წიგნები).

ღერბის მესამე ვარიანტი I ვარიანტის ოდნავ გადაკეთებას წარმოადგენს და ვახტანგის სახელით არის წარწერილი: წ ღ დ ჰ მ ვ უ ს „წყალობითა ღმრთისათა დავითიან პანკრატიონი მეფე ვახტანგ ყოვლისა საქართველოსი"[2] (იხ. 1722 წლის „ცამნი", № 20).

[1] პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, გვ. 157.

[2] ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ის ღერბი, რომელიც ტრ. რუხაძემ ასტრახანის მუზეუმში ნახა და რომლის აღწერილობაც „ტფ. სახ. უნივერსიტეტის შრომებში" (V, 361) გამოაქვეყნა, განსხვავებულ (გვიანდელ) ვარიანტს წარმოადგენს.

1709 წ. „სამოციქულოში“, ღერბის ქვემოთ, საგანგებოდ გაკეთებული მთავრული შრიფტით დაბეჭდილია ღერბის „იგავთა“, ანუ ღერბზე გამოხატული სიმბოლური ნიშნების (დავითის ქნარის, შურდულის, ლომების, კვართის) განმარტება ლექსად. ეს ლექსი სრული სახით დაბეჭდილია მხოლოდ 1709 წ. „სამოციქულოსა“ და 1712 წ. „ვეფხისტყაოსანში“; სხვა გამოცემებში კი მხოლოდ მისი ნაწყვეტებია წარმოდგენილი.

ხსენებული ლექსი ბაგრატიონთა დინასტიის ღვთაებრივი წარმოშობის შარავანდედით შემოსვას ისახავს მიზნად. ამ ტექსტის მიხედვით ბაგრატიონები ებრაელთა მეფის, დავით წინასწარმეტყველის პირდაპირი შთამომავალნი და ღვთისმშობლის ნათესავები არიან. გარდა ამისა, ლექსში გატარებულია ქართველთა ტომ-მოდგმის „ღვთისაგან რჩეულობის“ იდეა; ქართველთა „რჩეულობის“ დასასაბუთებლად მოთხრობილია ქართველთა ქრისტიანობის სიძველის ნიშნის — „უფლის კვართის“ მცხეთაში მოტანისა და დაცვის ამბავი და აღნიშნულია ღვთისმშობლის მფარველობა და მეოხება საქართველოზე.

„ბეჭდია იგავის“ ლექსის უკანასკნელი სტროფი საყურადღებო რეალიებს შეიცავს. იგი საქართველოში სტამბის შემოღებას ეხება:

„სტამბას ბეჭდავდენ ფრანგნი და რუსნი და მერმე ვლახელნი.
აქ არსად იყო აროდეს, ვერ ვპოვეთ მისნი მნახველნი.
გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მნახველნი
და ამ ბეჭდვამ ახლა მის გამო გაცუდნა ყოვლნი მჩმახველნი“.

საყურადღებოა, რომ ლექსის ავტორის წარმოდგენით წიგნის ბეჭდვა დაუწყიათ ჯერ ფრანგთ, ე. ი. დასავლეთ ევროპის ხალხებს, შემდეგ რუსთ და მათ შემდეგ ვლახელთ. ნამდვილად, უნგროვლახეთის სტამბის ისტორია მე-15 ს. ბოლოს თუ არა, მე-16 ს. პირველ წლებშივე იწყება და მე-17—18 სს. განსაკუთრებული ინტენსივობით ვითარდება.

რუმინეთის ისტორიის მიხედვით (მ. როლერის რედაქციით, 1950 — გ. ლეონიძე), ანთიმოს ივერიელის მეტად ნაყოფიერი პოლიგრაფიული მოღვაწეობის წყალობით ვლახეთი XVIII საუკუნის დასაწყისში მთელი საქრისტიანო აღმოსავლეთის ცენტრად გადაიქცა: იგი ამარაგებდა აღმოსავლეთს წიგნებით.

ამას ჩვენი მხრით შეგვიძლია დავუმატოთ: ქართული სტამბის ისტორია მოწმობს, რომ უნგროვლახეთი აღმოსავლეთის საქრისტიანოს აწვდიდა არა მარტო წიგნებს, არამედ სასტამბო ხელოვნების ჩინებულ სპეციალისტებსაც.

ხსენებული სტროფის უკანასკნელი ორი სტრიქონი ასახავს იმ განწყობილებას, რომელიც შეუქმნია ვახტანგის თაოსნობით მოწყობილი სტამბის ამუშავებას თბილისში. ავტორი გვაუწყებს, რომ საქართველოში ამ დრომდე სტამბა არ ყოფილა. იგი არც კი ენახა ვისმე — „აქ არსად იყო აროდეს, ვერ ვპოვეთ მისნი მნახველნიო“, ამბობს იგი.

გიორგის მეფობაში ვახტანგმა სტამბის მოწყობით განაცვიფრა თბილისის მოსახლეობა — „გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მნახველნი“.

მაგრამ იმ გრძნობაში, რომელიც სტამბის ამუშავებას გამოუწვევია, ეტყობა, მხოლოდ გაკვირვება კი არ ყოფილა, არამედ ვახტანგის მოღვაწეობისადმი კრიტიკულად განწყობილი, დაეჭვებული ადამიანების ვახტანგის ამ ახალი, უცნაური წამოწყების მიმართ „მჩმახველთა“ გაცუდება და გამტყუნება:

„ამ ბეჭდვამ ახლა მის გამო გაცუდნა ყოელნი ჱჩმახველნი“.

აქ ცხადად ჩანს, რომ არსებულა გაბედული ნოვატორის — ვახტანგის მიმართ კრიტიკული განწყობილება და ყოველგვარი ჩმახვა, რომელიც გაუცუდებია სტამბიდან გამოსული წიგნების მაღალ ხარისხსა და სიმრავლეს (იგულისხმება პირველნაბეჭდი სახარებისა და დავითნის გამოსელა სტამბიდან 1709 წ.).

საყურადღებოა აგრეთვე ღერბის გარეშემოვლებული ჩარჩოს ორ ხაზს შუა ამოტვიფრული, ფსალმუნიდან ამოღებული ნაწყვეტის (18,11) ასომთავრული დეკორაციული წარწერაც:

„ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსუა საყდართა შენთა“.

როგორც ვიცით, ბაგრატიონები თაეიანთ გვარეულობას დავით წინასწარმეტყველის (ებრაელთა მეფის) შთამომავლად თვლიდნენ. ბიბლიური ლეგენდის მიხედვით ღმერთმა დავით წინასწარმეტყველის მოდგმას აღუთქვა სამეფო „საყდრის“, ანუ ტახტის „სამარადისოდ“ დამკვიდრება; ცხადია, ეს აღთქმა ბაგრატიონთა გვარეულობაზედაც უნდა გაერცელებულიყო.

ამგვარად, ვახტანგის სტამბის წიგნების მეორე გვერდზე მოთავსებულ ბაგრატიონთა სამეფო ღერბს, მის წარწერებსა და მის ქვეშ დაბეჭდილ ლექსს გარკვეული დანიშნულება აქვს: საქართველოს ბაგრატიონების „ღვთაებრივი“ წარმოშობის იდეის დანერგვა. თავისი დროისათვის მეტად დამახასიათებელ პოლიტიკურ ტენდენციასთან ერთად, სამეფო ღერბის ჩართვა ვახტანგის სტამბის წიგნებში წიგნის ბეჭდვის საქმის წამოწყების სამეფო კართან მჭიდრო კავშირსაც მიგვითითებს.

ტექსტის წინ, თავფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებული სამეფო ღერბი და მისი წარწერები გამოხატავს ამავე დროს ქართლის ფაქტიური მმართველობისა და ნაბეჭდი წიგნების გამომცემლის — ვახტანგის ჯეროვან ყურადღებასა და პატივისცემას ოფიციალურად ცნობილი მეფეებისადმი (გიორგი XI, ქაიხოსრო).

საყურადღებოა, რომ ვახტანგის სტამბის ერთ-ერთი გამოცემის— 1713 წლის „კურთხეევანის“ სამეფო ღერბის ქვემოთ ეელარ ვხედავთ „ბეჭდის იგავის“ ნაწყვეტებს. აქ ახალი ოთხსტრიქონიანი ლექსია დაბეჭდილი:

„დავითის ნათესაობით სჯმონ არს განმგებელია.
დავითისებრივ უფლებად ღმერთმან სცხოს საცხებელია.
დავითის გამო მფარველ არს ქალწული ღმრთისმშობელია.
და, ეით გოლიათს, მათს მტერთა ნუ მისცეს საშუბლებელია“.

აქვე, ქვემოთ მოთავსებული ხელმოწერის წყალობით ირკვევა, რომ ლექსის ავტორი ყოფილა „კურთხევანის“ ბერძნულიდან მთარგმნელი კვიპრიანე სამთავნელი (გვარად ერისთავი).

ლექსში პირდაპირ გამოთქმულია სურვილი (ვედრება), რათა „ღმერთმან სცხოს საცხებელი“ ვახტანგის უმცროს ძმას, ქართლის გამგებელს — სვიმონს, „დავითისებრივ უფლებად“ — ე. ი. სამეფოდ.

ღვთისაგან „საცხებელის ცხება“ მეფედ კურთხევა არის; მაშასადამე, ლექსის ავტორი ეპისკოპოსი კვიპრიანე (ერისთავი) ღვთისადმი ვედრებას აღავლენს, რათა ვახტანგის დროებითი მოადგილე, ქართლის მმართველი სვიმონ, მეფედ იქნეს კურთხეული, როგორც დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი და ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშე მყოფი.

ლექსის ავტორი ითვალისწინებს, რომ სვიმონისათვის „საცხებელის ცხებას“ ძლიერი მოწინააღმდეგენი გამოუჩნდებიან და უსურვებს სვიმონს დაემარცხებინოს მტრები ისე, როგორც დავითმა გოლიათი დაამარცხა:

„და ვით გოლიათს, მათს (სვიმონის) მტერთა ნუ მისცეს საშუბელია“. ნათქვამია ლექსში.

ხსენებული ლექსი დაბეჭდილია სამეფო ღერბის ქვემოთ, 1713 წლის გამოცემაში, რომლის თავფურცელზედაც ვახტანგ მეფის სახელი იხსენიება:

„ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისაჲ ვახტანგისსა“.

ამავე წიგნის წინასიტყვაობაში ლექსის ავტორი და ამავე გამოცემის რედაქტორი კვიპრიანე ვახტანგს მეფობით იხსენიებს.

ამის გამო უცნაურად გაისმის ვახტანგის ზეობაში ქართლის ტახტზე სვიმონის მიპატიჟება და მისთვის „მირონის ცხების“ ნატვრა და მტერთა ძლევის სურვილის გამოთქმა..

ცხადია, ლექსის შინაარსი ვახტანგისადმი ოპოზიციური განწყობილების საყურადღებო ასახვას წარმოადგენს.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ვახტანგის მიმართ მტრულმა განწყობილებამ თავი წამოჰყო ჯერ კიდევ 1712 წლის გაზაფხულიდანვე, როცა ვახტანგს მისი ძმის — ქაიხოსრო მეფის ავღანელებთან ბრძოლაში დაღუპვის გამო ირანს მოუხდა გამგზავრება პოლიტიკური პოზიციების გასამაგრებლად (1712 წ. აპრილის 22).

ქართლის გამგებელად დატოვებულმა ვახტანგის უმცროსმა ძმამ — სვიმონმა ვახტანგის წასვლისთანავე მოიყვანა ცოლად ბარძიმ ერისთავის ასული. ერისთავებთან დამოყვრებით სვიმონი ვახტანგის მტერს — გიორგი ერისთავს დაუკავშირდა და თავისი ძმის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო (ვახუშტი, გვ. 119).

როგორც ვიცით, ვახტანგის შეგვიანებამ ირანში და გამაჰმადიანების წინადადებაზე უარის განცხადებით მისი მდგომარეობის გართულებამ მისი მტრები წაათამამა. ქართლის ტახტის პრეტენდენტები — ვახტანგის ძმები იესე და სვიმონ და ქართლის უძლიერესი ფეოდალები — გიორგი და დათუნა ერის-

თავები შეერთებული ძალით შეუდგნენ ვახტანგის წინააღმდეგ ამბოხების მზადებას.

ამ ამბებმა და, საერთოდ, ქართლის „აშლამ“ უმწვავესი ხასიათი სწორედ 1713 წელს მიიღო (ვახუშტი, გვ. 119—120). აი, ამ განწყობილების კარნახით არის დაწერილი კვიპრიანე ერისთავი-სამთავნელის ხსენებული ლექსი.

სამეფო ღერბის მოთავსების წესი მე-18 ს. ქართული სტამბის წიგნებში დიდი ხნით დამკვიდრდა; ამ წესს მისდევს მოსკოვს 1737—1744 წწ. მოწყობილი სტამბა; ერეკლე II-ის მიერ აღდგენილი თბილისის სტამბა 1749—1795 და სოლომონ II-ის მიერ იმერეთში 1800 წლიდან მოწყობილი სტამბაც. ათანასე ამილახვარიც კი ამკობს თავისი სტამბის (მოსკოვი. 1762—68) წიგნებს ამილახვართა ღერბის პრეტენზიული გამოხატულებით.

ბაგრატიონთა სამეფო გვარეულობის დავით ებრაელთა მეფისაგან წარმო'მობის ლეგენდის წინ წამოწევა ვახტანგის დროს მეფის ხელისუფლების განმტკიცების აუცილებელი საჭიროების იდეას უკავშირდება. უეჭველია, ამავე იდეამ გამოიწვია ღერბის რამდენიმე ვარიანტად დამუშავება და სტამბის წიგნებში ჩართვა, ღერბის სიმბოლიკის განმმარტებელი ლექსითურთ.

აღსანიშნავია, რომ შემდეგში ვახტანგის პოლიტიკის დიდ მარცხს (1724) მოჰყვა ხსენებული იდეის (და არა მარტო ამ იდეის) ხელახალი შეფასება, რაც, სხვათა შორის, დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს მსოფლმხედველობაშიაც მჟღავნდება.

დავით გურამიშვილი არ კმაყოფილდება ქართლ-კახეთის ურთიერთ შორის შუღლის, ბრძოლისა და განადგურების გულშემზარავი სურათის დახატვით. არჩილის ლიტერატურული სკოლის მიმდევარი პოეტი-მოქალაქე აცხადებს:

„მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“-ო.

ვახტანგის VI-ის ძლიერი პიროვნების მამკობელი გურამიშვილი სასტიკი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს მისი მეფობის უკანასკნელი წლების ნაბიჯებს და აღნიშნავს, რომ მეფემ ჯეროვანი ანგარიში არ გაუწია „ბრძენთა ნავაზირევს“, არამედ „ინება თვისი წადილი“:

„მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა რასაც ინებდა“-ო, ჩიევის დ. გურამიშვილი. აქ გარკვევით ჩანს პოეტის უკმაყოფილება მეფის შეუზღუდავი უფლებითა და თვითნებობით.

დ. გურამიშვილი მოურიდებელი ირონიით მოიხსენიებს აქ „ქრისტეს კვართს“, „დავითის ქნარს“, „შურდულს“ და, საერთოდ, ბაგრატიონთა იმ საგვარეულო „წმინდა“ სიმბოლოებს, რომლებიც ვახტანგის დროს ნაკეთები ღერბის ყოველ ვარიანტს ამშვენებდა.

ეს კრიტიკული განწყობილება და ცნობილი პოლიტიკური გეზის რევიზია მეტად დამახასიათებელია ვახტანგის ხელმძღვანელობით წარმოებული ბრძოლის საბოლოო დამარცხების შემდეგ.

ვახტანგის პორტრეტი და მისი წარწერები

თუ ბაგრატიონთა სამეფო ღერბის გამოხატულება ვახტანგის გამოცემებში ქ ა რ თ ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა მ ო ს ი ლ ი მ ე ფ ი ს ა და, საერთოდ, ბაგრატი-

ონთა დინასტიური უპირატესობის (პრეროგატივის) იდეის განმტკიცებას, ემსახურება, თვით ვახტანგის პორტრეტის ორი სხვადასხვა ვარიანტი, მოთავსებული ამავე გამოცემებში, აღნიშნავს ვახტანგის დიდ პირად დამსახურებას სტამბის მოწყობის საქმეში.

ვახტანგის პორტრეტებს ვხედავთ დაუზიანებლად მოღწეული ყოველი გამოცემის ბოლოში (1712 წლამდე) ან თავში (1712—1722 წწ. გამოცემებში).

პორტრეტის ირგვლივ, ოთხკუთხედი ჩარჩოს შიგნით, ყველგან ამოტვიფრულია ერთი და იგივე ასოთავრული, დეკორაციული წარწერა:

„მადიდებელი წმიდისა სამებისა და ერთარსებისა, ძე, გვარტომობით დავითიან სოლომონიან პანკრატიონი, ძე, ძირთაგან კეთილოვანთა, ძის ძე მეფეთა, გამგებელი ქართლისა ბატონისშვილი ვახტანგ, მომღები ბეჭდისა ამის, — უფალო! დაიცევე ორთავე შინა ცხოვრებასა მეუღლით, ძით და ასულით".

ამ წარწერიდან სრულიად ნათლად ჩანს, რა მიზეზის გამო თავსდება ვახტანგის პორტრეტები თბილისის სტამბის პირველნაბეჭდ გამოცემებში: ვახტანგის პორტრეტი ახლავს ყოველ გამოცემას იმის გამო, რომ წიგნის ბეჭდვა ვახტანგმა შემოიღო: „გამგებელი ქართლისა, ბატონისშვილი ვახტანგ" არის „მომღები ბეჭდისა ამის"[1].

---

[1] ეს თავისთავად ნათელი ფაქტი ჩვენ გაკვრით აღვნიშნეთ 1941 წ. წიგნის პალატის მიერ გამოცემული „ქართული წიგნის" „შესავალში" (გვ. X).

ტ. „მნათობში" (1942 წ. № 1, გვ. 151—152) გამოქვეყნებულ რეცენზიაში პ. გუგუშვილმა ეს საკითხი საკამათოდ გადააქცია. რეცენზენტი ირწმუნება, თითქოს ვახტანგის პორტრეტებს მის გამოცემებში „ათავსებდნენ მხოლოდ როგორც მეფის პორტრეტს".

ეს მცდარი აზრი იმის შედეგია, რომ პ. გუგუშვილი ვერ ხედავს განსხვავებას ქართლის მეფესა და გამგებელს შორის; ვერ ამჩნევს, რომ ვახტანგის გამოცემების თავფურცელზე მუდამ გარჩევით და სახელდებით აღინიშნება ცალკე მეფის სახელი და ცალკე — გამომცემლის, სტამბის მომწყობის, ბატონიშვილ ვახტანგის სახელი.

ეტყობა რეცენზენტს ვახტანგი 1703 წლიდან თუ არა, 1709 წლიდან მაინც მეფედ მიაჩნია. მაგრამ სინამდვილეში საქმე ასე არ ყოფილა: 1703—1712 წწ. ვახტანგი ოფიციალურად არის მხოლოდ „გამგებელი ქართლისა"—ქართლის მეფედ კი 1703—1709 წლებში გიორგი XI-ეა, 1709—1711 წწ. ქართლის უფლებამოსილი მეფე ქაიხოსროა, 1714—1716 წწ. ქართლის მეფედ იესეა. ისტორიის ფურცლებს რომ არ მივმართოთ (ვახუშტი, 107—122), ამ ფაქტების ზედმიწევნით ანარეკლს ვახტანგის სტამბის წიგნების თავფურცლებზედაც ამოვიკითხავთ: 1709—1711 წწ. ყველა გამოცემაში ვახტანგი მხოლოდ გამგებლად იხსენიება; 1712—1713 წწ. გამოცემების თავფურცლებზე იგი უფრო ხშირად იხსენიება „საქართველოს მპყრობელად" და 1717—1722 წწ. ყველა გამოცემაზე — მეფედ. არც გიორგი მეფის (1703—1709), არც ქაიხოსრო მეფის (1709 წ. ბოლო — 1711 წ. ბოლო), არც იესე მეფის (1716 წ. დავითნი) პორტრეტები არ მოიპოვება ნაბეჭდ წიგნებში. მათი მეფობის წლებშიაც თბილისის სტამბის წიგნებში მხოლოდ ვახტანგის პორტრეტებია ჩართული, ხოლო ამ პორტრეტების წარწერა ვახტანგს მეფობის წლებშიაც კი ძველებურად ბატონისშვილად და „ბეჭდის მომღებად" იხსენიებს.

აქედან ცხადია, რომ ვახტანგის გამოცემებში მისი პორტრეტის მოთავსების მიზეზი არის მისი დიდი ღვაწლი სტამბის მოწყობის საქმეში („ბეჭდის მოღება") და არა მისი მეფობა. არათუ ვახტანგის პორტრეტის წარწერაში, არამედ ნაბეჭდ წიგნებში მოთავსებულ მრავალ სხვა გრავიურაზედაც ამოტვიფრულია ეედრება: „მეოხ ეყავ ვახტანგს"... „მეოხ ეყავ ბატონიშვილს ვახტანგს".

სწორედ ამ მიზეზით ვახტანგის გამოცემებში არ არის მოთავსებული არც გიორგი XI-ის, არც ქაიხოსროს, არც იესე მეფის პორტრეტი, არამედ მხოლოდ ვახტანგისა, რომელიც ყოველგან, სადაც მის პორტრეტს ეხედავთ, იხსენიება ბატონიშვილად და არა მეფედ (წიგნის ბეჭდვა მან ბატონიშვილობაში შემოიღო).

რედაქტორები და სარედაქციო მუშაობა

სტამბის შემოღების ერთ-ერთ მთავარ მოტივად ხელით წერაში საღმრთო წერილის გარყვნა არის წამოყენებული. ამავე მიზეზის გამო დასაბეჭდი ტექსტის დამზადებას უდიდესი ყურადღებით უნდა მოპყრობოდნენ; განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე დაზიანებული ბიბლიური ტექსტების აღდგენას ეხებოდა.

მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ვახტანგის თითქმის ყოველ გამოცემას ჰყავს რედაქტორი, რომელსაც ტექსტის გამართვა და სწორება ევალება. ანდერძების მიხედვით ვახტანგს სარედაქციო მუშაობის ჩატარება სულხან-საბას ძმის, ნიკოლოზ ორბელიანისთვის მიუნდვია: „მე... ორბელის ძეს, ცოდვილ მონაზონს ნიკოლაოზს მიბრძანა წიგნების გასწორება“ ვახტანგმაო, ამბობს ნ. ორბელიანი[1].

ნ. ორბელიანის რედაქტორობით გამოდის შვიდი სხვადასხვა გამოცემა: 1709 წ. სახარება და სამოციქულო (2), 1710 წ. — ლოცვანი და ნუსხური შრიფტით დაბეჭდილი ჟამნი, 1720 წ. — პარაკლიტიონი, 1721 წ. — ქმნულების ცოდნის წიგნი, 1722 წ.—ჟამნი.

ნიკოლოზ ორბელიანი რედაქტორობს არა მარტო ბიბლიურისა და საეკლესიო შინაარსის წიგნებს, არამედ ვახტანგის მიერ სპარსულიდან თარგმნილ ასტრონომიულ-კოსმოგრაფიული შინაარსის წიგნსაც (აიათი ანუ ქმნულების ცოდნის წიგნი).

ვახტანგის სტამბის წიგნების მეორე რედაქტორის — გერმანე მღვდელ-მონაზონის შრომით გამართულია 1710 წლის კონდაკი; მისივე ავტორობითა და რედაქტორობით იბეჭდება აგრეთვე 1711 წლის ორიგინალური სასელ-მძღვანელო „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“.

ეს ორი რედაქტორი არა მარტო კულტურულ საქმიანობაში უდგანან მხარში ვახტანგს, არამედ მისი პოლიტიკური გეზის ერთგული დამცველებიც არიან. ისინი იზიარებენ ვახტანგის ბედუკუღმართობას და, რუსეთში გადახვეწილნი, ენერგიულად განაგრძობენ კულტურულ ნუშაობას[2].

---

[1] „აღწერილობა“ № 1. ნ. ორბელიანის ანდერძი.

[2] ვახტანგისა და ნიკოლოზ ორბელიანის მეცნიერული თანამშრომლობა რუსეთშიაც გრძელდება. 1728 წ. მძიმე ავადმყოფობით ლოგინად ჩავარდნილი ნ. ორბელიანის თანამშრომლობით ამთავრებს ვახტანგი კაპიტალურ კალენდარულ ნაშრომს: „ქორონიკონს“ (იხ. H : 90 ხელნაწერის :აღწერილობა, საქართველოს სახ. მუზ. ხელნაწერთა აღწერილობის ტ. I, 1946 წ.).

1712—1719 წწ., როდესაც ვახტანგი ირანს იმყოფება და ქართლში მისი მოქიშპე ძმები (სვიმონი, იესე მეფე) ბატონობენ, ნიკოლოზ ორბელიანი და გერმანე რედაქტორებად აღარ იხსენიებიან. სულხან-საბას „ევროპაში მოგზაურობიდან“ ვიცით, რომ ხსენებულ წლებში ორბელიანთა მთელი სახლი (საბა და მისი ძმები) დიდი ინტრიგების მსხვერპლი გახდა და თვით საბამ მხოლოდ ვახტანგის ირანიდან დაბრუნების შემდეგ შესძლო თავისი სრული უდანაშაულობის დამტკიცება.

1712 წლის ორ გამოცემას („ვეფხისტყაოსანი“, „დავითნი“) რედაქტორობს „ჯელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქაელ“, რომელიც ამავე დროს შესტამბის მოვალეობასაც ასრულებს.

1716 წ. დაბეჭდილ ერთ-ერთი გამოცემის — დავითნის გამმართველად (რედაქტორი) გარსევან-ყოფილი მღდელი გაბრიელი ჩანს.

1713 წლის „კურთხევანისა“ და 1719—20 წწ. დაბეჭდილი „ეკლესიის კურთხევის წესის“ რედაქტორი ბერძნული ენიდან მთარგმნელი კვიპრიანე სამთავნელი (ერისთავი) არის.

ტექსტის „გამართვისა“ და თარგმნის წესი

გადამწერთაგან გარყვნილი ბიბლიური ტექსტებისა და სხვა საეკლესიო-სამღვდელთმსახურო წიგნების სწორება მარტივი საქმე არ იყო. ქართული ტექსტები მე-17—18 სს. საგრძნობლად დაშორებული უნდა ყოფილიყვნენ მე-10—11 სს. თარგმნილ დედნებს. ტექსტების სწორებას ართულებდა ის გარემოებაც, რომ ბერძნულმა დედნებმაც დროთა განმავლობაში ცვლილება განიცადეს. ისინი ახლად შეჯერებულ-შემოწმებულს, კანონიკურად დადგენილ ტექსტებს შეიცავდნენ. საჭირო იყო ქართული ბიბლიური ტექსტებისა მათთან შეთანხმება და, ზოგ შემთხვევაში, თარგმნა (1713 წ. კურთხევანი).

ნიკოლოზ ორბელიანის ანდერძი ტექსტების სასტამბოდ მზადების იმდროინდელ წესს გვიხატავს:

„ეს სახარება დიდის ჰირითა ბერძენთა დაბეჭდი[ლ]ს სახარებათა შემოწმებითა, სიტყვა და ასო მეტნაკლები გავმართეო“[1] — გვაუწყებს რედაქტორი.

ამასვე იმეორებს იგი სამოციქულოსთვის დართულ ანდერძში:

„დიდის ჰირითა ბერძენთა ბეჭდის სამოციქულოთა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტნაკლები გავმართეო“[2].

კიდევ უფრო დაწვრილებით ჩერდება ნ. ორბელიანი ტექსტის გამართვის რთულ პროცედურაზე 1710 წ. გამოცემული „ლოცვანის“ ანდერძში. ამ ანდერძიდან ირკვევა, რომ ნ. ორბელიანს სარედაქციო მუშაობის ნაწილი (ბერძნულთან შედარება-შეჯერება) უშუალოდ არ უწარმოებია, ვინაიდან ბერძნული ენა მას არ სცოდნია. ქართულ ნუსხას ბერძნულ ტექსტს უთან-

[1] „აღწერილობა“ № 1, ნ. ორბელიანის ანდერძი.

[2] იქვე, № 3, იმავე რედაქტორის ანდერძი.

ხმებდა ბერძნულის მცოდნე. ნ. ორბელიანი ამ მცოდნეს არ ასახელებს, მაგრამ ირკვევა, რომ ეს პირი ყოფილა კვიპრიანე სამთავნელი და, ზოგჯერ, არქიმანდრიტი პაპა სერგიოსი. თარგმანის დამზადების შემდეგ სტილისტური შესწორებანი ქართულ ტექსტში თვით რედაქტორს შეჰქონდა, ბერძნული ენის მცოდნე პირებთან შეთანხმებით:

„მე წიგნი და ენა ქართულის მეტი სხვა არავისი ენა ვიცოდიო—ამბობს ნ. ორბელიანი, — რომელსაც ბერძულის მცოდნე მეტყოდა, ღმერთმან უწყის, მე დიდის პირით გაწყობასა და სიმართლესა ვცდილობდიო“.

სამღვდელთმსახურო წიგნების ტექსტზე მუშაობა კიდევ უფრო რთული იყო. მღვდელთმსახურებასთან დაკავშირებული ტექსტები შედარებით უფრო ნაკლებ კონსერვატიული უნდა ყოფილიყვნენ და დროთა განმავლობაში მეტ ცვალებადობას განიცდიდნენ. გარდა ამისა, საქართველოს საეკლესიო პრაქტიკაში ქრისტიანობის გავრცელების პირველი საუკუნეებიდანვე ტრადიციის ძალით დამკვიდრებული იყო „ქართული“ წესები და საგალობლები, რომელთა უკუგდება არ შეიძლებოდა.

1710 წლის „ლოცვანის“ ხსენებულ „ანდერძში“ ნ. ორბელიანი აღნიშნავს რა ცვლილებები შეუტანია რედაქციას ძველ ტექსტში და რა დაუტოვებია ხელუხლებლად:

„ჟამნობა და თვენი ბერძულის რიგით დავწერეთ და კვირაძლების ზატიკისა და სამგზეფსოს ოხითა-იბაკო ისევ ჩვენი ძველი გაურიეთ-ო“, ამბობს იგი (იხ. „ლოცვანის“ ანდერძი).

სარედაქციო მუშაობის პროცესს მეტი სისრულით გვიხატავს ბერძნულიდან მთარგმნელი, ვახტანგის სტამბის ორი გამოცემის რედაქტორი კვიპრიანე სამთავნელი. მისი ანდერძი (1713 წ. „კურთხევანი“), სხვათა შორის, გვამცნობს, თუ ვისგან უსწავლია მას ბერძნული ენა:

„მცირედის რისამე ბერძულთა წიგნთა და ენასა სწავლულ ვიყავ იერუსალიმისა პატრიარქს დოსითეოსთანაო“ — ამბობს კვიპრიანე[1].

ბერძნული ენის ცოდნის წყალობით კვიპრიანე სარედაქციო მუშაობას უშუალოდ აწარმოებდა:

„რაოდენიცა ძალმედვა, თვით თავით ჩემით შევამოწმე და გასწორებასა ვეცადე, სიტყვა თუ ასო-მეტნაკლებობაო“, ამბობს იგი.

ტექსტის შეჯერება-შეთანხმების დროს წამოჭრილ უფრო ძნელ საკითხებს კვიპრიანე ბერძნულის უკეთ მცოდნის, ეროვნებით ბერძნის, პაპა სერგიოზის დახმარებით სწყვეტდა: „რომელიმე არქიმანდრიტის პაპა სერგიოზის კითხვითა და შემოწმებითა გავაკეთეო“, აცხადებს იგი.

ამ რედაქტორის ანდერძიდან ზედმიწევნით გავიგებთ აგრეთვე, თუ როგორ და ვისი თანამშრომლობით ახორციელებდა სარედაქციო მუშაობას ბერძნული ენისა და წიგნის უცოდინარი ნ. ორბელიანი:

---

[1] კოზმა-ყოფილი კიპრიანე, როგორც ამას მისი მინაწერი მოწმობს, 1686 წ. იერუსალიმში იმყოფებოდა. კიპრიანეს ცხოვრების ამ პერიოდში უნდა ვიგულისხმოთ მისი და დოსითეოს პატრიარქის დაახლოება. იხ. ნ. მარი. იერუსალიმის ქართული ხელნაწერების აღწერილობა, თბ., 1955, გვ. 78, № 34.

„იგინი, რომელიცა უწინარეს წიგნნი დაიბეჭდა და აწ კურთხევანი ესე, რომელიცა ბერძულსა კურთხევანსა წერილი იყო, სრულად, უნაკლულოდ გარდმოვსწერეო“, ამბობს კვიპრიანე.

ანდერძის ეს ნაწილი შესაძლებლობას გვაძლევს გავითვალისწინოთ თარგმნის იმდროინდელი წესი. ტერმინს „გადმოვსწერე“ სამთავნელი ეპისკოპოსი გადმოთარგმნის მნიშვნელობით ხმარობს („აწ კურთხევანი ესე, რომელიც ბერძულსა კურთხევანსა წერილიყო, სრულად, უნაკლულოდ გარდმოვსწერე“).

აქედან ცხადია, რომ თარგმანი, უპირველეს ყოვლისა, სრული და უნაკლო უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. გათვალისწინებული ყოფილა, რომ ქართულად სრულად და უნაკლოდ გადმოცემული ტექსტი სტილისტურად გამართვას მოითხოვდა; იგი ქართული ენის ბუნების შესაბამისად უნდა დამუშავებულიყო. ეს თარგმნის მეორე, მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, რომელსაც კვიპრიანე ამგვარად გვიხატავს:

„ხოლო რა ჟამს გადმოვსწერდით ჩვენსა ენასა ზედა პირველთა მათ წიგნთა და შემდგომსა ამას, სხუჲნი წმიდანი მამანი საქართველოსანი ჩვენსა ენასა ზედა შესწორებასა გვეჴმარებოდენო“.

როგორც ვხედავთ, შრომა აქ განაწილებული ყოფილა: ბერძნულიდან თარგმნას აწარმოებდნენ ბერძნულის მცოდნე პირები, თარგმნილი ქართული ტექსტის სტილისტურად სწორებისათვის მიჩენილი ყოფილან ქართულის მცოდნე პირები.

ანონიმი რედაქტორის ხელი

გარდა დასახელებულ პირთა, ვახტანგის სტამბის წიგნების სხვა რედაქტორის სახელი 1709—1722 წლების გამოცემების თავფურცლებისა და ანდერძების მიხედვით ცნობილი არ არის. მაგრამ ბიბლიურ ტექსტებს: 1709 წლის სახარებასა და სამოციქულოს და ვახტანგის სტამბაში 1709—1722 წწ. დაბეჭდილ ბიბლიის წიგნებს (წინასწარმეტყველთა ყველა წიგნი და სახარების დაუმთავრებელი ტექსტი, 1—407 გვ.) ცხადად ეტყობა უცნობი რედაქტორის ხელი. ქვემოთ, იქ, სადაც საკუთრად და ცალ-ცალკე განვიხილავთ სამოციქულოსა და ბიბლიის ბეჭდვის საკითხს, დავინახავთ, რომ ბიბლიის ტექსტების ძებნა, შეკრება, შევსება, თავებად და მუხლებად დაყოფა (არაბული ციფრების ხმარებით) და სხვ. სულხან-საბა ორბელიანის შრომით შესრულებულა. თავის ადგილას ისიც გარკვეული იქნება, თუ რა მიზეზით მუშაობდა საბა ანონიმურად.

ვახტანგის გამოცემების ენა

„ვთქვი ენით მეტად ადვილით, რომ იყოს მოუწყინები,
არვინ გამხადოთ ამისთვის საკიცხავ-მოსაყივნები“.

ვახტანგი

ვახტანგის გამოცემების უდიდესი ნაწილი ბიბლიურსა და სამღვდელთმსახურო წიგნებს წარმოადგენს. თავისთავად ცხადია, რომ ბიბლიური ტექს-

ტები თითქმის მთლიანად ძველი, ბე-10—11—12 სს. ქართულით არის დაწერილი (სახარება, დავითნი, სამოციქულო, ბიბლიის ნაწილი — წინასწარმეტყველებანი).

სამაგიეროდ, ვახტანგის სტამბის სამღვდელმსახურო წიგნების ტექსტების ენაში გარკვევით იგრძნობა სიახლე და ერთგვარი სილაღე, შემდეგში, ანტონ 1-ლის დროინდელ „ღრამმატიკის კანონსა ზედა“ გამართულ ამავე შინაარსის წიგნებთან შედარებით.

სანიმუშოდ გამოგვადგება ვახტანგის დროს კვიპრიანე სამთავნელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „კურთხევანის“ 1713 წ. გამოცემის (№ 12) და ანტონ 1-ლის ბრძანებით გამართულის და თბილისის სტამბაში 1764 წ. დაბეჭდილი იმავე „კურთხევანის“ სტილისა და მართლწერის სახელდახელო შედარება.

1713 წ. გამოცემა	1764 წ. გამოცემა
1. კურთხევანი... თარგმნილი ბერძულისაგან ქართულად კვიპრიანე სამთავნელის მიერ. გვ. ა.	1. კურთხევანი... თარგმნილი ბერძულისაგან ქართულად კვიპრიანეს მიერ სამთავნელისა. გვ. ა.
2. მერმე შეიყვანს ტაძარსა შინა და იტყვის. ბ გვ.	2. მერმე შეიყვანოს ტაძარსა შინა და თქუას. ბ გვ.
3. შევალს (იქვე)	3. შეჰვალს (იქვე)
4. თაყვანისცემს (იქვე)	4. თყ᷾ნის-ჰსცემს (იქვე)
5. ლოცაჲ გათავდეს	5. ლოცვა სრულ იქმნას
6. თქვას	6. ჰსთქუას
7. კიდევ	8. კუალად
9. წირვაზედ (ქკა გვ.)	9. ლიტურღიაზედ (ქოა გვ.)
10. ეკლესია	10. ეკკლესია.

ოთხიოდე გვერდის ტექსტიდან ამოკრეფილი ეს რამდენიმე მაგალითი ნათლად გვიჩვენებს ქართული მწიგნობრული ენის მოწესრიგებისა და თან გართულებისა და დამძიმების ფაქტს „ღრამმატიკული“ ოპერაციების შედეგად ანტონი 1-ლის კულტურულ ეპოქაში.

გართულებისა და დამძიმების ნიშნებს ვამჩნევთ ანტონის მეთვალყურეობით დაბეჭდილი გამოცემების ანდერძების ენას.

ამ ანდერძებში ველარ ვხედავთ, მაგ., მეფის უბრალოდ მეფედ მოხსენიებას; ამის ნაცვლად შემოღებულია გრძელი, ზეიადი ტიტულატურა („ებრძანა მისის მეფობისა უმაღლესობისაგან“); ასეთივეა კათალიკოსის მოხსენიება („იხილა უწმინდესობამან სანატრელისა მამათმთავრისა ჩუ᷾ნისა, ანტონისამან...“)[1].

[1] შდრ. ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, 1. თბ., 1941. №. 47, გვ. 55—56.

ვახტანგის ეპოქისათვის დამახასიათებელი პოპულარიზაციისაკენ მისწრაფება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მეღავნდება გერმანე ბერმონაზონის სასწავლო სახელმძღვანელოში. აქ ავტორი გარკვევით და შეგნებულად იცავს „საერო და სოფლური სიტყვით“ წერის პრინციპს, როგორც დაწერილის ადვილად გაგებისა და შეთვისების საუკეთესო საშუალებას:

„ამისთვის დავსწერე საეროსა და სოფლურის სიტყვითა, რომ სიადვილისათვის მსწრაფლ ზედ მიიწიენეთ და მტკიცედ დაიდოთ გონებასაო“— მიმართავს გერმანე „ახლად მოსწავლე ყრმათ“ (იხ. № 9—ავტორის ანდერძი).

იმდროინდელი სასაუბრო, სადა ენით, თუმცა საკმარისად გაუმართავად არის შედგენილი ვახტანგის „თარგმანი“ ანუ განმარტება, რომელიც ვეფხისტყაოსნის დამატების სახით დაიბეჭდა 1712 წელს (იხ. № 11).

სიადვილის პრინციპი უდევს საფუძვლად აგრეთვე 1721 წელს დაბეჭდილი მეცნიერული შინაარსის წიგნის ქართული თარგმანის ენას (იხ. № 18).

მართალია, ხსენებული ტექსტების ქართული სტილი მოკლებულია დახვეწილობას, მრავლად შეიცავს ვულგარიზმებს და ბარბარიზმებსაც, ბაგრამ ეს ნაკლოვანებანი აუცილებლად უნდა ჩავთვალოთ ყოველი ეპოქისათვის, რომელშიაც გაბედულად იკაფავს გზას ახალი ცნებები და იდეები. სამაგიეროდ, ამავე დროს, წიგნი და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ცოდნა საზოგადოების ფართო წრეებში ვრცელდება.

ვახტანგისდროინდელი სალიტერატურო ენა განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს მთელ იმ სიახლესა და დუღილს, რომელიც ამ შესანიშნავ ეპოქას ახასიათებს; ის გვიჩვენებს აღმოსავლურ-დასავლური ქართულის ურთიერთგავლენის აშკარა ნიშნებსაც, რაც ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა ქართლის მოწინავე ადამიანების (არჩილი, გიორგი XI, ვახტანგ VI, სულხან-საბა და სხვა მრავალი) იმერეთს არაერთგზის გადახვეწას და იქ იძულებით „მწირობაში“ წლების გატარებას.

სტამბის წიგნები და ხელით წერა

წიგნის ბეჭდვას ხელნაწერი წიგნი და მისი წარმოება ერთბაშად არსად არ განუდევნია. საერთოდ, ბეჭდვამ თანდათანობით, ხანგრძლივი დროის მანძილზე მოიპოვა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ბუნებრივია, რომ საქართველოში, სადაც ბეჭდვის ხელოვნებამ დაგვიანებით მოაღწია, ქართული ხელნაწერი წიგნის განვითარება წიგნის ბეჭდვის შემოღებას დიდად არ შეუფერხებია. როგორც ვიცით, ვახტანგის სტამბა უპირატესად „სამღვთო წერილის“ სწორი ტექსტების ბეჭდვასა და გამრავლებას ისახავდა მიზნად. ამ დროს თითქოს არავის აზრადაც არ მოსდიოდა ბეჭდვითი ხელოვნების ფართოდ გამოყენება, საბეჭდავი დაზგის მეშვეობით მთელი სულიერი და გონებრივი მოძრაობისა და შემოქმედების ასახვა. ჩვენ ვიცით, რომ ვახტანგის განმანათლებელი მისწრაფების შედეგად ე. წ. საღმრთო წიგნებთან ერთად სტამბაში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგის გამოკვლევითურთ (1712 წ.), მეცნიერული წიგნი (კოსმოგრაფია, 1721 წ.). მაგრამ, საერთოდ, ვახტანგის სტამბის წიგნები მხოლოდ ნაწილობრივ და მეტად მკრთალად

გვიჩვენებენ ეპოქის გონებრივ მოძრაობას. სამაგიეროდ, გონებრივი შემოქმედების ის მცირედი ნაწილი, რომელიც სასტამბო დაზგამდის აღწევს, იმ დროისათვის წარმოუდგენელი სიფართოვით ვრცელდება — თვეობით და წლობით ხელით ნაწერი ერთი წიგნის ადგილას წიგნის 400, 500, 1000 ცალი ჩნდება, ვრცელდება, მომხმარებელს ეძებს, წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვს ამრავლებს.

ბეჭდვის პარალელურად ვახტანგის დროს გრძელდება ხელით წერა, რომელიც შეუდარებლად უფრო ფართოდ ასახავს ეპოქის მდიდარ გონებრივსა და სულიერ ცხოვრებას, ვიდრე ნაბეჭდი პროდუქცია.

საყურადღებოა, რომ სწორედ 1709 წელს, როცა ძველმა თბილისმა პირველად იხილა ახლად ამუშავებული სტამბის სამი ჩინებული გამოცემა (№№ 1, 2, 3), ვახტანგი საგანგებოდ ხელით აწერინებს „სამოციქულოს“, „დავითნისა“ და „ჟამნის“ ტექსტებს. სიონის დეკანოზის შვილის გაბრიელის ხელით (ნუსხური) გადაწერილი ამ ორი ხელნაწერის (A : 909, 910) ქაღალდი, ხელი, საგანგებო მზრუნველობით გაფორმებული ყოველი გვერდი, ფერადებით ნაწერი მინიატურებით შემკული, მაღალი მწიგნობრული და გრაფიკული კულტურის ჩინებულ ნიმუშს წარმოადგენს.

A : 910 ხელნაწერს ვახტანგის საკუთარი ხელით მიწერილი აქვს მიძღვნა მისი ძმის, ქართლის ტახტზე ახლად დამკვიდრებული ქაიხოსრო (იგივე ხოსრო) მეფისადმი:

„აწ გიძღვნი ძმასა უხუცესს ვახტანგ...“ (ლექსად)[1].

ცხადია, მდიდრულად გაფორმებული ხელნაწერი, სტამბის წიგნთან შედარებით, ამ დროს ჯერ კიდევ უფრო აკმაყოფილებს ესთეტურ გემოვნებას. ხსენებული ხელნაწერების მთელი გარეგნული იერი ძველი ტრადიციული წესების შეურყეველობას გვიჩვენებს; თავკაზმულობათა გაფორმებაში კი ირანულ-არაბული გავლენის კვალი მჟღავნდება.

შემდეგში, მეთვრამეტე საუკუნის 50-იანი წლებიდან, ხელნაწერების გაფორმებაში თანდათან უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება ნაბეჭდი წიგნის შემკულობის გავლენა. მაგრამ ეს პერიოდი ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება.

საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის შემდეგ XVIII ს. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა უდიდესი ნაწილი ნაბეჭდი ტექსტიდან გადმოწერილი ჩანს.

[1] აქვე არის პროზაული მინაწერიც ვახტანგისა: „... დიაღ სნეული შევიქენ და თუ ვერა გნახო ცოცხალმა, ამაზე მომიგონე. ღმერთმან ხომ იცის — ერთხელ თუ გნახავ, მას უკან სიკვდილს აღარას ვინაღვლი“ (455).

ს

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1709 წლის გამოცემები

ხლად ამუშავებულ სტამბაში 1709 წელს სამი წიგნი იბეჭდება. ამათგან სახარება ვახტანგის სტამბის პირველი გამოცემა არის; ამას მოწმობს მიხაილ უნგროვლახელის ანდერძი, სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

„უწინარეს ყოველთასა დავბეჭდეთ ესე საღმრთო და სამღდელო წმიდა სახარება“[1].

პირველნაბეჭდი სახარება, როგორც ჩანს, დიდტირაჟიანი გამოცემა ყოფილა. მისი ცალები მრავლად არის ჩვენამდის მოღწეული და ზოგ წიგნთსაცავში რამდენიმე ცალადაც მოიპოვება (თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში, საქართველოს მუზ. წიგნთსაცავში და სხვ.). ამ პირველი გამოცემის დიდ ტირაჟიანობას ისიც მოწმობს, რომ პირველნაბეჭდი სახარება ვახტანგის სტამბის სახარების ერთადერთ გამოცემად დარჩა, იმ დროს, როცა, მაგ., დავითნი, ჟამნი, ლოცვანი—ვახტანგის სტამბაში არაერთგზისი განმეორებითაც დაიბეჭდა.

მეორე წიგნი, რომელიც ვახტანგის სტამბამ 1709 წ. გამოსცა, არის „დავითნი“.

ამ გამოცემის ერთადერთი უთავფურცლო, ნაკლული ცალი მოიძებნა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის საეკლესიო მუზეუმისეულ ფონდში (N F: 146) 1939 წელს. ამ წელს, საქართველოს წიგნის პალატის დავალებით წარმოებული ბიბლიოგრაფიული მუშაობის დროს, ჩვენი ყურადღება მიიპყრო პატარა ზომის თაებოლონაკლულმა, უთავფურცლო „დავითნმა“, რომლის დაბეჭდვის თარიღი და ადგილი გაურკვეველი იყო.

შრიფტის მიხედვით ეს გამოცემა ჩვენ ვახტანგის სტამბის წიგნად ვცანით.

ცნობილი იყო, რომ ვახტანგის სტამბიდან სხვადასხვა დროს გამოვიდა „დავითნის“ ოთხი გამოცემა. ამათგან პირველი—1709 წლისა, დაკარგულად

[1] „აღწერილობა“, № 1.

ითვლებოდა, ვინაიდან იგი არც ერთ წიგნთსაცავში არ ყოფილა რეგისტრირებული[1].

ამავე დროს „დავითნის“ I გამოცემის დაბეჭდვის ფაქტს გვამცნობს ამ წიგნის II, III, IV გამოცემების თავფურცლების ტექსტები:

მხედრული შრიფტით დაბეჭდილი 1711 წ. „დავითნი“ („აწ მეორე დაბეჭდული“—№ 9);

საშუალო ზომის ნუსხურით დაბეჭდილი 1712 წ. („აწ მესამედ დაბეჭდილი“—№ 11);

იმავე საშუალო ზომის ნუსხურით დაბეჭდილი 1716 წ. („აწ მეოთხედ დაბეჭდილი“—№ 14).

ამ სამი გამოცემის მიხედვით ცხადი იყო, რომ არსებობდა „დავითნის“ I გამოცემაც, რომელიც 1711 წელზე ადრე უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი.

შედარებამ ცხადყო, რომ სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის „დავითნი“ N F : 146, დაბეჭდილი მსხვილი ნუსხა-ხუცურით, არც II, არც III, არც IV გამოცემას არ შეესატყვისებოდა. ამ წიგნის შ რ ი ფ ტ ი და ო რ ი ო დ ე შ ე მ კ უ ლ ო ბ ა ზ ე დ მ ი წ ე ვ ნ ი თ ი ს ე თ ი ვ ე გამოდგა, როგორიც 1709 წ. „სახარებისა“ და „სამოციქულოსი“. საგულისხმიეროა ის გარემოებაც, რომ ეს ნაკლული „დავითნი“ თავიდან ბოლომდის მხოლოდ შ ა ვ ი ს ა ღ ე ბ ა ვ ი თ აღმოჩნდა დაბეჭდილი, რაც დამახასიათებელია პირველნაბეჭდი „სახარებისათვისაც“ (№ 1).

„დავითნი“ N F : 146 მცირე ფორმატის წიგნია (11×8) და მისი მსხვილი შრიფტით ბეჭდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გასაგები, თუ ვივარაუდებთ, რომ თბილისის სტამბას ამ გამოცემის ბეჭდვის დროს არც საშუალო ზომისა და არც წვრილი ნუსხური შრიფტი არ გააჩნდა.

ასეთი მდგომარეობა თბილისის პირველ სტამბაში მხოლოდ 1709 წელს იყო. მომდევნო 1710 წლიდან კი სტამბა თავისი გამოცემისათვის ნაირნაირი ზომის შრიფტს იყენებს; მას, გარდა შავი საღებავისა, ამ დროს მოეპოვება აგრეთვე წითელიც.

ამ ნიშნების მიხედვით ჩვენ დავადგინეთ, რომ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის „დავითნი“ N F : 146 არის თბილისში 1709 წელს გამოცემული „დავითნი“ (ვახტანგის სტამბის „დავითნის“ პირველი გამოცემა)[2].

---

[1] დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბ., 1929, გვ. 71; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნი. 1629—1929, გვ. 52,62.

[2] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი თავის სარეცენზიო წერილში აცხადებს, თითქოს ნამდვილად „ეს წიგნი (რომელი „ეს წიგნი“? „დავითნი“ N F : 146? ქ. შ.) შემჩნეულია 1929 და 1934 წწ. გამოკვეყნებული გამოცემებითო“ (ქ. „მნათობი“, 1942, № 1, გვ. 153). ეს განცხადება სრულებით უსაფუძვლოა.

1709 წლის პირველნაბეჭდი „დავითნის“ ამ ერთადერთი მეტად დაზიანებული ცალის მიკვლევას დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევთ. მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას: ნამდვილად ქართული ბეჭდვითი საქმის განვითარების არც ერთ მკვლევარს 1941 წლამდის არც შეუმჩნევია და არც აღუნიშნავს, რომ თ ბ ი ლ ი ს ი ს უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს ფ უ ნ დ ა მ ე ნ ტ ა ლ უ რ ი ბ ი ბ-

1709 წ. დაბეჭდილ გამოცემათა შორის სამოციქულო უკანასკნელი უნდა იყოს[1]. ამას, სხვათა შორის, გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ 1709 წლის გამოცემათაგან მხოლოდ სამოციქულოს თავფურცელზე და მის დამატებით ნაწილში არის ნახმარი წითელი საღებავი, რომელიც პირველნაბეჭდ სახარებასა და 1709 წ. დავითნს არ გააჩნია.

სამოციქულოს ბეჭდვის 1709 წლის სხვა გამოცემებზე გვიან გათავებას ისიც მოწმობს, რომ სამოციქულოს ზოგიერთ ვარიანტში სამეფო ღერბის ქვეშ მოთავსებული ლექსის უკანასკნელ სტრიქონებში მეფედ იხსენიება არა გიორგი XI, არამედ ვახტანგის ძმა, ქაიხოსრო ანუ ხოსრო მეფე:

„გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მსახველნი
და ეს ბეჭდა ხოსრო მეფის ზე. გაცუდდენ ყოვლნი მჩმახელნი“.

ლექსის ამ ნაწყვეტის აზრი ასეთია: ვახტანგმა მოაწყო სტამბა გიორგის მეფობაში და მით საყოველთაო განცვიფრება გამოიწვია. ეს (ნაწილი სამოციქულოს გამოცემისა) დაბეჭდა (ვახტანგმა) ხოსრო (ანუ ქაიხოსრო) მეფის ზეობაში (სიცოცხლეში) და მით გააცუდა თავისი მტრების შითქმა-მოთქმა.

გიორგი მეფე ავღანელებთან ბრძოლაში 1709 წლის აპრილის 21-ს დაიღუპა. ამავე წლის ივნისის 13-ს გარდაიცვალა ირანში მყოფი ლევან ბატონიშვილი, ვახტანგ VI-ს მამა (ირანის მდივანბეგი). უშუალოდ ამ ამბების შემდეგ ყეენმა „უბოძა“ ვახტანგის უფროს ძმას—ქაიხოსროს ქართლი, ერანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდა[2]. ყეენის ამ „ბოძებასთან“ დაკავშირებული იყო ქართლიდან 1500 მხედრის გაწვევა შაჰის მტრებთან ბრძოლის განსაახლებლად, ავღანელებთან შეტაკებებში მთლად გაჟლეტილი ქართული მხედრობის სანაცვლოდ.

ყველა ამ ამბის შესახებ ცნობა საქართველოში დაახლოებით ზაფხულის მიწურულში უნდა მოსულიყო.

1709 წელს დაბეჭდილ სამ გამოცემათაგან „სამოციქულო“ ყველაზე დიდი მოცულობის არის. ეტყობა, ამ წიგნის ნაბეჭდი ცალები სტამბიდან მთლიანად გამოსული არ ყოფილა, როცა თბილისამდის მოუღწევია გიორგი XI მეფობის ქაიხოსროს მეფობით შეცვლის ამბავს. ამის შედეგად სამოციქულოს ღერბის ქვეშ მოთავსებული ლექსის ბოლოში ახალი მეფის, ქაიხოსროს (ხოსროს) სახელი ჩაუმატებიათ: „და ეს ბეჭდა ხოსრო მეფის ზე“.

ვახტანგის სტამბის „სამოციქულო“ განსაკუთრებით რთული წინასწარი მუშაობის კვალს ატარებს. წიგნის რედაქტორის ნ. ორბელიანის ანდერძი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს 1709 წ. სახარებისათვის წამძღვარებული-

---

ლიოთეკის წიგნი NF: 146 არის ვახტანგის სტამბის დავითნის პირველი გამოცემა 1709 წლისა.

საკითხი ამ ფაქტს ეხება და არა იმას, რომ ზოგადად სავარაუდო იყო „დავითნის“ პირველი გამოცემის არსებობა, ვინაიდან ცნობილი იყო ვახტანგის სტამბის დავითნის II და III გამოცემები, რომელთა თავფურცელზე აღნიშნულია: „აწ მეორედ დაბეჭდული“ (1711 წ.) და „აწ მესამედ დაბეჭდილი“ (1712).

[1] „აღწერილობის“ № 3

[2] სეხნია ჩხეიძე, გვ. 324—325.

ანდერძის ტექსტს. მსგავსად „სახარების“ ტექსტისა, „სამოციქულოს“ ტექსტიც ბერძნული ტექსტის მიხედვით არის ნასწორები; იგი დაყოფილია თავებად და მუხლებად; მუხლების აღნიშვნა ჩატარებულია ქართული ასოებით (ნაპირზე, ორხაზოვან ჩარჩოში).

ყურადღებას იპყრობს 1709 წლის ნაბეჭდი „სამოციქულოს“ ზოგიერთი თავისებურება. ეს ჩინებული გამოცემა, თავფურცლიდან მოყოლებული უკანასკნელი გვერდის ბოლომდე შინაარსითაც და ტექნიკურადაც იშვიათი სიფაქიზით გამართული, თითქოს მთავრდება რედაქტორის ნიკოლოზ ორბელიანის „საძიებლებით“ (ტლ—უკა გვ.). აქ უკა (421) გვერდზე, ტექსტის ბოლოს მოთავსებულია ყვავილოვან-ფოთლოვანი ბოლოკაზმულობა, რომლის ქვემორე, სინგურით, მსხვილი მრგვლოვანი შრიფტით დაბეჭდილია:

„გ ა ნ ს რ უ ლ დ ა“

ამის ქვეშ, ტექსტის ნუსხური შრიფტით, ორ სტრიქონად დაბეჭდილია: „სამებასა ერთარსებასა ღმერთსა მხოლოსა დიდებად. ამინ“. ქვემორე, მსხვილი მრგვლოვანით (შავი საღებავით): „დაიბეჭდა ქალაქსა ტფილისისასა“. იქვე, ტექსტის ძირითადი შრიფტით: „ჴელითა მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილისა უნგროველახელისა“. უკანასკნელ: „ქ“კსა ქრისტეს აქეთ ათას შეიდას ცხრასა“.

ეს გვერდი მთავრდება მეორე ბოლოკაზმულობით, მომდევნო გვერდზე კი მოთავსებულია ვახტანგის პორტრეტი.

წარმოდგენილი აღწერილობის მიხედვით „სამოციქულოს“ ძირითადი ტექსტი და ბოლოში დართული ნ. ორბელიანის ნაკეთები საძიებლები, ერთი სიტყვით მთელი წიგნი, მთავრდება ამ უკანასკნელი ფურცლით, რომლის ერთ გვერდზე დაბეჭდილია „გ ა ნ ს რ უ ლ დ ა“, მესტამბის ვინაობა, ბეჭდვის ადგილი და თარიღი, ხოლო მომდევნო გვერდზე—ვახტანგის პორტრეტია წარმოდგენილი.

1709 წლის „სამოციქულოს“ ზოგიერთი ცალი მართლაც ამ ფურცლით მთავრდება.

„სამოციქულოს“ ორგანულ ნაწილებს გარდა წიგნი ამ სახით შეიცავს დამატებას, სათაურით: „საძიებელი წმიდისა სამოციქულოსი“, რომელშიაც შედის საძიებლები: ა. კვირიაკეთა (ტლ—ტობ გვ.),

ბ. თვეთა (ტოგ—უკ გვ.),

გ. მიცვალებულთანი (უკ გვ.).

მაგრამ ჩვენ ვიცნობთ 1709 წ. „სამოციქულოს“ არა ერთ ცალს, რომელსაც ვახტანგის პორტრეტისა და, მაშასადამე, ჩვენ მიერ აღწერილი უკანასკნელი ფურცლის ნაცვლად დამატებითი ფურცელი უკგ—უმბ (423—441) გვ. აქვს.

ხსენებულ დამატებით ფურცლებზე დაბეჭდილი მასალა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. აქ მოთავსებულია საძიებელი მოწმობა (უკბ—ულზ გვ.), რომლის ტექსტიც იწყება: „წამებანი ქრისტესითგან მოციქულთაგან ახალსა აღთქმასა შინა მოკლედ ძველისა აღთქმისაგან ჩართული.

რომელნი ესე ამას შინა ჩართულ არიან, სარწმუნოებით კეთილად აღჩომკითხველნო და მეცნიერებით მსმენელნო, რომელი თვით მხოლოდ ქრისტეს მიერ არს თარგმანი და სულითა მისითა, რომელი მოციქულთა მიერ გამოცხადებულ იქმნების. შეუდეგით და მიიღეთ, რომელსა მარადის მოციქულნი და მახარებელნი წინა დაგვიდებენ".

ამ ტექსტის ქვემოთ იწყება ორ-ორ სვეტად დაბეჭდილი „საძიებელი მოწმობა":

„დ ა ბ ა დ ე ბ ი ს ა
1. 27. ქმნა ღმერთმან მამაკაცად და დედაკაცად.
მათე. 19.4.
მარკოზ. 10.6...„ (უკგ—უმბ გვ.)".

ამ „საძიებელი მოწმობის" ტექსტი სიტყვა-სიტყვით, ასო-ასოდ, თვით ტექნიკური განლაგების დეტალებითაც და სხვა ნიშნებით ემთხვევა ცნობილი ხელნაწერის—„მცხეთის ბიბლიის" 631—633-ზე მოთავსებული „საძიებელი მოწმობის" ტექსტს (ხელნაწ. A : 51)[1].

არ შეიძლება თვალში არ მოგვხვდეს ამ ნაბეჭდი საძიებლების ერთი დეტალი: თავებისა და მუხლების აღნიშვნა აქ ა რ ა ბ უ ლ ი ც ი ფ რ ე ბ ი თ არის ჩ ა ტ ა რ ე ბ უ ლ ი, იმ დროს, როცა თვით სამოციქულოს ტექსტსა და ნ. ორბელიანის მიერ სამოციქულოსათვის შედგენილ საძიებლებში (ტლ—უკ გვ.) თავებისა და მუხლების სათვალავი ქ ა რ თ უ ლ ი ა ს ო ე ბ ი თ არის ნაჩვენები.

რით უნდა ავხსნათ ერთსა და იმავე გამოცემაში, ერთმანეთის გვერდით ორი სხვადასხვა წესის დაცვა?

აღსანიშნავია, რომ ე. წ. „მცხეთის ბიბლიაშიაც", რომლის „საძიებელ მოწმობასაც" ემთხვევა 1709 წ. სამოციქულოს ეს დამატება (უკგ—უმბ გვ.). ყველგან მხოლოდ არაბული ციფრები იხმარება.

ჩვენ ვიცით, რომ „მცხეთის ბიბლიის" (A : 51) საძიებლის ტექსტი, როგორც ამ ხელნაწერის მრავალი სხვა ნაწილი, სულხან-საბა ორბელიანის ხელით არის დაწერილი. საერთოდ, მთელი ეს ხელნაწერი, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა პაველ ინგოროყვამ[2], ს. ს. ორბელიანის მიერ ნასწორები და რედაქტირებულია.

ეჭვს გარეშეა, რომ 1709 წ. სამოციქულოს „საძიებელი მოწმობაც" ამ გამოცემისათვის საბას დართულია. ამავე დროს საბას მონაწილეობა ამ წიგნის ტექსტის დამზადებაში არსად არ არის აღნიშნული და ანონიმურად ხორციელდება.

„სამოციქულოს" დანარჩენ დანართებში ყურადღებას იპყრობს ულვ გვერდი, სათაურით:

„ნულა და ქართული რიცხვი თან ჩართული".

---

[1] ამ საძიებლის შესახებ იხ. ილია ა ბ უ ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III. პირვ. სერია, 1936, გვ. 259.

[2] ამ საკითხს დავუბრუნდებით ქვემოთ, თბილისის სტამბის ბიბლიის დაბეჭდვის საკითხთან დაკავშირებით.

ეს არის არაბული ციფრებისა და მათი შესატყვისი ქართული ასოების ტაბულა, რომელიც იწყება 1-ით და თავდება 10.000-ით. ეს ტაბულა უკლებლივ აღნიშნავს (1—102-დის) როგორც არაბულ ციფრებს, აგრეთვე მათ შესატყვის ქართულ ასოებსაც[1]. 102-ს იქით არაბული ციფრებიც და ქართული ასოებიც რვა-რვა რიცხვის გამოტოვებით მიდის: 102-ს მისდევს 110, 111, 112; 112-ს—120, 121, 122; 122-ს—130 და ასე ბოლომდის.

პ. გუგუშვილმა, რომელმაც პირველად შეამჩნია ეს ტაბულა, მისი ავტორობა მიხაილ უნგროვლახელს მიაწერა[2]. პ. გუგუშვილი შეცდომაში შეუყვანია ხსენებული ტაბულის ტექსტის ქვეშ გავლებული ხაზის ქვემო აშიაზე წვრილი ნუსხური შრიფტით დაბეჭდილ ფრაზას: „ჴელითა მიხაილ მესტამბე უნგროვლახელისათა“. ეს მინაბეჭდი მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ტექსტი დაბეჭდილია მესტამბე მიხაილ უნგროვლახელის ხელით და არა ავტორობით. ასეთ აღნიშნვას უნგროვლახელის ხელით ნაბეჭდი ყოველი გამოცემის ბოლოში ვხვდებით.

ამ შემთხვევაში უნგროვლახელი დამატებით გვაცნობებს თავის მონაწილეობას „სამოციქულოს“ ბეჭდვაში და ამას, როგორც ზემოთ დავინახეთ, თავისი მიზეზები აქვს.

არაბული ციფრების ტაბულის ბეჭდვითი გზით გამოქვეყნება ისე, როგორც არაბული ციფრების ხმარების შემოღება, საკმარისად დიდი მნიშვნელობის კულტურული ფაქტია. ამიტომ ჩვენთვის არ არის სულერთი—ვისი შედგენილია ხსენებული ტაბულა ან ვის მოუვიდა აზრად მისი დასაბეჭდად, ე. ი. ფართოდ გასავრცელებლად, დამზადება.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ „ნულა და ქართული რიცხვი თან ჩართულის“ შემდგენელი არის არა უნგროვლახელი, არამედ სულხან-საბა ორბელიანი, რომელმაც, როგორც გარკვეულია, დამატების სახით დაურთო 1709 წ. „სამოციქულოს“ თავისი „საძიებელი მოწმობა“. საბასთვის ცხადი იყო, რომ „საძიებლის“ გამოყენება არაბული ციფრების უცოდინარისათვის შეუძლებელი იქნებოდა.

ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ტაბულის შემდგენელი ს. ს. ორბელიანია, ვინაიდან არაბული ციფრების ხსენებულ ტაბულას სწორედ ამავე სათაურით—„ნულა და ქართული რიცხვი“... საბას ლექსიკონის ავტოგრაფულად და ავტორიზებულად ცნობილ ხელნაწერებში ვხედავთ. აქვე ვკითხულობთ საბას შენიშვნას: „ესე ნულა ყოველთა რიცხუთა და ანგარიშთა უმჯობეს არს და ყოველნი ქრისტიანე ანუ ჰურიანი, გინა წარმართნი ამის მიერ რიცხუენ. ქართუ[ლ]თა, მიკვირან, რისთჳს არა გარდმოუღიათ! ანუ წმიდათა მთარგმნელთა მამათა [რად] დაუტევეს! აწ მე სომხურის წიგნიდან გადმოვიღე. მუნცა ნაკლებ-ნაკლები ეწერა. ას სამოცს უკან აღარ შეუსრულებიათ სიგრძისათჳს. ამისთჳს ნაკლებად უწერიათ. ვინცა მუნამდ[ე] დაისწავლის, სხუასაც

[1] ერთი შეცდომით: 49-ში ცხრიანი გადმობრუნებული სახით არის მოცემული და 6-ად აღიქმება.

[2] პ. გ უ გ უ შ ე ი ლ ი, ქართული წიგნი 1629—1929, ტფ., 1929, გვ. 49.

თჯთანვე შეასრულებს. ქართულის ანბანის სათუალავი თანჩართჯთ დამისხამს. ვისაც ენებოს—საჭირო (საძნელო) არა არის რა და ვისაც არა ენებოს, თჯთ განისვენოს"[1].

როგორც ვხედავთ,სულხან-საბას არ სცოდნია, რომ ძველად განათლებული ქართველები არათუ გაცნობილი იყვნენ არაბულ ციფრებს, არამედ პრაქტიკულადაც იყენებდნენ მათ (მე-10—11 სს.)[2]. მაგრამ შემდეგ'ში „ჟამთა სიავით" დაივიწყეს და რიცხვების ქართული ასოებით აღნიშვნის პრიმიტიულ წესს დაუბრუნდნენ. XVIII საუკ. საქართველოში არაბული ციფრების ხმარების კვლავ შემოღება და ფართოდ გამოყენება კი საბას ერთ-ერთ დიდ დამსახურებათაგანს წარმოადგენს.

1709 წ. „სამოციქულოს" უკანასკნელ (ულზ—უმა) გვერდებზე მოთავსებულია „გამართვა შეცთომილთა სამოციქულოთა". ჩვენ აქ გვაოცებს არა შეცდომათა სიმრავლე, რაც ასეთი საქმის შესრულების პირველი ცდების დროს ბუნებრივია, არამედ მაღალი მწიგნობრული კულტურის მაჩვენებელი დაუზარებელი, ფხიზელი ბეჯითობა, რომლითაც ეს შეცდომები სწორდება მთელი ხუთი გვერდის სივრცეზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ 1709 წ. „სამოციქულოს" ცალებიც თითქმის იმავე რაოდენობით მოიპოვება წიგნთსაცავებში, როგორც 1709 წლის „სახარების" ცალები. ხშირია შემთხვევა, როცა ვახტანგის სტამბის „სახარება-სამოციქულო" ერთ ყდაშიც არის მოქცეული.

1710 წლის გამოცემები

ქართული სასტამბო ტექნიკის განვითარების ისტორიაში 1710 წლის გამოცემებს განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის. ამ წელს დაბეჭდილი თბილისის წიგნების შრიფტის, შემკულობისა და ფორმატის მრავალსახეობა და, საერთოდ, ტექნიკური გაფორმება ქართული სასტამბო საქმის ბრწყინვალე წარმატებას გვიჩვენებს.

ჩვენს დრომდე 1710 წლის ოთხმა ჩინებულმა გამოცემამ მოაღწია. ამათ შორის „კონდაკმა", როგორც ეს აღნიშნულია („შესავალში"), დიდი ხანია ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მის გაფორმებას განსაკუთრებული საზეიმო ელფერი აძევს. იგი თავფურცლიდან მოყოლებული უკანასკნელ გვერდამდის ბეჭდვითი ხელოვნების იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს.

ეს გამოცემა მდიდარია შრიფტის ნაირობით. აქ ვხედავთ მრგვლოვანი დამწერლობის ნიმუშს (სათაურებში), მსხვილ, საშუალო ზომისა და წვრილ ნუსხურ შრიფტს; აქვე ჩნდება პირველად ვახტანგის სტამბის მხედრული შრიფტი და ბერძნული შრიფტის ნიმუშიც (იხ. აუნუსხავი მე-6 გვ.)

---

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საბასეული ხელნაწერი A : 75, გვ. 3.

[2] იმავე მუზეუმის მე-10 ს. ხელნაწერი A: 38, 248. v; აგრეთვე, „საქართველოს ისტორია", ნაწ. 1, გვ. 162: „საამშენებლო ასომთავრული წარწერა და თარიღი არაბული ციფრებით—ბაგრატის ტაძარზე ქუთაისში", თბ., 1948.

1710 წლის „კონდაკი“ თავისი ტექსტითაც საყურადღებოა. საერთოდ, კონდაკი შეიცავს „ჟამის წირვის“,ანუ მღვდელთმოქმედების იმ წესებს, რომელსაც ქართულად მარტივად „წირვას“ (ლიტურგია) უწოდებენ[1].

ვახტანგის სტამბის კონდაკი ფილოთეოსის რედაქციის ლიტურგია არის. ეს რედაქცია საქართველოში მხოლოდ მე-17 საუკუნის გასულს შეიქმნა და თანდათანობით იკიდებს ფეხს[2].

აღსანიშნავია, რომ 1710 წლის ნაბეჭდი კონდაკი ბერძნულ წესებს ბრმად არ მისდევს. აქ რუდ (194) გვერდზე ვკითხულობთ: „ლოცვანი ერის განტევებისა ყოველთა დღესასწაულთანი“. სათაურს იქვე, ფრჩხილებში, დართული აქვს შენიშვნა:

„(უწყოდეთ რ~ ესე ლოცვანი არა აქვსთ ბერძენთა და რუსთა, არამედ საქართველოსა შინა თქმული არს და ამისთვის არც ჩვენ დაუტევეთ)“[3].

ანტონ I კათალიკოსისა და ერეკლე II-ს მცდელობით ნანგრევებიდან ამოღებული და აღდგენილი სტამბის ერთ-ერთი პირველ გამოცემათაგანი „წიგნი საღმრთოსა მსახურებისა“ ვახტანგის სტამბის „კონდაკის“ წესს აღარ მისდევს. 1751 წ. გამოცემას მოხსნილი აქვს ტრადიციული სათაური „კონდაკი“ და იგი, საერთოდ, თავიდან ბოლომდის შემოწმებულია „ძალითა ღმრთისათა სრულსა და ჰეშმარიტსა რუსულსა საღრმთოსა მსახურებისა წიგნსა ზედა“[4].

ჟამნის ორი გამოცემა 1710 წ.

1710 წელს ვახტანგის სტამბიდან „ჟამნის“ ორი სხვადასხვა გამოცემა გამოვიდა (აღწერილობა № 5,6). ამათგან ერთი (№ 6) დაბეჭდილია წვრილი ნუსხურით, როგორც ამავე წელს გამოცემული „ლოცვანი“ (№ 7), და ხსენებული „ლოცვანისაგან“ ფორმატითა და შემკულობითაც თითქმის არ განსხვავდება.

აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ პირველნაბეჭდ „ჟამნში“ ნ. ორბელიანს „შეუტანია ქართველ წმიდათა ხსენების დღე“ (ქართ. ლიტერ. ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 317).

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ., 1941, გვ. 536.

[2] იქვე.

[3] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს დასკვნით ეს „საქართველოსა შინა თქმული“ ლოცვებიც ბერძნული წარმოშობის ყოფილა (იხ. К. К е к е л и д з е, Литургические грузинские памятники, Тифлис, 1908, стр. 423). მაგრამ ჩვენთვის აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1710 წ. „კონდაკის“ ბეჭდვის დროს ხსენებული ლოცვები ქ ა რ თ უ ლ ა დ ყოფილა მიჩნეული და სწორედ ამის გამო დატოვებული ფილოთეოსის კონდაკშიაც. აქ ერთხელ კიდევ მეძლევნება ვახტანგისა და მის თანამოღვაწეთა განსაკუთრებული გაბედულობა ქართული ტრადიციით დამკვიდრებული წესების. დაცვის საქმეში.

იხ. აგრეთვე 1710 წლის „კონდაკის“ გვ. ლდ, სადაც მსოფლიო საქრისტიანო ეკლესიის უდიდეს წმინდათა სახელების ჩამოთვლაში შეტანილია წმ. ნინოს სახელი.

[4] „საღმრთო მსახურების წიგნი“, ტფ., 1751, ანდერძი. „ქართული წიგნი“, ბიბლიოგრაფია, 1, № 40, გვ. 52.

ტექსტისათვის დართული მასალიდან ყურადღებას იპყრობს უნგროელა-ხელის ვრცელი მიმართვა მკითხველთადმი (№ 6 აღწერილობა).

ამავე წელს იბეჭდება „ჟამნის“ სხვა გამოცემა (№ 5). ვახტანგის სტამბის ეს ყველაზე მინიატურული წიგნი (9,1×6,5) თავიდან ბოლომდის მხედრული შრიფტით არის დაბეჭდილი; პაგინაცია მას არაბული ციფრებით აქვს გაკეთებული. წიგნს ზედვე ეტყობა, რომ იგი ფართო მომხმარებლისათვის არის დანიშნული. ფორმატი, მხედრული შრიფტი, არაბული ციფრებით გაკეთებული პაგინაცია ამ გამოცემას განსაკუთრებით საერო იერს ანიჭებს.

1710 წლის მხედრული შრიფტით ნაბეჭდი ჟამნის არსებობა გვიან იქნა შემჩნეული. დ. კარიჭაშვილი 1710 წლის მხოლოდ სამ გამოცემას იხსენიებს: „კონდაკს“, „ლოცვანსა“ და „ჟამნს“, რომლის „შრიფტი წვრილი ნუსხა-ხუცურია“[1].

პ. გუგუშვილიც ვახტანგის სტამბის წიგნების სიაში 1710 წ. თარიღ ქვეშ ათაესებს—კონდაკს, ლოცვანსა და ჟამნს, ხუცურად ნაბეჭდს[2].

1710 წლის ლოცვანის სახით გვაქვს წვრილი ნუსხური შრიფტით დაბეჭდილი მეორე წიგნი. ეს პატარა ზომის (11×7) გამოცემა შესრულებულია იშვიათი მოხდენილობითა და სიფაქიზით.

რედაქტორის—ნ. ორბელიანის—ანდერძის მიხედვით ტექსტის გამართვის პროცესში ბევრი რამ „ბერძულის რიგით“ გაკეთებულა; მასალის ნაწილი კი—ტრადიციული ქართული საგალობლები—ხელუხლებლად დაუტოვებიათ. „ჟამნობა და თვენი ბერძულის რიგით დავწერეთ და კვირაძლის ზატიკისა და სამგზეფსოს ოხითა-იბაკო ისევ ჩვენი ძველი გაურიეთო“—ამბობს რედაქტორი (№ 7 აღწერილობა).

1711 წლის გამოცემები

თბილისის სტამბის 1711 წლის ჩვენს დრომდე მოღწეული ორივე გამოცემა მხედრული შრიფტით არის დაბეჭდილი (№ 9, 10). ამათგან დავითნი მეორე გამოცემას წარმოადგენს („აწ მეორე დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა“). ბიბლიურ წიგნთა შორის ამ ყველაზე პოპულარული წიგნის პირველი გამოცე-

[1] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, გვ. 71—73, თბ., 1929.

[2] პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი. 1629—1929, თბ., 1929, გვ. 62. მიუხედავად ამისა, პ. გუგუშვილი 1710 წლის მხედრული ჟამნის გამო თავს ესხმის „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის [1] „შესავალის“ ავტორს ქრ. შარაშიძეს და „თავაზიანად“ აცხადებს—„სტყუის“ შესავალის ავტორიო. ის მალავს იმ ფაქტს, რომ 1934 წლის ერთ-ერთ გამოცემაში მოხსენებულია 1710 წ. დაბეჭდილი მხედრული ჟამნიო (ჟ. „მნათობი“, 1942, № 1, გვ. 153).

ქრ. შარაშიძემ მართლაც ზედმეტად ჩათვალა 1934 წ. იმ გამოცემის მოხსენიება, რომლის წინასიტყვაობაში თეთრ ქაღალდზე შავი ასოებით და დამარცვლითაც კი დაბეჭდილი იყო ავტორის შემდეგი განცხადება: „ცნობები 1629—1818 წლებში დაბეჭდილი წიგნების შესახებ ქრისტინე შარაშიძის მიერ შედგენილი კატალოგიდან არის ამოღებული“ (ამ ცნობებში მოხსენებული იყო 1710 წლის მხედრული შრიფტით ნაბეჭდი ჟამნიც).

ამგვარად, ნათელია, რომ ქრ. შარაშიძეს მიუტაცებია და თავისად გამოუცხადებია იმ კატალოგის მასალა, რომელიც შედგენილი ყოფილა იმავე ქრ. შარაშიძის მიერ 1932—1933 წლებში!

შა (1709 წ.), ეტყობა, ორი წლის განმავლობაში შთაუნთქავს მკითხველთა დიდ მოთხოვნილებას.

მხედრული შრიფტით ნაბეჭდ გამოცემათა შორის 1711 წლის „დავითნის“ მხატერულ-ტექნიკურ გაფორმებას ერთ-ერთი პირველ ადგილთაგანი უნდა მიეკუთვნოს. მისი თავფურცელი, ბაგრატიონთა ღერბის გამოხატულება აუნუსხავ გვერდზე, იგავთა ლექსის ნუსხური შრიფტით დაბეჭდილი ნაწყვეტით, განსაკუთრებული გემოვნებით გაფორმებული ვახტანგის პორტრეტი—ამ გამოცემას იშვიათი მხატვრული კომპოზიციის ნიმუშად ხდის.

მაგრამ მას ერთი დეფექტი აქვს: მის თავფურცელზე დავიწყებულია წიგნის სათაურის აღნიშვნა.

ბერძნული ლექსი 1711 წლის „დავითნის“ ფურცლებზე

საგანგებო ყურადღების ღირსია 1711 წ. მხედრულ „დავითნში“ ვახტანგის ანდერძის ქვემოთ მოთავსებული ბერძნული შრიფტით დაბეჭდილი ათსტრიქონიანი ლექსი. სათაურით:

„სტრიქონები (ლექსები) ღვთიურ დავითზე:
დადუმდი ორფეუ! ესროლე ჰერმესს ლირა!
სამფეხი დელფოელები უფრო მეტად შესაბლებენ თავდავიწყებას;
ჩამოჰკრავს რა დავითი ჩვენი სულის ლირას,
დაფარულ ღვთიურ საიდუმლოებას ახსნის;
მოყვება მრავალ საკვირველებას ძველთაგანს,
აღძრავს (აღაფრთოვანებს) ჰიმნის მიმართ შემოქმედს
(ვინც შექმნა ეს ქვეყანა, ე. ი. ვინც ააშენა შენობა-ქვეყანა)...“[1].

ლექსის შინაარსი ბაგრატიონთა სამეფო ღერბზე გამოხატულ დავითის ქნარს უკავშირდება. დავით, ებრაელთა მეფე (1055—1015 ძვ. წ. აღ.), პოეტი და მუსიკოსი, თავისი ქნარით დაპირისპირებულია ბერძნული (ანტიკური—„წარმართული“) სამყაროს მუსიკოს ორფეუსთან, რომელსაც „ადუმებს“ ღვთაებრივი საიდუმლოების ამხსნელი და ქვეყნის შემოქმედის მადიდებელი დავითის ქნარი.

ცხადია, როგორც ბერძნული შრიფტის გაკეთება, ისე ბერძნული ლექსის მოთავსება უნგროვლახელ ოსტატს უნდა მივაწეროთ.

1711 წლის სასწავლო წიგნი

1711 წ. გამოცემული მეორე, გაფორმებით ნეტად სადა წიგნი, შინაარსით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. მისი თავფურცელი იკითხება:

„სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა. აწ დაბეჭდული ქართულსა ენასა ზედა ჟამსა მეფობისა უ˘ისა უ˘ისა ქაიხოსროსსა. დაშრომითა გამგებელისა მისისა უ˘ისა უ˘ისა ვახტანგისსა. შემოკლებით თქმული და გარიგებული გერმანე მღდელ მონაზონისაგან. ჴელითა მიხაილ სტეფანეს ძისა უნგროვლახელისათა. ქალაქსა ტფილისისასა. ჩღიაˆ.

[1] როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ასეთი ტექსტების ბეჭდვის წესიც რუმინეთიდან უნდა მომდინარეობდეს („ქართული სტამბის ისტორიისათვის“, გვ. 157). ლექსი ქართულად თარგმნა თამარ ბრეგაძემ.

ამ გამოცემის სახით ჩვენ გვაქვს ბეჭდვითი საშუალებით გამოქვეყნებული პირველი ქართული ორიგინალური სახელმძღვანელო. სარწმუნოებრივი შინაარსი არ უკარგავს ამ საყურადღებო გამოცემას დიდ ისტორიულ მნიშვნელობას. ავტორის მიზანი ქრისტიანული მოძღვრების („მართლმადიდებლური") ძირითადი დებულებების მარტივად გადმოცემა არის. წიგნის მასალა კითხვა-პასუხის (დიალოგის) ფორმით არის დალაგებული. ავტორი თავის ანდერძში აუწყებს მკითხველთ:

„აღსწერე სარწმუნოება ჩვენთა სარწმუნოებათაგან შემოკლებით გამოკრებული და მცირედი რამ სწავლა შვიდის საიდუმლოსიო... რათა იკითხვედენ და ისწავლიდენ ყრმანი ახლად მოსწავლენი და მეცნიერებად ღთისა მოვიდოდენ და არ იყვნენ ჩვენგან განშორებულთა მწვალებელთ შვილთაგან დაწუნებულნი და სიტყვა-უგებელნიო".

თავის ადგილას აღნიშნული გვაქვს, თუ რამდენად დაცემული იყო მე-17—18 სს. მიჯნაზე ქრისტიანული რელიგიის თვით ელემენტარული დებულებების ცოდნა. გერმანეს თხზულება ამ მოვლენასთან საბრძოლველად არის მომარჯვებული. ტექსტის ერთ ადგილას მოძღვარი (ანუ მასწავლებელი) აფრთხილებს მოწაფეს: „ნურც ურიათ ძველს სიბრძეს ისმენ და ნურც სარკინოზთ (მუსულმანთა) ზღაპრობასაო" (გვ. რვ).

ცხადია, თხზულებას ქრისტიანული სარწმუნოების მთავარ დებულებათა ცოდნის გავრცელებასთან ერთად მაჰმადიანთა („სარკინოზთ") „ზღაპრობის" ძლიერ გავლენასთან ბრძოლა ჰქონია მიზნად დასახული („ურიათ ძველი სიბრძის" სახით უნდა იგულისხმებოდეს ებრაული სარწმუნოების ის ელემენტები, რომლებიც მაჰმადის მოძღვრებაში გადავიდა).

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლათა" მსგავსად, გერმანეს სახელმძღვანელო წიგნიც ცოცხლად გვიხატავს იმდროინდელი ადამიანების რელიგიურ დაეჭვებას. მაგ., ერთგან, სადაც მოძღვარი ქრისტე-ღმერთის ჯოჯოხეთში ჩასვლის ამბავზე მსჯელობს, იგი მოწაფისაგან მიიღებს შეკითხვას: „ჯოჯოხეთში თუ არის, რათ არ იწვის (ქრისტეო)?" რაზედაც მოძღვარი ასეთ განმარტებას იძლევა: „ნუ გასინჯავ ჴორციელის კაცის მსგავსად!" „რა გვარადაც ნათელი წყალში არ დასველდების და ლაფი ვერ შესთხაპავს, ისრე ჯოჯოხეთის ცეცხლი ვერ შეეხების (ქრისტე ღმერთსო)" (გვ. ი).

სხვა ადგილას მოძღვარი მოუთხრობს მოწაფეს ღვთაების სამპიროვნებისათვის სწავლას (გვ. კთ) იოანე ღვთისმეტყველის ტექსტის საფუძველზე და ბოლოს ასეთი დარიგებით მიმართავს:

„ამისგან ულრმესს ნურავინ გამოეძიებს, თვარა უძლური თვალი რომ ბრწყინვალების გრძლად ჰვრეტას და გასინჯვას ცდილობდეს, რაც სინათლე აქვს, ისიც მოაკლდებისო".

მეტად დამახასიათებელია აგრეთვე მოწაფის „მატერიალისტური" შენიშვნა ადამიანის „ღვთის მსგავსად" გაჩენის შესახებ:

„თუ ღმერთი უჴორცო და უხილავი არის, როგორ იქნებოდა მსგავსი ღთისა ადამ — კაცი ზრქელი, ჴორციანი და სისხლიანიო?" (ლზ გვ.)

„სწავლა'მი“ ქრისტიანული სარწმუნოების ყოველი ძირითადი დებულება შესაძლებელი სიცხადითა და სისადავით არის განმარტებული. ეს სასწავლო წიგნი ყურადღებას იპყრობს სიადვილის პრინციპით, რომელიც ავტორს აქ თავიდან ბოლომდის აქვს გატარებული: შინაარსის სადა გადმოცემით, ტექსტის მხედრული შრიფტით დაბეჭდვით და ხალხური, სასაუბრო ენის გამოყენებით.

ავტორს საჭიროდ მიაჩნია თავისი სახელმძღვანელოს „სოფლური ენით“ დაწერის ახსნა-დასაბუთება: „ამისთვის დავწერე საეროს სიტყვითა, რომ ახლად მოსწავლენი ყრმანი სიადვილისათვის მსწრაფლ ზედ მიიწეოდნენ და უცთომელად დაისწავლიდენ და ესრეთ მეცნიერებად აღიყვანებდენ გონებასა მათსა ხედვად ღთისაო“, ამბობს გერმანე.

როგორც ვხედავთ, იგი უდიდესი პედაგოგიური პრინციპის დამცველად გამოდის—მან იცის, რომ მხოლოდ გასაგები, ადვილი ენით დაწერილი და გადაცემული მასალა შეითვისება შეუცდომლად და სწრაფად.

ამგვარად, ვახტანგისდროინდელ პედაგოგიურ პრაქტიკაში ძნელად გასაგები „წიგნური“ ენის ადგილს იჭერს სასაუბრო ენა, ცოცხალი ხალხური („სოფლური“) მეტყველება.

გერმანე მღვდელ-მონაზონი მარტოოდენ საკუთარი მოსაზრებით ვერ შემოიღებდა ამ დიდ რეფორმას. წინასიტყვაობის ტექსტი მოწმობს, რომ ავტორს მხარს უჭერს გაბედული ნოვატორისა და რეფორმატორის ვახტანგის მფარველობა: „ესეცა არ უგულებელს ყო ყრმათათვისცა დიდად მოღვაწემ და სწავლა-შემატების გულსმოდგინემ, სულიერად და ჯორციელად გამგეობის ტრფიალმან ბატონისშვილმა ვახტანგ და დააბეჭდვინა თვისთა საფასეთა წარსაგებელითა“—აცხადებს გერმანე თავის ანდერძში.

ამ წიგნის ოფიციალური გზით (სახელმწიფო სტამბაში, ვახტანგის ხარჯით) გამოქვეყნება და მისი ასეულ ცალებად გავრცელება ახალ, პროგრესულ მეთოდს ნერგავდა სწავლა-განათლების პრაქტიკაში და ნიადაგს უმზადებდა შინაური და მონასტრული აღზრდის სისტემიდან სახალხო-სასკოლო განათლების სისტემაზე გადასვლას.

გერმანეს ანდერძი ვახტანგის განმანათლებელი მოღვაწეობის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობის საბუთია. ვახუშტის მსგავსად, ანდერძის ავტორიც ვახტანგს ქრისტიანობის აღდგენისათვის დაუცხრომელ მოღვაწედ გვიხატავს, უწოდებს მას „მამულის რჯულის განმაძლიერებელს“ და ქრისტეს სარწმუნოებისათვის ცეცხლებრ ანთებულს. ქვემოთ გერმანე ვახტანგის სტამბის სამი წლის ნოღვაწეობის არაჩვეულებრივ ნაყოფიერებას აღნიშნავს: „ამან (ვახტანგმა) მოიხვნა სტამბა ქვეყანით ვლახეთით, რა ჟამს უფლებდა ვლახეთს იოანე-კოსტანტინე ბრანკოვანე ბასარაბა და მომართა ქვეყანასა ქართლისასა, დიდის საფასითა და წარსაგებელითა. და აღავსო და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა, რომელი დაკლებულიყო ჟამთა ვითარებისაგან მდევართაგან ქრისტეს რჯულისათაო“.

წიგნის ავტორი—გერმანე ვახტანგის პოლიტიკის ერთ-ერთი ენთუზიასტთაგანია. იგი, ამავე დროს, ქართული მწიგნობრობის დიდი მოყვარული და

მოამაგე ჩანს. გერმანეს მცდელობით გადარჩენია განადგურებას ვარძიის შესანიშნავი ხელნაწერი, რომლის 250 ფ. მეორე გვერდზე გერმანეს ხელით მიწერილია:

„მე, ფრიად ცოდვილმან მღვდელ-მონაზონმან გერმანემ, ფრიადი სურვილი და ტრფიალი მჭონდა წიგნისა ამის, და ახალციხელი მღუდელი იოანე გავგზავნე ვარძიას და იმან მიყიდა წმიდა ესე მათეს თავის თარგმანი. ფასი მიეცეც შვიდი თუმანი: ორი თუმანი თავის გასამსჯელო, ხუთი მინალთუნი—~~შოხაცხოველები~~, ხუთი მინალთუნი—შესაკრაი. მაგრა თუ მეცნიერი კაცი გასინჯავს, ფასი არა სძეს. ვინც იხილავდეთ, შენდობით მომიხსენებდით. სრულ იქმნა წმიდა წიგნი ესე იანვარს ა, ქკსა უ (1712 წ.)[1].

გერმანეს არათუ დაუხსნია „ვარძიის კრებული“, არამედ სასწრაფო ზომებიც მიუღია მისი რესტავრაციისათვის („შეკვრა“, „მოცხოველება“). წიგნის მოტრფიალე გერმანეს კარგად ესმის, რომ მისგან შეძენილ ხელნაწერს „თუ მეცნიერი კაცი გასინჯავს, ფასი არა სძეს“.

დამახასიათებელია გერმანეს პატარა მინაწერი კრებულის ამავე გვერდზე, ვახტანგის ირანს გამგზავრების გამო, 1712 წლის აპრილის 22-ს:

„ამასვე ქორონიკონსა, აპრილის კბ, მეფე ვახტანგ წაბძანდა ისპა[ა]ნს ყეენთან. ენახოთ, ღმერთი რას მოწყალებას მოუვლენს საქართველოს!“

გერმანეს ამ სიტყვებში გაცოხატული შიში, დაეჭვება და ვედრება ვახტანგის გამარჯვებისათვის ყეენის კარზე, მთელი მოწინავე საზოგადოების მსგავსსავე გრძნობებს გამოხატავს.

გერმანე ერთი იმ მრავალ მოღვაწეთაგანია, რომელიც ვახტანგს მოსკოვში გაჰყვა, გაიზიარა მისი მწირობა და თან დაუღალავად მონაწილეობდა მოსკოვს მოწყობილი კულტურული კერის საქმიანობაში. მოსკოვში ვახტანგის გარდაცვალების (1737 წ. 26. III) შემდეგ დაბეჭდილი ქართული „ზატიკის“ (1738, „ქართული წიგნი. ბიბლოგრაფია I“ № 26) ანდერძში გერმანე საგალობლების „სძლისპირის“ წინწილის მჩხრეკელად და მასწორებლად იხსენიება. იგივე გერმანე ქართულს ენაზე ასწორებდა 1739 წ. დაბეჭდილი, რუსულიდან თარგმნილი სახელმძღვანელოს ტექსტს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ გერმანეს სახელმძღვანელოს საქართველოში მთელი საუკუნის მანძილზე ჰქონია გასავალი. მართალია, 1711 წლის შემდეგ მას მეორედ გამოცემა აღარ ღირსებია, მაგრამ ხელნაწერის სახით იგი XIX ს. პირველ ათეულ წლებშიაც ვრცელდებოდა (ხელნაწ. H:2353, Q: 836 და სხვ.).

1712 წელი

როგორც ვიცით, 1712-მა წელმა ვახტანგის სახელმწიფოებრივი და კულტურული საქმიანობის მიმდინარეობაში ერთგვარი შეფერხება შეიტანა. ამ წლის დაწყებისთანავე მოვიდა ქართლის მეფისა და ირანის სპასალარის, ვახტანგის უფროსი ძმის ქაიხოსროს ავღანელებთან ბრძოლაში დაღუპვის ცნობა. ვახტანგის მტრებს თვით ვახტანგის დაღუპვის იმედიც ჩაესახათ გულში; მო-

[1] საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი A : 365.

წინაღე ქართველობა კი უდიდესი მღელვარებითა და იმედით მოელოდა ქართლის ტახტზე ვახტანგის საბოლოოდ დამკვიდრებას. ამ მერყეემა პოლიტიკურმა მდგომარეობამ თავისი კვალი დააჩინა სტამბის საქმიანობასაც. განსაკუთრებით იმ დროიდან, რაც ვახტანგი თავისი მდგომარეობის გასამტკიცებლად ისპაანს (ირანის სატახტო ქალაქში) გაემგზავრა (1712 წ. აპრილის 22).

1712 წელს ვახტანგის სტამბაში სულ ორი წიგნი დაიბეჭდა: „ვეფხისტყაოსანი“, რომელზედაც ჩვენ საგანგებოდ მოგვიხდება შეჩერება, და „დავითნის“ მესამე გამოცემა.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა, 1712

ვახტანგის სტამბის „ვეფხისტყაოსნის“ ცალები ჩვენამდე საკმარისად დიდი რაოდენობით არის მოღწეული. ამ გამოცემის აღმდგენელმა აკადემიკოსმა ა. შანიძემ საგანგებო ძიების შედეგად განიხილა და აღწერა 1712 წლის „ვეფხისტყაოსნის“ 18 ცალი[1]. მანვე აღნუსხა ის ცალებიც, რომელთა არსებობის შესახებ ლიტერატურაში გარკვეული ცნობები მოიპოვება.

ა. შანიძის მიერ აღწერილ 18 ცალს, რომლებსაც ნამდვილად მოუღწევია ჩვენამდე, უნდა დაემატოს მეცხრამეტეც—ა. შანიძის აღწერილობით „B ცალი“, რომელიც მას 1915—1916 წწ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის (ლენინგრადი) იოანე ბატონიშვილისეულ კოლექციაში უნახავს, ხოლო 1936 წელს „მისი კვალი ვერსად აღმოუჩენიათ“. 1939 წლის მაისში ეს ცალი თავის ადგილას, ე. ი. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართული ნაბეჭდი წიგნების განყოფილებაში აღმოჩნდა. იგი, რა თქმა უნდა, ამჟამადაც უვნებლად იქნება დაცული ამ წიგნთსაცავში და 1936 წ. მისი კვალის დაკარგვა შემთხვევითი გარემოებით უნდა ავხსნათ. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მეოცე, ნაკლული, ცალი აღრიცხული აქვს აკადემიკოს ე. თაყაიშვილს[2]. ამის მიხედვით ჩვენამდე 1712 წ. დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ 20 ცალს ნამდვილად მოუღწევია.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდვითი გამოცემის განხორციელება უდიდესი მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს. ვახტანგის ეპოქისათვის ამ მეტად დამახასიათებელი ფაქტის ჯეროვანი სისრულით გაგება და ახსნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც აკადემიკოსმა ა. შანიძემ 1712 წლის გამოცემის აღდგენილი ტექსტი დაბეჭდა (ამ აღდგენილ გამოცემაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

ვახტანგის სტამბის „ვეფხისტყაოსნისა“ და მასთან ერთად დაბეჭდილი „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისას“ გამოქვეყნება ამ ნაწარმოების გარშემო ატეხილი მკვეთრი და მწვავე ცილობის პირდაპირ შედეგს

[1] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ. ტფილისი, 1937, გვ. 395—403. დამატებანი—IV. ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემის მოღწეული ცალები.

[2] ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, პარიზი, 1933, გვ. 44, № 11.

წარმოადგენს. იგი ამ ცილობის აშკარა კვალს ატარებს. უკიდურესად პოლემიკური ტონით დაწერილია არათუ ვახტანგის „თარგმანი“—„პირველი მონოგრაფია, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია უკვდავი პოემის შესახებ“ (ა. შანიძე), არამედ თვით მესტამბე მიქაელის ორსტროფიანი ლექსიც, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ბოლოს არის დაბეჭდილი (სპვ გვ.).

როგორც გარკვეულია[1], მიქაელი იყო არა მარტო მესტამბე 1712—1713 წწ. გამოცემებისა, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ გამმართველიც—ე. ი. რედაქტორ-კორექტორიც. ეს პიროვნება, რომლის შესახებ ჩვენ მხოლოდ მისი „ნაღვაწის“ მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის დიდი ენთუზიასტი ჩანს. მისი პატარა ლექსი ფასდაუდებელ საბუთს წარმოადგენს რუსთაველის პოემის პირველი ბეჭდვითი გამოცემის ისტორიისათვის. იგი (ლექსი) მოკლებულია პოეტურ ღირსებას. მაგრამ ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. ლექსი იწყება „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის ფაქტის აღნიშვნით:

„აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ხელისა!“

აქ ლექსის ავტორი—წიგნის მბეჭდავი და რედაქტორი—სიხარულით აღნიშნავს ამ დიდი ნაწარმოების ბეჭდვის დამთავრებას.

ვახტანგის სტამბის წიგნების ფურცლებზე მესტამბეთაგან მსგავსი გრძნობების გამოხატვა არ ახალია. მაგრამ საგულისხმიერო ის არის, რომ მიქაელის ლექსის მეორე სტრიქონში გამოთქმული აზრი გარკვევით მიგვითითებს „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის განსაკუთრებულ და სხვა გამოცემისაგან განსხვავებულ მნიშვნელობაზე.

მიქაელის განცხადებით „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემა დანიშნული ყოფილა „უგბილთა ფრიად სასწავლო“—ე. ი. ჯიუტთათვის ჰკუის სასწავლებლად. ვინ არიან ეს „უგბილნი?“ სიტყვა „უგბილნი“, უკეთ რომ ვთქვათ უგბილობა, ვახტანგის „თარგმანის“ წინასიტყვაობაშიაც გვხვდება:


„თუმცა ვინმე ამ თარგმანისას ამას ბრძანებს—არა, ისრე არისო,—მე უგბილობაში ჩამომირთმევია“-ო, ამბობს ვახტანგი.

ასე, რომ ვახტანგიც და მიქაელიც, რომელიც ვახტანგის გულმხურვალე მიმდევარია, უგბილობას უკიჟინებენ „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ ფანატიკური სიძულვილით გამსჭვალულ ადამიანებს, რომლებიც რუსთაველის ნაწარმოებს „სამეძაოდ სთარგმნიდენ“. აი, ამ „უგბილთა სასწავლოდ“, მათთვის „პირის დასაყოფად“ დაიბეჭდა 1712 წ. „ვეფხისტყაოსანი“. ვახტანგის განმარტებების მიხედვით ამ გამოცემას ნამდვილი საბრძოლო ამოცანა ჰქონდა დასახული.

მომდევნო სტრიქონში მიქაელი აცხადებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემა დაბეჭდილია „მეფის ვახტანგის ბრძანებით“.

პირველი სტროფის მომდევნო სტრიქონში მიქაელი გვაუწყებს, რომ 1712 წ. „ვეფხისტყაოსანი“ მისი „ნაღვაწი“ ანუ ნაშრომი არის: „ნაღვაწი მისის (ვახტანგის) მლოცველისა მესტამბე მიქაელისა“.

[1] ჯ. კეკელიძე, რუსთველოლოგიის საკითხები, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1939, გვ. 97—98.



ვეფხისტყაოსანი. თბ, 1712. თავფურცელი

ლექსის მეორე სტროფში აღნიშნულია „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის დასრულების თარიღი და გადმოცემულია რა განწყობილებითაც და გრძნობებით შეხვდა „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვას იმდროინდელი საზოგადოება:

„დაესრულა ესე წიგნი ქორანიკონს უნსა სმულსა.
ყველაკასა უხაროდა—რიტორსა და ჴმა უსულსა.
სამღრთოა და საეროცა, ვისაცა აქუს სმენა გულსა
და უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა—გულს უსრულსა“.

როგორც ეხედავთ, მიქაელი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვამ საყოველთაო სიხარული გამოიწვია („ყველაკასა უხაროდა“). მბეჭდველს აქ საჭიროდ მიაჩნია განმეორებით დაასაბუთოს რუსთაველის პოემის ბეჭდვითი გზით გამოქვეყნების საჭიროება.

ვახტანგის „თარგმანის“ მიმდევარი მიქაელი აცხადებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ „სამღრთოა და საეროცა, ვისაცა აქუს სმენა გულსა“. იგი ამით ვახტანგის „თარგმანის“ ძირითად აზრს იშეორებს („სამღრთოსა და საეროზედ ორზედვე უთქვამს“. „სამღთოთ თუ საეროდ ისწავლება“. **ტია** გვ. **რკა** სტრ. „რაც ამას დაუწერია, თუ კაის გზით ისწავლით, ერთს ოსტატად გეყოფათ“. **ტმდ** გვ. „რომელნი არიან მეცნიერ, სცნობენ... რომ არს სიბრძნისა და კეთილისა ერთი დარგი“. **სპზ** გვ.).

ამგვარად, პირველნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნისათვის“ დართული ლექსი სააგიტაციო ხასიათისა არის. იგი გარკვეულ რეკომენდაციას უწევს ამ გამოცემას და, წინასწარ, მოკლედ აცხადებს ვახტანგის მონოგრაფიის ძირითად აზრებს.

ის გამომწვევი ტონიც, რომელიც ამ რვასტრიქონიან ლექსს ახასიათებს, ვახტანგის ავტორიტეტით არის შთაგონებული და ნასესხებია მისივე „თარგმანიდან“.

ვახტანგის „თარგმანი“, თავის მხრივ, ეჭვს არ სტოვებს, რომ ქართული საზოგადოების ანგარიშგასაწევი ნაწილი მე-17—18 სს. მიჯნაზე „ვეფხისტყაოსანს“ განიხილავდა, როგორც „სამეძაო“ ნაწარმოებს, რომელიც სრულებით უნდა ამოშლილიყო ქრისტიანი მკითხველისათვის „მისაღებ“ წიგნთა სიიდან. ქართველ სამღვდელოთა ფანატიკურად განწყობილი ნაწილის ამ თავდასხმას, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ წალეკვას ემუქრებოდა, უპირისპირდებოდა რუსთაველის პოემის გულმხურვალე მომხრეთა აზრი. იმათი რწმენით „ვეფხისტყაოსანი“ არათუ სამეძაო წიგნად არ ჩაითვლება, არამედ მაღალი ზნეობის მასწავლებელი თხზულებაა, რომლის მნიშვნელობაც საზოგადოების ზნეობრივი აღზრდისათვის საქრისტიანო ლიტერატურის როლს უთანაბრდება.

ამგვარად, 1712 წლის „ვეფხისტყაოსნის“ ნაბეჭდი გამოცემა და მისთვის დართული ვახტანგის „თარგმანი“ რუსთაველის პოემის გარშემო ატეხილი ცხარე კამათისა და აზრთა მკვეთრი შეტაკების პირდაპირ შედეგს წარმოადგენს.

„ვეფხისტყაოსანი“ ვასტანგის გაგებით

„ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის ფაქტში ვახტანგის გაბედული ნოვატორობა გამოიხატა. სტამბა, რომელიც მოწყობილი იყო „წმინდის სამების სადიდებლად“—ქრისტიანობისა და ეკლესიის გასამტკიცებლად, ვახტანგმა, საზოგადოების კლერიკალურად განწყობილი ნაწილის თვალსაზრისით, ანტიქრისტიანული საერო თხზულების ასეულ ცალებად გამრავლებისათვის გამოიყენა. ეს იყო ვახტანგის ერთი იმ ნაბიჯთაგანი, რომლის გამო ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე ვახტანგის დახასიათებაში შენიშნავს: „რასაც საქმეს ძნელსა ბრძანებდის, ადვილად იქნებოდისო“ (324).

ვახტანგი არ შეჩერდა ამ თავისთავად გაბედულ ნაბიჯზე; „ვეფხისტყაოსნის“ პირველ სტამბურ გამოცემას მან დაურთო თავისი „თარგმანი“: „აწ თქუენ ამ გზით თარგმნიდეთ და ამის ბაასობაზედ შეექცეოდეთო, მიმართავს ის მკითხველებს. „ქეყნის უფროსი ავის დამშლელი ხამს და ამად დავშვერო“—„ავი“ კი ის იყო,რომ რუსთაველის დიდ ქმნილებას „სამეძაოდ სთარგმნიდენ“.

ვახტანგმა მძლავრი ხელისუფალის ხელით „ვეფხისტყაოსანს“ მოაშორა ცილისმწამებლური ბრალდება და სრულიად საწინააღმდეგო განმარტება მისცა მას[1].

თავის „თარგმანში“ ვახტანგი გულწრფელად და, რა თქმა უნდა, მართებულად განიხილავს „ვეფხისტყაოსანს“, როგორც მაღალი ზნეობის მქადაგებელ ნაწარმოებს.

როგორც რუსთაველის დიდი ქმნილების ყოველი ცოტად თუ ბევრად შეგნებული მკითხველი, ვახტანგიც „ვეფხისტყაოსანში“ ჰუმანიზმის მაღალ პრინციპებს პოულობს და აღშფოთებულია, რომ ასეთ ნაწარმოებს უზნეობის სახელით ნათლავენ:

„უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდენ მის რიტორისა და ბრძენ-მეცნიერისა კეთილად ნამუშაკევსა სამუშაკოსა“.

ამას აკეთებდნენ უვიცი ადამიანები, რომლებიც „მარგალიტსა მძივად პატივსდებენ“ (თარგმანი, გვ. სპვ).

როგორც ქვეყნის სათავეში მდგომი პირი, ვახტანგი საჭიროდ სთვლის შეებრძოლოს ამ ბოროტებას[2]. ამ მიზნით წერს იგი თავის „თარგმანს“:

---

[1] ეს ფაქტი დიდი ხანია შემჩნეულია. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მხოლოდ უფრო დაწვრილებით შევეხოთ მას, როგორც ვახტანგის ეპოქისათვის დამახასიათებელ კულტურულ-ისტორიულ მოვლენას. პირველად პროფესორმა ა. ც ა გ ა რ ე ლ მ ა აღნიშნა: „Набожная цель, которую Вахтанг имел, устраивая грузинскую типографию, где должны были печататься церковные и нравоучительные книги, отразилась и на издании упомянутой поэмы. Он снабдил её своими комментариями, которые чрезвычайно интересны в том отношении, что показывают совершенное извращение вкуса к изящному даже у передовых людей того времени и непошатимое лучшего произведения классического периода грузинской литературы“. ა. ც ა გ ა რ ე ლ ი აქვე იძლევა ვახტანგის „თარგმანის“ მოკლე დახასიათებას. А. Цагарели. О грамматической литературе грузинского языка, Санктпетербург, 1873, стр. 103—104.

[2] „ქუეყნის უფროსი ავის დამშლელი ჯამს“ („თარგმანი“), გვ. სპე.

მაგრამ იმ ცილისმწამებლური აზრის დარღვევის პროცესში, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ სამეძაო წიგნი იყოს, ვახტანგი, როგორც ზოგჯერ ეს ტემპერამენტიან მოკამათეს სჩვევია, არსებითად სწორი პოზიციიდან უხვევს და შეუსაბამო დასკვნამდე მიდის. იგი აცხადებს, რომ მიჯნურობა, რომელსაც, როგორც ვიცით, რუსთაველის პოემაში საპატიო ადგილი უჭირავს, ღვთაებრივი მიჯნურობა არის. ამას ვახტანგი ირწმუნება ყველგან, სადაც კი მიჯნურობის ხსენებას ხედავს. ეს გეზი, რომელიც ვახტანგმა „ვეფხისტყაოსნის“ „თარგმანში“ აიღო (ამ ნაწარმოების „სამღვთოდ“ გაპოცხადება), მრავალი შეუსაბამო გაგება-განმარტებისა და დასკვნის სათაყე ხდება.

დღეს ჩვენ უცნაურად და გაუგებრად გვეჩვენება ფხიზელი და გონებამახვილი ვახტანგის ის, შეიძლება ითქვას, ბავშვური ტიტინი, რომელსაც მისი „თარგმანის“ მრავალ ადგილას ვხედავთ. მაგრამ ეს, ერთი შეხედვით, უცნაური მსჯელობა იმ დროისათვის სრულიად ბუნებრივი უნდა ყოფილიყო.

უნდა გვახსოვდეს, რომ ვახტანგის ეპოქა მთელი ხუთი საუკუნითაა დაშორებული რუსთაველის დროს და ეს 500 წელი არის არა განუწყვეტელი წინსვლისა და კანონზომიერი განვითარების წლები, არამედ გამანადგურებელ შემოსევათა წყება, გართულებული შინაგანი რღვევით. საუკუნეებს მანძილზე მომხდარმა ღრმა ცვლილებებმა გარდუვალი ზღვარით გათიშა რუსთაველისა და ვახტანგის ეპოქა; ყოფა-ცხოვრებითი და ზნეობრივი სასიათის საწყისები და რუსთაველის ეპოქის მთელი რთული ზედნაშენი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ წარმოშვა, მე-17—18 საუკუნეში ძირიანფესვიანად შეცვლილი და ნაწილობრივ უკვალოდ წალეკილი იყო. ისეთი მოვლენები, როგორიც აოის, თუნდაც, მიჯნურობა და ქალის კულტი—ვახტანგისა და მისი თანამედროვე თაობისათვის სრულად გაუგებარი რამ გახდა. ჩვენ ვხედავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობა ამ დროს, თვით ვახტანგის გაგებითაც, უხეშად განიხილებოდა დაახლოებით ისე, როგორც მეძაობა. ეს ნათლად გამოსჩვივია ვახტანგის „თარგმანში“.

„ვეფხისტყაოსნის“ „შესავალის“ ერთ-ერთ სტროფს: „მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი...“ ვახტანგი განმარტავს, როგორც საღმრთო მიჯნურობაზე მსჯელობას და აი რა მიზეზით: ვახტანგის „თარგმანით“ რუსთაველი „მიჯნურობას საღმთოს მიჯნურობისათვის ამბობს—„ძნელი გვარი“ ის არისო. აქ აჩენს [საღმრთო] მიჯნურობასა და სიძვაში დიდი მზღვარი ძესო. თუ ქალის მიჯნურობისათვის ეთქვას, ქალის მიჯნურობასა და სიძვაში რა დიდი მზღვარი ძეს!“—ამბობს ვახტანგი.

აქ სრული სიცხადით მეღავნდება, რომ ვახტანგს „ვეფხისტყაოსანი“ თავისი დროის მეტად უხეში გაგებით ესმის. ასეთივე გაგება ჩანს შემდეგი სტროფის განმარტებაშიაც: „ხამს მიჯნური ხანიერი...“—ამაზე ვახტანგი შენიშნავს:

„ეს გასინჯეთ—თუ ქალის მიჯნურობაზედ ეთქვას, ხანიერად რომ იმიჯნურონ, ქალი[ც] დაბერდება და კაცი[ც]. მერე ბერის კაცისა და დედაბრის შეყრას რა ხელი ეყრება!“

ამგვარადვე, ყველგან, სადაც კი მიჯნურობა არის ნახსენები, ვახტანგი ირწმუნება, რომ აქ სასუფეველისა და ქრისტეს ტრფიალება იგულისხმება. რუსთაველის ბრძნულ გამონათქვამში იგი პავლე მოციქულის, იოანე ნათლისმცემლისა და საქრისტიანო ეკლესიის სხვა ავტორიტეტთა აზრებს პოულობს.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების: თინათინ-ავთანდილისა და ნესტანტარიელის რომანული ურთიერთობის გაგებაშიაც ვახტანგი სრულ უსუსურობას იჩენს. მას აბნევს ქალის კულტის, პატრონ-ყმობის, მიჯნურობისა და რუსთაველის ეპოქისათვის დამახასიათებელი სხვა მოვლენების რთულ ქარგაზე აღმოცენებული ურთიერთობა. ვახტანგი ირწმუნება, რომ რუსთაველმა განზრახ „მოანდომა“ ქალებს—ავთანდილსა (თინათინს) და ტარიელზე (ნესტანს) გათხოვება, ვინაიდან წესია „რჯულში“ (ქრისტიანული ქორწინების დროს) თუ ქალიც და კაციც თანხმობას არ განაცხადებს, „რჯულიერად შეყრა“ მათი არ იქნებაო. ავთანდილისა და თინათინის შესახებ ვახტანგი შენიშნავს, რომ მათ ურთიერთობაში უზნეო და დასაძრახისი არაფერი ყოფილა: „იმ ქალის (თინათინის) შოვნით (ავთანდილი) მეფობას იშოვნიდა და ჭელმწიფის შვილს ცოლად შეირთავდა. ამაში კაის მეტი ხომ სიძვისა არა არის რაო“.

როგორც ვხედავთ, ავთანდილის რაინდული სამსახური და მიჯნურისა და მეგობრისათვის უანგარო თავდადება აქ მეტად სადად და ეულგარულად არის განმარტებული, როგორც „მეფობის შოვნის“ სურვილი.

საყურადღებოა, რომ ვახტანგს არ ძალუძს განიხილოს „ვეფხისტყაოსანი“, როგორც მხატვრული შემოქმედების ნაყოფი, მთლიანი და განუყოფელი. ვახტანგს, როგორც თავისი დროის წარმომადგენელს, არ სწამს და არ ესმის განზრახულობის, დამრიგებლობის გარეშე იდებარე მხატვრული შემოქმედება. ეს გარემოება ვახტანგის პირად შეზღუდულობას არ მიეწერება. თავის ადგილას დავინახეთ, რომ მსგავსი თვალსაზრისი ვახტანგზე გაცილებით ადრე იკიდებს ფეხს. ამ თავისებური „რეალიზმის“, უკეთ რომ ვთქვათ, პრაქტიციზმის, უტილიტარიზმის პოზიციებზე მდგომი ვახტანგი „ვეფხისტყაოსნის“ მთელ მხატვრულ მხარეს, მის წარმტაც სიუჟეტს, გმირთა შორის იშვიათი ბუნებრივობით გაშლილ სიტუაციასა და სხვა მრავალს, რაც განსაკუთრებით ხიბლავს მკითხველს მხატვრული სრულყოფილობით, განმარტავს, როგორც მკითხველის გულისყურის მისაზიდავად განზრახ მომარჯვებულ ხერხს. ვახტანგი ირწმუნება, რომ მხატვრული ფორმა რუსთაველმა მხოლოდ ქრისტიანული შინაარსის ადვილ-ასათვისებელ გარეგნულ სამოსლად გამოიყენა. ნამდვილად კი რუსთაველი მხოლოდ უდიდესი მორალისტი და დიდაქტიკოსი არის და სხვა არაფერი.

ყველაფერს ამას ვახტანგი სრულიად გულწრფელად ამბობს. ამავე დროს იგი გრძნობს, რომ რუსთაველი უბადლო ხელოვანია:

„სხვის ნათქვამს როგორც სთარგმნით, ყუელა ეკადრება. მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გმობსო“—აცხადებს ვახტანგი (სპს გვ.). ვახტანგს სწამს, რომ „ნამუშაკარი მისი (რუსთველის) სხვისაებრ უქმად არ დარჩება“.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ვახტანგი გრძნობს „ვეფხისტყაოსნის“ მთელ სისრულესა და სიდიადეს. მაგრამ ერთია გრძნობა და სულ სხვა არის გაგება, 500 წლის პერსპექტივის დაძლევა.

ვახტანგის წარმოდგენით „რუსთაველის წიგნი სულ სასწავლებელი არის“ (ტშ გვ). იგი ისწავლება „სამღთო და საერო ზნეობას“ („ტარიელ და ავთანდილ ამბავად უთქვამს, თვარა მოყრობასა და ყოველს სასწავლოს ისწავლება. ეს სამღთოთაც ითარგმნება და საეროდაც ასრე არის“): „მეფეთა საქციელს“, „ცოლ-ქმართ სიყვარულს“, ბატონ-ყმურ ეთიკეტს, ხუმრობა-შექცევას, „ენის შენახვას“, „სირცხვილისა და აუგის გზას“, „გლახის მოწყალებას, ოქროპირის ბრძანებასავით“ (!), „ტირილის რიგსაც“, „ხუმრობა-ლაღობას“, „დაპატიჟება რა დროს უნდა“ და, საერთოდ, ყოფა-ცხოვრებაში გამოსადეგ სხვა მრავალ „ზნეობას“.

ვახტანგი დაასკვნის: „რაც ამას (რუსთველს) დაუწერია, თუ კაის გზით ისწავლით, ერთს ოსტატად გეყოფათო“ (ტმდ გვ.).

„ზოგიერთი რომ ავათ თარგმნით, რაც დაუწერია, ეს დაისწავლოთ ის არა სჯობს მრუდად თარგმნასო“ (იქვე).

უნდა ითქვას, რომ თავისი დროის შესაბამისად ვახტანგმა მართლად მიუთითა მკითხველებს „ვეფხისტყაოსნის“ ის ადგილები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იგი („ვეფხისტყაოსანი“) სამეძაო წიგნი კი არა, მაღალი ზნეობის მქადაგებელია. ვახტანგი თავის „თარგმანში“ რუსთაველის პოემის დამრიგებელ-დამმოძღვრებელ მხარეს საკმარისად ღრმად აშუქებს. ეს შეადგენს „თარგმანის“ მთავარ ძარღვს. გზა-გზა ვახტანგი რუსთველოლოგიის ზოგ საინტერესო საკითხსაც ეხება. „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგს მთლად ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებად მიაჩნია (ამას პირველად პ. ინგოროყვამ მიაქცია ყურადღება. „შოთა რუსთაველი“, 1938, გვ. 71). ვახტანგი დარწმუნებულია, რომ „ლექსიც იმას (რუსთველს) გაუკეთებია და ამბავიცა“ (სჟა. გვ.), რომ „სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება“ (სჟვ გვ.)[1].

„თარგმანში“ აქა-იქ ვხვდებით ვახტანგის მეტად ფხიზელ და მოსწრებულ დაკვირვებას.

ვახტანგის ერთი ასეთი დაკვირვება აღნიშნული აქვს აკადემ. ა. შანიძეს: ვახტანგი ამჩნევს, რომ რუსთაველი თავისი პოემის ახალ კარს (თავს) ხშირად ფილოსოფიური შესავლით იწყებს:

„რუსთველს სჭირს—რამდონიც კარი უთქუამს, ზოგიერთს ადგილს თავს სამღთო (!) შესავლები არის“—ლაპარაკია **როე** სტროფის შესახებ, რომლითაც იწყება „ავთანდილისაგან ტარიელის ძებნად წასვლა“:

„ამ საქმესა მემოწშების დიონოსი, ბრძენი ეზროს...“

ამავე გარემოებას აღნიშნავს ვახტანგი **ჩსგ** სტროფის შესახებ („ვაჲ, საწუთრო...“), რომელიც, აგრეთვე, ერთ-ერთი თავის დამწყებია: „ესეც შესავლად მოუყვანიაო“ (ტმთ გვ.).

[1] ლოგიკურად ვახტანგს სწორედ თავი უნდა გამოედო „ვეფხისტყაოსნის“ ქართულობის დამტკიცებისათვის. ამით ხომ იგი მის ქრისტიანულობასაც ამტკიცებდა.

ვახტანგის თარგმანის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კომენტატორსა და რუსთაველის გულმხურვალე ქომაგს „ვეფხისტყაოსნის“ ძრავალი ცალკე ადგილი სისწორით აქვს გაგებულ-განმარტებული[1]. მას მშვენივრად ესმის, მაგალითად, შესავალი სტროფების ის ნაწილი, რომელიც შაირობის თეორიას შეიცავს. აქ ვახტანგი სათითაოდ განმარტავს, თუ რა და რა „რიგის“ შაირობას განიხილავს რუსთაველი („ეს ლექსობა სამად გაუყვია“ და ნამდვილ მელექსეობას თავისას უძახისო“, „ესამე ლექსად“ „სუფრის შაირობას უბნობსო“ და სხვ.).

ვახტანგი ბევრგან გვაძლევს ტექსტის სადა, ადვილად ასათვისებელსა და სწორ განმარტებებს, რომელშიაც კომენტატორის ფხიზელი გონება გამოსჭვივის. ვახტანგს არ გამოპარვია „ვეფხისტყაოსნის“ ქართულობის მაჩვენებელი სტროფები—ტარიელის ნაამბობიდან:

„მაედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა.
მოვიდა სიძე, გარდაჭდა. დღე გვანდა არ აღსებისა“.

ამის შესახებ განმარტებაში ვახტანგი შენიშნავს: „აღსება აღდგომა არის და ქართველის კაცის გულისათვის უთქვამსო“[2].

ვახტანგი საგანგებოდ დაწვრილებით ჩერდება ავთანდილის ანდერძზე, რომელიც მას სისწორით აქვს გაგებული და განმარტებული. აქ კომენტატორი „ვეფხისტყაოსნის“ საღმრთოდ განმარტებას სავსებით გამართლებულად თვლის. იგი ანდერძის არც ერთ სტროფს არ ტოვებს აუხსნელად და სათითაოდ „თარგმნის“ ყოველ მათგანს: „აწ ამას იქით გაშინჯეთ თუ ეს ანდერძი რა კაცის სასწაულოდ—საღღოდ თუ საეროდ, როგორ თვითოს რიგით უსწაულებია [რუსთაველსო]“—აღტაცებით ამბობს ვახტანგი „ანდერძის“ ანალიზის თავშივე. კომენტატორი განსაკუთრებით ზეიმობს გამარჯვებას იმ ადგილას, სადაც ტექსტში წერია:

„წაგიკითხავ სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ...“

ისე, როგორც ჩვენი თანამედროვე რუსთაველოლოგები, ვახტანგი ამ ადგილს განიხილავს როგორც ქრისტიანული მოძღვრების უდავო გამონაშუქს „ვეფხისტყაოსანში“: „ამას პეტრესა და იოვანეს და იაკობს—ძმა უფლისას მოწმობს (რუსთაველიო). ისინი ბძანებენ: სიყვარული ღმერთი არისო. ვისაც კაცი არ უყვარს, ღმერთი არ ეყვარებაო“.

სწორად ესმის ვახტანგს ამ შესანიშნავი „ანდერძის“ სხვა ადგილებიც. მაგ.:

„არა ვიქ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა ბრძნობისა.
და მით ვისწავლებით—მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა-მწყობრისა“.

ვახტანგი ამ ადგილს ასე განმარტავს: „კაცს რომ ცოდნა ჰქონდეს და ვერ ხმარობდეს, დიაღ უსარგებლო არის. ამასაც ისწავლება: რაც ვისწავლოთ, რომე ზეციერს მწყობრს შევაწყოთ“ (ტლზ გვ. ღ3).

[1] შდრ. ალ. ბარამიძე. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა საკითხისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, V, თბ., 1949, გვ. 138.

[2] შდრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 146—147. აქ ჩვენი თანამედროვე მეცნიერი სწორედ იმ მონაცემებს ემყარება, რასაც ვახტანგი.

კომენტატორი ამ შემთხვევაშიაც აღტაცებულია მით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ საღმრთოდ თარგმნა ამ სტროფში სრულ გამართლებას პოულობს: „მეცნიერნო!—მოუწოდებს ვახტანგი: აქ გაშინჯეთ! რასაც ამბობს [რუსთველი], მართებულად და კაის საქმით ამბობსო!“

* * *

აკად. ა. შანიძემ აღდგენილი გამოცემის „დამატებათა“ II თავში შესაძლებელი სისრულით დაახასიათა ვახტანგი, როგორც ლექსიკოგრაფი (367 გვ.). მისი დასკვნით „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი სიტყვა ვახტანგს ჩინებულად აქვს ახსნილი“; „ვახტანგის ლექსიკონში მოიპოვება სუსტი ადგილები და ზოგჯერ გაუგებრობანი და შეცდომებიც“, „მაგრამ საერთოდ ლექსიკონი კარგია და თავის დროისათვის ჩინებულიც“[1]. ვახტანგის „თარგმანში“ ჩართული სალექსიკონო მასალის ანალიზზე დამყარებული ხსენებული დასკვნა შევსებას არ საჭიროებს. ზედმეტად არ მიგვაჩნია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ვახტანგის განსაკუთრებული „ლექსიკოგრაფიული ინტერესი“ მის ხელში გაველილ ხელნაწერებშიაც მჟღავნდება. მაგ., „მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრებია“ აშიებზე ჩვენ ვახტანგის ხელით მიწერილ სიტყვათა მოსწრებულ განმარტებებს ვხედავთ.

ვახტანგის „თარგმანის“ გაუმართაობა

აკად. ა. შანიძის შენიშვნით, ვახტანგის „თარგმანი“ არ არის გამართული[2]. მართლაც, ვახტანგის მონოგრაფია გაუმართავად, ნაჩქარევად და არათანაბრად ნაკეთებია. ავტორი წინასიტყვაობაში აცხადებს, რომ მოუცლელობის გამო მას „თარგმანი მრავალი დარჩა“. განმარტებულია სულ 600-ოდე სტროფი (ა. შანიძის გამოანგარიშებით), იმ დროს, როცა ნაბეჭდი ტექსტი 1587 სტროფს შეიცავს. „თარგმანის“ მთელი ტექსტი შავად დაწერილის შთაბეჭდილებას სტოვებს. ეჭვი არ არის, ავტორი თავისი ნაშრომის გადახედვას, შევსებას, შესწორებას აპირებდა ან დახელოვნებული გამმართველის მოიმედე იყო.

არათანაბარი და მოუწესრიგებელია „თარგმანის“ კომპოზიცია. დასაწყისში კომენტატორი უკლებლივ და თანამიმდევრობით განმარტავს 68 სტროფს და ყოველი სტროფის ვრცელსა და სრულ „თარგმანს“ იძლევა. მაგრამ, რაც უფრო შორდება დასაწყის სტროფს, მით უფრო და უფრო მრავლად სტოვებს განუმარტავად (29, 40 და მეტსაც) და მით უფრო მოკლე-მოკლე განმარტებებს იძლევა. მთელ სტროფში იგი ხშირად თითო-ოროლა სიტყვას განმარტავს („აჯა ხვეწნასა ჰქვიან“—ცკე გვ.; „ქველი კეთილსა ჰქჳან“—ტ०გ გვ., „მიწყივ ნიადაგ არის“—ტიე გვ.).

---

[1] ვახტანგის „თარგმანის“ სალექსიკონო ნაწილის დიდ ღირსებებს ა. ცაგარელიც ცნობს; მისი დასკვნით: „она (лексикон „თარგმანის სალექსიკონო ნაწილზე) составлена толково и верно и драгоценна для истории грузинского языка». А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб, 1873, стр. 103.

[2] იხ. „აღდგენილი გამოცემა“, „დამატებანი“, გვ. 372. გამახვ.

ვახტანგის „თარგმანში“ ხშირია ისეთი გვერდები, სადაც განმარტებები მთლად სალექსიკონო მასალის სახით არის მოცემული (**ტლბ, ტლვ** და სხვა). „თარგმანის“ უკანასკნელ გვერდებზე ვახტანგი აჩქარებით, მრავალი სტროფის გამოტოვებით მიისწრაფვის წინ და დაწვრილებით ჩერდება „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ იმ ადგილებზე, რომლებიც მას თავისი მთავარი გეზის საილუსტრაციოდ გამოადგება.

ვახტანგისეული ,,ვეფხისტყაოსნის'' შეუსაბამობანი

1712 წ. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გვერდებიდანვე თვალში გვხვდება ამ გამოცემის თავფურცლის, ღერბის ქვეშ მოთავსებული ლექსისა და განსაკუთრებით, ვახტანგის ანდერძის ახალი ვარიანტის გაუმართაობა.

თავფურცლის ტექსტში, დაბეჭდვის თარიღის დამწერლობაში, გამორჩენილია ერთი ასო.

დაბეჭდილია: „ათს შვიდას და თორმეტსა“.
უნდა იყოს: „ათას შვიდას და თორმეტსა“.

ვახტანგის ანდერძის ახალ ვარიანტში დაბეჭდილია:

„მადიდებელი წმინდისა სამებისა, მე, გვარტომობით, ძირმოდმობით დავითიანმან, ძის ძემან... ჩეფის ვახტანგისამან...“ (1—5 სტრ.).

უნდა იყოს: „მადიდებელმან წმიდისა სამებისა“ და სხვ.

დაბეჭდილია: „ვახტაგისამან“ (ნ-ს გამოტოვებით).

უნდა იყოს: „ვახტანგისამან“.

დაბეჭდილია: „მესტანბე“ (მეხუთე სტრიქ.).

უნდა იყოს: „მესტამბე“ და სხვ.

შეცდომებით არის აგრეთვე დაბეჭდილი ბაგრატიონთა ღერბის ქვეშ მოთავსებული ლექსის ზოგიერთი სიტყვა: „გაქუნ“ (1 სტრ.); „შეწგვანდა“ (8 სტ.); „მდგომობითა“ (17 სტრ.) და სხვ.

თვით.ტექსტში, აკად. აკ. შანიძის გამოკვლევით, ყურადღებას იპყრობს კორექტურული შეცდომების სიმრავლე, გვერდებისა და სტროფების სათვალავის არევა და სხვ.[1]

განსაკუთრებით გაუმართავია ვახტანგის „თარგმანის“ ტექსტი.

მაგრამ ამ გამოცემის ყველაზე დიდი შეუსაბამობა, ა. შანიძის გამოკვლევით, ის არის, რომ:

I. „ვახტანგის „თარგმანში“ განმარტებულია ისეთი სტროფები, რომლებიც ნაბეჭდ ტექსტში არ მოიპოვება (სულ 7 სტროფი).

II. ვახტანგს განმარტებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისეთი სიტყვები, რომელთა ადგილასაც 1712 წ. გამოცემის სათანადო სტროფებში სხვა სიტყვებს ვხედავთ („თარგმანში“ განმარტებულია შ ე ვ მ ა რ თ ო, ტექსტის შესატყვის ადგილას კი დაბეჭდილია შ ე ვ ჰ კ ა დ რ ო და მისთ.).

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, „შეცდომათა გასწორება“, გვ. 343—365. «ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ“, ტფ., 1937.

აკად. ა. შანიძეს მითითებული აქვს რვა ასეთი მაგალითი.

ამგვარად, ა. შანიძემ დაადგინა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. მან გამოამჟღავნა ვახტანგის თარგმანებაში განმარტებული ტექსტისა და 1712 წ. ნაბეჭდი ტექსტის სხვადასხვაობა.

ამ ფაქტის საფუძველზე აკად. კ. კეკელიძემ წამოაყენა მოსაზრება, რომ ვახტანგის ირანს გამგზავრების გამო (1712 წ. აპრილის 22) „ვეფხისტყაოსნის“ დასაბეჭდი ტექსტი დაუმუშავებია არა ვახტანგს (როგორც ეს, კ. კეკელიძის აზრით, მას განზრახული ჰქონია), არამედ მესტამბესა და ტექსტის გამმართველს“ (რედაქტორს, კორექტორს) მიქაელს[1].

ასეა თუ ისე, ირკვევა, რომ ვახტანგს განუმარტავს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ვრცელი ტექსტის შემცველი დედანი; ხოლო ნაბეჭდ გამოცემაში მოცემულია სხვა დედანი, განსხვავებული არა მარტო თავისი მოცულობით (უფრო მოკლე), არამედ საერთო სტროფების რედაქციითაც. აქედან ცხადია, რომ 1712 წ. გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგის „თარგმანში“ განმარტებული დედნის შემოკლებას არ წარმოადგენს. მიქაელს დასაბეჭდად სხვა დედანი გამოუყენებია. (თავისთავად ცხადია, რომ დასაბეჭდად განზრახულ ტექსტში ვერ მოხვდებოდა ნანუჩასი და, მით უმეტეს, იოსებ თბილელის სტროფები, რომელთა სიყალბე ამ დროს საყოველთაოდ ცნობილი იყო.) როგორ მოხდა ეს?

ვახტანგს და, მით უმეტეს, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილს მიქაელს არ უნდა მივაწეროთ „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე თუ ვრცელი რედაქციისადმი ის ინტერესი, რომელიც თანამედროვე რუსთველოლოგიას ახასიათებს. ვახტანგის მთავარი მიზანი იყო რუსთველის პოემის შებღალული ღირსების დაცვა. რაც შეეხება მიქაელს, იგი თავისი ძალღონის შესაბამისად ვახტანგის დავალების (ბრძანების) პირნათლად შესრულებას ცდილობდა. მბეჭდავის ყურადღება უმთავრესად ვახტანგის „თარგმანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ დასაბეჭდი ტექსტის შეთანხმებაზე უნდა ყოფილიყო მიპყრობილი. უეჭველია, რომ მიქაელი ერთგვარი მოწიწების გრძნობით ეპყრობოდა ვახტანგის ნამუშაკევს, ერიდებოდა მის შეცვლას, შემოკლებას.

შესაძლებელია, რომ სწორედ ამის შედეგად ჩარჩენილა ვახტანგის „თარგმანში“ ის შვიდი ზედმეტი განმარტება, რაც დაბეჭდილი დედნის სტროფებს არ შეესაბამება.

ვახტანგისადმი პატივისცემისა და მოწიწების გრძნობა უკარნახებდა მბეჭდავს გამოექვეყნებია ვახტანგის მიერ „თარგმნილი“ დედანი და არა სულ სხვა, როგორც სინამდვილეში მოხდა.

ამ სხვა დედნის დაბეჭდვას, უეჭველად, რაღაც მიზეზი უნდა ჰქონოდა. მაგრამ რა? ამის ახსნა ძნელია.

დაბეჭდილი დედნისა და „თარგმანის“ ტექსტის ერთმანეთთან შეთანხმების პროცესში მიქაელს, ჩანს, შეუმჩნევია განმარტებები ისეთი სტროფები-

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1941, გვ. 100.

[2] შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს აღდგენილი გამოცემის «დამატებანი», გვ. 388, 391.

სა, რომლებიც მის დედანს არ გააჩნდა: მაგრამ ვახტანგის „თარგმანიდან“ ამ განმარტებების ამოღებას მიქაელი მორიდებია და ეს ზედმეტი განმარტებები წინა სტროფების (ნაბეჭდ დედანში არსებულის) განმარტებებთან შერწყმით (გამოუყოფლად) დაუწერია, არც სათვალავი მიუცია მათთვის. ამ გზით მიქაელს ვახტანგის „თარგმანის“ უკლებლივ დაბეჭდვაც განუხორციელებია და „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდილი ტექსტის სტროფებისა და „თარგმანში“ განმარტებული სტროფების სათვალავის შეთანხმებაც მოუხერხებია.

ეჭვს გარეშეა, რომ მიქაელის წინაშე არ მდგარა რუსთაველის პოემის ვრცელი თუ მოკლე რედაქციის გამოქვეყნების ან, მით უმეტეს, ტექსტის გაცხრილვის ამოცანა. ეტყობა, მესტამბე მიქაელის ერთადერთი საზრუნავი იყო ვეფხისტყაოსნისა და მისი „თარგმანის“ რაც შეიძლება მეტი სისწრაფით დაბეჭდვის განხორციელება.

საკითხავია—რა აჩქარებდა მიქაელს?

1712 წ. „ვეფხისტყაოსნის“ გულდასმით გადაფურცვლა გვაფიქრებინებს, რომ ვახტანგის მონაწილეობის გარეშე, მესტამბე მიქაელის ამარა გამართული ტექსტების აწყობა და ბეჭდვა განსაკუთრებით მძიმე პირობებში მიმდინარეობდა.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მთელი რიგი ნიშნების მიხედვით ვახტანგის „თარგმანი“ 1712 წ ე ლ ზ ე გ ა ც ი ლ ე ბ ი თ ა დ რ ე უ ნ დ ა ი ყ ო ს დ ა წ ე რ ი ლ ი: თავფურცლის ტექსტში ვახტანგი მოხსენებულია „საქართველოს მპყრობელად“; ამგვარადვე იხსენიება იგი ვახტანგის ანდერძშიაც; „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ბოლოს დართულ ლექსში კი მიქაელი ვახტანგს მ ე ფ ო ბ ი თ იხსენიებს („მეფის ვახტანგის ბრძანებით“).

ვახტანგის საკუთარ წინასიტყვაობაში, რომელიც, უეჭველია, თვით განმარტებებზე გვიან უნდა იყოს დაწერილი, ვკითხულობთ: „მე ესწერ, ძმისწული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, გ ა მ გ ე ბ ე ლ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა ვ ა ხ ტ ა ნ გ“ (კურსივი ტექსტში არ არის). ცხადია, „თარგმანი“ დაწერილია 1712 წელზე რამდენიმე წლით ადრე, ზოგიერთი ნიშნით ჯერ კიდევ გიორგი XI-ის სიცოცხლეში; დაბეჭდვაც ადრევე ყოფილა განზრახული. ამას გვაფიქრებინებს გიორგი მეფის ინიციალები ვეფხისტყაოსნის თავფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულ ბაგრატიონთა ღერბზე.

თავისთავად იბადება საკითხი: როგორ მოხდა, რომ ქართლის ენერგიულმა გამგებელმა, რომელიც, სეხნია ჩხეიძის სიტყვით, თავიდანვე „ჯანიშანად თქმული, მაგრამ მეფედ წოდებული“ იყო, მოიცალა საკმარისად ვრცელი „თარგმანის“ დასაწერად, ხოლო ამ თარგმანისა და თვით პოემის დაბეჭდვა ასეთი დაგვიანებით განახორციელა?

ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვას აბრკოლებდა სამღვდელო პირთა ძლიერი ოპოზიცია და რეაქციული განწყობილება, რომლის თვალსაზრისითაც სარწმუნოებრივი მიზნით მოწყობილი სტამბის მეშვეობით „ვეფხისტყაოსნის“ გამრავლება და ხალხში ასეულ ცალებად გავრცელება ნამდვილ მკრეხელობად (სიწმინდის შეურაცხყოფად) უნდა ყოფილიყო განხილული.

სხვაფრივ ძნელი გასაგები იქნებოდა, რომ „ქვეყნის უფროსის“ ნამუშაკარი „თარგმანება“ ასეთი გაუმართავი სახით, ნაჩქარევად გადაეცა სტამბას[1].

ძნელი დასაჯერებელია, რომ ვახტანგი „ვეფხისტყაოსნის“ „თარგმანის“ ტექსტს ნაკლები ყურადღებით მოეპყრობოდა, ვიდრე მის მიერ თარგმნილ „ქილილა და დამანას“ ტექსტს მოეპყრო. თუ ვახტანგმა თავისი განმარტებების ტექსტის მოსაწესრიგებლად მიქაელზე უკეთესი გამმართველი ვერ მოძებნა, ეს მხოლოდ იმით შეიძლება ავხსნათ, რომ მისი თანამოღვაწე განათლებული ადამიანები თათქის ერთობლივ ჩოხან-ანაფორით მოსილი სასულიერო პირები იყვნენ.

ჩვენ თვალწინ არის „ქილილა და დანანას“ ტექსტის გამართვის მაგალითი, როცა ვახტანგის ეპოქის ყველაზე განათლებულმა და მოწინავე ქართველმა თავისი მონაზვნური ღირსებისათვის შეუფერებლად ჩასთვალა ამ წმინდა წყლის დიდაქტიკური ნაწარმოების სწორება[2]. ამის მიხედვით უნდა დაკასკვნათ, რომ ყოველი სასულიერო პირი მოარიდებდა თავს როგორც სამიჯნურო შინაარსის ტექსტზე მუშაობას, ისე ვახტანგის მეტად გაბედული და უცნაური განმარტებების გამართვას. საფიქრებელია, რომ ამ გარემოებას უნდა დაეჩინა კვალი პოემისა და „თარგმანის“ ბეჭდვაზე.

1711 წლის მიწურულში თუ 1712 წლის დასაწყისში მდგომარეობა შეიცვალა. საქართველომდის მოაღწია ვახტანგის უფროსი ძმის—ერანის სპასალარისა და ქართლის მეფის—ქაიხოსროს სიკვდილის ცნობამ[3]. წესითა და სამართლით ქართლის ტახტი ქაიხოსროს მომდევნო ძმას,—დანარჩენ მემკვიდრეთა შორის უფროსს, ქართლის გამოცდილ გამგებელს—ვახტანგს უნდა რგებოდა. 1712 წლის აპრილის 22-ს ვახტანგის პოლიტიკის მომხრე მოწინავე საზოგადოება იმედებით, ნატვრითა და უდიდესი მღელვარებით ისტუმრებს ვახტანგს და მის მხცოვან აღმზრდელს სულხან-საბას „ყეენის კარს“. ამ დროს არავინ იცის—რით უნდა დაბოლოვდეს ეს შორეული მოგზაურობა[4].

ასეთ ვითარებაში უნდა ყოფილიყო გაცემული ვახტანგისაგან „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი საკუთარი „თარგმანის“ დაბეჭდვის ბრძანება.

მაგრამ, გასცილდა თუ არა ვახტანგი საქართველოს საზღვრებს, მაშინვე წამოჰყო თავი მის წინააღმდეგ მიმართულმა ოპოზიციამ. როგორც ზემოთ ითქვა, ქართლის გამგებელად დატოვებულმა ვახტანგის უმცროსმა

---

[1] ვახტანგს დაბეჭდვის წინ, ეტყობა, ერთხელაც არ გადაუვლია თვალი „თარგმანისათვის“. წინააღმდეგ შემთხვევაში არ ჩატოვებდა თავის ნაშრომში თუნდაც ამ ადგილებს: „სიალფე ვიკითხოთ რა არის» (ტკთ გვ. სტროფი უქვ).

„კენარი მე არ ვიცოდი, ვინც იცოდეთ, სთარგმნეთ!“ (ტზი)

„ბოლოების სათარგმანო არ მითარგმნია. თქვენ თარგმნეთ!“ (ტიბ, რლვ).

„ბოლოები, ვინც გინდათ, თქვენ თარგმნეთ!“ (ტკთ, უპზ)

„შეფრობა ვერ გავარჩიეთ“ (ტკგ, ტკბ) და სხვ.

[2] ქილილა და დამანა, თბ., 1949, საბას ანდერძი, გვ. 13.

[3] ქაიხოსრო აყლანელებთან ბრძოლაში 1711 წლის ოქტომბრის 26-ს დაეცა (ვახუშტი, გვ. 118). ქაიხოსროს დაღუპვის ცნობას 3 თვეში აუცილებლად უნდა მოეღწია საქართველომდის.

[4] მოვიგონოთ გერმანე მღვდელ-მონაზონის მინაწერი «ვარძიის კრებულზე»: „მეფე ვახტანგ წაბძანდა ისპაანს. ენახოთ ღმერთი რას წყალობას მოუვლენს საქართველოს!“.

ძმამ--სვიმონმა იქორწინა ბარძიმ ერისთვის ქალზე და თავადებთან შეთანხმებით ვახტანგის საწინააღმდეგო მოქმედებას შეუდგა: „და იწყეს (სვიმონმა და გიორგი ერისთავმა) ქვე-გამხედველობად ვახტანგისა-ო"—ამბობს ვახუშტი[1]. ამ დროიდან მოყოლებული ვახტანგის მტრების დარაზმვა სულ უფრო და უფრო საგრძნობელი ხდებოდა. თავისთავად ცხადია, რომ „უგბილ" კლერიკალთა ბანაკი „ვეფხისტყაოსნის" ბეჭდვის ფაქტსაც თითზე დაიხვევდა და ვახტანგის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდა. ამის გამო საჭირო იყო „ვეფხისტყაოსნის" ბეჭდვის მაქსიმალურად დაჩქარება.

რაც უნდა ბევრი ნაკლი მოვუძებნოთ მესტამბე მიქაელის „ნაღვაწ" გამოცემას, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ მისი მოამაგე რედაქტორის უდიდესი მიღწევაც: მან მეტად დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში ნამდვილი საბრძოლო ამოცანის შესრულება მოახერხა — დაამთავრა „ვეფხისტყაოსნის" ბეჭდვა და ასეულ ცალებად მოჰფინა იგი ხალხში. რუსთაველის პოემის ტექსტთან ერთად ფართოდ გავრცელდა აგრეთვე ვახტანგის „თარგმანი", რომელიც მომარჯვებული იყო „ვეფხისტყაოსნის" სამეძაო ნაწარმოებად მომნათლავ ბნელ რეაქციასთან საბრძოლველად. ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის" პირველმა გამოცემამ მეტად პროგრესული როლი შეასრულა.

„ვეფხისტყაოსნის" სტროფობრივი განმარტების დაწერის იდეის აღმოცენებაც ვახტანგის განმანათლებელი საქმიანობის უდიდესი პროგრესულობის მაჩვენებელია. ამ ფაქტში ერთხელ კიდევ იჩინა თავი ვახტანგის საოცარმა მისწრაფებამ ცოდნის, მეცნიერებისა და (ამ შემთხვევაში) კლასიკური პერიოდის ძეგლების ფართო პოპულარიზაციისადმი. დამახასიათებელია, რომ რუსთაველის პოემის სტროფობრივი განმარტების დაწერა, რომლის უდიდეს მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ვახტანგის შემდეგ აღარავის უკისრია.

კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით თვით სასულიერო ტექსტების ბეჭდვაც კი, რომელიც გარკვეული იდეოლოგიური ზემოქმედების მძლავრ ღონისძიებად უნდა განვიხილოთ, გამაერთიანებელ, პროგრესულ როლს ასრულებდა პოლიტიკურად დაშლილ საქართველოში; იგი, როგორც დავინახეთ, სახელმწიფოებრივ მიზნებს ემსახურებოდა და ძირს უთხრიდა ფეოდალურ დაქსაქსულობას. გაცილებით უფრო დიდი გამაერთიანებელი მნიშვნელობა ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის" ბეჭდვით გამოცემას.

ამ გამოცემისა და თავისი „თარგმანის" გამოქვეყნებით ვახტანგმა სტამბა კლერიკალურ რეაქციასთან ბრძოლის მკვეთრ იარაღად გამოიყენა და მით გადაჩრით გადალახა ის ციწრო რელიგიური ფარგლები, რომლებშიაც სასტამბო მუშაობა მიმდინარეობდა.

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის" აღდგენილი გამოცემა 1937 წ.

პირველნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის" კვლევას საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს. ვახტანგის გამოცემის პირველი შეფასება აკადემიკოსმა მარი ბროსემ

[1] „საქართველოს ცხოვრება", თბ., 1913, გვ. 119.

ჩოგვცა ს. პეტერბურგს 1841 წ. დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემისათვის წამძღვარებულ „წინასიტყვაობაში“ (XI—XIV გვ.). ამ დროიდან მოყოლებული 1712 წ. დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანს პოემის თითქმის ყოველი ახალი გამოცემა უწევს ანგარიშს. საერთოდ, ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ არსებობს საკმარისად დიდი მოცულობის ლიტერატურა, რომლის აღნუსხვასაც ჩვენ აქ ვერ გამოვუდგებით.

მაგრამ პირველნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის“ გაღრმავებული კვლევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1937 წლიდან, როდესაც რუსთაველის საიუბილეო დღეებში 3200 ცალად გამოვიდა და გავრცელდა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენილი გამოცემა[1].

„აღდგენილი გამოცემის“ მნიშვნელობა მხოლოდ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენილი სახის წარმოდგენით არ იფარგლება. ა. შანიძემ წაუმძღვარა მას წინასიტყვაობა და დაურთო ვრცელი „დამატებანი“[2], სადაც რედაქტორმა მოგვცა: ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ გაფორმების დახასიათება: რუსთაველის პოემის ნაბეჭდი ტექსტის დეფექტების ნუსხა I. 1. შეცდომათა გასწორება, 343—349 გვ. 2. კორექტურული შეცდომების სია. 349—366 გვ. მან ამოკრიფა და ანბანურად გააწყო ვახტანგის „თარგმანში“ ჩართული სალექსიკონო მასალა, რომელსაც წაუმძღვარა (და აგრეთვე ცალკე სიტყვების განმარტებაც დაურთო) ვახტანგის, როგორც ლექსიკოგრაფის, დახასიათება (II. ვახტანგის ლექსიკონი. 1. ვახტანგი, როგორც ლექსიკოგრაფი, 2. თარგმანში ახსნილი სიტყვები, 367—387 გვ.). ა. შანიძემ გაარკვია „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წ. გამოცემის ტექსტისა და ამ გამოცემისათვის დართულ ვახტანგის „თარგმანში“ განმარტებული დედნის ურთიერთობა (III. ვახტანგის დედანი „ვეფხისტყაოსნისა“, 388—394 გვ.). უკანასკნელ, 1712 წ. „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენილი გამოცემის რედაქტორმა ასწერა 1712 წ. „ვეფხისტყაოსნის“ მოღწეული ცალები (395—403 გვ.) და დაწვრილებით გაგვაცნო ვახტანგისეული გამოცემის აღდგენის საინტერესო პროცესი (IV. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემის გაფორმებისათვის, 403—409 გვ.).

1712 წ. „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენილი გამოცემა (1937 წ.) საბჭოთა ქართული პოლიგრაფიული ხელოვნებისა და მეცნიერული გამოცემის დიდ მიღწევას წარმოადგენს. იგი არათუ ხელს უწყობს ვახტანგის ეპოქის ამ შესანიშნავი ძეგლის ფართო პოპულარიზაციას, არამედ მისი მეცნიერული შესწავლის მკვიდრ საფუძველსაც იძლევა.

* * *

1712 წელსვე დაიბეჭდა თბილისის სტამბაში „დავითნის“ მესამე გამოცემა. იგი საშუალო ზომის ნუსხური შრიფტით არის დაბეჭდილი. დასაწყისში დართული აქვს ქართული „ანბანი“, სამ ჯგუფად წარმოდგენილი: ა) ასომთავრული შრიფტით; ბ) ნუსხურით ა-დან ჯ-მდის და გ) იგივე ნუსხური ჯ-დან ა-მდის.

[1] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი. ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა. აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, ტფ, 1937.

[2] იქვე, გვ. 342—411

ვახტანგის პორტრეტი, სხვა გამოცემების ბოლოში დართული, ამ გამოცემაში, ისე, როგორც „ვეფხისტყაოსანში“, უეჭველია პოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით, თავშია გადმოტანილი; იგი მისდევს ღერბის ერთლომიანი ვარიანტის გრავიურას. ღერბს წარწერილი აქვს: „წყალობითა ღმრთისათა დავითიან პანკრატოვანი მეფე ვახტანგ, ყოვლისა საქართველოსი“.

თავფურცელში ვახტანგი იხსენიება, როგორც „საქართველოს მპყრობელი“, ხოლო ქართლის გამგებლად მოხსენებულია სვიმონ ბატონიშვილი. ცხადია, რომ წიგნის ბეჭდვა 1712 წლის აპრილის 22-ს შემდეგ, ვახტანგის ირანს ყოფნის დროს, დამთავრებულა.

როგორც ვიცით, 1712 წლიდან უნგროვლახელი ოსტატი წიგნების ბეჭდვაში აღარ მონაწილეობს. „დავითნის“ ამ გამოცემის თავფურცელზე მბეჭდავი სრულებით არ იხსენიება. აქ ნათქვამია მხოლოდ: „გაიმართა ჭელითა ჭელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქაელისათა“. მაგრამ ამ შემთხვევაში „გამართვა“ (გასწორება) უეჭველია სტამბის ტექნიკური მუშაობის თვალყურის დევნებასაც გულისხმობს.

1713 წლის „კურთხევანი“

1713 წ. თბილისის სტამბიდან გამოვიდა მხოლოდ ერთი წიგნი—„კურთხევანი“ (№ 13). იგი დაბეჭდილია საშუალო ზომის ნუსხურით, მესტამბე მიქაელის ხელით.

„კურთხევანი“ მნიშვნელოვანი სალიტურღიკო წიგნთაგანია. ამ კრებულის შინაარსი ქრისტიანი ადამიანის ყოფა-ცხოვრებისა და საქმიანობის თითქმის ყოველ მომენტს უკავშირდებოდა (მშობიარობა, ნათლისღება, ნიშნობა, ქორწინება, ავადმყოფობა, სიკვდილსა და დასაფლავებასთან დაკავშირებული წესების მთელი რიგი; ადამიანის სამეურნეო საქმიანობა: ბარვა, ვენახის გაშენების სხვადასხვა მომენტები, ყურძნის კრეფა და სხვა). „კურთხევანში“ მოიპოვება ადამიანის ყოფა-ცხოვრებისა და საქმიანობის ყოველი ცალკე მომენტისათვის „კურთხევათა ან ლოცვათა საშუალებით გაწმენდის წესი“. ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში „კურთხევანი“ ადრინდელი და მეტად გავრცელებული წიგნი ყოფილა[1]. ამ დიდი კრებულის შინაარსი საუკუნეთა განმავლობაში, ყოფა-ცხოვრებითი პირობების შესაბამისად, იცვლებოდა და სწორდებოდა[2].

1713 წ. „კურთხევანი“ ბერძნული ენიდან ახლად თარგმნა კვიპრიანე სამთავნელ-ეპისკოპოსმა, რომლის რედაქციითაც გამოქვეყნდა ამ თარგმანის პირველი ნაბეჭდი გამოცემა. რედაქტორის მეტად საყურადღებო ანდერძის მიხედვით, ვახტანგსა და მის ძმას, ქართლის გამგებელს სვიმონს, უბრძანებიათ კვიპრიანესთვის დასაბეჭდი წიგნების „ბერძულთა წიგნთა ზედა... შე-

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1941, გვ.536—38.
[2] იქვე.

მოწმება და გასწორება“. ბერძნული ენა კვიპრიანეს, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, დოსითეოს პატრიარქისაგან ჰქონია შესწავლილი.

„რომელიცა ბერძნულსა კურთხევანსა წერილი იყო, სრულად, უნაკლულოდ გარდმოვსწერეო“—ამბობს კვიპრიანე. აქ იგი „გადმოწერას“ კი არა, თარგმნას გულისხმობს, რაც ნათლად ჩანს შემდეგი ადგილიდან: „უკეთუ ვინმე თქვას—რაჲდ გჳჴდა ახალი გარდმოთარგმნილიო...“ და სხვ.

თარგმნის პროცესი კვიპრიანეს „ანდერძის“ მიხედვით ასე წარმოგვიდგება:

I ბერძნული ტექსტიდან სრულად და უნაკლულოდ თარგმნა („რომელიცა ბერძულსა შინა წერილი იყო, სრულად და უნაკლულოდ გარდმოვსწერე“).

II თარგმნილი ტექსტის სწორება ქართული ენის მცოდნეთა მოშველიებით, ქართული ენის ნორმების შესაბამისად („სხვაჲნი წმიდანი მამანი საქართველოსანი ჩვენსა ენასა ზედა შესწორებასა გვეჴმარებოდენ“).

ამავე ანდერძიდან ირკვევა, რომ 1709—1712 წლებში დაბეჭდილი წიგნებიც „ბერძულ წიგნებზე“ (სახარება, სამოციქულო, დავითნი) კვიპრიანეს უშუალო მონაწილეობით შეუსწორებიათ. ეს საქმე კვიპრიანეს პაპა სერგიოსის—ტომით ბერძნის დახმარებით შეუსრულებია:

„რაოდენიცა ძალმედვა თჳით ჩემით შევამოწჱ და გასწორებასა ვეცადე, სიტყვა თუ ასო მეტნაკლებობაო“,—ამბობს კვიპრიანე,— „და რომელიმე არქიმანდრიტის პაპა სერგიოზის კითხვითა და შემოწმებითა გავაკეთე, იგი, რომელნი უწინარეს (1709—1712) წიგნნი დაიბეჭდაო“[1].

აქედან ცხადი ხდება, რომ ბერძნული წიგნისა და ენის უცოდინარი ნიკოლოზ ორბელიანი („წიგნი და ენა ქართულის მეტი სხვა არავისი ენა ეცოდი“) თავის ანდერძში „ბერძნულის მცოდნედ“ კვიპრიანესა და პაპა სერგიოზს გულისხმობს[2].

მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში კვიპრიანე სამთავნელის ნათარგმნი კურთხევანი ოთხჯერ გამოიცა — 1713, 1764, 1784, 1794 წწ., როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, სლავიანურ ტექსტზე იგი არ შეუსწორებიათ[3]. ანტონ I-ლის დროს ვახტანგის დროინდელი ტექსტის (თარგმანის) ენა მკაცრი რედაქციული მუშაობის საგნად იქცა და გაიმართა „ღრამატიკისა კანონთა და წესთა ზედა“.

ტფილისის სტამბის 1714 და 1715 წლების გამოცემა არ მოგვეპოვება. ვახტანგის პატიმრობამ (ჭირმანს) და ამასთან დაკავშირებით საქართველოს საქმეების არევამ, ეტყობა, ორი წლით სავსებით შეწყვიტა წიგნის ბეჭდვის ესეოდენ წარმატებით დაწყებული საქმე. მხოლოდ 1716 წელს ამუშავდა ხელახლა საბეჭდავი დაზგა.

---

[1] 1713 წ. „კურთხევანის“ ანდერძი, «აღწერილობა» № 13.

[2] 1710 წ. ლოცვანი, ნიკოლოზ ორბელიანის წინასიტყვაობა, „აღწერილობა“ 7.

[3] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 1941, გვ. 313.

ამ წელს ვახტანგის სტამბამ „დავითნის“ მეოთხე გამოცემა გამოუშვა (იხ. № 14 „აღწერილობისა“). ამ გამოცემის არსებობა ქართული მეცნიერებისათვის 1941 წლამდე ცნობილი არ იყო[1].

1716 წლის „დავითნის“ ერთადერთი, მაგრამ მშვენივრად შენახული ცალი დაცულია ლენინგრადში, მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ბიბლიოთეკის სააზიო მუზეუმისეულ კოლექციაში. მისი აღწერილობა გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ საქართველოს სახ. წიგნის პალატის გამოცემაში: „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია“, 1, № 17 (1941, თბ.).

1716 წ. „დავითნის“ ჩინებულად გაფორმებული თავფურცლის ტექსტში მეფედ იესე იხსენიება; „გამმართველად“—გარსევან ყოფილი მღდელი გაბრიელ, „სტამბის მეურნედ“—გიორგი მხატვარი. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ თავფურცლის ტექსტში ვახტანგის სტამბის არც ერთი ძველი მუშაკი აღარ ჩანს.

1716 წლიდან ქართლის პოლიტიკურ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება. როგორც ცნობილია, ვახტანგის მაჰმადიანმა ძმამ, ქართლის მეფედ დანიშნულმა იესემ, ვერ გაართვა თავი რთულ სახელმწიფოებრივ საქმიანობას და ირანის შაჰის დავალებანი ვერ შეასრულა. ვახუშტის სიტყვით, „მაშინ მოიყვანა ყეენმან ვახტანგ. მისცა ქართლი და სპასალარობა ერანისა და მიაქციეს სჯულსა მათსა“. ეს 1716 წელს მოხდა[2]. ვახტანგის ქართლს დაბრუნებამდე კი ქართლის გამგებლობა და შემდეგში მეფობაც მისცეს მის ძეს ბაქარს, რომელიც, მამისაგან მიღებული ინსტრუქციის თანახმად, სასტიკად გაუსწორდა ვახტანგის მტრებს. პოლიტიკური ამბების ასეთი „შეტრიალების“ შედეგად კულტურულმა საქმიანობამაც თანდათან თავის კალაპოტში იწყო ჩადგომა. მაგრამ ისეთი მშვიდობიანი პირობები, როგორიც 1709—1712 წწ. იყო, ვახტანგის მეფობაში ქართლს აღარ ღირსებია.

1717 წელს ტფილისის სტამბამ ხელახლა დაბეჭდა 1710 წლის გამოცემები—ლოცვანი და ჟამნი (№ 15, 16).

1717 წ. გამოცემები ტექნიკური მხრით და ტექსტის გამართულობითაც (იხ. გიორგი მხატვრის ანდერძი—უნგროელახელის ანდერძის უხეირო განმეორება) თვალსაჩინოდ ჩამორჩება 1710 წ. იშვიათი სიფაქიზით ნაკეთებ „ლოცვანსა“ და „ჟამნს“.

1718 წლის არც ერთი გამოცემა ჯერჯერობით ცნობილი არ არის.


„კურთხევა ეკლესიისა“ (1719—1720)

ვახტანგის სტამბის „კურთხევა ეკლესიისა“, ჩვენამდე ერთადერთი ცალის სახით მოღწეული (საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისეული


[1] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, ტფ., 1929, გვ. 75: „1714, 1715, 1716 წლებში შეჩერდა სტამბის მუშაობა...“; პ. გუგუშვილი „ქართული წიგნი“, ტფ., 1929, გვ. 58: „1713 წლიდან ვიდრე 1717 წლამდე გვგონია ტფილისში წიგნები არ დაბეჭდილა...“

[2] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 121—122.

ვეფხისტყაოსანი.. ბაგრატიონთა ღერბი გიორგი XI-ის ინიციალებით



ვეფხისტყაოსანი. მესტამბის ლექსი და ვახტანგის განმარტების დასაწყისი



დავითნი. თბ., 1716



„კურთხევა ეკლესიისა“. 1719—20 წ. VI გვერდი

კოლექციისა), ამჟამად ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში ინახება (№ Г: 19868; ძვ. № 16/49. აღწერილობა, № 17).

ეს ოთხმოციოდე გვერდის შემცველი წიგნაკი მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს. „კურთხევა ეკლესიისა“ მეფის ხელისუფლების განკარგულებისა და „საფასეთა წარგებისა“ გარეშე გამოცემული ერთადერთი წიგნია. მისი რედაქტორი და გამომცემელი არის ვახტანგის ძმა— დომენტი კათალიკოსი.

როგორც რედაქტორის ანდერძი გვაუწყებს, მას ეკლესიის კურთხევის „ჟამთა ვითარებისაგან და მწერალთაგან განრყვნილი“ ძველი ქართული ტექსტის აღდგენა განუზრახავს და ეს საქმე სამთავნელი ეპისკოპოსის კვიპრიანეს მონაწილეობით შეუსრულებია:

„ეს კურთხევა და შემდგომნი ამისნი განწესებანი ახლად ვიძიეთ და ვპოვეთ ბერძულისაგან და აწ ქართულად გარდმოვათარგმნინეთ უნაკლულოდ სამთავნელ ეპისკოპოზს უფალსა კვიპრიანეს, რ[ომელი] კეთილად სწავლულ იყო ბერძენთა ენისაგან... და დავაბეჭდვინეთ საფასითა ჩვენითაო“, ამბობს დომენტი თავის ანდერძში[1].

ჩვენ ვიცით რა დიდ როლს თამაშობდა წიგნის ბეჭდვის საქმეში კათალიკოსი ანტონ I (1749—1788 წწ.). იგი ერეკლე II-ის დროინდელი სტამბის (1749 წლიდან) ყოველი გამოცემის რედაქტორი იყო. თვით ერეკლეს მონაწილეობა ამ საქმეში, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, მხოლოდ „საფასეთა წარგებაში“ და სტამბის ტექნიკურად გაუმჯობესებისათვის ზრუნვაში იხატებოდა.

სულ სხვა მდგომარეობას ეხედავთ ვახტანგის დროინდელი სტამბის საქმიანობაში: 1709—1719 წწ. არც ერთი გამოცემის თავფურცელს არ აღუბეჭდავს დომენტი კათალიკოსის სახელი, არ აღუნიშნავს მისი რაიმე მონაწილეობა ბეჭდვის საქმეში. აქ სულის ჩამდგმელი, მბრძანებელი და ხელმძღვანელი თითქმის მუდამ ვახტანგია, მიუხედავად იმისა, რომ დომენტი III-ს, როგორც ამას XVIII ს. ხელნაწერების ანდერძები გვაუწყებენ, საკმარისად დიდი ღვაწლი მიუძღვის თავისი დროის სასულიერო ლიტერატურის აღმდგენელ საქმიანობაში[2].

ყურადღებას იპყრობს ამ გამოცემის პირველ გვერდზე მოთავსებული დომენტის ტიტულატურა: „წყალობითა ღთისათა კათალიკოსი მცხეთისა, ქართლისა, რანისა, კახეთისა, სრულიად ოსეთისა, სამცხე-საათაბაგოსა მაკურთხეველი, გასწავებ ყოველთა ეკლესიისა ჩემისათა“.

---

[1] ამ თარგმანის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, Литургические грузинские памятники, Тифлис, 1908, გვ. 200—201, 209—214, სქოლიო.

[2] ე. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიული კრებული და მისი შემდგენელი. ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტ-ის შრომები, ტომი VIII, გვ. 415—420.

„პარაკლიტონი“ (1720)

პარაკლიტონი, ანუ საეკლესიო საგალობელთა კრებული მღვდელთმსახურების შესრულებისათვის აუცილებელ მასალას შეიცავს. საგალობელთა ასეთი კრებულები საქართველოში მეცხრე-მეათე საუკუნიდან ყოფილა გავრცელებული; მეათე-მეთერთმეტე საუკუნეში საქართველოს ეკლესიებში გიორგი ათონელის თარგმნილი პარაკლიტონ-ოქტოიხოსის მთლიანი, ვრცელი რედაქცია დამკვიდრდა (კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. I, 539, 545, 549). როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, ანტონ კათალიკოსამდე ეს რედაქცია არ შეუსწორებიაფ.

ვახტანგის სტამბის 1720 წ. „პარაკლიტონი“, ზემოთქმულის მიხედვით, არ ყოფილა „გამართული“ მე-18 ს. ბერძნულ პარაკლიტონზე. იგი ძველ, ტრადიციულ ტექსტებს შეიცავდა.

1720 წ. „პარაკლიტონის“ ტექსტი შემდეგში ანტონ კათალიკოსმა შეასწორა (რუსეთში, 1760 წ.) ბერძნული და სლავიანური ტექსტების მიხედვით. მან 1720 წლის გამოცემის ზოგიერთი საგალობელი უცვლელად დატოვა: მაგ., „კანონი დიდისა შაბათისა“ (მარკოსის თქმული) და ამავე დიდი შაბათის „ოთხნი გალობანი მეექუსით გალობით, ვიდრე, ბოლომდე, ქმნილი ჯოზმასი, რომელიცა იყო ტრიოდსა შინა ჩუ©ნსა, შეუხებელად ვიპყარო“—ამბობს ანტონი 1772 წ. დაბეჭდილი „პარაკლიტიკოსის“ ანდერძში („ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია. 1“, № 56).

კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით საყურადღებოა ის განსაკუთრებული სიფრთხილე და ერთგვარი შიშიც, რომლითაც ანტონი ატარებდა ქართული ტექსტების შედარება-შესწორებას ბერძნული და სლავიანური დედნების მიხედვით:

„წიგნი ესე ნუგეშინის ცემითი დაღათუ განიმართა ჩემ მიერ, მაგრა არა კადნიერებით ახალნი რაჲმე შემომიღიანო“, ამბობს ანტონი. „რაჲცა არა იპოებოდა ჩვენთა შინა, სლავენურისაგან გარდმოვიღეთ და რაჲცა არცა სლავენურსა შინა პოვნილ იქმნა, იგი პროთო-პაპმან ანდრეა თარგმნნა [ბერძნულიდან]; და რაჲცა ჩვენსა პარაკლიტონსა ვჰპოეთ, ჩვენი დამიდვიეს და ესრეთ განმიმართავს და სრულ-მიყოფიეს და სწორ და იგივედ, ვითარ იგი არს ბერძული პარაკლიტონიო“—ამბობს ანტონი („ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია. 1“, № 56, გვ. 60—62).

დამახასიათებელია, რომ ანტონი ვერ ბედავს 1720 წლის პარაკლიტონის „სერობასა ზედა კანონთა ღმრთის მშობლისათა-ს“ შეტანას თავის გამოცემაში: „ვერ კადნიერ ვიქმენ მე, რათა სხუა რაჲმე შემომეღოცა, რომელი აქუსყე აღმოსაელისა ეკკლესიასაო“, ამბობს ის.

ეს სიფრთხილე და შიში ქართული საეკლესიო ტექსტების ბერძნულსა და სლავურ ტექსტებთან შეთანხმებისას ვახტანგისდროინდელი მოღვაწეებისათვის სრულიად უცხო იყო.

1721 წლის კოსმოგრაფია

1721 წელს ვახტანგის სტამბაში პირველად დაიბეჭდა მეცნიერული თხზულება: „ქმნულების ცოდნის წიგნი“. ამ გამოცემას ვახტანგმა ვრცელი წინასიტყვაობა წაუმძღვარა („აღწერილობა“ № 19). დაბეჭდილ თხზულებას ვახტანგი ასტრონომიულ მეცნიერებას მიაკუთვნებს:

„განმარტნეს ფილოსოფოსთა მრავალ[ნი] მეცნიერებანი და მათნი სწავლანი და ესეცა ვარსკულავთრაცხვა ერთი მათგანივე არსო“, ამბობს ის.

ვახტანგი კარგად გრძნობს XVIII ს. დასაწყისის ქართული მეცნიერების ჩამორჩენილობას და ამ მოვლენას ნიზეზსაც უძებნის:

„საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოოჯრებულ იყო და არღარა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა და სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხოდენო“—ამბობს ვახტანგი.

როგორც ვხედავთ, ვახტანგმა იცის, რომ ძველ საქართველოში ასტრონომიული მეცნიერება განვითარებული ყოფილა.

მეცნიერების დაქვეითებას ახალ საუკუნეებში და ქართული ასტრონომიული თხზულებების ნაკლებობას ვახტანგი გამანადგურებელ შემოსევათა შედეგად სთვლის. „აიათის“ თარგმნით განათლების მოყვარულ მეფეს სურს წინ წასწიოს ქართული ვარსკვლავთმრიცხველობა:

„ეს სპარსული აიათი... ვთარგმნე და სტროლაბიც ქართულად გამოვიღეო“—ამბობს ვახტანგი. ეს გავაკეთე იმისთვისო, რათა ქართველებმა „ისწავონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილა[სო]ფოსობა და გამოიღონო“. ამ სიტყვებში იგრძნობა ვახტანგის ღრმა და სერიოზული წადილი—ყოველგვარი შესაძლებელი ზომებით შეუწყოს ხელი ქართველი ხალხის განათლებისა და პროგრესის გზაზე დაყენებას.

ვახტანგი აცხადებს: „საქმეთაგან საცნაურ არს ვითარმედ მრავალნი ჭირნი მინახვან ამა წიგნთა ზედა და არცა თუ მეფობისა სამსასური დამიკლიესო“.

1712 წლის აპრილის 22-დან, როცა ვახტანგი თავისი პოლიტიკური პოზიციის გასამტკიცებლად ირანის შაჰის კარს გაემგზავრა, საქართველოში შინაგანი მშვიდობიანობა დიდი ხნით დაირღვა. მიუხედავად მეტად დაძაბული მდგომარეობისა, ვახტანგს ქირმანს პატიმრობაში გატარებული წლები (ვახუშტით 1714—1716, გვ. 121) უნაყოფოდ არ დაუკარგავს. ირანა ყოფნისა და ქირმანის პატიმრობის პერიოდში მან ირანულიდან თარგმნა კაპიტალური თხზულებები, სხვათა შორის, დიდაქტიკური თხზულება „ქილილა და დამანა“ (ამაზე იხ. ზემოთ), სამარყანდელი ასტრონომის ულუღ-ბეგის „ვარსკვლავთა კატალოგი“ და სხვ. ამ პერიოდში თარგმნილ სამეცნიერო თხზულებათაგან ვახტანგმა მოასწრო მხოლოდ „აიათის“ გამოცემა.

როგორც ითქვა, „აიათი ანუ ქმნულების ცოდნის წიგნი“ ასტრონომიულ-კოსმოგრაფიული შინაარსის ნაწარმოები არის. ამ წიგნის წინასიტყვაობაში ვახტანგი, სხვათა შორის, გვეუბნება, რომ „აიათის“ თარგმანთან ერთად ნაწ ქ ა რ თ უ ლ ა დ გ ა ა კ ე თ ა ს ტ რ ო ლ ა ბ ი ც („სტროლაბიც ქართულად გამოვიღეო“).

სტროლაბი, ანუ ასტროლაბია (ბერძნ.), იგივე პლანისფერა, ასტრონომიული და გეოდეზიური დაკვირვებების ჩასატარებელი მოწყობილობა (იარაღი) არის. მისი მეშვეობით წარმოებდა მნათობთა მდებარეობის გარკვევა მე-18 საუკუნემდის.

ვახტანგის აქ მოხსენებულმა სტროლაბმა ჩვენს დრომდის მოაღწია. იგი დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილებაში[1].

ეს საყურადღებო კულტურულ-ისტორიული ძეგლი, რომელზედაც მრავალი ქართული ტერმინი არის ამოტვიფრული, უეჭველია, სპეციალისტების საგანგებო კვლევის საგნად გახდება.

ჩვენ ვიცით, რომ ირანულ „აიათსაც“ და სტროლაბის მეშვეობით მნათობთა შესწავლასაც მე-16—17 სს. ასტრონომიული მეცნიერების დიადი აღმოჩენების შუქზე ჩამორჩენილობის დაღი აზის, რომ „აიათის“ „ვარსკვლავთრაცხვა“ დიდად დაშორებულია მე-18 ს. პირველი ოცეული წლების მოწინავე მეცნიერულ აზროვნებას[2].

ამის მიუხედავად, 1721 წლის „აიათი“ და ვახტანგის „ქართული“ სტროლაბი ჭნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ ძეგლებს წარმოადგენენ. ისინი ერთხელ კიდევ ამჟღავნებენ ვახტანგის ღრმა ინტერესს ე. წ. ზუსტი მეცნიერებისადმი და ცოდნის დიდ წყურვილს, რომელიც ქართლის მეფეს ირანის პატიმრობაშიაც კი დაჟინებით აძებნინებდა ამ წყურვილის დამაკმაყოფილებელ წყაროებს. ეს წყურვილი ვახტანგს დიდი ისტორიული კატასტროფის შემდეგაც შერჩა. მან რუსეთში გადახვეწისთანავე (1724) განაახლა მეცნიერული მუშაობა. 1725 წ. ვახტანგი ათარგმნინებს ახალ ნაშრომს სათაურით: „სიეაკის ზომა ანუ პლანიმეტრია“, რომლის პირველ გვერდზე ვკითხულობთ: „ეს წიგნი მე, მიხ[ა]ილ ელიევიჩ (?) ვთარგმნე რუსულისაგან ქართულად. ოდეს მობძანდა მეფე ვახტანგ ქალაქსა მოსკოვს, მან მიბძანა და თვით მანვე ქართულის ენით გა[ა]სწორა და ვრცლად დასწერა. საუკუნომცა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრების მისისნი. ამინ.—ქრისტეს აქეთ: ჩღკე (1725), სეკდენბერს ი (10) განსრულდა წერილი ესე[3].

მომდევნო 1726 წ. ვახტანგი აწერინებს გეომეტრიის სახელმძღვანელოს („ღეომეტრია [ანუ] მიწის ზომა“), რომელიც, ზოგიერთი ნიშნის მიხედვით, ლათინურიდან თარგმნილი ჩანს.

საერთოდ, ცოდნის დაუცხრომელი წყურვილი ვახტანგსა და მის თანამოღვაწე მოწინავე ადამიანებს მშფოთვარე ცხოვრების უმძიმეს პირობებშიც თან სდევს. ცოდნის შეძენისა და შევსების შესაძლებლობას ეს ადამიანები პოულობენ ყოველგან, სადაც არ უნდა მიაგდოს ისინი ბედმა[4].

[1] შემოსულია საქართველოს სახ. მუზეუმში 1929 წ., საისტორიო და საეთნოგრაფიო სამოგადოების მუზეუმისეული ფონდიდან.

[2] ქ. შარაშიძე, ქართული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები მეთვრამეტე საუკუნეში, გვ. 36—40. კრბ. „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“. I, ტფ., 1937.

[3] ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი S : 167, გვ. 1—22.

[4] აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ხელნაწერში A:853, რომელიც VII ს. მეცნიერის იოანე დამასკელის თხზულების თარგმანს წარმოადგენს,

ამდენადვე დაუცხრომელია ვახტანგის მუდმივი ზრუნვა შეძენილი ცოდნის ფართოდ გავრცელებისათვის. „აიათის“ ხსენებული წინასიტყვაობის ბოლოში ვახტანგი აცხადებს: ეს წიგნი დავბეჭდე, რათა ქართველ[ა] ახალგაზრდებმა „ისწავონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეაყარულონ ქართულისა ენითა ფილა[სო]ფოსობაო“.

ვახტანგის ეს სურვილი (ახალგაზრდა ქართველები ცოდნის უმაღლეს მწვერვალებს სამშობლო ენის მეშვეობით დაუფლებოდნენ) ნაბეჭდი მეცნიერული წიგნის ფართოდ გავრცელებას უნდა მოეყვანა სისრულეში.

ვარსკვლავთ-მრიცხველობის წიგნის დაბეჭდვით ვახტანგმა ერთხელ კიდევ გამოიყვანა წიგნის ბეჭდვის საქმე ვიწრო რელიგიური ფარგლებიდან და მას მიზნად ცოდნის გავრცელება დაუსახა.

უკანასკნელ, უნდა შევნიშნოთ, რომ 1721 წ. როცა ტფილისის სტამბაში ირანულიდან ნათარგმნი მეცნიერული წიგნი იბეჭდებოდა, ამ თარგმანის სპარსული დედანი დაბეჭდილი არ იყო, ვინაიდან არ იყო, საერთოდ, შემოღებული სპარსული ტექსტების ბეჭდვა.

ამ მხრივ ირანის გავლენის რკალში მომწყვდეულმა ქართლმა გაუსწრო ირანს[1].

1722

1722 წელს, უკიდურესად დაძაბულ პოლიტიკურ ატმოსფეროში, ვახტანგის სტამბიდან გამოვიდა მისი უკანასკნელი გამოცემა—მხედრული შრიფტით დაბეჭდილი ჟამნი (იხ. № 20).

ეს არის ჟამნის მეოთხე გამოცემა (იხ. №№ 5, 6, 15).

საყურადღებოა, რომ „ჟამნის“ ოთხი გამოცემიდან ორი მხედრული შრიფტით დაიბეჭდა.

ასეთ მინაწერს ვკითხულობთ: „აღიწერა ასტრახანს (1724 წ.)“. „ქართლიდამ რუსეთს მივედიოდით. მეფეს ვახტანგს ვახლდით. იქ (ასტრახანს) ქართლიდამ წამოღებული დიად ძველი წიგნი იყო. აღარც თავი ჰქონდა და აღარც ბოლო, რაც ჩნდა, ეს გადმოვაწერინე დაუკარგაობისათვის და შუახედ ცხრამეტი და ოცი თავი ამოგლეჯილი იყო. რომელსაც ღმერთმან ქართლის თათრისგან გამოხსნა გაღირსოსთ, ამის გათავებას ეცადენით....“ (ნიკოლოზ ორბელიანის ანდერძი).

[1] პ. გუგუშვილი სარეცენზიო წერილში (ჟ. „მნათობი“, 1942, № 1) შენიშნავს: „ქ. შარაშიძე „პატრიოტული“ ინტერესით გვაუწყებს, რომ „ირანში მეცხრამეტე საუკუნემდის ხელით წერას მიმართავდენო“, ე. ი. სტამბა უცნობი იყოო, ნამდვილად კი,—ამბობს პ. გუგუშვილი—იქ ბევრად ადრე გაჩნდა სტამბა: 1652 წ. ბენდურ-ბუშირაში; 1684 წ. ისპაჰანში და სხვ.“

პ. გუგუშვილი სცელის საკამათო საკითხის საგანს: ჭრ. შარაშიძე ლაპარაკობს ირანული (არაბული შრიფტით) ტექსტების ბეჭდვის მოგვიანებით შემოღებაზე და არა სტამბის „გაჩენაზე“ ირანის ქალაქებში.

ჭრ. შარაშიძე ემყარება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის ცნობილი ორიენტალისტის ბართოლდის ნაშრომს (В. В. Бартольд, Культура Мусульманства. Петроград, 1918 გვ. 101—102 და სხვ.). და ირანოლოგის იური მარის ცნობას:

«Книгопечатание в Иране было введено сравнительно недавно, в начале XIX в., причем типографский способ был вскоре вытеснен литографией, которая занимала первое место до последнего времени». Ю. Н. Марр. Статьи и сообщения. II, АН СССР, М., 1937, გვ. 127.

ვახტანგის სტამბის ბიბლია

(თარიღი, რედაქტორი)

„ჩემი ქვეყანა აშლილია“.
სულხან-საბა

ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი ბიბლიის ნაწილი, რომლის ტექსტიც ლუკას სახარების 23-ე თავის 55—56 მუხლზე წყდება, დღემდე ჯეროვნად შესწავლილი არ არის.

არც დ. კარიჭაშვილს[1], არც პ. გუგუშვილს[2] არ აუწერიათ ეს ნაკლული გამოცემა. თუმცა დ. კარიჭაშვილს, როგორც ის თვითონვე აღნიშნავს, სცოდნია, რომ მოსკოვის 1743 წლის ბიბლიის ბაქარისეულ ანდერძში მოხსენებულია თბილისის სტამბაში ვახტანგის დროს დაბეჭდილი „წინასწარმეტყველთა წიგნები“. ისიც სცოდნია, რომ თ. ჟორდანიას კიდევაც უნახავს ამ გამოცემის ერთ-ერთი ცალი[3]. მაგრამ თვით დ. კარიჭაშვილს, ეტყობა, არ უნახავს თბილისის სტამბაში დაბეჭდილი ბიბლიის ნაწილები.

საქართველოს წიგნის პალატის მიერ 1941 წ. გამოცემულ „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში. 1“ პირველად გამოქვეყნდა ამ იშვიათი გამოცემის აღწერილობა და მისი ორი გვერდის ფოტო-პირი (გვ. 31—32).

როგორც ქვემოთ, აღწერილობაში არის აღნიშნული, ვახტანგის სტამბის ბიბლიის ცალები დაცულია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში, კ. მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის წერა-კითხვის საზოგადოებისეული წიგნთსაცავის ფონდსა და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (A : 51 ხელნაწერში).

ხსენებულ სამ ცალს გარდა, ამავე ბიბლიის ფრაგმენტები ცალკე ფურცლებად და ფურცლების ნაწილებად გვხვდება ხელნაწერებისა და ძველი ნაბეჭდი წიგნების (ვახტანგის სტამბის) ყდებზე, შიგნიდან გაკრული. საფიქრებელია, რომ სათანადო ძიების შედეგად ვახტანგის სტამბის ბიბლიის ცალები სხვა ბიბლიოთეკებშიაც იქნება აღმოჩენილი.

ვახტანგის სტამბის ბიბლია, როგორც ეს დ. კარიჭაშვილმაც აღნიშნა, მოსკოვის 1743 წ. ქართული ბიბლიის ბაქარისეულ ანდერძში იხსენიება. უფრო ადრე იგი მოხსენებულია 1741 წ. მოსკოვშივე დაბეჭდილი „მარხვანის“ ანდერძში:

„და საწინასწარმეტყუელოს ვინემდი ვიშოვნიდით, იმავ ჩვენის მარხვანიდამ ვსწერდით და თავს და რიცხვს რუსულიდამ ვამოწმებდით. და როცა ჩვენი საწინასწარმეტყუელო ვიშოვნეთ, ტფილისის ქალაქს დაბეჭდილი, მერმე სრულ იმაზე ვაწერინეთ; გასწორებული იყო და იმას მივყევითო“ (იხ. 1741 წლის „მარხვანის“ ანდერძი)[4].

[1] დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბ., 1929, გვ. 71—76
[2] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნი. 1629—1929, გვ. 41—62.
[3] დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართ. წიგნის ბეჭდვის ისტ., გვ. 76.
[4] „ქართული წიგნი“. 1, № 30, 1741 წ. მარხვანის ანდერძი.

ანდერძის ეს ნაწყვეტი მოწმობს, რომ თბილისის სტამბის ბიბლიის ტექსტი არათუ ცნობილი, არამედ, როგორც „გასწორებული“, განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილიც ყოფილა.

თბილისის სტამბის ბიბლიის მეორე და ნესამე მოხსენიება გვაქვს მოსკოვის 1743 წ. ქართული ბიბლიის ანდერძებში[1]. ზემოთ აღნიშნულია, რომ ბაქარის ანდერძით თბილისის სტამბის მოწყობა მთლად ბიბლიის დაბეჭდვის განზრახვასთან ყოფილა დაკავშირებული:

„ეგრეთვე (არჩილის მსგავსად) ნეტარჳსენებულმან მამამან ჩემმან, მეფემან ვახტანგ—ინება სამეფოსა თჳსსა ქალაქსა ტფილი[სი]სასა წიგნისა ამის (ბიბლიის) აღბეჭდვად...გააკეთა სტამბა.. და მცირე რაიმე საწინასწარმეტყველონი აღბეჭდაო“, ამბობს ბაქარი და დასძენს, რომ არც ვახტანგს დასცალდა (არჩილის მსგავსად) სრული ბიბლიის დაბეჭდვა:

„და არცა მას სცა ჟამმან და დრომან ამაოსან და ქცევადმან და დაუშთა მასცა ეგრეთვე შეუსრულებელად“[2].

მოსკოვში 1743 წ. დაბეჭდილი ბიბლიის რედაქტორი ვახუშტიც იხსენიებს თბილისის სტამბის ბიბლიის (ძველი აღთქმის წიგნების) ნაბეჭდ ტექსტს:

„ხოლო ფსალმუნი და წინასწარმეტყველებანი და ახალნი აღთქმანი მის მეფის ვახტანგის ბრძანებით გამართული და დაბეჭდილნი იყუნნეს მისსავე მოღებულს საბეჭდავსა შინა ტფილისისასაო“[3].

გამოდის, რომ ტფილისის სტამბის მოწყობა „ბიბლიის“ წიგნების შეკრებისა და დაბეჭდვის გადაწყვეტილებასთანაც ყოფილა დაკავშირებული; ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ 1709 წ., როდესაც ვახტანგის სტამბა თავისი პირველი გამოცემების ბეჭდვას შეუდგა, ბიბლიის (ძველი აღთქმის) წიგნების თავის მოყრა და მათი ტექსტების სწორება არათუ დაწყებული, ნაწილობრივ მაინც შესრულებული უნდა ყოფილიყო.

მართლაც: ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის 60—70 წლებში „ბატონის მდივანბეგის ორბელის, სულკურთხეულის ბატონის ყაფლანის ძის და სულხანის მამის“ ბრძანებით, ნათანაელ ბედისწერლისშვილის ხელით, გადაწერილი ყოფილა ძველი აღთქმის წიგნების ნუსხა (შესაქმე, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა და ბ სჯულის წიგნები—H : 1207).

„ბიბლიის“ ხსენებული წიგნების ეს ტექსტები ნასწორებია და თავებად და მუხლებადაც არის დაყოფილი. მას აქვს ტექსტთან დაკავშირებული მრავალი მინაწერი (იმავე რედაქტორის ხელით). ბიბლიის ძველი წიგნების ეს ნუსხა კენტად არ არის წარმოდგენილი: იგი ერთი სამ ხელნაწერთაგანია. ამ სამ ხელნაწერს ერთმანეთთან აახლოვებს შინაარსი (ბიბლიის—ძვ. აღთქმის—წიგნები) და დამკვეთის სახელი. სამივე გადაწერილია „ბატონის მდივანბეგის ორბელის, სულკურთხეულის ბატონის ყაფლანის ძის და სულხანის შამის“ ბრძანებით (სულხანის ბერად შედგომამდე).

---

[1] „ქართული წიგნი“ 1, № 33, გვ. 44—46, 47.

[2] ბაქარის ანდერძი, იქვე, № 33, გვ. 44.

[3] იქვე, გვ. 47.

დანარჩენი ორი ხელნაწერისგან ერთი H ფონდშივე არის დაცული (H:885). იგი შეიცავს ნეშტთა, ბ სჯულის, ისო ნავესი და მსაჯულთა წიგნებს. მესამე ნუსხა—A ფონდისა (საეკლესიო მუზეუმისეული), № 179—აწერილია თ. ჟორდანიას მიერ (OPHM, I). ეს ნუსხა გადაწერილია იმავე ორბელის ბრძანებით და თარიღად 1669 წელი უზის.

ხსენებული ხელნაწერების მიხედვით ქართული ბიბლიის შეკრების, შესწავლის, აღდგენისა და გამოცემის ისტორია მე-17 ს. სამოც-სამოცდაათიანი წლებიდან უნდა დავიწყოთ. არჩილი ყოფილა გამგრძელებელი და არა დამწყები ქართული ბიბლიის აღდგენა-შესწავლის საქმისა. ბიბლიის ტექსტებზე მუშაობის სათავეებს მივყავართ არჩილის ბიძისა (დედის მხრით) და სულხან-საბა ორბელიანის მამის—ორბელ ყაფლანის ძის სახლში. ამ უკანასკნელის ბრძანებით დაუწყიათ ქართული ბიბლიის შეკრება. ბიბლიის ტექსტებზე მომუშავე პირველი მეცნიერი კი ორბელ მდივანბეგის ძე სულხანი, შემდეგში ბერ-მონაზონი საბა ყოფილა[1]. (უნდა ვთქვათ, რომ ქართული ბიბლიის ტექსტის აღდგენის რთულ საკითხს აქ მხოლოდ გაკვრით ვეხებით, რამდენადაც ეს აუცილებელია მათი ბეჭდვის ისტორიის გარკვევისათვის[2].)

საკითხავია—რათ არ დაიბეჭდა ვახტანგის სტამბაში პირველ რიგში ბიბლიის (ძვ. აღთქმის) წიგნები, რომელთა შეგროვება და რედაქტირება, როგორც ზემოთქმულიდან ირკვევა, 1698 წლამდე (სულხან ორბელიანის ბერად შედგომამდე) ყოფილა დაწყებული?

ამის ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ ძველი აღთქმის წიგნების ქართული ნუსხები მეტად ნაკლულოვანი იყო: „ზირაქი“ და „მაკაბელთა წიგნები“ სრულებით არ მოიძებნებოდა საქართველოში; საჭირო იყო მათი თარგმნა. გარდა ამისა, არსებული ტექსტებიც დაბეჭდვამდის ხანგრძლივსა და გამოწვლილვით მუშაობას მოითხოვდნენ.

აქ მოსახსენებელია კიდევ ერთი გარემოება: 1743 წლის მოსკოვის ბიბლიის ვახუშტისეული ანდერძის მიხედვით ირკვევა, რომ როცა მოსკოვს მყოფი არჩილი ბიბლიის შეკრებას შეუდგა, მან თავის ძმისწულს—ვახტანგს მიმართა და საქართველოდან სათანადო ტექსტების გაგზავნა სთხოვა. ამავე ვახუშტის ცნობით ვახტანგმა გაუგზავნა არჩილს დაბადების ის წიგნები, რომლებიც საქართველოში მოიპოვებოდა. როდის მოხდა ეს? ირკვევა, რომ ეს მომხდარა სწორედ იმ წლებში, როდესაც თვით ვახტანგი (უკეთ რომ ვთქვათ—საბა) ამზადებდა ბიბლიის სასტამბო გამოცემას, სახელდობრ 1703 და 1709 წწ. შუა. ამას მოწმობს ვახუშტის ანდერძის შემდეგი ადგილი:

„მაშინ (მოსკოვს ცხოვრების დროს) იგულა [არჩილმა]... შეკრებად წიგნისა ამის (ბიბლიის). და ითხოვა ძმის წულისა თჳსისა, ძისა ლევანისა, ვახ-

[1] „ხელნაწერთა აღწერილობა“, ტ. III, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ-ბა, თბ., 1948, კრ. შარაშიძის „წინასიტყვაობა“, გვ. VII.

[2] ქართული ბიბლიის ნაბეჭდი ტექსტების შესახებ და საერთოდ ბიბლიის სხვადასხვა რედაქციებისათვის იხ. პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა, ჟ. „მნათობი“, 1939, № 4, გვ. 124.

ტანგისაგან, რომელი იყო მას ჟამსა შინა მოადგილე ბიძისა თჳსისა მეფის გიორგისა—ქართლის გამგედ, წიგნ[ნ]ი დაბადებისა და რომელნიცა მუნ (საქართველოში) იპოვებოდენ, მოუგზავნა“[1].

ვახუშტი აქ დასძენს, რომ დაბადების ზოგი წიგნი არჩილს თვითონ ჰქონდა მოსკოვში: „ხოლო ზოგნი თჳთ აქუნდეს“. ქვემოთ დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ რა გააკეთა არჩილმა ბიბლიის ტექსტის დასაბეჭდად დამზადებისათვის. „მაშინ მოენება რუსულსა დაბადებასა ზედა განწართვად და განსწორებად... განემართა და შეეწყო, თჳნიერ მუჴლთა, თავ-თავად. ხოლო მაკაბელი თჳთ ეთარგმნნეს და ზირაქი ეგრეთვე“. იმით ათავებს ვახუშტი ბიბლიაზე არჩილის მუშაობის ისტორიის გადმოცემას.

აქედან სრულიად ნათელია, რომ მოსკოვს მყოფ არჩილს ვახტანგმა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ ა ნ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ა ბ ი ბ ლ ი ი ს ი ს წ ი გ ნ ე ბ ი, რაც კი საქართველოში მოიძებნებოდა („რომელნიცა მუნ იპოვებოდენ, მოუგზავნა“) და არა პირუკმო[2].

მაგრამ ვახუშტის ანდერძის აქ წარმოდგენილი ტექსტი განსვენებულ პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს როგორღაც თაისებურად გაუგია, რასაც თბილისისა და მოსკოვის ბიბლიის ტექსტების ურთიერთმიმართების განმარტებაში სრული არევდარევა შეაქვს. აი, რას გვეუბნება ამ საკითხისათვის ალ. ცაგარელი თავის ნაშრომში: О грамматической литературе грузинского языка (стр. 102).

«Царь Арчил во второй половине 17 столетия первый возъимел желание исправить недостатки грузинской Библии. При всех своих стараниях нигде он в Грузии не мог отыскать древняго перевода книги Сираховой и Маккавейских; потому нашелся вынужденным перевести их вновь и присоединить к прочим исправленным книгам Библии—и вот, племянник этого-то царя—Вахтанг, приступил к печатанию рукописной Библии, доставшейся от дяди (!!). Успел отпечатать только книги пророческие, евангелие, Апостол, Псалтырь, Служебник, Требник, Молитвенник и Часослов“.

აქ, როგორც ვხედავთ, საქმის ვითარება სრულიად თვითნებურად არის წარმოდგენილი, რამაც დასაბამი მისცა სხვების შეცდომებსაც ბიბლიის ტექსტების თბილისის სტამბაში დაბეჭდვისა და მოსკოვის 1743 წ. ბიბლიის ტექსტის დამზადების ისტორიის გადმოცემაში.

როგორც ზემოთ გამოირკვა, არჩილს ვახტანგისათვის მოსკოვიდან არავითარი ტექსტები არ გამოუგზავნია. პირიქით, ვახტანგმა გაუგზავნა მოსკოვს მყოფ არჩილს საქართველოდან ბიბლიის წიგნები (იხ. ზემოთ ვახუშტის ანდერძის მითითებული ადგილი). სწორედ ამ გარემოებით უნდა შეფერხებულიყო ბიბლიის ბეჭდვა ვახტანგის სტამბის ამუშავების პირველ წელს.

საფიქრებელია აგრეთვე, რომ ს. ს. ორბელიანი, რომელიც თავს უყრიდა და ამზადებდა დასაბეჭდად ბიბლიის ტექსტებს, ამ ტექსტების არჩილი-

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი ს ანდერძი, „ქართული წიგნი“. 1, № 33, გვ, 47.

[2] „მოუგზავნა“—ამბობს ვ ა ხ უ შ ტ ი, რომელიც ამ დროს მოსკოვში იმყოფებოდა.

სათვის გადაგზავნის შედეგად იძულებული გახდებოდა ნაწილობრივ მაინც თავიდანვე დაეწყო ერთხელ გაკეთებული საქმე.

ვახუშტის ცნობით არჩილისათვის ბიბლიის „წიგნების“ გაგზავნა იმ წლების ამბავია, როდესაც ვახტანგი იყო ქართლის გამგებლად, გიორგი მეფის მოადგილედ („რომელი იყო მას ჟამსა შინა მოადგილე ბიძისა თჳსისა, მეფისა გიორგისა, ქართლის გამგედ“).

როგორც ვიცით, გიორგი მეფე ავღანელებმა 1709 წლის გაზაფხულზე მოჰკლეს (ვახუშტი, გვ. 111). მაშასადამე, 1709 წელზე გვიან არ შეგვიძლია ვივარაუდოთ ბიბლიის გაგზავნა მოსკოვს.

მეორე მხრით, ვახტანგი ქართლის გამგებლად ოფიციალურად 1703 წლიდან დაინიშნა (ვახუშტი, გვ. 107), აქედან ცხადია, რომ ბიბლიის ტექსტები ვახტანგს არჩილისათვის 1703—1709 წწ. შუა გადაუგზავნია.

არსებული ცნობების მიხედვით ძნელი სათქმელია, სახელდობრ, ბიბლიის რა წიგნები გაუგზავნა ვახტანგმა არჩილს. ვახუშტის მიხედვით, ვახტანგს, თითქოს, გაუგზავნია ყველაფერი, რაც საქართველოში მოიპოვებოდა: „რომელნიცა მუნ (საქართველოში) იპოვებოდა, მოუგზავნა“.

ვახუშტის ანდერძის სხვა ადგილიდან ირკვევა, თითქოს არჩილისეულ ბიბლიის წიგნებს ჰკლებია მხოლოდ მაკაბელთა და ზირაქის წიგნი.

ამავე წყაროდან გავიგებთ, რომ სრული ბიბლია (შევსებული არჩილის მიერ თარგმნილი მაკაბელთა და ზირაქის წიგნებით) ერთ ცალად ყოფილა იმ დროს, როცა მოსკოვში მყოფი ვახუშტი 1741 წ. შეუდგა მის გამართვას და დასაბეჭდად მზადებას:

„ერთ ოდენ იყო წიგნი ესე მხოლოდ“, ამბობს ვახუშტი.

მაგრამ ვახუშტი იმავე ანდერძში აღნიშნავს:

„ფსალმუნი და წინასწარმეტყველებანი და ახალი აღთქმანი მის მეფის ვახტანგის ბრძანებით განმართული და დაბეჭდილნი იყვნენს მისსავე მოღებულს საბეჭდავსა შინა ტფილისისასა“.

აქედან ცხადი ხდება, რომ 1709 წლისათვის საქართველოში ახლად გამართულ სტამბაში დასაბეჭდად მზად ჰქონიათ ბიბლიის გარკვეული ნაწილი, ახალი აღთქმის წიგნები, ძველი აღთქმის ფსალმუნი და წინასწარმეტყველთა წიგნები.

ბიბლიის წიგნების ყველა ხსენებული ნაწილი მართლაც დაბეჭდილია ვახტანგის სტამბაში. ამათგან „სახარება“, „ფსალმუნი“ და „სამოციქულო“, როგორც ვიცით, 1709 წელს გამოვიდა. რაც შეეხება წინასწარმეტყველთა წიგნებს, ბიბლიის ამ ნაწილის დაბეჭდვის თარიღი გაურკვეველია.

თბილისის სტამბის ბიბლიის ის სამი ცალი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, უთავფურცლოა; ყოველი ამ ცალთაგანი 1 გვერდით იწყება და წყდება 407 გვერდზე. შუა ზომის ჩინებული ნუსხური შრიფტით ორ-ორ სვეტად დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა წიგნებს 1—296 გვ. უჭირავს. ძველი აღთქმის მასალა ამ გამოცემაში ამით ამოიწურება. 296 გვერდზე, სადაც ძველი აღთქმის წიგნების ტექსტი მთავრდება, ტექსტის ქვემოთ დარჩენილ თავისუფალ არეზე, ბოლოკაზმულობის ორნამენტული ზოლის ქვეშ, ეკითხულობთ სათაურს:

„განკარგვით რიცხვი ახლისა აღთქმისა თაოვანად“.

აქვე მოცემულია ახალი აღთქმის იმ წიგნების ნუსხა, რომლებიც უნდა დაებეჭდათ ამ გამოცემაში: „სახარება“ (ოთხთავად), „სამოციქულო ეპისტოლენი“, წიგნი „კათოლიკენი“ და „გამოცხადება იოვანესი“.

სინამდვილეში კი ნაბეჭდი ტექსტი ამ მასალის მხოლოდ ერთ ნაწილს შეიცავს და ისიც დაუმთავრებელი სახით არის მოღწეული: მათესა და მარკოზის სახარება—სრულად, ხოლო ლუკას სახარების ტექსტი ოცდამესამე თავის 56 მუხლზე წყდება („და წარვიდეს და მომზადეს საკუმეველი სურნელი და ნელსაცხებელი“). ეს მით უფრო უცნაურია, რომ „სახარებისა“ და „სამოციქულოს“ ამ გამოცემაში სრული სახით დაბეჭდვას წინ არაფერი ეღობებოდა, ვინაიდან თბილისის სტამბამ ეს ტექსტები ჯერ კიდევ 1709 წ. გამოსცა, გასწორებული და შეჯერებული სახით.

ამ ნიშნების მიხედვით ნათელია, რომ თბილისში ბიბლიის არასრული სახით („წინასწარმეტყველთა“ წიგნებისა და „ახალი აღთქმის“ ყველა წიგნის) დაბეჭდვას აშკარად ხელი შეუშალა რაღაც გარემოებამ. გასარკვევია როდის და რა მიზეზით უნდა მომხდარიყო ეს.

როგორც ვთქვით, თბილისის სტამბის ბიბლიის დაბეჭდვის თარიღი უცნობია. ჩვენ ვხედავთ, რომ „წინასწარმეტყველთა“ წიგნები თავიდან ბოლომდის საშუალო ზომის ნუსხურით არის დაბეჭდილი. ასეთი შრიფტი ვახტანგის სტამბას 1709 წელს არ გააჩნდა (იხ. ზემოთ, 1709 წ. „დავითნის“ შესახებ).

საშუალო ზომის ნუსხურით თბილისის სტამბის გამოცემები მხოლოდ 1710 წლიდან იბეჭდება (1710 წლის „კონდაკის“ გე. **რუდ-სი**—194—210). ამის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისის ბიბლიის ტექსტის ბეჭდვა 1710 წ. ადრე არ დაწყებულა.

ბიბლიის ბეჭდვის დაწყებისა და შეწყვეტის თარიღის გასარკვევად საჭიროა ვიცოდეთ ვისი რედაქტორობით იბეჭდებოდა ეს გამოცემა. ჩვენ ვიცით, რომ ვახტანგის ბრძანებით დასაბეჭდი „წიგნების სწორებას“ უმთავრესად ნიკოლოზ ორბელიანი აწარმოებდა (1709 წ.—„სახარება“ და „სამოციქულო“, 1710 წ.—„ეამნი“ და „ლოცვანი“, 1720 წ.—„პარაკლიტონი“, 1721 წ.—„ქმნულების ცოდნის წიგნი, 1722 წ.—ეამნი). იყვნენ სხვა რედაქტორებიც: „გარსევან ყოფილი გაბრიელ, სიონის დეკანოზის შვილი“ (იხ. 1711-სა და 1716 წწ. „დავითნის“ თავფურცლები); „ჭელწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქაელ, რომელმაც „გამართა“ 1712 წლის ორი გამოცემა—„ვეფხისტყაოსანი“ და „დავითნი“; 1710 წლის „კონდაკისა“ და 1711 წლის სახელმძღვანელო წიგნის რედაქტორი გერმანე.

აი, ის ოფიციალური რედაქტორები, რომელთა სახელები მოხსენებულია ვახტანგის გამოცემების თავფურცლებზე.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ვახტანგის სტამბის „სამოციქულოს“ საძიებელს, რომელიც, ეტყობა, მოგვიანებით დაურთავთ ამ გამოცემისათვის, სხვა რედაქტორის ხელი ემჩნევა (ამაზე იხ. ზემოთ).

საყურადღებოა აგრეთვე, რომ თბილისის სტამბის ბიბლია ზოგიერთი ტექნიკური დეტალით ცხადად ენათესავება 1709 წლის „სამოციქულოსათვის“ დართულ „საძიებელს“.

პაგინაცია, ანუ გვერდობლივი აღრიცხვა აქ ჩატარებულია ორგვარი წესით: ქართული ასოებითაც და არაბული ციფრებითაც. არაბული ციფრებითვე არის აღნიშნული ტექსტის მუხლებად დაყოფა; არაბული ციფრებით არის ჩატარებული ბიბლიის წიგნების პარალელური ადგილების მითითება. ერთი სიტყვით, აქ არაბული ციფრები ფართოდ არის გამოყენებული. ბიბლიის ტექსტის დამუშავების წესის წყალობით (მუხლებად დაყოფა, პარალელური ადგილების მითითება მუხლების თანმიმდევრობის აღნიშვნით, საძიებლები და სხვ.) შეიძლება ითქვას, რომ აქ ყოველი გვერდი აჭრელებულია არაბული ციფრების სიმრავლით, რაც განსაკუთრებული თვალსაჩინოებით გვიჩვენებს, რომ ტექსტის გამმართველ-რედაქტორი არაბული ციფრების შემოღების თავგა მოდებული დამცველია.

აი, ამ ნიშნების მიხედვით თბილისის ბიბლია ახლოს დგას 1709 წ. „სამოციქულოს“ დამატებით საძიებელთან („საძიებელი მოწმობანი“), სადაც მუხლობრივი დაყოფისათვის გამოყენებულია არაბული ციფრები. ამ (დამატებითი) საძიებლის ბოლოში კი მოთავსებულია არაბული ციფრების ტაბულა, არაბული ციფრების ფართო პოპულარიზაციის მიზნით.

თავის ადგილას გარკვეულია, რომ 1709 წ. „სამოციქულოში“ დამატებითი საძიებლის ჩართვა და არაბული ციფრების ტაბულის დაბეჭდვა სულხან-საბა ორბელიანის საქმე არის (უნდა გვახსოვდეს, აგრეთვე, რომ ვახტანგის სტამბის გამოცემებში გვერდობლივი სათვალავია აღნიშნა არაბული ციფრებით მხოლოდ ორჯერ იხმარება: 1710 წლის მხედრულ „ჟამნში“ და ბიბლიის ხსენებულ გამოცემაში).

უნდა აღინიშნოს, რომ პ. ინგოროყვა ე. წ. „მცხეთის ბიბლიისა“ (A:51) და თბილისის სტამბის ბიბლიის ტექსტების შედარების შედეგად დაასკვნის, რომ „მცხეთის ბიბლიისა და თბილისის სტამბის ბიბლიის რედაქტორი ს. სორბელიანია“.

ასეთი დასკვნა ჩვენც სავსებით მართებულად ჩავთვალეთ. სინამდვილესთან ახლოა ის მოსაზრებაც, რომ თბილისის ბიბლიის ბეჭდვა მისი რედაქტორის ბედუკუღმართობას უნდა შეეჩერებია[1].

როგორც აღნიშნულია, 1709 წლის „სამოციქულოს“ მეორე, დამატებითი საძიებელი და არაბული ციფრების ტაბულა ანონიმურად არის გამოცემული. რა იყო მიზეზი, რომ სულხან-საბას შრომითა და ღვაწლით დამზადებული ტექსტები 1709 წ. გამოცემაში ყრუდ, უსახელოდ დაიბეჭდა? ამის მიზეზი, უეჭველია, საბას „მართლმადიდებლობიდან“ გადახრა უნდა ყოფილიყო.

ცნობილია, რომ სულხან-საბა რომის კათოლიკური ეკლესიისაკენ იყო მიდრეკილი. ამ დიდი ადამიანისადმი შურით აღძრული „სამღვდელონი“ მარ-

[1] პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა. ჟ. „მნათობი“, 1939, № 4, გვ. 124 და სხვ.

ჯერედ იყენებდნენ მის „კათოლიკობას“ და გააფთრებით დევნიდნენ მას. მაგრამ ვახტანგ მეფის აღმზრდელი და მისა „ბიძად წოდებული“ საბა ვახტანგის პოლიტიკური ძლიერების წლებში (1703—1712) კულტურულსა და საზოგადოებრივ ასპარეზზე მაინც უდიდეს როლს ასრულებს. შორეულ მონასტერში ბერად აღკვეცა (1698 წ.) ვერ აცილებს საბას პოლიტიკურ ამბებში მონაწილეობას. 1710 წლის დეკემბრის 1-ს მას ხვარასანს (ირანი) უხდება წასვლა ვახტანგის ძმის, ქართლის მეფისა და ერანის სპასალარის ქაიხოსროს მოწოდებით. აქედან ის 1711 წ. თებერვალის 20-ს ბრუნდება. შემდგომი 1712 წლის აპრილის 22-ს საბა ვახტანგთან ერთად ისევ ირანს მიემგზავრება და შვიდიოდე თვის შემდეგ უკან ბრუნდება (1712 წლის დეკემბრის 20-ს). 1713 წლის აგვისტოს 17-ს საბა ევროპაში მიემგზავრება ვახტანგის ტყვეობიდან დახსნისა და „ქრისტიანობითვე“ ქართლის ტახტზე დამკვიდრებისათვის 300.000 ეკიუს სესხად აღების განზრახვით.

ხელცარიელი, იმედებგაცრუებული და უაღრესად დატანჯული საბა 1716 წლის ივლისის თვეში ბრუნდება ევროპიდან[1]. რომს წასვლის გამო საბას მთელი ქართველი სამღვდელოება აუმხედრდა:

„ივლისის თვე იყო—ამბობს საბა თავის „მოგზაურობაში“—ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდელონი რომს წასვლის გამო გამიმტერდენ... მერმე სამღვდელოთ მფოთი აღძრეს ჩემზედ. კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს. მაგრამ მეფე (იესე) ვერ აიყოლიეს. სამი თვე კიდევ იბატონა“.

ამგვარად, იესეს მეფობაში (1713—1716) დევნილი საბას მიმართ მისმა მტრებმა—ქართველმა სამღვდელოებამ—„ბოროტის ქნა“ ვერ განახორციელეს („მეფე ვერ აიყოლიეს“).

მაგრამ ერთხელ აღძრული მტრობა წლების განმავლობაში არ დამცხრალა და ბოლოს მაინც თავს დაატყდა საბას; ეს მოხდა იმ დროს, როცა ვახტანგი ჯერ კიდევ არ იყო ირანიდან დაბრუნებული და ქართლის ტახტზე, შაჰის თანხმობით, მამის დაბრუნებამდე ვახტანგის შვილი, ბაქარ იჯდა (1717—1719).

ბაქარი, ვახტანგის ინსტრუქციისამებრ, სასტიკი ზომებით გაუსწორდა ვახტანგის მტრებს. სწორედ ამ რეპრესიების ხანებში იფეთქა საბას მიმართ მტრობამაც. საბა ლმობიერად იხსენიებს ბაქარის არასრულწლოვანებას, როგორც ამ უმადური ჰაბუკის გამამართლებელ საბუთს:

„მეფე ბაქარ დასჯდა მეფედ, ვისთვისაც ესოდენი ჭირი მენახა და ვისაცა მეფობას ვსცდილობდი—ამბობს საბა—ათხუთმეტის წლისა იყო. მოატყუეს მცხეთას[2]. ჩემი სიყვარული და სამსახური სულ დაავიწყეს. კრება მიყვეს და... მე მართლმადიდებლობა ვერ უარ ვყავ და მრავალი ავი მოინდომეს, მაგრამ ღმერთმან ყოვლისაგან დაგვიხსნა“[3].

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა, თბ., 1940, გვ. 152.

[2] იმერეთის ხიზნობიდან დაბრუნებული ბაქარ ჭირიანობის გამო თბილისში ველარ შევიდა და მცხეთას მოვიდა (ვახუშტი, 122).

[3] ს. ს. ორბელიანი, მოგზაურობა, გვ. 152—153.

აქ საბა ზოგადად გადმოგვცემს მცხეთაში მის საწინააღმდეგოდ მოწყობილი „კრების“ ამბავს. ის ცდილობს შეარბილოს ეს ამბები და გასამართლებელი რამ მოუძებნოს ჯაბუკი ბაქარის მონაწილეობას მის დევნაში.

ამ ამბების ზედმიწევნითი თარიღი ჩვენ არ ვიცით. მაგრამ გვაქვს ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც 1718 წელს (ბაქარის დროს) „პატრების საყდარი დააქციეს“[1]. ცხადია, „კათოლიკე“ საბას დევნასაც უკიდურეს გააფთრებამდე სწორედ ამ წელს უნდა მიეღწია.

საბას დევნის საკითხის გასაშუქებლად ჩვენ გვაქვს მეტად საყურადღებო მინაწერები მისი რედაქციით აღდგენილი და შევსებული მცხეთის ბიბლიის ფურცლებზე (A : 51).

პაველ ინგოროყვამ, ამ მინაწერებზე დამყარებით, ჯერ კიდევ ამ 15 წლის წინათ გამოთქვა ოსაზრება, რომ საბას დევნის დროს მისთვის ბიბლიის ხელნაწერი და ნაბეჭდი ტექსტები დაუწვავთ[2] (ნაბეჭდი ბიბლიის დაწვის აზრს ჩვენ არ ვიზიარებთ. ამაზე იხ. ქვემოთ).

მცხეთის ბიბლიის 647 ფურცლის მეორე გვერდზე, მარცხენა ნაპირზე, დასწვრივ, საბას ხელით მიწერილია: „აქამდი დედა დამეწვა, ამოწმეთ!“

მეორე მინაწერი სუფთა, დაუწერლად დატოვებული (თუმცა დასაწერად დამზადებული, დახაზული) 344v-ს მარცხენა სვეტში ნუსხური ხელით არის შესრულებული:

„ღმერთო! წარწყმიდე, ვინც დაბადების წიგნი დააწვევინა საბას!“ ამბობს გადამწერი.

თვალში გვხვდება ამ ორი მინაწერის შინაარსისა და ტონის სხვადასხვაობა: საბას მინაწერში გულდინჯად არის აღნიშნული: „აქამდი დედა დამეწვაო“; თითქოს დაწვის ფაქტი შემთხვევითი უბედურება ყოფილიყოს, რომელსაც პასუხისმგებელიც ვერ მოეძებნება. გულუბრყვილო მკითხველმა ბიბლიის დედნის დაწვა თვით საბას გაუფრთხილებლობასაც შეიძლება მიაწეროს („დამეწვა“).

სულ სხვა განწყობილებითა და სრულიად გარკვეული აზრით არის დაწერილი მეორე მინაწერი. უცნობი გადამწერი აღშფოთებული გულის სიღრმიდან ამონახეთქ წყევა-კრულვას უგზავნის იმას (თუ იმათ?), „ვინც დაბადების წიგნი დააწვევინა საბას“.

ამ მეორე მინაწერის მიხედვით ნათელია, რომ საბას თავზე დასდგომიან და ძალადობით დაუწვევინებიათ მისი ნაამაგარი „დაბადების წიგნი“.

თუ საბას მინაწერი გვაფიქრებინებს, რომ ცეცხლის მსხვერპლი შეიძლება მხოლოდ საძიებლის დედანი ყოფილიყო[3], ლაზარეს მინაწერი ეჭვს არ სტოვებს, რომ საბასთვის დაუწვევინებიათ „დაბადების წიგნი“ (ამის გამო ხომ არ

---

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი, S : 2515.

[2] პ. ინგოროყვას 1934 თუ 1935 წ. წაკითხული მოხსენება სამწუხაროდ არ გამოქვეყნებულა. ამ მოხსენების შესახებ იხ. ილია აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, ტფ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 259, 261.

[3] ილია აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, გვ. 261.

დარჩა სუფთად დასაწერად გამზადებული 344 v, რომელზედაც მეორე მინაწერია მოთავსებული?).

ჩვენ დავინახეთ, როგორი თავშეკავებული სიდინჯით გადმოგვცემს საბა თაეისი დევნის ამბავს „მოგზაურობის“ ბოლო სტრიქონებში. ასეთივე თავშეკავების შედეგია მისი „აქამდი დედა დამეწვა“, რომლის შემდეგ გადამწერის წყევა-კრულვა კონტრასტად გაისმის.

საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის ზედმეტი არ იქნება აქვე მოვიხსენიოთ მესამე მოწმობა ბიბლიის დაწვის („დაკარგვის“) შესახებ, რამაც ჯერ კიდევ 1934 წ. მიიპყრო ჩვენი ყურადღება.

საბას რედაქტორობით გადამუშაევებულ „ქილილა და დამანას“ საბას ხელითვე დაწერილ ტექსტში ჩართულია „ანდერძი სულხან-საბა ორბელიანის, დიდად შეჭირვებულ-შეღონებულისა“. ამ ანდერძის ერთ ადგილას ვკითხულობთ:

„ეს სულხან-საბა ორბელიანი გიორგი მეფის დედის ძმის წული იყო და მისგანვე შვილურად გაზრდილი და განსწავლებული და ვახტანგ მეფისა ბიძად და გამზრდელად წოდებული და დიდად საყვარელი. ამ სოფლის სიმუხთლემ ერთმანეთს მოაშორვა და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი განხეთქილება ჩამოაგდო. მეფე მას და მის ძმათზე უბრალოდ მწყრომელი შეიქნეს და მერმე ეს ბრძანება (ვახტანგის ნათარგმნი „ქილილა და დამანას“ გაჩალხვა-გასწორების) მოუვიდა. უარი აღარ იქნებოდა, თ ვ ა რ ა მ მ ო ნ ა ზ ვ ნ ი ს ა გ ა ნ ა მ ი ს თ ა ნ ა ა მ ბ ა ვ ი უ წ ე ს ო ა და უ რ ი გ ო[1].

შ ა ი რ ი

„მონაზონი საღმრთო წერილს მართებს წერდეს, გინდა ბერი.
ამისთანას სამსაჯურსა მეფისასა ჰყოფდეს ერი“.

როგორც ვხედავთ, ამ ნაწყვეტში ზოგადად არის გადმოცემული ვახტანგსა და საბას შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების ამბავი და ასევე ზოგადად გამოთქმულია საბას ჩუმი საყვედური მისთვის, მონაზვნისათვის, შეუფერებელი საქმის კეთების დავალების გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ მას „საღმრთო წერილს“ არ აწერინებენ. სამაგიეროდ, აქვე, ქვემოთ, საბა სრული გარკვეულობით უჩივის იმ უსამართლობას, რომელიც მას თავს დაატეხეს:

„ბ ე რ ი მ ო ნ ა ზ ო ნ ი რ ო მ მ ო ს ე ს წ ი გ ნ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ ქ ი ლ ი ლ ა და დ ა მ ა ნ ა ს ა კ ე თ ე ბ დ ე ს, ვ ე ჭ ვ ო ბ, მ ე ფ ე ს ა ც გ ა ე ც ი ნ ო ს“. ამბობს იგი. და მით ყოველგვარი ქარაგმების გარეშე აცხადებს, რომ მას მოსეს წიგნზე მუშაობა სურს. მაგრამ ამას არ ანებებენ და ქილილა-დამანას კეთებას ავალებენ.

ქვემოთ საბას მწუხარებისა და უკმაყოფილების მიზეზი კიდევ უფრო მეტი სიცხადით მჟღავნდება:

---

[1] ქილილა და დამანას საბასეული ანდერძის ტექსტი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი, S : 31. კურსივი დედანში არ არის.

„და ბიბლიის უცხო-უცხო ამბების დაკარგვის ცეცხლის კვამლი რა გონებას მოეხვიოს, სადღა დარჩება ცნობა, რომ ეს წიგნი გვარიან და ტკბილად გააკეთოს!“—წერს საბა.

ჩვენ რომ მცხეთის ბიბლიის ორი მინაწერის ცნობა არ გექონოდა: „აქამდე დედა დამეწვა“ (საბა); „ღმერთო! წარწყმიდე, ვინც დაბადების წიგნი დააწვევინა საბას“ (ლაზარე) — შესაძლებელია არც კი დავფიქრებულიყავით საბაა ანდერძის ამ ადგილზე და მისი ჩივილი „ბიბლიის უცხო-უცხო ამბების დაკარგვის ცეცხლის კვამლის“ შესახებ, რომელიც საბას „გონებას ეხვევა“ და „ცნობას“ უკარგავს—მხატვრულ გამოთქმებად ჩაგვეთვალა. მაგრამ როცა თვით საბასეული ბიბლიის მინაწერები, ყოველგვარი ხატვრულობის გარეშე, აღნიშნავს ბიბლიის დაწვის ფაქტს, საბასეული ანდერძის ამ ადგილსაც სულ სხვა შუქი ეფინება. ეს მესამე ცნობა საბოლოოდ გვარწმუნებს, რომ ძალადობა ნამდვილად მომხდარა, რომ საბას თავზე დადგომიან და მისივე ხელით ჩაუყრიათ ცეცხლში ათეული წლების ნაპირნახულევი ბიბლიის „უცხო-უცხო ამბები“.

არსად არ ჩანს, რომ ამ ძალადობის აქტის შემდეგ საბას სრული რეაბილიტაცია მომხდარიყოს. მართალია, საბასა და ვახტანგის ურთიერთობა კვლავ გამოსწორებულა, მაგრამ საეჭვოა, რომ შეცვლილიყოს საქართველოს ეკლესიის მესვეურთა საბას მიმართ განწყობილება.

ამ საკითხების გარკვევა საჭირო იყო თბილისის ბიბლიის ბეჭდვის დათარიღებისათვის. ჩვენ დავინახეთ, რომ 1712 წლიდან მოყოლებული 1716 წლამდე საბა პოლიტიკური ამბების გამო თითქმის განუწყვეტლივ საქართველოს ფარგლებს გარეშე იმყოფებოდა. 1716—1720 წწ. საბა უსასტიკესად დევნილი იყო ოფიციალური ქრისტიანობის მესვეურთაგან და საბას რეაბილიტაცია არ მომხდარა. აქედან ცხადია, რომ თბილისის ბიბლიის 1—447 ფფ. დაბეჭდილი უნდა იყოს 1710—1711 წწ. დანარჩენი ტექსტის აწყობა და ბეჭდვა, უეჭველია, შეწყვეტილია 1712 წლის აპრილში, როდესაც საბა ვახტანგს ისპაჰანს გაჰყვა[1]. ამის შემდეგ საბას სტამბაში დაშვება და მის მიერ ბიბლიის ტექსტების ბეჭდვის გაგრძობა შეუძლებლად მიგვაჩნია.

საკითხავია—დასწვეს თუ არა საბას დევნის დროს „ბიბლიის“ დაბეჭდილი ნაწილი? ვფიქრობთ, რომ არა.


კრება, რომელზედაც საბას ბიბლია დაუწვევინეს, მცხეთაში მოხდა. ამ კრებაზე, როგორც ჩანს, წარდგენილი იყო ბიბლიის დედნები, მაშასადამე, ხელნაწერები (იხ. საბას წინაწერი: „აქ დედა დამეწო“), ე. ი. სწორედ ხელნაწერი დედნები, რომლებზედაც საბა იმ დროს განაგრძობდა მუშაობას.

არსაიდან ჩანს, რომ ასეთი ბედი სწვეოდეს ბიბლიის დაბეჭდილ ნაწილსაც, რომელიც თბილისის სტამბაში უნდა ყოფილიყო ჩარჩენილი.

---

[1] თბილისის სტამბის ბიბლიის 1710—1711 წწ. დაბეჭდვას მოწმობს აგრეთვე ნაბეჭდი ტექსტის მაღალი ტექნიკური ღირსებები, რის მიხედვითაც ეს გამოცემა შეიძლება დავაყენოთ 1710—1711 წწ. საუკეთესო გამოცემების (კონდაკი, ჟამნი და სხვ.) გვერდით.

აიათი ანუ ქმნულების ცოდნის წიგნი. თბ., 1721. თაეფურც.



ჟამნი. თბ., 1722. თავფ. ვახტანგის სტამბის უკანასკნელი გამოცემა

ეს ზეკლები უოვლის კვირაჭალს შეადგინის თქვით:

საკიოლ შესავედრებელიო ქრისტ
იანეთაო ურცხუნეველიო შუამდგ
ომელიო ღმბადებელისა მიმართ მი
თვალულიო შენწუარებულიო ნუ
უგუ

ღერბის ახალი ვარიანტი 1722 წ. გამოცემაში

ამ ვარაუდს ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ვახტანგის სტამბის ბიბლია შემდგომ გამოცემაში არათუ მანკიერად არ იყო გამოცხადებული, არამედ ცნობილი იყო განსაკუთრებული ნდობის ღირსად (იხ. მოსკოვის ქართული სტამბის 1741 წლის „მარხვანისა“ და 1743 წ. „ბიბლიის“ ანდერძები. მასვე მოწმობს ხსენებული ბიბლიის სამი კარგად დაცული ცალის არსებობა თბილისის წიგნთსაცავებში და ამ გამოცემის ფურცლების სიმრავლე ხელნაწერების ყდებზე).

სულხან-საბასეული ბიბლიის წინასწარმეტყველთა წიგნების ტექსტი პირველაპირ მომდინარეობს მე-12—13 საუკუნის ხელნაწერი ბიბლიიდან, რომელიც მეცნიერებაში „გელათის ბიბლიის“ სახელით არის ცნობილი[1]. თ. ჟორდანია თავისი ქრონიკების II წიგნში გაკვირვებით აღნიშნავს, რომ ეს ძველი ხელნაწერი ტექსტი, წინასწარმეტყველთა წიგნებიდან მოყოლებული, დაყოფილია მუხლებად და თავებად მე-17 ს. ხელით.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მუხლებად დაყოფა არაბული ციფრებით არის გაკეთებული და დამყოფელის ხელი სავსებით შეესატყვისება A : 51 ხელნაწერის რედაქტორის სულხან-საბას ხელს. საბას, ეტყობა, სრული ნდობით შეუხედავს ამ ტექსტისათვის და თავის ნაბეჭდ გამოცემაში დედნის ტექნიკური საყურადღებო წესიც კი თითქმის უცვლელად დაუცავს. დაახლოებით ამ სახითვეა გადაბეჭდილი წინასწარმეტყველთა წიგნების ეს ტექსტი თბილისის ბიბლიიდან მოსკოვის 1743 წლის ბიბლიაში.

როგორც ვიცით, მოსკოვის ბიბლიაში გადაბეჭდილია აგრეთვე საბასეული „მცხეთის ბიბლიის“ (A : 51) „საძიებელნი მატიანეთანი“ ანუ სიმფონია. შემთხვევაში ჩვენ არ გვაინტერესებს ამ საძიებლის თავდაპირველი წარმოშობის საკითხი[2]. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სულხან-საბა, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ბიბლიის ხელნაწერსა და ნაბეჭდ ტექსტებსა და მათ საძიებლებში ფართოდ იყენებს არაბულ ციფრებს. დაახლოებით 30 წლით გვიან, მოსკოვში დაბეჭდილ ბიბლიაში კი (1743) არაბული ციფრების ხმარებას ვეღარ ვხედავთ; გვერდების, მუხლების, საძიებლებისა და ა. შ. სათვალავი ყველგან მხოლოდ ქართული ასოებით აღინიშნება.

ბაქარისეული ბიბლიის ეს განსხვავება ვახტანგის სტამბის 1709 წლის „ამოციქულოს“ „საძიებლისა“ და სულხან-საბა ორბელიანისეული ბიბლიის ხელნაწერ და ნაბეჭდ ტექსტებთან შედარებით, რამდენადაც საქმე ერთისა და იმავე ტექსტების გამოქვეყნებას შეეხება, ერთხელ კიდევ გვიჩვენებს რამდენად საინტერესო ყოფილა ვახტანგის კულტურული ეპოქა და მისი ერთ-ერთი უკეთესო წარმომადგენელთაგანი სულხან-საბა ორბელიანი.

[1] ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, A : 1108.

[2] ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, გვ. 259, 261.

9. ადგილობრივი

1. **სახარება.** ტფილისი, 1709.

[6], **ტბ** [= 302] გვ., 1 დართ. ფ.; 26,5 × 18,5; მსხვილი ნუსხახუცური შრიფტით, გვერდებზე ორ-ორ სვეტად განაწილებული; დაყოფილია თავებად და მუხლებად, სათვალავის ქართული ასოებით აღნიშვნით; სასტამბო საღებავად გამოყენებულია მხოლოდ შავი.

თავფურცელი შემკულია ორმაგი ორნამენტის ჩარჩოთი და ფოთლოვან-ყვავილოვანი თავკაზმულობით, ღვთისმშობლის, ქრისტესა და ნათლისმცემლის ოვალური ხატებითურთ; მსგავსივე თავკაზმულობით მორთულია სახარების ოთხივე თავის პირველი ფურცლები. ტექსტში უხვადაა ჩართული ორნამენტები, თავკაზმულობანი, ინიციალები და ილუსტრაციები.

ბოლოში, ცალკე, დართულია სქელ სახატავ ქაღალდზე შესრულებული ვახტანგის პორტრეტის პირველი ვარიანტი.

სახარების ყოველ ცალკე თავს წინ უძღვის „შესხმა სოფრონის მიერ“ თითოეული მახარებლისა (05 г, **იტ, რიდ, რპთ** გვ.) და შესხმანი, დაწერილნი **დოროთეს** მიერ (**ჲთ, რიე, რჟა** გვ.).

ოთხთავი სახარების ტექსტს დართული აქვს: 1. ნ. ორბელიანის მიერ შედგენილი „საძიებელი“, რომელიც, მისი განცხადებით, „არც ერთს ენაში არ იყო“ (**სმზ — სოდ** გვ.).

2. „თეეთა მეტყველებანი“ (**სოდ—სჟთ** გვ.).

3. „საძიებელნი წმიდათა მამათა ჩვენთა, ქართველთა მნათობთა, ათორმეტთა ასურეთით ღ˘თისაჲ მიერ მოვლინებულნი (!)“ (გვ. **სჟთ—ტბ**).

თავფურცელი:

„სამღთო და სამღდელო სახარება.

აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა ჟამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა უფლისა უფლისა გიორგისა იესიან-დავითიან სოლომონიანისსა.

შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა მართლმადიდებელისა და განათლებულისა საქართველოს განმგებელისა ბატონისშვილისა თეით უფლისა ვახტანგ ლევანის ძისათა.

გაიმართა წმიდაჲ ესე ჴელითა ნიკოლ˘ოზ მღდელმონაზონისა **ორბელის**შვილისათა.

ჴელითა მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილისა უნგროვლახელისა.

ქალაქსა ტფილისისასა.

ქ˘კსა: ქრისტეს აქეთ: ათას შვიდას და ცხრასა.

ვახტანგის ანდერძი:

„სადიდებელად წმიდისა სამებისა, მე, გვარტომობით, ძირმოდგმობით დავითიანმან, ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან, ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოანის ქართველთა მეფისა გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნისა ლევანისაჲან და განმგებელმან ქართლისამან, ბატონისშვილმან ვახტანგ მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საჭსრად სულთა წინათქმულთა მეფეთასა და მამისა და დედისა ჩემისა; სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა და ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად".

მესტამბის **უნგროვლახელის** ანდერძი:

„ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ!

პირველად მიზეზი უცხოსა ამის საქმისა და ძალითა ღ[თისათა უცონელად შემასრულებელი სტამბისა ამის სამკვიდრებელსა თქვენსა იქმნა კურთხევით ჯსენებული განათლებული და გამგებელი საქართველოსა ბატონიშვილი და თვით პატრონი ვახტანგ, ღ[თისმოყვარენო და ყოვლად შვენიერნო მკვიდრნო საქართველოსანო! ხოლო ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან—ასონი, ორღანონი და ყოველნი საჭმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდე, მოქმედი და წინამძღომელი მე ვარ, უნდო მონა თქვენი. უწინარეს ყოველთასა დავბეჭდეთ ესე საღ[თო და სამღდელო წ[ჲ სახარება. სიმდაბლით გევედრები თქვენ ყოველთა, დიდთა და მცირეთა—უკეთუ ცთომილი რაჲმე იხილოთ, სიტყვა ანუ ასო, ნუ გამჭირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყანისა ამის და უსმენელი სიტყვათა თქვენთა და რომელნი ჩემნი მოწაფე იყვნენ, ეგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის ჩემისა. ვითარცა მე ვიყავ ქართლის უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა. გლოცავ თქვენ, შემინდევით სულიერითა სიყვარულითა, რათა თქვენცა მოგიტევნეს უფალმან, ვითარცა ბრძანებს: „მიუტევენით და მოგეტევნეს თქვენ".

ლუკა ვ[: ლჯ.

მდაბალი ამათ მბეჭდავთაგან მესტამბე მჭურვალითა გულითა ვმუშაკობ მოსამსახურე თქ[ნი მიხაელ სტეფანეს შვილი უნგროვლახელი".

რედაქტორის **ნიკოლოზ ორბელიანის** ანდერძი:

„ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილმორწ[ეუნის მეფის არჩილისა და სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე ლევანისა ღ[თისმოყვარე, განათლებული ვახტანგ, იგულსმოდგინა და მოიღო სტამბა ვლახეთით, რო-

მელ არიდეს ყოფილიყო საქართველოში. და ჯელით წერაში ჩვენი საღ[თონი წერილნი განრყვნილიყო. და მე, დედის ძმისწულსა ამა მეფეთასა და მოსამართლეთუხუცის ორბელის ძეს, ცოდვილს მღდელმონაზონს ნიკოლ[ოზს მიბრძანა წიგნების გასწორება და ვერ ურჩვექ[ვენ. და ეს წმიდა სახარება დიდის ჰირითა.ბერძენთა დაბეჭდი[ლ]ს სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტნაკლები გავმართე. და ეს საძიებელი არცერთს ენაში არ იყო; სიადვილისა და ადრე პოვნისათჳს ახლა მე გავაკეთე. და თუ გულის ჴმაჲ ყოფთ, დიაღ ადვილია. თავისა და მუხლების ანგარიში ნაპირზე უსხეთს და სხვა ნიშნები შიგ ჩართულია. და საძიებელი სწორად იქ მიასწავებს და მას მიჰყევით.

ვინც ჩემნი ნაშრომი წიგნები ნახოთ, ღ[თის სიყვარულისათჳს, შენდობას მიბრძანებდეთ. მე დიდად შემეწევის და თქუ[ნ უზრუნველ იქმნებით.

საძიებელი მუჴლები რომ მიგასწავებს, თავის აღება მისწავებულს მუჴლს ქვევით არის და ბოლოს მოღება მისწავებულს მუჴლს ზეით არის ნიშნები".

ხაჯარო; უნივერს.; საქართ. მუზ.; ქუთ. მუზ.; სალტიკოვ-შჩედრ.[1]

2. **დავითნი.** ტფილისი, 1709.

თ—სჟე[= 9—295] ფ.; 11 × 8; უთავფურცლოა; აკლია წინა რვა ფ. და ფფ. შიგნითაც და ბოლოშიაც; მრავალი ფ. ნაშთის სახით არის მოღწეული და უხეშად რესტავრირებულია; დაბეჭდილია მსხვილი ნუსხა-ხუცურით (1709 წ. სახარებისა და სამოციქულოს შრიფტი).

შემკულობანი ზედმიწევნით ისეთივეა, როგორიც 1709 წლის სახარებისა და სამოციქულოსი; წიგნის ნაკლულოვანების გამო შემკულობანი გაცილებით უფრო მცირე რაოდენობისაა. იხ. **რკგ, რო, რპბ, რჟდ, სზ, სლგ, სმგ, სნზ, სჲთ** ფფ., სადაც სამკაულად და სატიხარად გამოყენებულია ერთი და იგივე ორნამენტი, ხოლო ორნამენტის მეორე სახე იხ. **სჲზ, სჟდ** ფფ-ზე.

ამგვარად, ამ გამოცემაში სამკაულის (ორნამენტის) მხოლოდ ორი სახე გვაქვს[2].

იწყება: „..... კანონი ა.[ფსალმუნი ვ, მუხ. ი—ობ. არა მოავლი]ნის რისხვაჲ მისი მარადღე.

არათუ მოიქცეთ: მახჳლი მისი ლესულ არს. მშჳლდსა მისსა გარდაუცვამს და განუმზადებიეს იგი..." თ—სჟგ ფ.

[1] ვახტანგის სტამბის წიგნების დაცულობის დადგენისას ობიექტებად აღებულია იგივე წიგნთსაცავები, რომლებიც 1939—1940 წწ. (იხ. „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. I", ჩვენი „შესავალი". თბ., 1941). აღწერილობაც მისდევს ამავე „შესავალის" XXXI გვ. აღნუსხულ წესებს.

[2] ამ მონაცემების მიხედვით 1709 წ. დავითნი, იმ სახით, როგორითაც მას ჩვენამდე მოუღწევია, სწორედ „ღარიბად დაერთფეროვნად არის შემკული" და პატივცემული შ. კვასხვაძის ძახილისა და კითხვის ნიშნები სრულიად უადგილოა ჩვენი აღწერილობიდან უხვად ამოკრეფილი ტექსტის ბოლოს. იხ. შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1952, გვ. 95.

შენიშვნა: 1. „დავითნის“ ტექსტს დართული აქვს ფსალმუნთა კითხვის წესი:

„ვითარ ჯერარს, რათა იკითხვდენ დავითს ყოველსა წელიწადსა შინა“ (**სჟდ**).

წყდება: „ვიწყებთ დავითს ყოველსა კვირიაკესა და ყოველსა დღესა ცისკ.“ (გვ. **სჟე**).

ერთადერთი ცალი დაცულია უნივერს., N F: 146-ით.

3. **სამოციქულო**. ტფილისი, 1709.

[4], **უმბ** [= 442] გვ.; 27 × 19; დაბეჭდილია მსხვილი ნუსხა-ხუცური შრიფტით, შავითა (ტექსტი) და წითელი საღებავით (ეს უკანასკნელი ნახმარია თავფურცელზე და საძიებლებში); თავფურცლის გაფორმება ისეთივეა, როგორიც პირველნაბეჭდი სახარებისა.

თავფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია ბაგრატიონთა ღერბი. ღერბის ქვემოთ, მრგვლოვანი შრიფტით, „იგავთა“ ლექსი. ტექსტში ჩართულია მოციქულთა სურათები და სხვა ილუსტრაციები, ორნამენტები, თავკაზმულობანი.

[422] გვ. მოთავსებულია ვახტანგის პორტრეტი.

ტექსტი დაყოფილია თავებად და მუხლებად.

თავფურცელი:

„**სამღთო და სამღდელო სამოციქულო**. აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა: ჟამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა უფლისა უფლისა **გიორგისა**, იესიან-დავითიან სოლომონიანისსა.

შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა მართლმადიდებელისა და განათლებულისა საქართველოს განმგებელისა ბატონისშვილისა თჳთ უფლისა **ვახტანგ ლევანის ძისათა**

გაიმართა წმიდაჲ ესე ჴელითა ნიკოლ᷾ოზ მღდელ მონაზონისა **ორბელისშვილისათა**.

ჴელითა **მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილისა უნგროვლახელისა**.

ქალაქსა ტფილისისასა.

ქკ᷾სა: ქრისტეს აქეთ: ათას შვიდას და ცხრასა.

ბაგრატიონთა ღერბის ქვეშ მოთავსებული

„**ბეჭდის იგავი**:

„გასინჯეთ ბეჭდის იგავი, მსმენნო, ნუ გაქვან წყინება.
ფსალმუნთ ქნართ ცემა დავითის, თუმც რაზედ იყო სმინება—
ქრისტესა მოასწავებდა, ვინ დაჰსნა ცრემლთა დინება
და დავითის ტომით ჯორცთ შესხმა თუ ვითარ მჴსნელმან ინება.
ამ შურდულითა დავით სძლო გოლიათს, არ თუ ზავებდა.

ლომნი ტახტისა სოლომონს შჯდს სიბრძნეს მოუსწავებდა.
მჴსნელი, ვინ აღთქმას უდებდა, ქმნილთ ეგრე გაუთავებდა
და ვით ძალედვა და შეჰგვანდა, მის მტერზედ ეგრე დაევებდა.
როს მჴსნელმან სათნო იჩინა ქალწულის მუცლადღებანი,
მით უყო წარმართთ ყოველთა ამ საქმით განათლებანი.
ჯვარცმით გაჴოჴსნით ყოველთ სულთა იყო მის ქმნისა ნებანი
და განკურნა წყლულნი უწამლო, რომელი გუჱირდა სნებანი.
ოდეს უქსოვა ქალწულმან მჴსნელს კვართი, ქსელით გდებული,
იგი ელიოზს წილად ხუდა, მოვიდა ქართლად რებული,
სად არის სახლად უფლისად სჳეტი ცხოველი გებული
და აქა ძეს ჩუჱნთჳნ სულთა ჴსნად, კურნებად იმედებული.
ქართველთ მეფენი დავითის გვარტომით, მოდგამობითა,
თჳთ ყოელადწმიდა უბიწო არის მათ ძირთგან შობითა.
ვართ მისთჳნ წილად ხდომილნი და მისის იჴედობითა.
ამად არ ვიქმნათ უხილველთ მტერთაგან ლახვარსობითა.
სტამბას ბეჭდევდენ ფრანგნი და რუსნი და მერმე ვლახელნი.
აქ არსად იყო აროდეს, ვერ ეპოვეთ მისნი მნახველნი.
გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მსახველნი
და ეს ბეჭდა ხოსრო მეფის ზე. გაცუდდენ ყოვლნი მჩმახველნი.

ვახტანგის ანდერძი იგივეა, რაც 1709 წ. პირველნაბეჭდი სახარებისათვის წამძღვარებული ანდერძი, იმ განსხვავებით, რომ აქ ვახტანგის დედა სახელდებით მოიხსენიება: „საჴსრად სულთა წინათქმულთა მეფეთასა და მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათჳს...“

რედაქტორის ნ. ორბელიანის ანდერძი:

„ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილმორწმუნის მეფის არჩილისა და სახელოვანის ბეფის გიორგისა და ძე ბატონის ლევანისა ღ[თის]მოყვარე, განათლებული ვახტანგ, იგულსმოდგინა და მოიღო სტამბა ელახეთით, რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოში და ჴელით წერაში ჩვენი საღ[თონი] წერილნი განრყვნილიყო. და მე, დედის ძმისწულსა ამა მეფეთასა და მოსამართლეთუხუცეს ორბელის ძეს, ცოდვილს მღდელმონაზონს ნიკოლ[ოზს მიბრძანა წიგნების გასწორება და ვერ ურჩექმენ. და ეს წმიდა სამოციქულო და იოანეს მოხილვა დიდის ჰირითა ბერძენთა ბეჭდის სამოციქულოთა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტნაკლები გავმართე. და ეს საძიებელი არცერთს ენაში არ იყო; სიადვილისა და აღრე პოვნისათჳს ახლა მე გავაკეთე და თუ გულისჴმაყოფთ, დიაღ ადვილია და ამის სწავლება საძიებელის თავს არის, იქ იძიე.

ვინც ჩემნი ნაშრომი წიგნები ნახოთ, ღ~თის სიყვარულისათჳს, შენდობას მიბრძანებდეთ. მე დიდად შემეწევის და თქუ~ნ უზრუნველ იქმნებით". უმბ გვ.

შენიშვნა: 1. როგორც ნ. ორბელიანი აღნიშნავს, აქ სამოციქულოსთან ერთად მოთავსებულია „იოანეს მოხილვაც", სათაურით: „გამოცხადება იოანე მოციქულისა".

2. ამ გამოცემის („სამოციქულო" და „იოანეს მოხილვა") მასალის თავისებურების გამო საჭიროა მისი შედგენილობის დაწვრილებით აღნუსხვა, გამოცემაში დაცული თანმიმდევრობით:

I. თავფურცელი (აუნუსხავი I გვ.).

II. ბაგრატიონთა ღერბი და მის ქვემოთ: „იგავთა" ლექსი (აუნუსხ. II გვ.),

III. ვახტანგის ანდერძი (III აუნუსხ. გვ.).

IV. სულიწმიდის მოფენის გრავჳურა, ვახტანგისათვის ვედრების ასომთაერული წარწერით: „ქ. სულო წმიდაო და სახიერო! მეოხ ეყავ ბატონიშვილს ვახტანგს" (IV აუნუსხ. გვ.).

მსგავს წარწერებს მრავალ გრავჳურაზე ვამჩნევთ.

V. „საქმე მოციქულთა, თავი პირველი". ა—სჟ (1—290) გვ.

VI. „გამოცხადება იოანე მოციქულისა". სჟბ—ტკთ (292—329) გვ.

VII. „საძიებელი წმიდისა სამოციქულოსი". ტლ—ტობ (330—372) გვ.

VIII. „თავენი". ტოგ-უკა (373—421) გვ.

აქ, უკა გვერდის ტექსტის ბოლოს: „განსრულდა... დაიბეჭდა ქალაქსა ტფილისისასა. ჴელითა მესტამბე მიხაილ უნგროელახელისათა". (აღნიშნულია დაბეჭდვის თარიღიც).

IX. ვახტანგის პორტრეტი. უკბ (422) გვ.

X. „**საძიებელი მოწმობა.** — წამებანი ქრისტესითგან მოციქულთაგან ახალსა აღთქმასა შინა მოკლედ ძველისა აღთქმისაგან ჩართული..." (უკგ—ულე) გვ.

ქვემოთ, ორ-ორ სვეტად დაბეჭდილია **საძიებელი მოწმობა** (იხ. ზემოთ, გვ. 186—187).

XI. „ნულა და ქართული რიცხვი თან ჩართული". ულვ (= 436) გვ. ინდურ-არაბული ციფრების ტაბულა, შესატყვისი ქართული ასოებითურთ.

XII. „გამართვა შეცთომილთა სამოციქულოთა". ულზ—უმა (= 437—441) გვ.

XIII. რედაქტორის ნ. ორბელიანის ანდერძი. უმბ (= 442) გვ.

ხაჯარო; უნივერს.; საქ. მუზ.; ხალტიკოვ-შჩედრ.; საკავშ. აკად.

4. **კონდაკი**. თბილისი. 1710.

08, სი |= 210|, [2] გვ.; 20 × 16; შრიფტი: ძირითადად ნუსხა-ხუცური (მსხვილი, საშუალო ზომისა და წვრილი), მრგვლოვანის, მხედრულისა და ბერძნულის გარევით; სასტამბო საღებავი: შავი და წითელი.

მდიდრულად გაფორმებულია: ილუსტრაციებით, ორნამენტებით, თავბოლოკაზმულობით; თავფურცლის მეორე გვერდზე — ბაგრატიონთა სამეფო ღერბია მოთავსებული.

წიგნის უკანასკნელ ფურცელზე — ვახტანგის პორტრეტი.

თავფურცელი:

„**კონდაკი**

რაოდენიცა სწერია ამას შინა:

პირველი — წესი და რიგი, ვითარ უკმსთ მღდელთა და დიაკონთა მსახურებასა ზედა, და განგება მწუხრისა, და ცისკრისა, და სამნი კონდაკნი: წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა და დიდისა ბასილისა და გრიგოლი დიოლოღოსისა (რომელსა ეწოდების სიწმიდის განახლება). კიდევ კურთხევ[ა]ები: წიგნისმკითხველისა და მგალობელისა და კერძო დიაკონისა და მღდელისა და მღდელთმთავრისა და დღესასწაულთა,

ერის განტევება და ჩამოლოცვანი შჯდეულთა
დღეთა და დღესასწაულთანი.

აწ ახალი დაბეჭდული ქართულ-
სა ენასა ზედა.

ჟამსა ამაღლებულისა მეფისა უფლისა უფლისა
ქაიხოსრო სსა.

შრომითა და წარსაგებელითა საფასეთათა
განმგებელისა მისისა ბატონისშვილის უფლისა უფლისა
ვახტანგისა.

გაიმართა ჴელითა გერმანე მღდელმონაზონისათა
ჴელითა მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილისა
უნგროვლახელისა.

ქალაქსა ტფილისისასა.
ქ[ს] აქეთ ჩღი.

ბაგრატიონთა ღერბის ქვეშ მოთავსებულია „ბეჭდის იგავის“ (იხ. № 3 სამოციქულოს აღწერილობა) II და V სტროფი:

„ამ შურდულითა დავით სძლო გოლიათს...“

ვახტანგის ანდერძი:

„სადიდებელად წმიდისა სამებისა, მე, გვარ-ტომობით, ძირ-მოდგმობით დავითიანმან, ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან, ძმისწულმან ქიბულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა

გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან, განმგებელმან ქართლისამან, ბატონისშვილმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ელახეთით და გავაკეთე სტამბა, საჭირად სულთა წინათქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათჳს, სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა, ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად".

ქვემოთ მოთავსებულია მესტამბის მიმართვა მკითხველთადმი, დაბეჭდილი მხედრული შრიფტით. მიმართვა თავდება მოწოდებით:

„ჴსენებასა ჰყოფდეთ და ილოცვიდეთ სიმრთელისა და ცხოვრებისათვის ამის საფასეთა წარმგებელისათვის და გამმართველისა და დამბეჭდველისათვის. და უკეთუ იხილოთ რამე სიმრუდე და ნაკლულევანება სიტყუათა, ანუ ასოთა, სიმშვიდით გამართევდით და ჩვენთვის ძვირს ნუ ზრახავთ—რამეთუ, ვითარცა ვერვის ძალუც ცისა ხილვად, უკეთუ კნინოდენცა არა იპოვებოდეს ღრუბელი, ეგრეთვე ვერ ძალუც კაცობრივსა ჴელსა საქმედ, თვინიერ ცთომილებისა რასამე. და ცოცხლებითამც ხართ".

მესტამბეთა ლექსის ქართულად გადმოცემული შინაარსი (ტექსტის ბოლოს), რუმინული ლექსის ზემოთ:

„ქ: ვითარცა უცხონი იხარებენ ხილვასა ზედა თვისთა სამკჳდრებელთასა და ზღუათა შინა მავალნი—ხილვასა ზედა ნავთსაყუდელთასა, ეგრეცა მესტამბენი იხარებენ განსრულებასა ზედა წიგნთასა".

იქვე მოთავსებულია მესტამბეთა ლექსი რუმინულ ენაზე, ქართული მხედრული ასოებით დაბეჭდილი (იხ. ფოტო-პირი № 10).

საჯარო: უნივერს.; საქ. მუზ.; ქუთ. მუზ.

5. **ჟამნი**. ტფილისი, 1710.

385 გვ.; 9,1 × 6,5; მხედრული შრიფტით; პაგინაცია—ინდ.-არაბული ციფრებით; უთავფურცლოა, იწყება მესამე გვერდით.

შემკულობანი: სამების გრავიურა (გვ. 4); ყოველ გვერდს შემოვლებული აქვს ორნამენტის ამოია; გადასატანი სიტყვა ყოველი გვერდის ბოლო ნაპირზე ნუსხა-ხუცური შრიფტით არის დაბეჭდილი.

თავნაკლულ „ჟამნს" ფურცლები შიგნითაც აკლია: 108—109, 182—183, 188—189, 234—237 გვ.; აკლია აგრეთვე ბოლო ფურცლები, 7—8 ფ. დახეულია. პირველი ათეული ფფ. კიდეები დაზიანებულია, პაგინაციაში შეცდომებია: 96-ს მისდევს 100 გვ.

იწყება თავფურცლის ბოლო სტრიქონებით:

„[ჴელითა] მესტამბე მიხაილ სტ-
ეფანეშვილისა უნგ-
როვლახელისათა:
სარგებელად ქრისტ-
იანეთა სულისათვის:

ქალაქსა ტფილი-
სისასა:
ქრისტეს აქეთ: ჩ˘ღი:“
ტექსტის დასაწყისი:
„შემოკლებულ[ი] ღამისა და დღისა ლოცვა. რაჟამს აღდგეს „ქრისტია-
ნე ძილისაგან, თქვას...“ (გვ.5).

ცნობილია 1710 წლის მხედრული ჟამნის სამი ცალი: აქედან ორი დაცულია ი. სტალინის სახელობის თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში (ყოფ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისეული ფონდისა).

აქ აღწერილი ცალი ერთი უკეთ დაცულთაგანი არის.

მესამე ცალი — ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ბიბლიოთეკისა, მეტად დეფექტურია.

6. **ჟამნი**. თბილისი, 1710.

08, **უკა** [= 421], [3] გვ.; 12 × 8; წვრილი ნუსხა-ხუცური შრიფტით, მხედრულის გარევით (გვ. 07, **ტნდ**); ინდურ-არაბული ციფრებით აღნიშნულია თარიღი (**ტნდ** გვ.).

თავფურცელი „ჩვეულებრივი შემკულობით გაფორმებულია სწორედ იმგვარადვე, როგორც ამავე წელს გამოცემული „ლოცვანისა“. თავფურცლის მეორე გვერდზე—ბაგრატიონთა სამეფო ღერბი, წარწერით: „წყალობითა ღ˘თისათა, იესეან-დავითიან-სოლომონიან მეფე ქაიხოსრო ყოველის საქართველოსი“.

წიგნის ბოლოში მოთავსებულია ვახტანგის პორტრეტი; ტექსტში ჩართულია გრავიურები და შემკულობანი.

გამოცემულია იშვიათი მოხდენილობითა და გემოვნებით.

თავფურცელი:
„ჟ ა მ ნ ი.
აწ ახალი დაბეჭდ[ი]ლი ქართულს ენასზედა.
ჟამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა მეფისა უფლისა უფლისა **ქაიხოსროსსა**.
შრომითა და წარსაგებელითა საფასეთასა განმგებელისა მისისა ბატონიშვილისა უფლისა.
ვახტანგისა.
გაიმართა ჴელითა ნიკოლ˘ოზ
მღდელმონაზონის ორბელის-
შვილისათა.
ჴელითა მიხაილ სტეფანეს
ძისა უნგროველახელისათა.
ქალაქსა ტფილისისასა. ქრი-
სტეს აქეთ **ჩღი**“.

ვახტანგის ანდერძი იგივეა, რაც 1710 წ. „კონდაკში“ (იხ.).

უნგროველახელის მიმართვა მკითხველთადმი:

„ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ! ეჰა, საყვარელნო მკითხველნო, რომელთა დაგიდებ თქვენ სულიერსა ტრაპეზსა, არა ლიტონად და ჴორციელად შემზადებულსა თჳთოსახეთა სანოვაგეთაგან, საზრდელად ჴორცისათვის მორეწილთა, რომელსა მიიღებენ კაცნი, ჴორცთა შინა მყოფნი და მცირედ ჟამ დაუტკბების სასა და კვალად მცირედღა და შიასვე[!] და უკეთუ მიიღის საზრდელი, უძლურ იქმნის მუცელი. სიკვდილი მოიწიის მასზედა. არამედ ტრაპეზსა ვიტყვი სულიერსა, ჭეშმარიტსა და სრულსა და ყოვლის კეთილით, სიმდიდრით აღსავსესა და მრავალფერად ნაყოფიერსა, შუ\ნიერად შემკობილსა, მომზადებულსა, რომლისაგან რაზომცა მრავლად ვსჭამოთ, კ[ვ]ლა]დ გსურისთ მისაღებელად, გზრდისთ სულიერად, გკურნებსთ და.განგაძლიერებსთ. ხოლო არს ტრაპეზი იგი სულიერი ჟამნი ეს, რომელსა ჰქონან თავსა შორის თჳსსა ლოცვანი განსანათლებელნი სულთანი. რომლისა შუ\ნის მართლ_მადიდებელთა ქრისტიანეთა, რათა გულსმოდგინეთ იღოცვიდენ, რომელიცა ახლად დაგვიბეჭდავს თქვენ, ქართველთა ენასა ზედა. ჟამსა და მეფობასა ამაღლებულის მეფის უფლისა უფლისა ქაიხოსროსსა. შრომითა და წარსაგებელითა სასურველისა ძმისა და გამგებლისა მისისა უფლისა უფლისა ბატონისშჳლის ვახტანგისათა, რომელიცა დიდად დაშრა და იღვაწა შესამკობელად სამკჳდრებელისა და ნათესავისა თქ[ვე]ნისა ყოელის თჳთოეულის საღმრთოსა საქმითა და უმეტესად საეკლესიოსა და სულიერისა სასარგებლოდ. თქვენ განგამდიდრათ, ვინ ცა თქვენთვის ნებავს მოგება საუნჯისა ამისგან სიმჭურვალითა გულისათა და სიმდაბლითა სულისათა. გიჴმსთ თქვენცა, რათა იღოცვიდეთ, თჳნიერ უდებებისა, ცხოვრებისა თქვენისათჳს და განძლიერებისა და დღეთა სიგრძისათვის ზემოთ ჴსენებულთა ქველის მოქმედთათჳს. და რომელიცა ფრიად დაშრა და წარაგო საფასე, მისთვისაცა. ეგრეთვე მომიჴსენებდეთ მეცა, რომელიცა დავშერ და ვიღვაწე დაბეჭდვასა ამის ჟამნისასა. და რაოდენიცა იხილოთ წიგნსა ამას შინა ნაკლულეანი, უდრტვინველად გა[ნ]მართეთ და შენდობა ყავთ ჩემთვის, რათა თქვენცა მიიღოთ სათხოველი ლოცვისა თქვენისა დაუბრკოლებელად და რათა აღესრულოს თქვენ მიერ მცნება ქრისტე მაცხოვრისა, რომელიც გჳბრძანებს ჩვენ და იტყჳს... (მათე. თაი ჳ, მ ი, იბ). მცირე ამათ მბეჭდავთაგან მესტამბე მჭურვალითა გულითა ვმუშაკობ, მოსამსახურე თქვენი“.

„ქ. მიხაილ სტეფანე შვილი უნგროვლახელი“.

(მესტამბის სახელი — მხედრული შრიფტით).

შენიშვნა: 1. აკად. ქ. კეკელიძის დაკვირვებით, ამ გამოცემის რედაქტორს ნიკოლოზ ორბელიანს „ჟამნში“ ქართველ წმიდათა ხსენების დღეები შეუტანია. ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. I, თბ., 1941; გვ. 317.

2. ჟამნის ტექსტის ბოლოს მოთავსებულია **მთვარის განახლების ცხრილები**, სათაურით:

„სჭლა მთოვარისა სამარადისო“, განმარტებით: „უკეთუ გენებოსთ, რ[ა-თამც]ა ჰპოოთ თუ რომელსა დღესა თჳსასა განახლდების მთვარე, ქვემო კიბე-

თა ამათ შინა იპყარ მთოვარის მოქცევი, ანუ ზედნადები მისი, რომელიც ასოები არს დაწერილი წითლითა ნაპირსა ამის კიბისასა და სადაცა დაუპირდაპირდეს, იქ არის ნიშანი, დღე თჳსა მის, რომელსა შინა იქმნების ახალი მთოვარე". უკბ — უკდ გვ.

საჯარო: ქუთ. მუზ.

7. **ლოცვანი**. ტფილისი, 1710.

[04], სუ, [I] 290 გვ.; 12 × 8; წერილი ნუსხა-ხუცური შრიფტით; თაეფურცელს შემოვლებული აქვს ორნამენტის ჩარჩო; თაეფურცლის მეორე გვერდზე — ბაგრატიონთა სამეფო ღერბია მოთავსებული; ღერბის ზემოთ და ქვემოთ — შემკულობანი; ღერბს აქვს ორსტრიქონიანი წარწერა, როგორც ამაეე 1710 წ. „ჯამნის" II გვ.

ღერბის გარშემო ასომთავრული წარწერა:

„ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა".

თაეკაზმულობანი; ა, ბგ, სიბ, სმზ, სბ გვ.; ბოლოკაზმულობანი: სმზ, სუ გვერდზე; ილუსტრ.: ბგ, სნთ გვ.

უკანასკნელ ფურცელზე — ვახტანგის პორტრეტი.

წიგნი გამოცემულია იშვიათი მოხდენილობითა და გემოვნებით.

თავფურცელი:

I

„ლ ო ც ვ ა ნ ი

აწ ახალი დაბეჭდ[ი]ლი ქართულს ენას ზედა.

ჟამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა მეფისა უფლისა უფლისა

ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ს ა

შრომითა და წარსაგებელითა საფასეთასა განმგებელისა მისისა ბატონისშვილისა უფლისა ვახტანგისა.

გაიმართა ჴელითა ნიკოლოზ მღდელმონაზონის, ორბელის შვილისათა:

ჴელითა მიხაილ სტეფანეს ძისა უნგროვლახელისათა

ქალაქსა ტფილისისასა. ქრისტეს აქეთ ჩღი."

ვახტანგის ანდერძი ზედმიწევნით იგივეა, რაც 1710 წლის „კონდაკისა". ტექსტის ბოლოს, სჟ (= 290) გვერდზე, დაბეჭდილია:

„განსრულდა...

დაიბეჭდა ქალაქსა ტფილისისასა ქეს აქეთ ჩღი".

„ქ. ჴელითა: მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილისა უნგროვლახელისა".

ეს სამი სტრიქონი მხედრული შრიფტით.

რედაქტორის ანდერძი:

„ოდეს განაგებდა საქართველოსა ღ˘თის მოყვარე და ყოვლითა კეთილითა სრული ძმისწული კეთილმორწმუნისა მეფის პატრონის არჩილისა და დიდად სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე პატრონის ლევანისა და ძმა ყოჯლისა წესიერებით შეჟურვილისა მეფის ქაიხოსროსი, განათლებული ვახტანგ, ფრიადისა ჭირითა და მრავალთა საფასეთა წარგებითა მოიღო სტამბა, რომელი არაოდეს ყოფილიყო საქართველოსა შინა. და მე, დედისძმისწულსა ამა ჯელმწიფეთასა და მონასა მათსა, ფრიად ცოდვილსა მღდელმონაზონს, საქართველოს მსაჯულთუხუცესის ორბელის ძეს, ნიკოლ˘ოზს მიბრძანა წიგნების გამართვა. და ვერ ურჩვექმენ. და მე წიგნი და ენა ქართულის მეტი სხვა არავისი ენა ვიცოდი, რომელსაც ბერძულის მცოდნე მეტყოდა, ღმერთმან უწყის, მე დიდის ჭირით გაწყობასა და სიმართლესა ვცდილობდი. ჟამნობა და თვენი ბერძულის რიგით დავწერეთ და კვირაძლების ზატიკისა და სამგზეფსოს ოხითა იბაკო ისევ ჩვენი ძველი გაურიეთ. ღ˘თის სიყვარულისათჳს, თუ რამ ჩემს ნაკეთებს წიგნებში მრუდი და ცთომილი ნახოთ, ნუ დამწყევლით. თუ შემეტყო, არ ვიქმოდი. არამედ შენდობით მომიკსენებდით. ქრისტეს აქეთ ჩღი“. გვ. ტჟᲫ.

საჯარო; უნივერს.; საქართვ. მუზ.; სალტიკოვ-შჩედრ.

8. **ბიბლია**: „წინასწარმეტყველნი“ და სახარება [თბილისი. 1710—1711].

404, [4] გვ.; 26,5 × 18,5; შრიფტი: საშუალო ზომის ნუსხა-ხუცური; წიგნის ყოველი ცალკე თავი, განსაკუთრებით 1 და 297 გვ., უხვად არის შემკული თავბოლოკაზმულობით, მინიატჲურული ხატებით, მხატვრული ასოებით.

ტექსტი ორ-ორ სვეტად დაბეჭდილი; პაგინაცია — არაბული ციფრებითა და ქართული ასოებით (პარალელურად); უთავფურცლოა.

შედგენილობა: I. წინასწარმეტყველებანი: ესაიასი — 1—63 გვ., იერემიასი—63—135, გოდებანი იერემიასი—135 — 142, წინასწარმეტყველებანი: ბაროქისი—143—151, ეზეკიელისი — 152—217, დანიელისა—217—244, ოსესი—244 — 252, იოველისა — 252—256, ამოსისი—256—263; აბდიასი—263—264, იონასი—264—266, მიქიასი—267—272, ნაჳმისი—272—274, ამბაკომისი—274—277, სოფონიასი—277—280, ანგიასი—280—282, ზაქარიასი—282—293, მალაქიასი—293—296 გვ.

II. სახარება: მათესი—297—337, მარკოზისი—337—364, ლუკასი—364—404 გვ.

შენიშვნა: 1. წინასწარმეტყველთა წიგნების ტექსტის ბოლოს, 296 გვერდზე ვკითხულობთ: „განკარგვით რიცხვი ახლისა აღთქმისა თაოვანად“, სადაც დაწვრილებით აღნუსხულია, თუ რა იყო განზრახული დასაბეჭდად ბიბლიაში, წინასწარმეტყველთა წიგნებს გარდა: 1. ოთხთავის თავები სრულად, 2. საქმე მოციქულთა, 3. გამოცხადება იოვანესი.

სინამდვილეში ბიბლიის ამ მეორე ნაწილში გვაქვს მხოლოდ სახარების მათესი და მარკოზის თავი სრულად და ლუკას სახარების ნაწილი, რომელიც წყდება:

„შეუდგეს მას დედანიცა, რომელნი მის თანა მოსრულ იყვნეს გალილეათ და იხილეს საფლავი. და ვითარ დასდებდეს გუამსა მისსა და წარვიდეს და მომზადეს საკუმეველი, სურნელი და ნელსაცხებელი“ (თავი 23, მუხლი 55, 56).

დაყოფილია თავებად და მუხლებად (ინდურ-არაბული ციფრებით აღნიშნული).

საჯარო $\left(\mathrm{F}\frac{135}{4}\right)$; უნივერს. (F 19578); საქართ. მუზ. ხელნაწ. (A : 51).

9. **დავითნი.** თბილისი, 1711.

სმᲛ [= 248], ლზ [= 37] გვ. + 1 + 1 ჩ. ფ.; მხედრული შრიფტით, ნუსხა-ხუცურისა და ბერძნული შრიფტის გარევით; ორნამენტებით შემკულ თავფურცლის მეორე გვერდზე — ბაგრატიონთა სამეფო ღერბი, რომლის ქვეშ ნუსხა-ხუცური შრიფტით დაბეჭდილია „ბეჭდის იგავის“ შემოკლებული ვარიანტი (იხ. 1710 წ. კონდაკი); ტექსტში დავით წინასწარმეტყველის გრავიურა (4 გვ. — დ) ორმაგი ორნამენტის ოთხკუთხა ჩარჩოში და მედალიონისებურ ორმაგ წრეში, რომლის შიგნითაც ასომთავრული ასოებით ჩაწერილია: „წმიდაო დავით! მეოხ ეყავ ვახტანგს“...

ტექსტის ბოლოს დართულია ვახტანგის პორტრეტი, განსაკუთრებული სიუხვით ორნამენტირებული.

თავფურცელი:

„[დ ა ვ ი თ ნ ი] აწ მეორე დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა:
ჟამსა ამაღლებულისა მეფისა უფლისა უფლისა
ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ს ა.

შრომითა და წარსაგებელითა საფასეთათა
განმგებელისა მისისა ბატონისშვილის
უფლისა უფლისა ვახტანგისსა.
ჴელითა მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილისა
უნგროვლახელისა.

ქალაქსა ტფილისისასა.

ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და თერთმეტი.
გაიმართა ჴელითა სიონის დეკანოზის შვილის გაბრიელისათა“.

ვახტანგის ანდერძის ტექსტი იგივეა, რაც წინა გამოცემისა (იხ.).

ვახტანგის ანდერძის ქვეშ (გვ. 3) და შემდეგი (4) გვერდის თავში, დავით ებრაელთა მეფის გრავიურის ზემოთ, დაბეჭდილია ბერძნული ათსტრიქონიანი ლექსი.

უკანასკნელ (აუნუსხავ) გვერდზე:

„ქ: დაიბეჭდა ქალაქსა ტფილისისასა, ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და თერთმეტსა. ქ. ჴელითა მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილის უნგროვლახელისათა“.

ქვემოთ მოთავსებულია მესტამბეთა ლექსი:

„ქ. ნავთსაყუდელსა მენავე რა მიელენ, განისვენებენ.
მოყვასთა თვისთა სამყოფთა ნახვა სწადს, მით ისვენებენ;
ჰირთ მყოფნი, ლხინსა შესრულნი, მას აღარ მოიჩვენებენ,
და რა ბექვდა მბექდავს უსრულდეს, თავსა არ შეიჩვენებენ“.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მოთავსებულია „განგება ფსალმუნთა“ ა-ლზ გვ.

საჯარო; უნივერს.; საქართ. მუზ.

10. **გერმანე. სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა: სწავლება მოწაფისა.** თბილისი, 1711

უია [= 411] გვ.; 13 × 10;
მხედრული შრიფტით.
აშიაშემოვლებული თავფურცლის
მეორე გვერდზე — ბაგრატიონთა
სამეფო ღერბი.

თავფურცელი:

„სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძ-
ღვარსა სწავლება მოწაფისა-
აწ დაბეჭდული ქართულსა ენა-
სა ზედა, ჟამსა მეფობისა უფლისა
უფლისა ქაიხოსროსსა.
და შრომითა გამგებელისა მის-
ისა უფლისა უფლისა ვახტანგისსა.
შემოკლებით თქმული და გარი-
გებული გერმანე მღდელმო-
ნაზონისაგან.
ჴელითა მიხაილ სტეფანეს ძისა
უნგროვლახელისათა.
ქალაქსა ტფილისისასა. ჩღია“.

ვახტანგის ანდერძი ისეთივეა, როგორიც 1710 წლის გამოცემებში.

ავტორის ანდერძი:

„ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ! ჟამსა მას, ოდეს მეფობდა ქართველთა ზედა ძირთაგან დავითისათა აღმოცენებული მეფე ქაიხოსრო და მის წილ განაგებდა სამეფოსა მისსა ძმა მისი, მამულის რჯულის განმაძლიერებელი და ქრისტეს სარწმუნოებისათვის ცეცხლებრ მოტკინარე ბატონიშვილი ვახტანგ, საუკუნოდ ყოს უფალმან ჴსენება მისი, ამან მოიხსნა სტამბა ქვეყანით ელახეთით, რაჟამს უფლებდა ელახეთს იოანე კოსტანტინე ბრანკოვანე ბასარაბა. და მომართა ქვეყანასა ქართლისასა, დიდის საფასითა და წარსაგებელითა. და აღავსო და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა, რომელი დაკლებულიყო ჟამთა ვითარებისაგან მდევართაგან ქრისტეს რჯულისათა.

მას ჟამსა მე, ცოდვილმა და ორკერძოვე სულით და ჴორცით უძლურმა ხუცესმონაზონმა, მონამან და მოსამსახურემან ქალაქს სიონისა ღ~თის მშობელისამან და მლოცველმან ამათ ზემოჴსენებულთა პატრონთამან, ცოდვილმან გერმანემ, ვიღვაწე მცირე რამ საღვაწი და აღვსწერე სარწმუნოება, ჩვენთა სარწმუნოებათაგან შემოკლებით გამოკრებული და მცირედი რამ სწავლა შეიდის საიდუმლოსი, რაც ოდენ ჩემი უგულისჴმო გონება მისწვდებოდა. არა თუ ყოველი ძალი საიდუმლოსი აღვსწერე — ეს დიდთა და სარწმუნოთა კაცთაგანც ძნელად შესაძლებელ არს, არამც თუ ჩემებრ დაბნელებულისა.

არამედ ესოდენ ვიმუშაკე, რათა იკითხევდენ და ისწავლიდენ ყრმანი ახლად მოსწავლენი და მეცნიერებად ღვთისა მოვიდოდენ და არ იყვნენ ჩვენგან განშორებულთა მწვალებელთ შეილთაგან დაწუნებულნი და სიტყვა უგებელნი.

ამი[ს]თვის დავსწერე საეროს სიტყვითა, რომ ახლად მოსწავლენი ყრმანი სიადვილისათვის მსწრაფლ ზედ მიიწეოდენ და უცთომელად დაისწავლიდენ და ესრეთ მეცნიერებად აღიყვანებდენ გონებასა მათსა ხედვად ღ~თისა.

ესეცა არ უგულებელსყო ყრმათათვისცა დიდად მოღვაწემ და სწავლა-შემატების გულსმოდგინემ, სულიერად და ჴორციელად გამგეობის ტრფიალმან ბატონისშვილმა ვახტანგ და დააბეჭდვინა, თვისთა საფასეთა წარსაგებელითა. ადიდოს ღმერთმან ორსავე შინა ცხოვრებასა!

აწ ვინცა ვინ ამ ჩემს ნამუშაკევს წარიკითხვიდეთ, რომელიც გონებაში არ გენიშნოსთ, მაშინვე ნუ დაბრკოლდებით ჩვენსა უმეცრებასა ზედა, არამედ აღმოიკითხევდეთ წიგნთა და, მაქვს სასოება უფლისა შიერ, მსწრაფლ გულისხმაჰყოთ. ვითარმედ არა ჩემის მუცლის მოზღაპრობით მითქვამს, არამედ რომელი მინახავს წერილისაგან, ის აღმიწერია“ (ე—ი გვ.).

ავტორის ბოლოსიტყვაობა:

„ეს არის სწავლა შეიდის საიდუმლოსი, შემოკლებულად თქმული. გლოცავ გლახაკი ბერი გერმანე, ყრმანო, ახლად მოსწავლენო, რათა იკითხევდეთ და ზეპირით დაისწავლიდეთ.

ამისთვის დავსწერე საეროსა და სოფლურის სიტყვითა, რომ სიადვილისათვის მსწრაფლ ზედ მიიწევნეთ და მტკიცედ დაიდოთ გონებასა და ჩემ ცოდვილისათვის შენდობას იტყოდეთ“ (გვ. 401).

ხაჯარო; არქივი; საქართვ. მუზ. ხელნაწერთა განყოფ.

11. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1712

04, ტნა [= 351] გვ., 2 ჩ. ფ.; 28 × 19; ბოლოში აკლია ორი ფურცელი (წყდება ჩსა სტროფის განმარტებაზე); დაბეჭდილია მხედრული შრიფტით; სასტამბო საღებავი: შავი და წითელი; სათაურები და ყოველი სტროფის პირველი სიტყვა—წითელი საღებავით; ყოველი თავის დასაწყისს თავკაზმულობა ამკობს; ყოველი სტროფის გასწვრივ აღნიშნულია მისი სათვალავი. აწერილი ცალის ხის ყდის ორივე ფრთა გატეხილია; ყდა შემოსილია შავი, ტვიფრული ტყავით.

I ყდის შიგნიდან მიკრულ ქაღალდზე მოთავსებულია შემომწირველის წარწერა: „თბილისის სათაყვადაზნაურო გიმნაზიის I კლასის მოწაფის გიორგი (იგივე დევი) ალექსანდრეს ძე აბაშიძისაგან. შორაპნის მაზრა, ს. სავანე, 1915 წ. 18 თებერვალი“.

ამავე ქაღალდზე, მარჯვნივ, დაკრულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის ბეჭედი და წითელი მელნით აღნიშნულია წიგნის ფორმატი: „ბ, 4° 21“ და „№ 5798“.

ორნამენტით ჰორიზონტალურად გადატიხრული თავფურცელი მოთავსებულია ორმაგი ორნამენტის ჩარჩოში; ჩარჩოს ქვეშ მოთავსებული ორი ვინიეტი აწერილ ცალს აკლია; ეს ვინიეტები მოიპოვება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წერა-კითხვის საზოგადოებისეული ფონდის № 970/ა-ში.

თავფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია ბაგრატიონთა სამეფო ღერბის ერთლომიანი ვარიანტი, განიერი ფოთლოვანი ორნამენტის ჩარჩოში. ამ ჩარჩოს სამი მხრიდან შემოვლებული აქვს ორნამენტი, რომელსაც ქვევითა — მეოთხე მხარე ღია აქვს. ღერბის ქვემოთ და მომდევნო აუნუსხავ გვერდზე მოთავსებულია „ბეჭდის იგავი“ — ბაგრატიონთა ღერბის სიმბოლიკის იგივე განმარტება, რომელიც 1709 წ. „სამოციქულოს“ ღერბსაც აქვს დართული (სრული ვარიანტი).

ვეფხისტყაოსნის შესავლის ტექსტის წინა გვერდზე მოთავსებულია ვახტანგის პორტრეტი, განსაკუთრებით მდიდრულად შემკული.

ვახტანგის პორტრეტის ქვეშ ყვავილოვან-ფოთლოვანი ბოლოკაზმულობაა.

ვახტანგის სტამბის „ვეფხისტყაოსნის“ ეს უსრულესი ცალი დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების S ფონდში, თავისი ძველი 5798 ნომრით.

აკ. შანიძის „ვახტანგისეული გამოცემის“ აღდგენილ (1937 წ.) გამოცემაში იგი აღწერილია F ლიტერით (გვ. 398).

თავფურცელი:

„ვეფხის ტყაოსანი.

აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა, ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა.

უფლისა უფლისა ვახტანგისსა.

შრომითა წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა.
გაიმართა ჴელითა ჴელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა. ქალაქსა ტფილისისასა.
ქრისტეს აქეთ

ათ[ა]ს შვიდას და თორმეტსა, დასაბამითგან ვიდრე
აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა".

ვახტანგის ანდერძი:

„მადიდებელი წმიდისა სამებისა, მე, გვარტომობით, ძირმოდგმობით დაეითიანმან, ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტა[ნ]გისმან, ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილისმან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან, მპყრობელმა საქართველოსმან ვახტანგ მოვიყვანე მესტანბე ელახეთით და გავაკეთე სტამბა, საკსრად სულთა წინათქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის, სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლის ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულისა დედოფლის რუსუდანისა და ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად".

სათაური და შესავალის დასაწყისი:

„ქ. ამა ამბის დასაწყისი პირველი, ამო და სასმენლად შვენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელს და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უჴმობენ.

„**რომელმან** შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა..." ა—ვ გვ.
პირველი თავის სათაური და დასაწყისი:

„ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა.

იყო არაბეთს როსტევან მეფე ღ[თ]ისაგან სვიანი..." ვ—სპე გვ.

ტექსტის უკანასკნელი სტროფის I და IV სტრიქონი:
„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა.....
და ტარიელ—მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ[შ]უშრობელსა".

მესტამბის ლექსი

„**აწ** დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ქელისა,
უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა.
მეფის ვახტანგის ბ[რ]ძანებით და სიბრძნით კეთილმჭნელისა
და ნაღვაწი მისის მლოცველისა მესტამბე მიქაელისა.

—:—

დაესრულა ესე წიგნი ქორანიკონს უნსა სმულსა;
ყველაკასა უხაროდა რიტორსა და ჴმა უსულსა.
სამღ[თ]ოა და საეროცა, ვისაცა აქუს სმენა გულსა.
და უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა—გულს უსრულსა". სპვ გვ.

ვახტანგის განმარტების შესავლის სათაური, დასაწყისი და ბოლო:
„თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა, თქმული ბატონის შვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა.

„მ ე. ვ ს წ ე რ. ძმისწული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა ამას ამისთვის: უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდენ მის რიტორისა და ბრძენ ბეცნიერისა კეთილად ნამუშაკევისა სამუშაოსა...“ **სპვ—სპ0** გვ.

ბ ო ლ ო: „ქუეყნის უფროსი ავის დამშლელი ჴამს და ამად დავშვერ“.

ვახტანგის განმარტების სათაური, დასაწყისი და ბოლო:

„თარგმანი პირველი წიგნისა ამის

„რომელმან შექ“: ღმერთმან შექმნა ქუეყანა. ქუეყანასა მისცა ძალი თვისით ძლიერებით და ზეციდამ სული ცხოველი მოჰბერა...“

ბოლო: **„ტაბლაკსა“**. ტაბლაკი მცირე ნაღარაა. **ჩუუ0**.

მ ა თ დ ა ვ ე სახედ რომ დაუწერია, ვარსკვლავთათვის უმზგავსებია. **ჩფნთ**“.

მუზეუმისეული ცალი (S : 5798) წყდება **ჩსა** სტროფის განმარტებაზე:

[ჩ]სა. **ავთანდილ.** თვითო-ოროლა, სადაც ბოხდომია ადგილს, სიტყუაზე სამღ˘თო ყუელგან ჩაურთავს. თუ ეს სამღ˘თოთ არ ეთქუას, მაშ რომელს სამღთოს წიგნში სწერია: „მოყუარე მოყუარეს ნუ მიენდობაო“. გვ. **ტმ0**.

საჯარო; უნივ.; ლიტ. მუზ.; საქართვ. სახ. მუზ.; ხალტიკოვ-შჩედრ.; საკავშ. აკადემ.

12. **დავითნი**, თბილისი, 1712

უიე [= 415] გვ.; 14 × 10; საშუალო ზომის ნუსხა-ხუცური შრიფტით; თავფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია ვახტანგის პორტრეტი; შემდეგ გვერდზე—ბაგრატიონთა სამეფო ღერბი, წარწერით: **„წ. ღ. დ. პ. მ. ვ. ყ. ს.“**

[წყალობითა ღმრთისათა დავითიან-პანკრატოვანი მეფე ვახტანგ. ყოვლისა საქართველოსი].

მეხუთე გვერდზე დაბეჭდილია **ქართული ანბანი**, სამ ჯგუფად: I მრგვლოვანით, II ნუსხა-ხუცურით ა—ჶ-დის და III იგივე ნ. ხუცური, ბოლოდან თავანდის (ჶ—ა).

მეექვსე (ვ) გვ.: დავით წინასწარმეტყველის იგივე გრავიურა, როგორიც 1711 წ. მხედრულ დავითნში.

თავფურცელი:

„დ ა ვ ი თ ი. აწ მესამედ დაბეჭდ[ი]ლი ქართულს ენასა ზედა. ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისაჲ უფლისაჲ **ვახტანგისსა**. შრომითა წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა. განმგებლობასა ბატონისშვილის უფლისაჲ უფლისაჲ სვიმონისსა.

გაიმართა ჴელითა ჴელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა..

ქალაქსა ტფილისისასა. ქრისტეს აქათ **ჩლიბ**. დასაბამითგან ვიდრე აქამომდე **ჳსკ**".

ვახტანგის ანდერძი:

„სადიდებლად წმიდისა სამებისა, მე, გვარტომობით, ძირმოდგმით დავითიანმან, ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან, ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფის გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან, მპყრობელმან ქართლისამან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა, საჭსრად სულთა წინათქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის, სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზთ ბატონის ასულის რუსუდანისა, ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად".

საჯარო; უნივერს.; ქუთ. მუზ.

13. **კურთხევანი**. ტფილისი, 1713

[06]. ქკზ [= 627] გვ.; 19 × 14; საშუალო ზომის ნუსხა-ხუცური შრიფტით; ორნამენტებით შემკული თავფურცლის მეორე და მომდევნო მესამე გვ. მოთავსებულია კვიპრიანე სამთავნელის ანდერძი. [04] გვ. — ვახტანგის პორტრეტი; [05] გვ. — ვახტანგის ანდერძი. ზედმიწევნით იმავე სახით, როგორც „ვეფხისტყაოსნის" 1712 წ. გამოცემაში (იხ.); [06] გვ. ბაგრატიონთა ღერბი. .

თავფურცელი:

„კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი

აწ ახალი დაბეჭდ[ი]ლი ქართულს ენასა ზედა,
ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა
უფლისაჲ უფლისაჲ ვახტანგისსა.
ღ͡თიე განათლებულის საქართველოს განმგებელისა
ბატონის შვილის უფლისაჲ უფლისაჲ სვიმონისსა.
გაიმართა წმიდაჲ ესე ჴელითა სამთავნელ ეპისკოპოსის კჳპრიანესითა.
ჴელითა ჴელმწიფის კარის დეკანოზის შვილის
მესტამბის მიქელისათა.
ქალაქსა ტფილისისა.
დასაბამითგან ქორონიკონსაჲ შვიდიათას ორას ოცდაერთსა.
ქრისტეს აქეთ **ჩლიგ**".

კვიპრიანე სამთავნელის ანდერძი:

„ოდეს სუფევდა თჳსსა სამეუფოსა შინა ღ͡თის მოყვარე მპყრობელი საქართველოსა მეფე, უფალი ვახტანგ, იგულსმოდგინა და მოიყვანა ელახეთით მესტამბე მიხაილ და გააკეთებინა სტამბა ფრიადითა წარსაგებელითა საფასე-

თათა, მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მათისანი,—რომელ არაოდეს ყოფილიყო საქართველოსა შინა სტამბა და ჴელით წერითა მწერალთაგან სამღთონი წერილნი ჩვენნი განრყუნილიყვნენ.

მას ჟამსა, ოდეს განაგებდა საქართველოსა მათი სასურველი ძმა — ბატონის შვილი უფალი სვიმონ, ამათ მიერ მებ[რ]ძანა მე, სამთავნელს კვიპრიანეს, ბერძულთა წიგნთა ზედა ჩვენთა წიგნებათა შემოწმება, რ მცირედისა რისამე ბერძულთა წიგნთა და ენისა სწავლულ ვიყავ იერუსალ[ი]მისა პატრიარქს დოსითეოს თანა (საუკუნომცა არს საჭსენებელი მათი). რაოდენიცა ძალმედვა თვით ჩემით შევამოწმე და გასწორებასა ვეცადე — სიტყვა თუ ასო მეტნაკლებობა. და რომელიმე არქიმანდრიტის პაპა სერგიოზის კითხვითა და შემოწმებითა გავაკეთე, იგინი, რომელნიცა უწინარეს წიგნნი დაიბეჭდა. და აწ კურთხევანი ესე, რომელიცა ბერძულსა კურთხევანსა შინა წერილი იყო, სრულად უნაკლულოდ გარდამოვსწერე.

ხოლო რაჟამს გარდამოვსწერდით ჩვენსა ენასა ზედა პირველთა მათ წიგნთა და შემდგომსა ამას, სხვაჲნი წმიდაჲნი მამანი საქართველოსანი ჩვენსა ენასა ზედა შესწორებასა გვეჴმარებოდენ.

და დავბეჭდეთ ბრძანებითა და წარსაგებელითა საფასეთათა ქრისტესმოყვარისა საქართველოს კეთილად გამგებელისა ბატონის შვილის სვიმონისათა, მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მათისანი.

უკეთუ ვინმე თქ[ვა]ს, რაჲად გვიჴმდა ახალი გარდმოთარგმნილი, რ პირველთა მთარგმანებელთა წ-ჲთა მამათაგან გვაქუნდა გარდამოთარგმნილიო; ჰეშმარიტად მათ წმიდათა მამათა ყოველივე ჩვენნი წიგნი უნაკლულოდ გადმოთარგმნეს. არამედ მწერალთა მიერ განრყვნილ იყო, ვითა თჳთ იგინივე წმიდაჲნი მამანი წამებენ დავითის ბოლოშია; და მეფეთაცა შემოწმება და გასწორება გვიბძანეს და ვერ ურჩევქმენით, და აღვასრულეთ, შეწევნითა ღმრთისაჲთა, ბრძანება მეფეთა.

აწე გევედრებით ყოველთა კეთილად მკითხველთა და გულისხუმისმყოფელთა, ვინც ჴელად მიიღებდეთ, ზემოთქმულთა ამათ მეფეთათვის ლოცვაჲსა აღასრულებდეთ. და ამისა შემდგომად ნაღ[ვ]აწისა ამისთვის ჩემ ცოდვილისათვისცა შენდობას ბძანებდეთ, რათა ლოცვაჲ თქვენი შემწე მეყოს და თქვენ უზრუნველ იქმნენთ".

რედაქტორის ანდერძის ქვეშ მოთავსებული ლექსი:

„დავითის ნათესაობით სჯმონ არს განმგებელია;
დავითისებრივ უფლებად ღმერთმან სცხოს საცხებელია.
დავითის გამო მფარველ არს ქალწული, ღ[მრ]თისმშობელია
და ვით გოლიათსა, მათს მტერთა ნუ მისცეს საშუბლებია".

ლექსის ქვეშ: „ღმერთო, შეიწყალე კჳპრიანე"!

ტექსტის ბოლოში მოთავსებულია მბეჭდავთა იგივე ლექსი, რომელიც 1711 წლის დავითნის (მეორე გამოცემა) ბოლოსაა (შდრ. აღწერილობა № 9), შეცვლილი ორთოგრაფიით:

„ნავთსაყუდელსა მენავე რაჲ მივლენ, განისუᲕნებენ;
მოყვასთა, თჳსთა სამყოფთა ნახვა სწადს, მით ისუᲕნებენ;
ჴირთ მყოფნი ლხინსა შესრულნი, მას აღარ მოიჩუᲕნებენ;
და რაჲ ბეჭდვა მბეჭდავს უსრულდეს, თავსა არ შეიჩუᲕნებენ“.

„კურთხევანის“ ტექსტს დართული აქვს „საძიებელი წიგნისა ამის“ (ქკგ—ქკზ გვ.)

საჯარო; უნივერს.; საქართვ. მუზ.; ლიტ. მუზ.

14. დავითნი. თბილისი, 1716

04, უიე [= 415] გვ.; 15 × 10; შრიფტი: ნუსხა-ხუცური.

თავფურცელს შემოვლებული აქვს ვახტანგის სტამბის წიგნისათვის ჩვეულებრივი ორმაგი ორნამენტი; თავფურცელი ორნამენტის ზოლით ორად არის გაყოფილი.

შემდეგი ფურცლის პირველ გვერდზე ბაგრატიონთა სამეფო ღერბია, ჩვეულებრივი წარწერითა და ფოთლოვან-ყვავილოვანი შემკულობით;

ერთ-ერთი პირველ გვერდთაგანი უჭირავს **ქართული ანბანის** სამ ჯგუფს: I ასოჱთავრულს ა—ჯ-დე, II ნუსხა-ხუცურსა და III იმავე ნუსხა-ხუცურს, პირუკმო წესით—ბოლოდან (ჯ) თავამდე (ა).

ამავე ფურცლის მეორე გვერდზე: დავით წინასწარმეტყველის პორტრეტი, წარწერით: „ქ. წმიდაო დავით! მეოხ გვეყავ ვახტანგს“. წიგნი მოხდენილად არის გაფორმებული.

შავტყავგადაკრული ტეიფრული ყდა დაძველებული და გადაცვეთილია; ყდის შიგნითა არეებზე მიკრულია ვახტანგის სტამბის სახარების მსხვილი შრიფტით ნაბეჭდი ფურცლები; ყდის ყუაზე მიკრულ თეთრ ქაღალდზე ორი ჯვარედინი ხაზით წაშლილია ციფრი „14“ და ზემოთ ბეჭდურად A უზის; ყდას ზემოდან დაკრული აქვს თეთრი ქაღალდი წარწერით:

«Псалтырь на грузинском языке, напечатана при царе Ираклiе, в 1716 году».

წარწერა გასწორებულია ფანქრით: „Jecee в Тифлисе“.

ამ გამოცემის ერთადერთი ცნობილი ცალი დაცულია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნთსაცავის სააზიო მუზეუმისეულ ფონდში (ლენინგრადი).

თავფურცელი:

„დ ა ვ ი თ ი
აწ მეოთხედ დაბეჭდᲔლი ქართ-
ულს ენასა ზედა ჟამსა აბაღლებუ-
ლის მეფისა უფლისაჲ უფლისაჲ

ი ე ს ე ი.

გაიმართა ჴელითა გარსევან ყოფ-
ილი მღდლის გაბრიელისთᲔა,

ქალაქსა ტფილისისასა.
დასაბამითგან ვ˘ე აქამო-
მდე: ჳ ს კ დ.
ქრისტეს აქეთ: ჩლიგ.
განსრულდა დავითი ესე
თვესა იენისსა, ქკ˘სა უდ.
სტამბის მეურნეობასა[1] გიორ-
გი მხატვარისასა".

ვახტანგის ანდერძი:

„სადიდებელად წმიდისა სამებისა, მე, გვარტომობით, ძირმოდგმით დავითიანმან, ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან; ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფის გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან, გამგებელმან ქართლისამან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა, სახსრად სულთა წინათქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის, სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა, ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად".

საკავშირო მეცნ. აკადემ.

15. **ჟამნი**. თბილისი, 1717

[04], **უმდ** [= 444] გვ.; 14 × 19; წვრილი ნუსხა-ხუცური შრიფტით; მთელი გაფორმება და შემკულობანი 1710 წელს გამოცემული ჟამნისა არის. ტექნიკური გაფორმების მხრით ეს გამოცემა პირველ გამოცემაზე (1710) გაცილებით დაბლა დგას.

თავფურცელი:
„ჟ ა მ ნ ი:

აწ მეორედ დაბეჭდ[ი]ლი ქართულს ენასა ზედა ჟამსა ამაღლებულის დიდისა მეფისა უფლისა უფლისა ვახტანგისა.

გამგებლობასა ძისა მათისა კეთილმორწმუნის ბატონიშვილის უფლისა ბაქარისა.

გაიმართა ჴელითა მესტამბე გარსევან ყოფილი მღდლის გაბრიელისათა.
ქალაქსა ტფილისისასა.

დასაბამითგან ვიდრე აქამომდე ჳსკე.
ქრისტეს აქეთ ჩლიზ.

განსრულდა ჟამნი ესე თვესა ფებერვალსა იᲫ".

ვახტანგის ანდერძი უცვლელად გადმოღებულია 1709—1711 წლის გამოცემებიდან და შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებას არ შეეფერება.

[1] ტექსტში: „მეურნეობასა".

ჟამნის ამ მეორე გამოცემაში სულ მცირედი ცვლილებით განმეორებულია 1710 წლის ჟამნის მბეჭდველის მიხაილ უნგროვლახელის მიმართვა მკითხველთადმი (იხ.), რომელსაც აქ ხელს აწერს გიორგი მხატვარი (გვ. 03, 04).

ამ გამოცემაში ვეღარ ვხედავთ 1710 წ. „ლოცვანის“ ტექსტის ბოლოს მხედრული შრიფტით დაბეჭდილ სტრიქონებს (შდრ. აღწერილობა № 7).

საჯარო; უნივერს.; საქართვ. მუზ.

16. **ლოცვანი.** თბილისი, 1717

04, სჟ (= 290) გვ. + 1; 14 × 9; წვრილი ნუსხა-ხუცური შრიფტით.

თავფურცლისა და მთლად წიგნის გაფორმება შესამჩნევად განსხვავდება და დიდად ჩამორჩება 1710 წ. გამოცემისას (მკრთალად ნაბეჭდი შრიფტი და შემკულობანი და სხვა ტექნიკური გაუმართაობა), შინაარსით კი 1717 წ. ტექსტი 1710 წლის ლოცვანის გამეორებას წარმოადგენს.

ღერბის წარწერა: „წყალობითა ღ˘თისათა, იესიან-დავითიან-სოლომონიანი მეფე ვახტანგ ყოელისა საქართველოსა“.

თავფურცელი:

„ლ ო ც ვ ა ნ ი

აწ მეორედ დაბეჭდ[ი]ლი ქარ-
თულს ენასა ზედა
ჟამსა ამაღლებულის დიდისა მეფისა უფლისა
უფლისა **ვახტანგისა.**

გამგებლობასა ძისა მათისა კეთილმორწმუნის ,ბატონიშვილის უფლისა ბაქარისა.

გაიმართა ჴელითა მესტამბე გარსევან ყოფილი მღდლის გაბრიელისათა..

ქალაქსა ტფილისისასა.

დასაბამითგან ვიდრე აქამომდე **ჳსკე.**

ქრისტეს აქეთ **ჩლიზ.** განსრულდა

ჟამნი [!!] ესე თვესა ფებერვალსა **კ**, ქ˘კსა **უე**“.

ვახტანგის ანდერძი ზედმიწევნით ისეთივეა, როგორიც 1717 წ. „ჟამნისა“ (იხ.).

რედაქტორის ნ. ორბელიანის ანდერძი 1710 წლის გამოცემის ამავე პირის ანდერძის სიტყვა-სიტყვით გამეორებას წარმოადგენს.

უნივერს.; საქ. მუზ.

17. **კურთხევა ეკლესიისა.** თბილისი, 1719—1720

ოთ [= 79] გვ.; 19 × 20; შრიფტი ნუსხა-ხუცური. თავფურცლის მეორე გვერდზე — ორნამენტის ჩარჩოში სამების ხატი.

დომენტი კათალიკოსის ანდერძი:

1. „**დომენტი სანატრელი და ყოვლად წმიდაჲ**, წყალობითა ღმრთისათა კათალიკოზი მცხეთისა, ქართლისა, რანისა, კახეთისა, სრულიად ოსეთისა, სამცხე-საათაბაგოსა მაკურთხეველი გასწავებ ყოველთა შვილთა ეკლესიისა ჩემისათა, თუ რა არს ეკლესია, ანუ ტრაპეზი, საკურთხეველი, გინა სალხინებელი და კანკელი". ↄ გვ.

2. „ჩვენ, სურვილითა სა[ღ]მთოთა აღძრულმან, სანატრელმან და ყოვლად წმიდაჲმან კათალიკოზ-პატრიარქმან ყოვლისა საქართველოსამან, უფალმან დომენტიმ გამოვიწვლილე ეკლესიისა კურთხევა, რომელიცა წმიდაჲთა მამათა ჩვენთა მთარგმანებელთაგან ჭეშმარიტად და სწორად გარდმოეღოთ და ჟამთა ვითარებისაგან მწერალთაგან განრყვნილიყო.

და ეს კურთხევა და შემდგომნი ამისნი განწესებანი ახლად ვიძიეთ და ვპოვეთ ბერძულისაგან და აწ ქართულად გარდმოვათარგმნინეთ უნაკლულოდ სამთავნელ ეპისკოპოზს უფალსა კვიპრიანეს, რამეთუ კეთილად სწავლულ იყო ბერძულთა ენისაგან და იმას უბ[რ]ძანეთ და გარდმოვაწერინეთ.

და დავაბეჭდვინეთ საფასითა ჩვენითა. ვინც ჴელად მიიღოთ, შენდობას ჰყოფდეთ ჩვენთვის".

„ჟამსა ამაღლებულისა დიდისა მეფისა უფლისა უფლისა **ვახტანგისა** და ძისა მისისა უფლისა მეფისა **ბაქარისა**. ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ **ჩლით**. ქართულსა ქორონიკონსა **უზ**". ე გვ.

ტექსტის ბოლოს:

„დაიბეჭდა ქალაქსა ტფილისისასა.
ჴელითა გარსევან ყოფილის მღდლის გაბრიელისათა.
თვესა იანვარსა **იბ**, ქორონიკონსა **უ**Მ".

წიგნში ნაბეჭდ ტექსტთან ერთად ჩაკინძული ფურცლების გვერდებზე, სხვა უმნიშვნელო ჩანაწერებთან ერთად, ვხედავთ ამ უნიკალური ცალის სრულიად შემთხვევით პოვნისა და გადარჩენის ცნობას.

უნივერს.

18. **პარაკლიტონი**. თბილისი, 1720

[04], **უნგ** (= 453) გვ.; 30 × 19; შრიფტი საშუალო ზომის ნუსხახუცური; ორ-ორ სვეტად; მდიდრულად ორნამენტირებული თავფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია ვახტანგ მეფის ანდერძი; ქვემოთ—ბაგრატიონთა ღერბი; გამოცემა განსაკუთრებით უხვად არის შემკული თავკაზმულობით (ხატებიანი ორნამენტები, მრავალკეცად შეთხზული) და ბოლოკაზმულობით (02,03—4, **ა, ოგ, კა, ლე** [= 35], **მბ** [= 42], **მთ, ნზ, პდ** [= 85], **უბ** [= 93], **რ** [100] და სხვა მრავალი.

ბოლოში, ტექსტის ქვემოთ მოთავსებულია ვახტანგის პორტრეტის I ვარიანტი (18 × 15), რომელსაც სამი მხრით შემოვლებული აქვს ორმაგი ორნამენტის ჩარჩო (იხ. ფოტოპირი).

თავფურცელი:

„პ ა რ ა კ ლ ი ტ ო ნ ი

აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა. ჴამსა ამაღლებულის და სახელოვანისა საქართველოსა მეფისა უფლისაჲ უფლისაჲ ვახტანგისსა და ძისა მისისა საქართველოს მპყრობელისა მეფისა ბაქარისასა, იესიან, დავითიან სოლომონიანისსა, შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა საქართველოსა მპყრობელისა მეფისა უფლისაჲ უფლისაჲ ვახტანგ ლევანის ძისათა. გაიმართა წმიდა ესე პარაკლიტონი ჴელითა მროელ ეპისკოპოზის ნიკოლაოზ ორბელის შვილისათა.

ბრძანებითა საქართველოს მპყრობელისა უფლისაჲ უფლისაჲ ბაქარისითა. მბეჭდავი წმიდისა ამის პარაკლიტონისა მდაბალი მონა და მოსამსახურე თქვენი ტფილისის სიონის მხატვარი გიორგი.

დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდიათას ას ოცდა რვა.

ქრისტეს აქათ ათას შვიდას ოცსა“.

ვახტანგის ანდერძი:

„სადიდებლად წმიდისა სამებისა, მე, გვარტოლ[illegible]ით დავითიანმან, ძისძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან, ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთა მეფის გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან, საქართველოს მპყრობელმან მეფემან ვახტანგ მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა, საკსრად სულთა წინათქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათჳს, სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა და ძისა ჩემისა საქართველოს მპყრობელისა მეფისა ბაქარისა, ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“.

ტექსტის ბოლოს, ვახტანგის პორტრეტის ქვეშ:

„განსრულდა წ[illegible]ა ესე პარაკლიტონი. დაიბეჭდა ქალაქსა ტფილისისასა. სამებასა ერთარსებასა ღმერთსა მხოლოსა თვესა იანვარსა, კ[illegible]. ქკ[illegible]სა უ[illegible]. დიდებაჲ უკუნისამდე.

საჯარო; უნივერს.; საქ. მუზ.; ლიტ. მუზ.; ქუთ. მუზ.

19. **ქმნულების ცოდნის წიგნი.** თბილისი, 1721.

04, რმ[illegible][= 148] გვ.; 20 × 14; შრიფტი: მხედრული (თავფურცლის ტექსტი და სათაურები სუსხურით); თავფურცელი ორნამენტებით მორთული.

მეოთხე (04) გვერდზე: ბაგრატიონთა სამეფო ღერბი; მის ქვეშ ყვავილიანი ვაზა.

თავფურცელი:

„სპარსულისაგან ქართულად თარგმნილი მეფეთ მეფის **ვახტანგისაგან**. ჟამსა ამაღლებულისა და სახელოვანის საქართველოს მეფეთ მეფის და სრულიად ერანის სპასალარისა უფლისაჲ უფლისაჲ მისვე ვახტანგისსა, იესიან, დავითიან, სოლომონიან პანკრატოვანისსა.

გაიმართა ჴელითა მროველ ეპისკოპოზის ნიკოლ˘ოზ ორბელის ძისათა.

ქალაქსა ტფილისისასა.

ქრისტეს აქეთ **ჩღკა**, აგვისტოსა **ი˘დ**“.

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„იტყვის წინასწარმეტყველი დავით: „მე ვთქვი განკვირვებასა ჩემსა რამეთუ ყოველი კაცი ცრუ არს“. და თვით უფალი ბრძანებს: „არავინ არს სახიერ, გარნა მხოლო ღმერთი“.

არათუ ამისთვის არს ბრძანება ესე, ვითარმედ ყოველი კაცი ცრუ არს. — ნუ იყოფინ! — არამედ ვერვის ძალუცს, თვინიერ მის მიერ მოელინებულთა, სწორებით ცნობად საქმეთა უფლისათა და არცა ვინ არს ჴეშმარიტებით მცნობელ ამისა, რომელ არა იპოვა ამა შინა სიცრუე.

არამედ რავდენთა მიეცა სიბრძნე და გულისხმის ყოფა და მათ წყალობა იგი პატიოსანი უპატიოთა ზედა საქმეთა არა იშრომეს და რაოდენთა ძალუძლეს, მისვე ქმნულთა მიწდომად დაშურეს და განმარტეს ფილოსოფოსთა მრავალ[ნი] მეცნიერებანი და მათნი სწავლანი.

და ესეცა ვარსკულავთრაცხვა ერთი მათგანივე არს.

და საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოოჴრებულიყო და არღარა დაშთომილიყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა და სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხოდენ.

და აწ მე, მეფემან მეფეთამან ვახტანგ, ეს სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი — ზიჯი თალა მასალა — და სხვა ოქმების წიგნები ვთარგმნე, მირზა აბდურიზა თაერიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევნითა და სტროლაბიც ქართულად გამოვიღე. ნუ უკუე ისწავონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილა[სო]ფოსობა და გამოიღონ.

და ჩემთვისაც შენდობის მოქენე ვარ, რამეთუ საქმეთაგან საცნაურარს, ვითარმედ მრავალნი ჭირნი მინახვან ამა წიგნთა ზედა და არც თუ მეფობისა მსახურება დამიკლიეს“.

ვახტანგის წინასიტყვაობის თავში, ნუსხა-ხუცური შრიფტით:

„ზე ადიდნეს ღმერთმან მეფე ვახტანგ“.

ტექსტის ბოლოს:

„განსრულდა სექტემბერს **იბ**, ქრისტეს აქეთ **ჩღკა**“.

მესტამბეთა ლექსი:

„მენაე ღელვა-გვემული განეროს ზღვისა წყრომასა,
გალატოზნი და ხურონი რა მორჩენ თჳსსა შრომასა,
მათს სიხარულსა ვინ დასთვლის, ანუ შვებისა ზომასა.
და მესტამბე მათგან უაღრეს იქს სიხარულის ნდომასა“.

(თარიღის ქვემოთ)

შენიშვნა: კარლ მარქსის სახელობის თბილისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ცალები—F $\frac{1.151}{2}$ და K $\frac{20.014}{309}$ — მოწმობს, რომ ტექსტში ჩასართავი ნახაზებისათვის ბეჭდვის დროს ცარიელ ადგილებს ტოვებდენ; ეს ადგილები ხსენებულ ცალებში შევსებულია სინგურით შესრულებული ჩინებული ნახაზებით (იხ. F $\frac{1.151}{2}$, გვ. მეხუთე (— ი), კᲿ, კთ, ლᲿ, მბ და სხვ.; აგრეთვე K $\frac{20.014}{309}$, გვ. კᲿსა და კთ-ს შუა, გვ. ლᲿ, მბ, მთ, ჲბ, ჲვ და სხვ.),

საჯარო; უნივერს.; სალტიკოვ-შჩედრ.; საკავშ. აკადემ.

20. **ჟამნი**. თბილისი, 1722.

336 გვ.; 15 × 10; შრიფტი: მხედრული.

სათაური (ტექსტის წინ): „ჟამნი“. თავფურცელზე ორნამენტების ჩარჩო; თავფურცლის მეორე გვერდზე ბაგრატიონთა სამეფო ღერბის ერთლომიანი ვარიანტი; ტექსტის პირველი გვერდი შემკულია ყვავილოვანი თაღით. ტექსტს წინ უძღვის ღვთისმშობლის ლოცვა: „სასოო და შესავედრებელო ქრისტიანეთაო“...

თავფურცელი:

„ჟამსა ამაღლებულისა და სა-
ხელოვანისა მეფეთ-მეფისა
უფლისა უფლისა
ვახტანგისსა
გაიმართა ჟამნი ესე [ჴელითა] მრო-
ველ ეპისკოპოსი ნიკოლ-
ოზ ორბელის ძისათა.
ჴელითა მესტანბე გარსევან ყოფილის
მღდლის გაბრიელისათა.
ქალაქსა ტფილისისასა.
ქრისტეს აქეთ ჩღკბ.
დეკენბერსა იე, ქკ᷄სა უი.

ქუთ. მუზ.; საკავშ. აკადემ.

1709—1722 წწ. გამოცემების ქრონოლოგიური ტაბულა, დაცულობის ადგილის აღნიშვნით

რიგითი №	გამოცემის წელი	წიგნის სახელწოდება	შრიფტი	დაცულობის ადგილი	გვერდები ამ წიგნისა, სადაც აწერილია გამოცემა
1	1709	სახარება	ნუსხა-ხუც.	საჯარო; უნივერს.; საქართ. მუზ.; ქუთ. მუზ.; სალტ.-შჩედრინის	130, 181—183
2	„	დავითნი	„	უნივერს.	130—132, 183—184
3	„	სამოციქულო	„	საჯარო; უნივერს.; საქ. მუზ.; სალტიკოვ-შჩედრ.; სსრ კავშ. მეცნ. კად.	132—136, 184—186
4	1710	კონდაკი	ნუსხა-ხუც. მხედრულის გარევით.	საჯარო; უნივერს.; საქართვ. მუზ.; ქუთ. მუზ.	136—137, 187—188
5	„	ჟამნი	მხედრ.	უნივერს.; ქუთ. მუზ. (დაზიანებული)	137—138, 188—189
6	„	ჟამნი	ნუსხა-ხუც.	საჯარო, ქუთ. მუზ.	138, 189—191
7	„	ლოცვანი	ნუსხა-ხუც.	საჯარო; უნივერს.; საქართ. მუზ.; სალტიკოვ-შჩედრ.	138, 191—192
8	1710—1711	ბიბლია	ნუსხა-ხუც.	საჯარო; უნივერს.; საქართვ. მუზ.	166—167, 192—193
9	1711	დავითნი, II გ-მა	მხედრ.	საჯარო; უნივერს.; საქართვ. მუზ.	138—139, 193—194
10	„	გერმანე. სწაელა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა.	მხედრ.	საჯარო; არქივი; საქართვ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ.	138—142, 194—195
11	1712	„ვეფხისტყაოსანი“ შ. რუსთაველისა.	მხედრ.	საჯარო (მეტად დეფექტ.). უნივერს.; საქართ. მუზ.; მწერალთა მუზ.; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკად.; სალტიკოვ-შჩედრ.	142—157, 195—198
12	„	დავითნი, III გ-მა.	ნუსხა-ხუც.	საჯარო; უნივერს.; ქუთ. მუზ.	157—158, 198—199
13	1713	კურთხევანი	ნუსხა-ხუც.	საჯარო; უნივერს.; ლიტ. მუზ.; საქართვ. მუზ.	158—159, 199—201
14	1716	დავითნი, IV გ-მა.	ნუსხა-ხუც.	სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემ.	159—160, 201—202

რიგითი №	გამოცემის წელი	წიგნის სახელწოდება	შრიფტი	დაცულობის ადგილი	გვერდები ამ წიგნისა, სადაც მოხსენებულია გამოცემა
15	1717	ჟამნი, III გ-მა	ნუსხა-ხუც.	საჯარო; უნივერს.; სა-ქართვ. მუზ.	160, 202—203
16	„	ლოცვანი, II გ-მა	ნუსხა-ხუც.	უნივერს.	160, 203
17	1719—1720	კურთხევა ეკლე-სიისა	ნუსხა-ხუც.	უნივერს.	160—161, 203—204
18	1720	პარაკლიტონი	ნუსხა-ხუც.	საჯარო; უნივერს.; საქ. მუზ.; ლიტ. მუზ.; კუთ. მუზ.	162, 204—205
19	1721	ქმნულების ცოდნის წიგნი	მხედრ.	საჯარო; უნივერს.; სალ-ტიკოვ-შჩედრ.	163—165, 205—207
20	1722	ჟამნი, III გ-მა	მხედრ.	კუთ. მუზ.; სსრ კავშ. აკადემ.	165, 207

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე გიორგი 12
აბაშიძე გიორგი ალექსანდრეს-ძე 196
აბაშიძე ვახუშტი 29
აბაშიძე სვიმონ 3
აბულაძე ილია 36, 134
ავთანდილ (ვ. ტყაოსნ.) 148—150, 198
აივაზ || ეივაზ ჩალაბა 26—27
ალექსანდრე არჩილის ძე 80, 116
ალექსანდრე ბატონიშვილი, გიორგი XI-ის ძმა 13, 14
ალექსი პეტრეს ძე 116
ამილახვარი ანდუყაფარ, გივის ძე 65
„ამირან დარეჯანის ძე“ 197
ანდრეა, პროთო-პაპი 162
ანთიმოს ქართველი || ანდრია ქართველი || ანთიმ იერიელი 6, 82—84, 87—91, 95—99, 104, 118
ანტონ I 35, 36, 58, 59, 76, 127, 137, 159, 161—162
არჩილი || არჩილ მეფე 5—13, 15, 33, 36, 41—43, 45—47, 51—54, 57, 78—81, 116, 121, 128, 167—170, 182, 185, 187, 192, 197, 199, 202, 205

ბ

ბაგრატ ბატონიშვილი, გიორგი XI-ის ვაჟი 9, 12
ბაგრატ (ბაგრატის ტაძარი ქუთაისში) 136
ბარათაშვილი მამუკა 56
ბარამიძე ალექსანდრე 12, 47, 53, 55—57, 81, 150
ბარნოვი ვასილ 27
Бартольд, акадэм. 37
ბაქარ, ვახტანგ VI-ის ვაჟი 19, 92, 160, 167, 173—174, 202—205
ბაქრაძე დიმიტრი 3, 4, 20
ბედისმწერლიშვილი ნათანაელ 167
ბერიძე ვახტანგ 27, 29, 70
ბერძენიშვილი ნიკოლოზ 5, 37, 83, 84
Biörkbom C. 80
ბლუდოვი დ. 20
[Болховитинов] იხ. Евгений М. 95
[ბრანკოვიანუ] ბრანკოვანე იოანე-კონსტანტინე ბასარაბა 84, 88, 90—93, 96, 141, 194
ბრეგაძე თამარ. 139
ბროსე მარი 3, 36, 38, 156

გ

გაბრიელ, გარსევან-ყოფილი, სიონის დეკანოზის შვილი, გამმართველი || მესტამბე 102, 124, 129, 160, 171, 193, 201—204, 207
გაიოზ რექტორი 4
გერმანე მღდელ-მონაზონი 50, 51, 88, 90, 95, 123. 124, 128, 139—142, 155, 171, 187, 194, 195
გიორგი ათონელი 162
გიორგი XI 9, 11—16, 18, 25, 66, 67, 69, 72, 79, 80, 86, 115, 117—119, 122, 123, 128, 132, 154, 169, 170, 175, 181—182, 184, 185, 187, 192, 197, 199, 202, 205
გიორგი—ტფილისის სიონის მხატვარი, მბეჭდავი, სტამბის მეურნე 102, 160, 202, 205
გოლიათი. ბიბლ. 117, 119, 120, 200
გოლოვკინი, თ. ა. 80
გორგიჯანიძე ფარსადან 8
გოსტაშაბიშვილი ნიკოლოზ 11
გრიგოლია ლადო 5
[გრიგოლ ლორთქიფანიძე]. დასავლ. საქართველოს კათალიკოსი 52
გუგუშვილი პაატა 4, 98, 104, 122, 131, 135, 138, 160, 166.
გურამიშვილი დავით 30, 46, 48, 53, 56, 57, 121.
გურიელის ასული თუთა, ვახტანგ VI-ის დედა. იხ. თუთა

დ

დავით გარეჯელი 68
დავით იმამ-ყული-ხანი, კახთა მეფე 21
დავით ებრაელთა მეფე, „წინასწარმეტყველი“ 117—121, 139, 193, 198, 201, 206
დელილი იოსებ-ნიკოლა 39
„დიონოსი ბრძენი ეზროს“ —„ვეფხისტყაოსანისა“ 149

დომენტი II, კათალიკოსი 63
დომენტი III კათალიკოსი, ვახტანგ VI-ის ძმა 10, 17, 19, 61, 70, 113, 161, 204
დონდუა კარპეზ 50
დოსითეოს, იერუსალიმის პატრიარქი 25, 79, 86, 87, 125. 159, 200
დოქაძე პაპუნა 29

ე

Евгений [Болховитинов], митрополит 95
ევდემოზ კათალიკოსი 15
ენუქიძე თინათინ 21, 112
ეროკლე I 9, 11, 13—18, 67, 68, 70, 76, 137
ეროკლე II 4, 161
ენგელსი ფრიდრიხ 66, 70
ერისთავი ბარძიმ 120, 156
ერისთავი გიორგი 28, 120, 156
ერისთავი დათუნა 120
ერისთავი კოზმა. იხ. კვიპრიანე სამთავნელი
ერისთავის (ბარძიმის) ასული 120
ერისთავი შანშე 29, 31.
ესაი ჰასან ჯალალიანი 27

ვ

ვაჩეიშვილი ალექსანდრე 33
ვახტანგ V || შაჰნავაზ 17, 28, 51, 63, 197, 199, 202, 205
ვახტანგ VI 3—6, 8—43, 45—50, 52—53, 55—61, 63, 65, 68—82, 84—89, 91—96, 98, 100, 102, 104—106, 108, 110—115, 117—130, 132—133, 137—139, 141—161, 163—165, 167—171,173. 175, 176, 181, 184—199 201, 205—207
ვახუშტი 8, 10, 12—14, 17, 18, 21, 22, 23, 25, 27, 28, 31, 35—42, 58, 61, 63, 65, 72, 74—75, 80, 86, 91, 141, 155, 160, 168, 169, 170
ველიამინოვი, ვახტანგის სამართლის წიგნის მთარგმნელი (რუსულად) 20
ვიტცენი ნიკოლოზ, ჰოლანდიელი მეცნიერი, ამსტერდამის ქალაქის თავი 41, 79

ზ

ზაქარაია პარმენ 29
ზუბაშვილი რომანოზ, მესტამბე 4
ზურაბეკ [?] 39

თ

თამარაშვილი მიხელ 37, 52
თამარი [თამარ მეფე] 49
თამარ, ერეკლე I-ლის დეიდა 68
თაყაიშვილი ექვთიმე 4, 24—25, 28, 143
თეიმურაზ ბაგრატიონი 3
თეიმურაზ მუხრან-ბატონი 9
თეიმურაზ I 8, 13, 47, 51, 77
თეიმურაზ II 28, 48
თინათინ (ვეფხისტყაოს.) 148
თოქალთოიანი ბეჟან 73
თუთა, გურიელის ასული, ვახტანგ VI-ის დედა 10, 68, 71, 185, 188, 197, 199, 202, 205
თუმანიშვილი გივი 25, 29

ი

იაკობ („მოციქული, ძმა უფლისა") 150
იესე, ვახტანგ VI-ის ძმა, შემდეგში ქართლის მეფე (1715-16) 31, 58, 75, 120, 122, 160, 173, 201
იმერლიშვილი 28
ინგოროყვა პავლე 134, 149, 172, 174
იოანე ახალციხელი 142
იოანე ბატონიშვილი 143
იოანე-კოსტანტინე ბრანკოვანე-ბასარაბა „ელახეთის უფალი". 141 იხ. ბრანკოვიანუ
იოვანე (მოციქული) 150
იოსელიანი პლატონ 94, 106
ირბაჭი 5, 77 იხ. ჩოლაყაშვილი
იშტვანოვიჩი 97, 99 იხ. უნგროვლახელი მიხაილ
Ираклий 201

კ

კარიჭაშვილი დავით 4, 5, 98, 100, 105, 131, 138. 160, 166
კევი კი არა კიევი, კიეველი სტუდენტის ფსევდ. 3
კასრიძე ნადეჟდა 37
კეკელიძე კორნელი 5, 36, 51, 137, 144, 150, 153, 158, 159, 162, 190
კვასხვაძე შალვა 87, 106
კვიპრიანე სამთავნელი (კოზმა ერისთავი) 86, 91, 92, 95, 120, 121, 124—127, 158—159, 161, 199, 200, 204
კისი, ნიკოლოზ 79
კოსტანტინე — მაჰმად-ყული- ხანი, კახთა მეფე 75
Constantinescu-Iași, P. 95, 98, 99.

ლ

ლაზარე, ა 51 ბიბლიის გადამწერი 174, 176
ლევან ბატონიშვილი, შაჰნავაზის ძე, ვახტანგ VI-ის მამა 9. 11, 13—15, 18, 26, 58, 65, 132, 182, 185, 188, 192, 197, 199, 202, 205

ლეონ, მეფის შვილის აღმზრდელი „სიბრძნე სიცრუის“ წიგნში 43, 56
ლეონიძე გიორგი 6, 84, 87—89, 93—95, 98, 104
Ломоносов 107
ლუარსაბ ბატონიშვილი, გიორგი XI-ის ძმა 13, 14
ლუარსაბ I, ქართლის მეფე 51

მ

მათე (მახარებ.) 134
მაკარიოს, ანტიოქიის პატრიარქი 78
Малеин А. И. 107
მარიამ დედოფალი, როსტომ მეფის მეუღლე 28
მარი ნიკოლოზ 25, 125
მარრი გიორგი 50
მარკოზ (მახარებ.) 134
მარქსი კარლ 70, 80, 95, 107
Маркс и Энгельс 66
მაღალაძე სოლომონ, დომენტი III-ის მდივან-მწიგნობარი 112—114
მაღალაძენი 29
მაჰაჰარიანი ი.ამარ 95
მაჭუტაძე ონოფრე, ოთარ-ყოფილი 51, 68, 105
მაჯიო მ. 35, 77
მაჰმადი 65
მეტრეველი ელენე 161
მირიან ბატონიშვილი 20
მაქაელ ‖ მიქელ ‖ მიქელა, მესტამბე, „მესტამბეთ უფროსი“, „გამმართველი“. ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი 86, 100—102, 104, 124, 144—145, 153—154, 171, 196—198
მოსე, ბიბლ., ძვ. ებრაელთა კანონმდებელი 19
მოსე ხონელი 197
მუხრან-ბატონი თეიმურაზ 9
მათე (მახარებ.) 134

ნ

ნასირ თუსელი 37, 49
ნესტან ‖ ნესტან-დარეჯან (ვეფხისტყაოსნ.) 148, 197
ნიკიფორე კახი 51, იხ. ჩოლაყაშვილი-ირბაქი

ო

ოთარ [მაჭუტაძე?] 68
ორბელიანი თამაზ 9, 15
ორბელიანი იოანე 35, 45
ორბელიანი ნიკოლოზ, მიროველ ეპისკოპოსი ‖ ტფილელი 24, 33, 36, 37, 71, 72, 91, 95, 115, 123—125, 134, 137, 138, 140. 159, 169, 171—177, 181—186, 189—192, 203, 205—207
ორბელიანი პაპუნა 76
ორბელიანი სულხან-საბა 10, 26—27, 33—36, 38—40, 42, 43, 46, 49, 52, 53, 55—57, 60, 64, 66—68, 73, 124, 126, 128, 134, 135, 155, 168
ორბელიანი, ყანდაარის ხანი 15
ორბელ, მდივანბეგი ‖ საქართველოს მსაჯულთ-უხუცესი. სულხან-საბას მამა 34, 167, 168
ორბელი რუსუდან 90
ორფეუსი, მით. პოეტი, მომღერ., მუსიკოსი 139

პ

პავლე ალაბელი 78
პაისიოს პატრიარქი 79
პაოლინი სტეფანე 77
პეტრე (მოციქ.) 150
პეტრე პირველი, იმპერ. 61, 80, 116
პიკო ემილ 83

ჟ

ჟორდანია თევდორე 11, 21, 68, 69, 79, 86, 94, 95, 106, 166, 168
Жуэ, П. 78

რ

რატიშვილი ზურაბ 29
როლერი მ. რუმინეთის ისტორიის ავტ. 118
როსტევან (ვეფხისტყაოსნის) 197
როსტომ, ქაოთლის მეფე 7, 8, 11, 17
რტიშჩევი, გენ. 20
რუსთაველი 47, 48. 143—151, 153, 157, 195
რუსუდან დედოფალი, ვახტანგ VI-ის მეუღლე, „ჩერქეზთ-ბატონის ასული“ 12, 19, 22, 71, 182, 188, 197, 199, 202, 205
რუხაძე ტრიფონ 117

ს

სააკაძე გიორგი [დიდი] მოურავი 53
სააკაძე იოსებ, ტფილელ ეპისკოპოსი 9, 45
სალტიკოვ-შჩედრინი 143, 198
სალუყაზანაშვილი აბრამა, ვახტანგის სტამბის მუშაკი 102
სერგიოს არქიმანდრიტი ‖ პაპა სერგიოსი 86, 125, 159, 200
სეფევიდები 73
სვიმონ ბატონიშვილი, ვახტანგის ძმა 75, 119, 120, 156, 158, 198, 199
სტალინი იოსებ 66, 130, 131, 196
სხვიტორელი, ფსევდ. დავით წერეთლისა 3

ტ

ტარიელ (ვეფხისტყაოსნის) 148, 149, 197

ტიმოთე მიტროპოლიტი [გაბაშვილი] 48
ტურდო სანდუ 83

უ

ულუღბეგი სამარყანდელი 37—39, 49, 163
უნგროვლახელი მიხაილ, სტეფანეს შვილი || ძე || იშტვანოვიჩი, მესტამბე 71, 85, 89, 90, 92—98, 100, 101, 103, 111, 115, 133, 135, 138, 139, 158, 160, 181, 187, 184, 186—191, 193. 194, 199, 203

ფ

ფანასკერტელი ზაზა 33—35, 112
ფრანგიშვილი ვასილ 35
ფრენკელი ა. 20
Fabritius Amba 39
Феодоров Иван, первопечатник 107

ქ

ქაიხოსრო, ვახტანგ VI-ის ძმა, ქართლის მეფე 1709—1711 წწ. 10, 13, 14, 72, 73, 117, 119—120, 122, 123, 129, 132, 139, 142, 155, 173, 187, 189, 191—194.
ქრისტე 65, 117, 134, 140

ღ

ღვთისმშობელი 119, 119

ყ

ყილჩიყო მირზა 11, 12
ყიფშიძე იოსებ 68

შ

[შათირი] მამუკა 15
შამხალი, დაღისტნის მმართველი 11—13
შანიძე აკაკი 4, 5, 48, 68, 82, 83, 89, 94, 103, 117, 139, 143, 144, 149, 151—153, 157, 196
შანშიევი, გ. 105
შანშიაშვილი ხალია 15
შანშოვანი ზურაბ 36, 58
შარაშიძე, ქ. 5, 35, 77, 80, 138
შარდენი ჟან 27
შაჰნავაზ I, იხ. ვახტანგ V
შპარვენფელდი, შვედი მეცნ. 79

ჩ

ჩოლაყაშვილი ნიკოლოზ-ნიკიფორე (ირბაჭი) 5, 77
ჩუბინაშვილი გიორგი 51, 68
ჩუბინაშვილი დავით 76
ჩხეიძე სეხნია 12, 21, 26, 28, 61, 74, 92, 132, 146, 154
ჩხეიძე ქაიხოსრო 12

ც

ცაგარელი ალექსანდრე 4, 36, 58, 146, 151, 169
ციციშვილი ბაადურ 54
ციციშვილი ლოპიანა 11
ციციშვილი ქაიხოსრო 9
ცხაკაია ს. 40
Czar [პეტრე I, დიდი] 39

წ

წერეთელი დავით, აკაკის ძმა—„სხვიტორელი" 3.

ჭ

ჭიჭინაძე ზაქარია 8, 105—106
ჭყონია თორნიკე 41

ხ

ხახანაშვილი ალექსანდრე 4
ხერხეულიძე ხოხონა 11
ხონელი მოსე 197
ხოსრო იხ. ქაიხოსრო
ხრისანთე, იერუსალიმის პატრიარქი 84, 85, 87, 88, 90, 99

ჯ

ჯავახიშვილი ივანე 19, 21, 24, 40—42, 51
ჯანაშვილი მოსე 4
ჯანაშია სვიმონ 196
ჯუმბერ, მეფის შვილი (სიბრძნე სიცრუის წიგნში) 43, 56

ჰ

Henrik III Keysers 80

ს ა რ ჩ ე ვ ი

		გვ.
	შესავალი	3
1.	ქართლის სამეფო XVII—XVIII სს. მიჯნაზე	7
2.	ვახტანგის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა	17
3.	მეცნიერება და ლიტერატურა XVII—XVIII სს. მიჯნაზე	32
4.	ვახტანგის საეკლესიო პოლიტიკა და სტამბის მოწყობა	60
5.	ქართული წიგნების ბეჭდვა ვახტანგამდის	77
6,	თბილისის სტამბის საორგანიზაციო პერიოდი	82
7,	თბილისის სტამბის მუშაკნი და გამოცემები	101
8.	ბიბლიოგრაფიული შენიშვნები	130
9.	აღწერილობა	178
	1709—1722 წწ. გამოცემების ქრონოლოგიური ტაბულა	208
	პირთა საძიებელი	211

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი

გამომც. რედაქტორი ო. გიორგაძე
მხატვარი ც. გაბაშვილი
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ნ. ყიფიანი

გადაეცა წარმოებას 6.7.55. ხელმოწ. დასაბეჭდად 23.9.55. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆. ქაღალდ. ფურც. 6,75. საბეჭდ. ფურც. 18,49. საავტორო 14,78. სააღრ.-საგამომც. ფურც. 16,82.
შეკვ. 1194. უე 05163. ტირაჟი 2000.

ფასი 11 მან. 50 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.